ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარ ქარცივაძე

„შარიფები და ფილალის დინასტია მაროკოში“

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

მეცნიერ-ხელმძღვანელები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, **მ. ტიკაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, **ნ.გელოვანი**

თბილისი
2015

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3-7

თავი I შარიფები („შორფა“) და ფილალის დინასტიის გამოსვლა მაროკოს პოლიტიკურ ასპარეზზე 8-14

თავი II ფილალის დამკვიდრება მაროკოში და მოსვლა ქვეყნის სათავეში 15-28
§1. ფილალის დინასტიის ბრძოლა ხელისუფლებისათვის და მაროკოს გაერთიანება 18-22
§2. მულაი არ-რაშიდის მმართველობა (1664-1672) 22-25
§3. სულთანი მულაი ისმაილი და ფილალის ძალაუფლების განმტკიცება 25-28

თავი III სულთან ისმაილის საშინაო პოლიტიკა 29-62
§1. სულთან ისმაილის ჯარი 32-38
§2. საღვთო ომი ევროპელთა წინააღმდეგ 38-39

თავი IV საქალაქო ცხოვრება და ისლამურ-არაბული კულტურა მაროკოში 40-62

თავი V მაროკო და ევროპის სახელმწიფოები ფილალის გამგებლობის პერიოდში 63-104
§1. რიფის რესპუბლიკა და ესპანეთის ექსპანსია მაროკოში 68-81
§2. საფრანგეთის ჩარევა კონფლიქტში და მისი შედეგები 82-100
§3. რიფის რესპუბლიკის კაპიტულაცია 100-104

თავი VI ფილალის სახელმწიფოს დაცემა და აღზევება 105-147
§1. მაროკო მულაი ისმაილის მემკვიდრეების დროს 105-113
§2. ევროპული სახელმწიფოების გავლენის გაზრდა, დამოუკიდებლობის დაკარგვა და აღდგენა 113-147

დასკვნა 148-151

შარიფთა გენეალოგიის ორი ხე 152-153

ფილალის დინასტიის სულთნები 154

მაროკოს პოლიტიკური რუკა 155

მაროკოს სახელმწიფო დროშა და გერბი, რიფის რესპუბლიკის დროშა და გერბი 156

გამოყენებული წყაროები 157

ლიტერატურა 157-163

ენციკლოპედიები 163-164

ინტერნეტის მასალა 164-165

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საუკუნეების მანძილზე, არაბებმა ღრმა კვალი დაამჩნიეს მრავალი ქვეყნის და ხალხის ისტორიას. ამასთანავე, მათ შეითვისეს დაპყრობილ ხალხთა კულტურის მრავალი ელემენტი, რის შედეგად ჩამოყალიბდა თავისებური არაბული კულტურა. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა მაროკო.

მაღრიბის ქვეყნებში, არაბულთან ახლო მდგომ სემიტურ-ქამიტურ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობამ აითვისა არაბული ენა, რელიგია – ისლამი, მატერიალური და სულიერი კულტურის ბევრი ელემენტი და შედარებით მცირე დროში გაარაბდა.

XVI საუკუნეში წინა აზიის და ჩრდილოეთ აფრიკის არაბული ქვეყნები (მაროკოს გამოკლებით) ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ.

XVII საუკუნეში მაროკოს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ მოციქულ მუჰამედის შვილიშვილის, ჰასანის შთამომავლები – ფილალის, იგივე ‘ალავიტების გვარის შარიფები. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის მომავლის განვითარებაში. XVII-XVIII საუკუნეებში ფილალიმ შეძლო მაროკოს მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანა.

სულთან ისმაილის **(1672-1727)** ძალისხმევით, „შარიფების სახელმწიფომ“ დაძლია ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. ისმაილმა დაიმორჩილა ამბოხებული ოჯახის წევრები, ტომები და რაც მთავარია, გააერთიანა მაროკო. ახალი ჯარის მეშვეობით მან დაიბრუნა ევროპის სახელმწიფოების მიერ მიტაცებული ტერიტორიები (ორი კუნძულის, სეუტასა და მელილას გარდა) და მას საერთაშორისო არენაზე ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა.

ისმაილის მემკვიდრეების დროს, მაროკო ისევ მოიცვა ანარქიამ, გაძლიერდა ევროპელთა გავლენა. მხოლოდ სულთან მუჰამად III-ს მმართველობის პერიოდში **(1757-1790)** დროებით „აღდგა ქვეყნის დიდება“, გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება.

XIX საუკუნეში დაიწყო იმპერიალისტური სახელმწიფოების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია) ექსპანსია მაღრიბის ქვეყნებში, რაც დასრულდა მათი კოლონიზაციით. ანტიიმპერიალისტურმა ბრძოლამ განსაკუთრებულ პიკს მიაღწია მაროკოს ჩრდილოეთ ნაწილში - რიფის რაიონში, სადაც შეიქმნა დამოუკიდებელი რიფის რესპუბლიკა **(1921-1926)**. შეიძლება ითქვას, რომ რიფელების თავდადებამ გარკვეულწილად შეარყია

პროტექტორატის რეჟიმი და იგი გახდა მაგალითი არა მარტო მთელი ქვეყნისათვის, არამედ კოლონიალური რეჟიმის ქვეშ მყოფი სხვა არაბული სახელმწიფოებისთვისაც. ამასთანავე, დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილმა უფრო მეტად შეაკავშირა არაბულ-ბერბერული მოსახლეობა.

XX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად არაბული სახელმწიფოების უმრავლესობამ, მათ შორის მაროკომ, დაიბრუნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საუკუნეების მანძილზე, მაროკოს ამჟამინდელი და ყოფილი სატახტო ქალაქები – რაბატი, ფესი, მარაქეში და მექნესი ყოველთვის ასრულებდნენ და დღესდღეობითაც ასრულებენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ როლს სახელმწიფოს ცხოვრებაში. აღნიშნული ქალაქები მრავალი მეცნიერის კვლევის საგანს წარმოადგენენ.

სადისერტაციო ნაშრომი, მიზნად ისახავს მაროკოს მმართველი დინასტიის – ფილალის ქვეყნის სათავეში მოსვლის, მისი დამკვიდრების და როლის შესწავლას სამეფოს ისტორიაში. ნაშრომში ასახულია XVII-XX სს. (1957-მდე) მაროკოში შექმნილი ვითარება, ყველა ის მარცხი და წარმატება, რამაც განსაზღვრა მისი მომავალი. ამავე დროს, შეძლებისდაგვარად შევეცადეთ მაროკოს სამეფოს ისტორიის კვლევაში დღემდე არსებული ხარვეზების გამოსწორებას, რაც ბუნებრივია ალბათ ხელს შეუწყობს ამ ქვეყანაში განვითარებული პროცესების სწორად გაგებას და შეფასებას.

ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული არაბული წყაროები და ორიენტალისტ-ისტორიკოსთა მონოგრაფიები, ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომები. ასევე, გათვალისწინებულია ინტერნეტიდან მოპოვებული მასალა, რომელშიც უფრო მეტად ასახულია თანამედროვე პერიოდი.

ქართველ მეცნიერთა შრომებიდან აღსანიშნავია **ზაზა მენთეშაშვილის** მონოგრაფია - “Берберы в общественно- политической жизни Марокко: 50-70-е годы XX в.” (М., 1985), რომელშიც გადმოცემულია საყურადღებო ცნობები სხვადასხვა ბერბერულ ტომზე და **ქრისტინე მაჭარაშვილის** სადისერტაციო ნაშრომი „მაროკოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 1907-2000 წლებში (თბილისი, 2006).

შარიფებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რუსი ავტორის **ვ.ვ. ორლოვის მონოგრაფია-**“Традиционная социальная организация алауитского Марокко (середина XVIII-начало XIX века)“, (М.,1998). რუს მკვლევართაგან გასათვალისწინებელია

ვ.ა. არგენტოვის - “Старина и новь Магриба” (М., 1985), რომელშიც წარმოდგენილია მაროკოს ქალაქების ისტორია. თანამედროვე პერიოდთან დაკავშირებით კი საყურადღებოა **ნ.ს. ლუცკაიას** - “Марокко” (М., 1958). რიფის რესპუბლიკას მიეძღვნა მისი მონოგრაფია - “Республика Риф” (М., 1959), სადაც გადმოცემულია არა მარტო რიფის რეგიონში შექმნილი ვითარება, არამედ საფრანგეთის ზონაში მიმდინარე მოვლენებიც. გარდა ამისა, მიმოხილულია რესპუბლიკის შექმნამდე არსებული მდგომარეობა და საფრანგეთ-ესპანეთის ნამდვილი მიზნები.

სამეცნიერო ნაშრომთაგან უმნიშვნელოვანესია აგრეთვე **ალენ მეიერსის** - “Slave soliders and state politics in early ‘Alawi Morocco, 1668-1728” (“The international Journal of African historical studies”, vol. 16, XI, 1, 1983), რომელშიც ავტორი გვაწვდის საინტერესო ცნობებს სულთან ისმაილის „შავი არმიის“ შესახებ და მის სახელმწიფო წყობაზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აღნიშნულ ნაშრომში ასახული ინფორმაცია არის ყველაზე „ზუსტი“ ისმაილის ჯართან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენდა მაროკოში იმ დროისათვის ყველაზე ძლიერ და ორგანიზირებულ ძალას. სწორედ მისი მეშვეობით შეძლო სულთანმა ისმაილმა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია “The Middle East and North Africa” (London, 1971), რომელიც ახლო აღმოსავლეთისა და სხვა ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების გარდა, კარგად წარმოაჩენს მაროკოს ისტორიას, უძველესი დროიდან 1970-იან წლებამდე. ცალ-ცალკე მოცემულია სხვადასხვა დინასტია, რომელიც მთავრდება შარიფთა პერიოდით.

მაროკოს ისტორიის შესწავლისათვის, ასევე საყურადღებოა ინგლისელი მკვლევრის **ვილიამ სპენსერის** – “Historical dictionary of Morocco” (London,1980), რომელიც ნათელს ჰფენს ამა თუ იმ საკითხს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **ბ. ა. ოგოტის** რედაქციით გამოცემული – “General history of Africa”(vol.V, Unesco-Heinemann-California, 1992), აგრეთვე ინგლისელი მეცნიერის **კ.ე. ბოსვორტის** მონოგრაფია - “Мусульманские династии” (М., 1971), რომელსაც თან ერთვის ცნობები ამა თუ იმ დინასტიაზე და მოყვება ბიბლიოგრაფია.

ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნეების **ჰ. ტერასის** – “Histoire du Maroc” (Paris, 1950), **ჯ. დევერდიუნის** – “Marrakech des origines á 1912” (Rabat, 1959), **შ. ა. ჟიულენის**

ფრანგულიდან რუსულად თარგმნილი “История Северной Африки” (том 2, М., 1961), რომელიც ფრანგულიდან არაბულ ენაზეც ითარგმნა. აღნიშნულმა მონოგრაფიებმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არაბული მაღრიბის ისტორიის შესწავლაში. მკვლევრები კარგად იცნობენ მუსლიმურ მაროკოს და მიუხედავად უმნიშვნელო ხარვეზებისა, შეიძლება მივიჩნიოთ მაღრიბის და მაროკოს შესახებ დაწერილ საუკეთესო ნაშრომებად. გასათვალისწინებელია **ე. ლევი-პროვანსალის** – „შორფა“(Encyclopédie de l'Islam, tome IV, Leiden/Paris,1934).

„მაღრიბის მექის“ – ფესთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია ფრანგულიდან არაბულ ენაზე თარგმნილი **როჯერ ლო ტურნოს** – („ფას კაბლა ალ-ჰიმაჯა“, თარჯამა ილა-ლ-‘არაბიჰა, ალ-ჯუზ’ ალ-ავალ. ლუბნან-ბაირუთ, 1986) რამდენიმე ტომად გამოცემული მონოგრაფიაც, რომელშიც შეიძლება თამამად ითქვას, დაწვრილებითაა მოცემული მისი ისტორია, ქალაქის დაარსებიდან მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დამყარებამდე (1912-მდე). საყურადღებოა ფრანგული „შემეცნებითი ცნობარიც“ – “Bienvenue á Marrakech” (Paris, 1994) და პოლონელი ავტორის **ბ. მიაზგოვსკის** “Марокко – Красная земля” (М., 1963), რომელიც უფრო მეტად ასახავს „წითელი მიწის“ ქალაქთა ისტორიას.

თემის ღერძს წარმოადგენს **აბუ-ლ-კასიმ ბ. აჰმად აზ-ზაიანის** ფასდაუდებელი წყარო, რომელიც ფრანგულად თარგმნა და კომენტარები დაურთო **ოქტავ ვ. ჰუდასმა**. იგი გამოიცა ამსტერდამში 1969 წელს, სახელწოდებით – “Maroc á 1631 de 1812”. აღნიშნულ წყაროში, განსაკუთრებით კარგადაა წარმოჩენილი ფილალის მაროკოს სათავეში მოსვლის პირველი წლები, შარიფთა დაპირისპირება და სულთან ისმაილის მმართველობის პერიოდი. გარდა ამისა, წყაროში მიმოხილულია ისეთი ფაქტები, რომელთა გარეშე აღნიშნული თემა არ იქნებოდა „სრულყოფილი“. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი წყარო შეიძლება მივიჩნიოთ დამოწმებულ ლიტერატურასთან მიმართებაში სამეცნიერო სიახლედ, ვინაიდან იგი არ გამოყენებულა იმ პერიოდთან დაკავშირებით (XVIII-XVIIIსს), რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა „წითელი ქვეყნის ბედი“ და მისი აღორძინების ხანა.

ბერბერებთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი არაბი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი **იბნ ხალდუნი** (1332-1406), რომლის ნაშრომი

უნიკალურია არა მარტო მაროკოს, არამედ მთელი არაბული მაღრიბის ისტორიის გარკვეული პერიოდისათვის.

რაც შეეხება თანამედროვე პერიოდს, საინტერესოა **‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის** მემუარები – “Mémoires d'Abd-el-Krim, recueillis par J. Roger-Mathieu” (Paris, 1927), რომელიც ეძღვნება რიფის რესპუბლიკასა და ზოგადად მაროკოში მიმდინარე პროცესებს.

ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია დოქტორ **სალაჰ ალ-‘აკაიდის**, „ალ-მაღრიბუ-ლ-‘არაბი“ (ალ-კაჰირა, 1993), ალ-მაღრიბუ-ლ-‘არაბი 2 (ალ-კაჰირა, 1966), **‘აბდ ას-სალამ მუჰამად ბ. მაჰმუდის**, „თა’რიხუ-ლ-მაღრიბ“ (ალ-ჯუზ’ ას-სანი, თიტვან, 1957) და დოქტორ **‘ატალაჰ ალ-ჯამალის**, „ალ-მაღრიბუ-ლ-‘არაბი ალ-ქაბირ“ (ალ-კაჰირა, 1997) მონოგრაფიები, რომლებიც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული წარმოდგენილ ნაშრომში.

რა თქმა უნდა, ეს არ არის გამოყენებული წყაროების და ლიტერატურის სრული სია. ჩვენ ვცადეთ მოკლედ წარმოგვეჩინა ის საკითხები, რაც ბუნებრივია ვრცლად არის გადმოცემული და მიმოხილული წარმოდგენილ თემაში.

თავი I

შარიფები („შორფა“) და ფილალის დინასტიის გამოსვლა მაროკოს პოლიტიკურ ასპარეზზე

შარიფი (არაბულად „შარ̄ფ“, მრ. რიცხვი „აშრ̄ფ“, „შურაფ̄“ – მრავლობითის დიალექტური ფორმა „შორფა“ დიდგვაროვანი, კეთილშობილი, წარჩინებული, დაწინაურებული) მოციქულ მუჰამედის[1] შთამომავალთა სახელწოდებაა. პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს სახელგანთქმული წინაპრების მემკვიდრეს, რომელსაც აუცილებლად გადაეცემა მამათა კეთილი თვისებები. შარიფები, წარჩინებული ოჯახის თავკაცები, მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების ადმინისტრაციის მართვაში. მათ დაპყრობითი ომების დროს შექმნეს სახელმწიფოს მმართველი ზედაფენა. შარიფები თავს არისტოკრატებად თვლიდნენ („აჰლ ფადლ“). აღნიშნული ტერმინი აგრეთვე ნიშნავს პიროვნებას, რომელიც დგას ზედა საფეხურზე, უფრო დაბალი სოციალური სტატუსის მქონე პირთან შედარებით. იგი ამ მნიშვნელობით გვხვდება უძველეს მუსლიმურ ლიტერატურაში, კერძოდ ალ-ბალაზურის (IX საუკუნის II ნახევარი) „ანსაბ ალ-აშრაფში“ [127,125; 110,107; 54,47].

ცნობილი ისტორიკოსი ატ-ტაბარი (838-923) შარიფებს ახსენებს, როგორც „ბანუ ჰაშიმის“ გვერდით მდგომ განსაკუთრებულ ჯგუფს. ას-სუიუტის (1445-1505) მიხედვით, „აშ-შარ̄ფ“ გამოიყენებოდა ადრეულ პერიოდში „აჰლ ალ-ბაითის“ წევრების ე.ი. მოციქულის შთამომავლების – ჰასანის, ჰუსაინის, ჯაფარის, ‘აკილის ან აბასის მემკვიდრეების აღსანიშნავად. ისლამში, შიიტური პროპაგანდის გაძლიერების წყალობით, მუჰამედის სახლისადმი – „აჰლ ალ-ბაითისადმი“ კუთვნილება გახდა განსაკუთრებული გამორჩეულობის ნიშანი. „აჰლ ალ-ბაითისადმი“ სიყვარულის მოვალეობას განსაზღვრავდა ყურანი. IX–X საუკუნეების ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილია ორი ძმა აშ-შარ̄ფ არ-რადი და აშ-შარ̄ფ ალ-მურთადი.

აბასიანთა სახალიფოში (750-1258), შარიფებად იწოდებოდნენ აბასიანები და ტალიბიანები, ხოლო სახალიფოს დაშლის პერიოდში, ისტორიკოსთა შორის „შარ̄ფ“ იქცა ალიდების აღმნიშვნელ ტერმინად. ამ პერიოდში ალიდები

[1] იმისათვის, რომ განვასხვავოთ მოციქულის სახელი, ნაშრომში იგი აღნიშნულია მუჰამედით.

აწყობდნენ აჯანყებებს და იღებდნენ ძალაუფლებას ტაბარისთანსა და არაბეთში. ეგვიპტესა და მაღრიბში კი, შარიფებად ითვლებოდნენ ჰასანის და ჰუსაინის შთამომავლები [133,530].

აბასიანთა პერიოდიდან მოყოლებული, შარიფები ემორჩილებოდნენ ნაკიბებს (არაბულად – მეთაური, ხელმძღვანელი), რომელთაც თავისი რიგებიდან ირჩევდნენ. IX საუკუნიდან ნაკიბები იყვნენ დიდ ისლამურ ქალაქებში. ისინი ექვემდებარებოდნენ მთავარ ნაკიბს – „ნაკ̄იბ ან-ნუკაბა̄’ს“. ნაკიბის მოვალეობაში შედიოდა გენეალოგიის საკითხების გარკვევა, სათანადო დავთარში დიდებულთა დაბადების და გარდაცვალების თარიღების აღნიშვნა. ნაკიბი ვალდებული იყო აეცილებინა შარიფებისთვის სხვადასხვა სახის უსიამოვნება, შეეხსენებინა მოვალეობები და დაეცვა ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რაც მათ პრესტიჟს შელახავდა [133,531; 18,210]. ნაკიბი მეთვალყურეობას უწევდა შარიფთა ვაკფებს და ზოგჯერ მოსამართლის ფუნქციებსაც ასრულებდა. აბასიანი ხალიფა ალ-მუთამიდის (870-892) დროს, ბაღდადში მუჰამედის შთამომავლებს ყოველთვიურად ეძლეოდათ ერთი დინარი, მოგვიანებით დინარის მეოთხედი. ზოგიერთი ცნობით, 824 წელს იყო 33000 აბასიანი და 2300 ტალიბიანი შარიფი [18,210].

XIV საუკუნის 70-იანი წლებიდან შარიფები ქუდებზე განსხვავებულ მწვანე ნიშანს („შუტფა“) იკეთებდნენ. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, შუტფას შემოტანა უკავშირდება ეგვიპტის გამგებლის, ალ-აშრაფ შა‘ბანის სახელს (1363-1376). 1596 წელს, როდესაც ეგვიპტის ფაშამ ას-საიდ მუჰამად ალ-აშრაფმა გამოიტანა ქისვა, გასცა ბრძანება, რომ შარიფები მისულიყვნენ მასთან მწვანე დოლბანდით. იმ დროიდან მოყოლებული, შარიფებს უფლება მიეცათ ოფიციალურად ეტარებინათ მწვანე, სხვათაგან განსხვავებული ჩალმა, რაც გავრცელდა მთელ ისლამურ სამყაროში, როგორც შარიფებისადმი კუთვნილების ნიშანი. მწვანე ფერი არის სამოთხისა და მოციქულ მუჰამედის საყვარელი ფერი [68,327]. არაბეთში ატარებდნენ როგორც მწვანე ჩალმას, ასევე თეთრი ფერისას, ირანში უპირატესობას ანიჭებდნენ მწვანე დოლბანდს. აღსანიშნავია, რომ შარიფები კონსტანტინოპოლში თავს არიდებდნენ მწვანე ფერის დოლბანდს, ვინაიდან მას ატარებდნენ ხელოსნები და ვაჭრები. მათი აზრით მწვანე ჩალმას ნაკლებად ეტყობოდა ჭუჭყი [141,6238].

მუსლიმებს ევალებოდათ პატივი ეცათ შარიფებისათვის, შეეძულებინათ ის, ვინც აწყენინებდა შარიფს, მოეთმინათ მისგან წყენა, გაჩუმებულიყვნენ მის

ნაკლზე, შეექოთ მისი ზნეობრიობა, ეჩუქებინათ ის, რის ყიდვასაც მოისურვებდა. როცა შარიფი ფეხზე იდგა, არავის ჰქონდა დაჯდომის უფლება და როცა საუბრობდა ყველას ეკრძალებოდა ხმის ამოღება. დიდი პატივი იყო შარიფის ცოლობა. ითვლებოდა, რომ შარიფს არ ემუქრებოდა განკითხვის დღის სასჯელი. მას მიეტევებოდა ყველა მიწიერი ცოდვა. აუცილებელი იყო შარიფის მოხსენიება ლოცვაში. მრავალი ღვთისმოსავი შარიფი წმინდანად („ვალი“) იქნა აღიარებული [62,294; 18,210]. გარდა ამისა, „შარ̄ფ“ გაიგივებულია „საიდთან“.[1] დროთა განმავლობაში, შარიფები დაიფანტნენ ისლამურ სამყაროში და ზოგიერთ რეგიონში ხელისუფლების სათავეშიც აღმოჩნდნენ. შარიფთა დინასტია განაგებდა მექას X საუკუნიდან 1924 წლამდე. სავარაუდოა, რომ შარიფები ცხოვრობდნენ თბილისშიც. არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-აზრაკ ფარიკი (XIIს) შარიფებს ასახელებს იმ მუსლიმთა შორის, რომელთაც პატივს მიაგებდა და ასაჩუქრებდა მეფე დემეტრე I (1125-1156) [18,210].

შარიფთა გამოჩენა არაბულ მაღრიბში, კერძოდ მაროკოში იდრისიანთა დინასტიას უკავშირდება. „ბან̄ū იდრ̄ის“ ან „ალ-ადარ̄სა“ – პირველი შიიტურ-არაბული დინასტიაა მაროკოში (789-926). მისი ფუძემდებელია ალისა და ფატიმას უფროსი შვილის, ჰასანის[2] შვილთაშვილი, იდრის იბნ ‘აბდ ალ-ლაჰი. მან მონაწილეობა მიიღო ჰიჯაზში აბასიანთა წინააღმდეგ აჯანყებაში (786), რის გამოც მას არც იფრიკიაში და არც შუა მაღრიბში არ ედგომებოდა. აჯანყების შემდეგ, იდრისმა თავი შეაფარა ეგვიპტეს, საიდანაც გადავიდა ტანჟერში (არაბულად „ტანჯა“) (788). საბოლოოდ, იგი დამკვიდრდა ვალილაში –

---

[1] საიდი (არაბულად „სა̄დ“, მრ. რიცხვი „სადა̄თ“, „ასᵊა̄დ“– ბატონი) აღნიშნავს მონის ბატონს, დაპირისპირებულ ქმარს ცოლთან. ამასთანავე, საიდი იყო ტომის ან გვარის თავკაცის სახელი, რომლის ავტორიტეტი დამოკიდებული იყო პიროვნულ თვისებებზე, კერძოდ მის კეთილგონიერებაზე, ლიბერალობაზე და შთამბეჭდავ მეტყველებაზე. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფიზიკურ მონაცემებს. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ტერმინი ენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის სფეროში სარგებლობდნენ პატივისცემით. საიდებად იწოდებოდნენ სუფიელი წმინდანები და თეოლოგებიც. ხშირ შემთხვევაში საიდებს მიაკუთვნებენ ჰუსაინის შთამომავლებს [141,6230].

[2] ალ-ჰასან ბ. ‘ალი ტალიბი ალ-მუჯთაბი (გარდ. 669 წ.) – შიიტების მეორე იმამი, ფატიმას ნაადრევი სიკვდილის შემდეგ მამასთან იზრდებოდა. ძმებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. თითქმის ასჯერ დაქორწინდა, რის გამოც მიიღო მეტსახელი - „მიტლ̄აკ“, რაც ბუნებრივია უარყოფითად მოქმედებდა ალის ოჯახის პრესტიჟზე. მისი საქციელით მოწინააღმდეგეები სარგებლობდნენ. ჰასანს ჰქონდა მეტყველების დეფექტი, რაც გარკვეულწილად ამცირებდა სახალიფოს დაუფლების შანსებს. 661 წელს, როგორც ალის სახლის უფროსი წევრი, იგი ერაყში ხალიფად გამოაცხადეს. ერაყელები აქეზებდნენ ჰასანს სირიელებთან ომის განახლებისაკენ, მაგრამ მან ამჯობინა ხალიფა მუავიასთან (661-680) მოლაპარაკება. გადმოცემის მიხედვით, მას ამისკენ უბიძგა ფინანსურმა სიძნელეებმა. ჰასანმა დახარჯა გარკვეული თანხა და მუდმივი შემოსავალი, რომელსაც იღებდა ერაყის ერთ-ერთი პროვინციიდან. ომები რასაკვირველია მოითხოვდა ფულს, ჯამაგირების გაცემას. მან თავისი მმართველობიდან დაახლოებით 6-8 თვის შემდეგ დადო ზეპირი შეთანხმება მუავიასთან და ქუფის მეჩეთში სახალხოდ განაცხადა, რომ უარს ამბობდა სახალიფოზე, რის სანაცვლოდ მიიღო ფულადი კონპენსაცია - 5 მილიონი დირჰამი და მუდმივი შემოსავალი ირანის ერთ-ერთი ოლქიდან, ხოლო უმცროსი ძმის, ჰუსაინისათვის – 2 მილიონი დირჰამი. შიიტური გადმოცემის თანახმად, შეთანხმება თითქოს ითვალისწინებდა მუავიას გარდაცვალების შემდეგ ჰასანის გახალიფებას. ჰასანმა დატოვა ერაყი და დამკვიდრდა მედინაში, როგორც კერძო პირი. ხალიფა მუავიასთვის ის აღარ წარმოადგენდა საფრთხეს. ალის სახლის ნაწილი აკრიტიკებდა ჰასანს. მიუხედავად ამისა, მომავალმა შიიტების თაობებმა შექმნეს მისი იდეალური სახე. ჰასანს მიაწერდნენ სასწაულქმედებების უნარს. იგი გამოაცხადეს წამებულთა საიდად („სა̄დ აშ–შუჰადა̄“). ჰასანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ვერსია: 1) იგი მედინასთან სასიკვდილოდ დაჭრა ალის ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ ალ-ჰაჯარმა, რის შემდეგაც მიიყვანეს ქალაქში, სადაც გარდაიცვალა 45 წლის ასაკში. 2) ჰასანი მოაწამვლინა მუავიამ [61,276].

რომაელების ყოფილ ქალაქ ვოლუბილისში [114,17; 53,28]. იდრის I ცდილობდა ზაიდიზმის (შიიტთა მეხუთე იმამის მუჰამად ალ-ბაკირის ძმის, ზაიდ ბ. ალის [გარდ.740 წ.] მიმდევრების რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა) მოძღვრების გავრცელებას, რის გამოც დაუკავშირდა აურებს – ერთ-ერთ ბერბერულ ტომს და მისი დახმარებით დააარსა პატარა საამირო. როგორც შარიფი და ხალიფას დაუძინებელი მტერი, ბერბერებმა იდრისი იმამად აღიარეს. მალე მას აბასიანთა მიმართ მტრულად განწყობილი არაბებიც შეუერთდნენ. აღსანიშნავია, რომ ბერბერები ყოველთვის იფარებდნენ სამშობლოდან გამოქცეულ „დამნაშავეებს“. იდრის იბნ ‘აბდ ალ-ლაჰის შემდგომი მოღვაწეობისათვის ქალაქი ვალილა შეუფერებელი აღმოჩნდა და მან 789 წელს მდინარე სებუს შენაკადთან საფუძველი ჩაუყარა დასახლებას, რომელსაც შემდეგ ფესი ეწოდა. მიუხედავად ამისა, იდრის I სიცოცხლის ბოლომდე ვალილაში დარჩა (იხ. თავი IV) [40,51; 14,136; 29,48]. მისი გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ, ბერბერ მონა ქალს კენზას იდრისისაგან შეეძინა ვაჟი. ამგვარად, პირველად ქვეყნის ისტორიაში მოხდა მუჰამადის შთამომავლების – შარიფებისა და ბერბერების დანათესავება. უძველესი დროიდან, მაროკო[1]-მაღრიბის[2] განუყოფელი ნაწილი, დასახლებული იყო მომთაბარე ტომებით – თანამედროვე ბერბერების წინაპრებით, რომლებიც მისდევდნენ მესაქონლეობას. მთებსა და ხეობებში აღმოცენდა პირველი მიწათმოქმედების კერები [65,18].

ბერბერები ცნობილი იყვნენ ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ.-მდე მესამე ათასწლეულში. ანტიკურ წყაროებში ისინი ლიბიელებად მოიხსენიებიან [65,18]. “Barbaru” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გაურკვევლად მოლაპარაკეს, უფრო ზუსტად უცხოს. მაღრიბის მოსახლეობა თავის თავს „იმაზიღენს“ უწოდებს, ენას

---

[1] ევროპელები მაროკოს უწოდებენ „წითელ ქვეყანას“, ისტორიკოსები „შარიფთა სახელმწიფოს“, მოგზაურები „ცივ ქვეყანას მხურვალე მზით“, პოეტები „ოქროსფერი მზის ჩასვლის მხარეს“ [38,2].

[2] „მაღრიბ“ – არაბულად დასავლეთი, მზის ჩასვლის ადგილი, აფრიკის შემადგენელი ნაწილია. აფრიკა ანუ „იფრიკ̄ა“ – „ფარაკა“ სიტყვიდან არაბულად ნიშნავს გაყოფას. ამ სახელთან დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება: 1. სამყაროს ეს ნაწილი იწოდება ასე, რადგანაც გამოყოფილია ევროპიდან ხმელთაშუა ზღვით და აზიიდან მდინარე ნილოსით. 2. სახელწოდება წარმოდგება „ბედნიერი არაბეთის“ მეფის, იფრიკოსის სახელიდან, რომელმაც პირველმა დაადგა ფეხი ამ კონტინენტზე. მას, ასურეთის მეფეებისაგან დევნილს, არ შეეძლო თავის სამეფოში დაბრუნება. მან ჯარით მოახერხა ნილოსზე გადასვლა და გაემართა დასავლეთისაკენ. იარა იქამდე, ვიდრე არ მიაღწია კართაგენის მიდამოებს. ამიტომ, არაბები თითქმის ყოველთვის მიიჩნევენ აფრიკად კართაგენის მხარეს და მთელ აფრიკაში გულისხმობენ მის ნაწილს.

მაღრიბი, კონტინენტის განუყოფელი რეგიონი, შუა საუკუნეების მუსლიმურ გეოგრაფიულ ლიტერატურაში იყოფა სამ ნაწილად: „იფრიკ̄ა“ (ყოფილი რომის პროვინცია) – მდებარე კართაგენის ტერიტორიაზე (თუნისი), „მაღრიბ ალ-ავსა̄ტ“ – კაბილიას მთებსა და მდინარე მულუიას შორის (ალჟირი), „მაღრიბ ალ-აკსა“ (მაროკო) [4,15].

„ამაზიღს“. ისინი სხვადასხვა დროს ევროპიდან და აზიიდან მოსული ხალხია[1] [27,74].

ბერბერები[2] ყოველთვის ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს მაროკოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ შორის იყვნენ წარმართები, იუდეველები და ქრისტიანები [2,176]. VII საუკუნის მიწურულსა და VIII საუკუნის დასაწყისში დაიწყო ბერბერთა გამუსლიმების პროცესი. ცნობილი არაბი ისტორიკოსის და ფილოსოფოსის იბნ ხალდუნის თანახმად, ბერბერებმა 70 წლის მანძილზე 12-ჯერ მიიღეს და უარყვეს ისლამი [57,14]. VIII საუკუნეში დღევანდელი მაროკოს სამეფო შევიდა ომაიანთა სახალიფოს (661-750) შემადგენლობაში და აქ თანდათანობით ფეხი მოიკიდა არაბულმა ენამ, კულტურამ.

მასმუდას ტომებს, რომლებიც ცხოვრობენ გომარას და მაროკოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მთებში, ბარის მოსახლეობა ველურებად მიიჩნევს და ხშირად ანიჭებს შლეჰების სახელს, თუმცა შლეჰები შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მისდევდნენ ბინადარ ცხოვრებას. ამასთანავე, მასმუდას შეძლებული გლეხები სახლობენ როგორც ქალაქად, ისე სოფლად [28,369; 9,232]. მასმუდა ყოველთვის ერთიანდებოდა კონფედერაციის ტიპის მსხვილ პოლიტიკურ ჯგუფებში. მის გაერთიანებაში შედიან ბერგვატა, გომარა (ღუმ̄ᵊრა) და ატლასის მთების მოსახლეობის ნაწილი [5,124]. ამასთანავე, კულტურული თვალსაზრისით მასმუდა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე უდაბნოებისა და სტეპების ტომები [19,85].

სანჰაჯას ბერბერები, რომლებიც შეადგენდნენ ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობის მესამედს, მიმოფანტული იყვნენ დიდ ტერიტორიებზე. III საუკუნეში სანჰაჯას ტომებმა ჰამურამ, ლემტუნამ და სხვა მათმა მონათესავეებმა დაიწყეს საჰარის დაპყრობა. ეს ტომები ცნობილი იყვნენ, როგორც აქლემების ქურდები. მათი შთამომავლები იწოდებოდნენ საჰარიჰად [57,19].

---

[1] ნუჰს ანუ ნოეს ჰყავდა სამი ძე: სამი, ქამი, იაფისი. თითოეულს შეეძინა სამი ვაჟი. სამი იყო არაბების, სპარსელების და რომაელების წინაპარი, იაფისი სლავების, თურქების, გოგისა და მაგოგის, ქამი კი - ზანგების, კოპტების და ბერბერების [3,26].

[2] იბნ ხალდუნის თანახმად, ბერბერები მომდინარეობენ ბოთრიდან და ბრანესიდან, ბოთრები მადჰისიდან, ბრანესები აბთერიდან. ბოთრები არიან მომთაბარეები, ბრანესები (მრ.რ. „ბარნ̄ის“) მკვიდრნი. იბნ ხალდუნის თქმით, სიტყვა ბერბერი არაბულად ჟღერს როგორც ბგერათა გაურკვეველი ნარევი [2,76].

რაც შეეხება XIV საუკუნეში აღმოსავლეთიდან მოსულ ზენათას ტომებს, ისინი იყვნენ სტეპების ხალხი, მიიწევდნენ დასავლეთისაკენ და გარს უვლიდნენ საჰარას. ზენათას ტომები ითვლებოდნენ მუსლიმური დასავლეთის საუკეთესო მხედრებად.

საუკუნეების მანძილზე, ბერბერები აქტიურად იყვნენ ჩართული მაროკოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და დროდადრო ქვეყანას ბერბერული დინასტიები მართავდნენ. XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დასაწყისში მაროკოს მთელი რიგი რაიონები ბერბერების ხელში იყო. ისინი თავს ესხმოდნენ ქალაქებს და სოფლებს. ანარქიის პერიოდში გახშირდა ძარცვა-ყაჩაღობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფილალის გვარის შარიფები მომდინარეობენ შიიტების მეორე იმამ ჰასანიდან. თავის მხრივ, ჰასანიანები იყოფიან იდრისიანთა, კადირიანთა და მუჰამად ან-ნაფს აზ-ზაქიიას ჯგუფებად: 1. იდრისიანების შტო მოიცავს ექვს განშტოებას:

ა) ჯუთაიანების შორფა, რომელშიც შედიოდნენ იდრის II-ის შვილის, ალ-კასიმის შთამომავლები. ალ-კასიმი ჩამოიცილა გზიდან ძმამ ომარმა და წაართვა მას ძალაუფლება.

ამის შემდეგ, ალ-კასიმმა ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, ქალაქ ასილასთან (ევროპული სახელწოდება „არსილა“) დააარსა ბანაკი. ალ-კასიმის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილმა დააფუძნა პატარა დასახლება ჯუთა – გარბის (არაბულად „ალ-ღარბ“) პროვინციის, სებუს ხეობაში. ალ-კასიმის შთამომავლები დასახლდნენ ფესში, მექნესში და ჯაბალ ალ-‘ალამში.

ამავე დროს, ჯუთაიანების განშტოება შედგება ქვეგანშტოებებისაგან. მათ შორის იყვნენ ‘იმრანიანები, ტალიბიანები, ღალიბიანები, ტაჰირიანები და შაბიჰიანები. XV საუკუნის მეორე ნახევარში იმრანიანები შეეცადნენ ფესში მარინიანთა[1] დამხობას. მარცხის შემდეგ, მათ ცოტა ხნით თავი შეაფარეს თუნისს [92,402].

ბ) ჰამუდიანთა შორფა - მომდინარეობს იდრის ომარიდან. თავდაპირველად ისინი ცხოვრობდნენ ჯაბალ ალ-‘ალამში, შემდეგ დასახლდნენ თლემსენის რაიონში.

გ) დაბაღიანები – იდრის ‘ისას შთამომავლები. X საუკუნეში ალ-ჰასან იბნ კანუნთან ერთად ისინი დამკვიდრდნენ კორდოვაში, სადაც დარჩნენ

[1] მარინიანთა დინასტია განაგებდა მაროკოს 1196-1465 წლებში. მარინიანები ეკუთვნიან აღმოსავლეთიდან მოსულ ზენათას მომთაბარე ტომს [57,19].

რეკონკისტამდე. მაროკოში დაბრუნების შემდეგ დასახლდნენ ჯერ სალეში, შემდეგ ფესში.

დ) ამღარიანები – სათავეს იღებენ იდრის იბნ ‘აბდ ალ-ლაჰიდან. ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ მაროკოში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე და საბოლოოდ, დამკვიდრდნენ აზამურის სამხრეთში.

ე) კატანიანების შორფა – მომდინარეობენ იდრის II-ის უმცროსი ვაჟიდან იაჰია II-დან. XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე ცხოვრობდნენ მექნესში, შემდეგ დასახლდნენ ფესში – ‘აკაბათ იბნ საუვალის ქუჩაზე. ხშირად მათ ამ ქუჩის სახელით მოიხსენიებენ.

ვ) იდრის II-ის შვილიშვილის, ალის შთამომავლების შორფა – იყოფა განშტოებებად. ცხოვრობდნენ მაროკოს ჩრდილოეთ ნაწილში. მათ ეკუთვნოდნენ შაფშავანიანები, ლიჰიანიანები, ვაზანიელები, რაისუნიანები და რაჰმანიანები [92,402].

2. კადირიანთა შტო – ‘აბდ ალ-ლაჰ ალ-ქამილის, მუსა ალ-ჯავნის შთამომავლები. ესპანეთის დატოვების შემდეგ, XV საუკუნის მიწურულს დასახლდნენ ფესში.

3. სა‘დების და ‘ალავიტების, იგივე ფილალის შარიფების შტო – ‘აბდ ალ-ლაჰ ქამილის შვილის, მუჰამად ან-ნაფს აზ-ზაქიიას მეცამეტე თაობა. ისინი გამოჩნდნენ მაროკოში ძველი ბერბერული დინასტიების დაცემის შემდეგ.

ამასთანავე, მაროკოში ცხოვრობს იმამ ჰუსაინის შთამომავლების ორი დიდი ჯგუფი:

1. სიკილიანები – მომდინარეობენ მუსა ალ-ქაზიმის ძედან, ალი არ-რიდადან.

2. ‘ირიკიანები – ალი არ-რიდას ძმის, ალ-მურთადის შთამომავლები [92,403]. ისინი ძირითადად სახლობენ ფესში. XIX საუკუნეში ზოგიერთი მათგანი დასახლდა კაიროში (იხ. მაროკოს შორფას გენეალოგიის ორი ხე გვ. 153-154).

თავი II

ფილალის დამკვიდრება მაროკოში და მოსვლა ქვეყნის სათავეში

როგორც აღვნიშნეთ, დროთა განმავლობაში შარიფები მიმოიფანტნენ ისლამურ სამყაროში. XIV საუკუნის მიწურულს, თაფილალეთის[1] ქალაქ სიჯილმასადან პილიგრიმები გაემართნენ მექაში. წითელი ზღვის სანაპირო ქალაქ იანბუში, ისინი შემთხვევით შეხვდნენ მის მკვიდრს შარიფ ჰასან ალ-კასიმს და ვინაიდან, დიდ პატივს სცემდნენ მოციქულ მუჰამედის შთამომავლებს, თავდაპირველად შეთავაზეს მას მათთან ერთად მედინაში წასვლა, შემდეგ მაროკოში გამგზავრება. იგი დათანხმდა და საბოლოოდ, გაემართა პილიგრიმებთან ერთად მაროკოში, სადაც დასახლდა სიჯილმასაში. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, მაროკოში შარიფის დამკვიდრება მოხდა მარინიანთა სულთნის აბუ იაკუბ იუსუფის მმართველობის ხანაში (1286-1307) [96,239]. როგორც მუჰამედის შთამომავალი და ღვთის მადლის „ბარაქას“ – მატარებელი, ალ-კასიმი მარინიანებმა ზარზეიმით მიიღეს. სიჯილმასაში ალ-კასიმმა შემოიკრიბა გარშემომყოფნი და ცხოვრობდა როგორც ღვთისმოსავი ადამიანი, ქადაგებდა „ღვთისა და ხალხის სიყვარულს“ [117,226].

საუკუნეების მანძილზე, შარიფები არ ერეოდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი სახით ჩამოყალიბდა გამორჩეული რელიგიური ფენა, რომელიც სარგებლობდა მოსახლეობაში პატივისცემით და გავლენით. შარიფებს მიაწერდნენ სასწაულმოქმედ, ზეციურ ძალას. დიდება მათ შესახებ ცნობილი გახდა ანდალუსიაშიც [84, 24].

1511 წლიდან, მაროკოს პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდნენ ჰიჯაზიდან, დრა‘ას ხეობაში დასახლებული მოციქულ „მუჰამედის ოჯახის“, „ბანუ სა‘დის“ შთამომავლები. 1515 წელს მათ აიღეს თარუდანთი, 1548 წელს (ან 1544) დაეუფლნენ მარაქეშს, 1549 წელს ფესიდან საბოლოოდ განდევნეს ვატასიანები[2]. სა‘დის შარიფებმა განიმტკიცეს და გაავრცელეს ძალაუფლება სუსის რაიონსა

---

[1] თაფილალეთი – ოაზისების ჯგუფი სამხრეთ-აღმოსავლეთ მაროკოში, კასრ ას-სუკ რაიონში. მისი ადმინისტრაციული ქალაქი არის ერფუდი. ერთ-ერთი მთავარი ქალაქია რისანი, რომელსაც ადრე ერქვა სიჯილმასა [79,102].

[2] ვატასიანთა ბერბერული დინასტია მართავდა მაროკოს 1428-1549 წლებში.

და ქვეყნის ჩრდილოეთში. ისინი ფილალისაგან განსხვავებით, ცდილობდნენ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მაროკოს დაქვემდებარებას [26,16].

ქვეყანაში თანდათანობით ძლიერდებოდა ევროპის სახელმწიფოების გავლენა. მაროკოს ქალაქები გადადიოდა უცხოელების ხელში. ესპანეთის გარდა, მაროკოს დაუფლებისათვის ბრძოლას განაგრძობდა პორტუგალია. მას ეს ეგზოტიკური ქვეყანა ხიბლავდა ხელსაყრელი, გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და რაც მთავარია, იზიდავდა ეკონომიკური თვალსაზრისით. მაროკოს პორტებში მიმდინარეობდა გაცხოველებული ვაჭრობა, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები [67,115].

1578 ან 1579 წელს, ალ-მახაზინის ველზე ქვეყნისათვის ბრძოლას შეეწირა პორტუგალიის მეფე სებასტიანი (1557-1578), ყოფილი სულთანი ალ-მუთავაქილი (1574-1576) და სულთანი ‘აბდ ალ-მალიქი (1576-1578). პორტუგალიის დამარცხების მთავარი მიზეზი იყო მასიური წინააღმდეგობა დამპყრობელთა მიმართ. გარდა ამისა, ‘აბდ ალ-მალიქს დიპლომატიურ მხარდაჭერას უწევდა ინგლისი, რადგანაც მას არ აწყობდა ბრაგანსთა[1] მმართველობის „რესტავრაცია“ მაროკოში. ინგლისი მიისწრაფოდა „შარიფთა სახელმწიფოში“ სავაჭრო ურთიერთობების უზრუნველყოფისკენ. იმ დროისათვის მაროკო განიხილებოდა, როგორც შეუცვლელი ხორბლის მიმწოდებელი და ბამბის ქსოვილების უბადლო გამსაღებელი [67,115].

„სამი მონარქის“ ბრძოლის შემდეგ, მაროკო საერთაშორისო საზოგადოების თვალში წარმოადგენდა უძლიერეს ძალას. შარიფებთან დაიწყეს ურთიერთობების დამყარება ევროპის დიდმა მეფეებმა. რაც შეეხება პორტუგალიას, მან დაკარგა ჯარი და პოლიტიკური გავლენა [67,115].

1585 წლიდან, ინგლისელი ვაჭრები მონოპოლიას უწევდნენ მაროკოს ევროპასთან ვაჭრობას.

1591 წელს, სა‘დების ყველაზე სახელგანთქმულმა სულთანმა, აჰმად ალ-მანსურმა (1578-1603) დაიპყრო თიმბუქთუ[2] და გაანადგურა გაო,[3] გაგზავნა ჯარი დასავლეთ სუდანში. ალ-მანსურმა ხელში ჩაიგდო დიდი ნადავლი – მონებისა და ოქროს სახით. მან შექმნა ახალი სისტემა, რომლის საფუძველზე

---

[1] ბრაგანსა (Bragança) – პორტუგალიის მეფეების (1640–1853) და ბრაზილიის იმპერატორების (1822–1889) დინასტია. მისი ფუძემდებელია ჟუან IV.

[2] თიმბუქთუ (Timbuku), თომბუქთუ (Tombouctu) – ქალაქი მალიში, მდინარე ნიგერის მარცხენა სანაპიროზე.

[3] გაო (Gao) – ქალაქი აღმოსავლეთ მალიში, მდინარე ნიგერზე.

გაათავისუფლა გადასახადებისგან სხვადასხვა არაბული ტომი. სამაგიეროდ, მათ დააკისრა სამხედრო სამსახური.

სა'დის შარიფებმა შეძლეს თითქმის მთელი ქვეყნის დაქვემდებარება, მაგრამ ცალკეულ რეგიონებში დაიწყო სეპარატისტული მოძრაობები, რამაც დაასუსტა მათი ერთიანობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სულთან აჰმად ალ-მანსურის გარდაცვალების შემდეგ [71,475; 93,186]. უფრო მეტად გაძლიერდა ევროპის სახელმწიფოების გავლენა, გაჩაღდა მრავალწლიანი, ძმათაშორისი სისხლიანი ომი. ამ პერიოდისათვის მაროკო დაყოფილი იყო ზავიებად,[1] რომელთა შორის აღსანიშნავია დილას ზავია. იგი დააარსა XVII საუკუნის ბოლოს მუჰამად ბენ აბუ ბაქრმა. დილას ზავიაზე გადიოდა სავაჭრო გზა ფესიდან თუათში და სუდანში [90, 300].

სულთან 'აბდ ალ-მალიქის მმართველობის ხანაში (1623-1631), მუჰამად ბენ აბუ ბაქრის შვილმა ალ-ჰაჯმა თავი გამოაცხადა დილას ზავიას მმართველად და წამოიწყო ბრძოლა ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად. ალ-ჰაჯი დაეუფლა კასბა[2] თადლას, სალეს და დერნას მთას.

თაფილალეთის მოსახლეობამ დახმარებისათვის მიმართა მათ შორის ყველაზე პატივსაცემ და გავლენიან შარიფს, მულაი[3] ალის [83,503]. მუჰამად ალი აშ-შარიფი დაიბადა 1579 წელს. მას ჰყავდა ცხრა ვაჟი. 1630 წელს, შეეძინა არ-რაშიდი, რომელიც გახდა ცნობილი სულთანი. 1631 წელს, თაფილალეთის მოსახლეობამ ალი აშ-შარიფი სულთნად გამოაცხადა. ისტორიკოსთა დიდი ნაწილი, აღნიშნულ წელს თვლის ქვეყნის სათავეში ფილალის დინასტიის მოსვლის თარიღად. თაფილალეთელმა შარიფებმა, როგორც თაფილალეთიდან გამოსულებმა მიიღეს გვარი ფილალი [96,239; 114,17; 83,503].

---

[1] ზავია – (არაბულად „ზავია", მრ. რიცხვი „ზავიჲა" – კუთხე, სამრეკლო, მონასტერი, სალოცავი ადგილი, სადგომი, პატარა მეჩეთი) მაროკოში გვხვდება სალოცავი ადგილის და რელიგიური საძმოს მნიშვნელობებით.

[2] კასბა – (არაბულად „კასბ" – ქალაქი) ქალაქის ყველაზე ძველი ან ძირითადი ნაწილი ციტადელით. ჩვეულებრივ მდებარეობს კლდეზე ან ბორცვზე. აქვს გამაგრებული შესასვლელი და ფარული კარი. XII საუკუნეში კასბას ტერმინის მნიშვნელობა გაფართოვდა და ზოგჯერ აღნიშნავდა ნებისმიერ გამაგრებულ ქალაქს. XVI საუკუნიდან იგი აგრეთვე წარმოადგენდა პატარა სიმაგრეს. სამხრეთ მაროკოში კასბა შეიძლება შეგვხვდეს კოშკური ნაგებობის მნიშვნელობით [104,78].

[3] მულაი, მაულაი – არაბულად „ჩემი ბატონი" შარიფის ტიტულია, რომელსაც ოფიციალურად ატარებდა ყველა 'ალავიტი სულთანი. XIV საუკუნეში დამკვიდრდა ხმარებაში, როგორც უმაღლესი სასულიერო პირის და სულთნის დამატებითი აღმნიშვნელი ტიტული. იგი XVI საუკუნეში ოფიციალურად გამოჩნდა დოკუმენტებში, ხოლო XVII საუკუნიდან მულაიდ ზოგჯერ იწოდებოდნენ მარაბუტები და წმინდანები. ამჟამად, მასზე უფლება აქვთ სამეფო გვარის მამაკაცებს, აგრეთვე სა'დებისა და იდრისიანთა შთამომავლებს [23,194].

დღესდღეობითაც მათი კეთილშობილური წარმომავლობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ეს იყო საუკუნეების წინ. მოციქული მუჰამედის შთამომავლები სარგებლობენ განსაკუთრებული პატივისცემით ისლამურ სამყაროში.

§1. ფილალის დინასტიის ბრძოლა ხელისუფლებისათვის და მაროკოს გაერთიანება

1631 წელს, როდესაც მაროკოს სათავეში მოვიდა ალი აშ-შარიფი, მას დაუპირისპირდნენ მეამბოხე ბერბერები და ზავიების მარაბუტები.[1] გარდა ამისა, მას განუდგა თაბუ'ასამთის[2] მოსახლეობა. მათ დახმარებისათვის მიმართეს მუჰამად ალ-ჰაჯ დილაელს, რომლის ძალაუფლება ვრცელდებოდა დერნაზეც. აშ-შარიფმა კი დახმარება სთხოვა სუსელი მარაბუტის აჰმად ბენ მუსა სემლალის შვილს, ბუ ჰასუნს, რომელიც განაგებდა დადს. ამასთანავე, მისი ძალაუფლება წვდებოდა სუსსა და ანტიატლასს. ბუ ჰასუნმა დაამყარა სავაჭრო ურთიერთობები ინგლისთან და ჰოლანდიასთან, საიდანაც ღებულობდა დიდ შემოსავალს [79,97]. იგი გამაგრდა თაბუ'ასამთის კედლებთან და იმის შემდეგ, რაც მიიღო წერილი მუჰამად ბენ ალ-ჰაჯისაგან, დატოვა თაბუ'ასამთი. ორ მარაბუტს შორის მოხდა შეთანხმება. ამ კონფლიქტში არ ჩაერივნენ ოაზისებისა და შუა ატლასის მმართველები. ბუ ჰასუნმა არ დაღვარა სისხლი, რის სანაცვლოდაც პატარა დასახლების თაბუ'ასამთის მოსახლეობამ მას მისცა საკვები და ფული [6,4].

1634-35 წლებში, დილაელმა მარაბუტმა მუჰამად ალ-ჰაჯმა გაილაშქრა საჰარის რეგიონში. კსარ ას-სუკში მან მიიღო შარიფები, ალი აშ-შარიფის მეთაურობით. მოლაპარაკების შემდეგ, ალ-ჰაჯის მმართველობაში საბოლოოდ გადავიდა კსარ ას-სუკი, რამდენიმე დასახლება და საჰარის ზოგიერთი რაიონი.

1635-36 წლებში, ალი აშ-შარიფმა უარი განაცხადა ტახტზე, შვილის მუჰამადის სასარგებლოდ. იგი აღიარა საჰარის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რამაც ბუნებრივია განარისხა მუჰამად ალ-ჰაჯი, რომელიც გაემართა

---

[1] მარაბუტი – (არაბულად „მურაბიტ“ – სადარაჯოზე მდგომი, მარაბუტი) წმინდანი, მოხალისე მებრძოლი, ზავიას მეთაური.

[2] თაბუ'ასამთი – თაფილალეთიდან სამხრეთით ოც კილომეტრში. ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ჰენრი ტერასი აღნიშნულ სიმაგრეს მოიხსენიებს, როგორც თაბუასამს [6,3].

სიჯილმასასაკენ. შარიფები გამოვიდნენ შუამავლებად და შენარჩუნებულ იქნა მშვიდობა [6,4].

1637-38 წლებში, მუჰამად აშ-შარიფმა, ორასი ერთგული მებრძოლით ღამით შეაღწია თაბუ'ასამთში. გადმოცემის მიხედვით, მან მოახერხა ციტადელში შესვლა იქ არსებული ხვრელის მეშვეობით. მან გაძარცვა თაბუ'ასამთი და გაულიტა გარნიზონი. მეორე დილით, ალი აშ-შარიფის და მულაი მუჰამადის წინაშე წარდგა ციხესიმაგრის მოსახლეობა. მათ აღიარეს მუჰამადი სულთნად. თაბუ'ასამთის დაპყრობის შემდეგ, ალი ბუ ჰასუნი და ალი აშ-შარიფი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ბუ ჰასუნმა ისარგებლა სულთან მუჰამადის ელ-ფაიჯაში ყოფნით და ისევ მიიმხრო აღნიშნული პატარა დასახლების–ციხესიმაგრის მკვიდრნი. ამის საპასუხოდ, მულაი მუჰამადმა შეუტია თაბუ'ასამთს. ბუ ჰასუნმა ტყვედ აიყვანა და თან წაიყვანა სუსში ალი აშ-შარიფი, მიუჩინა მას მულატი (სხვა მონაცემებით შავკანიანი) მხევალი, რომლისგანაც აშ-შარიფს შეეძინა ვაჟი ისმაილი - შემდგომში ყველაზე სახელოვანი სულთანი ფილალის დინასტიის ისტორიაში. იგი დარჩა ტყვეობაში იქამდე, ვიდრე არ გამოისყიდა თავისუფლება დიდი ფულით. ბუ ჰასუნმა მას „აჩუქა" ისმაილის დედა. მამის დაბრუნების შემდეგ, მუჰამადმა გაწყვიტა მასთან ურთიერთობა და მხოლოდ სიკვდილის წინ გამოამჟღავნა მისადმი სიყვარული [6,5].

ბუნებრივია, მუჰამადს სურდა ძალაუფლების მოპოვება ქვეყნის ყველა რაიონში. 1637-38 წლებში, მან ანგადში შემოიკრიბა ზედა გირის, მა'კილის, აჰლაფის და სეგუნას არაბული ტომები. მათ მიაცილეს იგი უჯდამდე [6,6]. ამასთანავე, მუჰამადი დაუპირისპირდა ბანუ იზნასენს,[1] გაილაშქრა მდინარე თაფნასთან მცხოვრები ტომების წინააღმდეგ, დაუპირისპირდა ბანუ სანუსის და იაჰიას ტომებს. 1650 წელს, მულაი მუჰამადმა აიღო უჯდის რაიონები, რის შემდეგაც გაემართა თლემსენის სამხრეთისაკენ. იგი თლემსენის გზაზე ძარცვავდა სოფლებს, დასახლებებს და ნახირთან ერთად მიერეკებოდა ხალხს [6,7]. თავის გადასარჩენად თლემსენის მოსახლეობამ დახმარება თხოვა ოსმალეთის თურქების[2] გარნიზონს. მოსახლეობის ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, დარჩენით კი მულაი მუჰამადი სასტიკად გაუსწორდა. მან შეუტია ორანს, დახოცა ხალხი, აიყვანა ტყვეები და ხელში ჩაიგდო მათი ქონება. ჰამიანის

[1] „ბანუ იზნასენ" – ზენათას ტომი.
[2] ნაშრომში შემდგომშიც საუბარია ოსმალეთის თურქებზე.

ტომმა ერთგულება გამოუცხადა სულთანს. ასევე მას მიემხრენ სხვა არაბული ტომებიც, რომლებიც წარმატებით გამოიყენა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. მუჰამადმა დასავლეთ ალჟირში მიაღწია ლაგუატას და ‘აინ-მადის ტერიტორიას. მასკარას ბეგმა დახმარებისათვის მიმართა ალჟირის ბეგს და მათ გაერთიანებული ძალებით დაატოვებინეს სულთან მუჰამადს ‘აინ-მადის ტერიტორია. გამარჯვებული მუჰამადი დიდძალი ნადავლითა და ტყვეებით დაბრუნდა უჯდაში, რის შემდეგაც გაემართა სიჯილმასაში. ამ პერიოდში მაროკოს საზღვრები გადაკვეთა თურქების ჯარმა. მოსახლეობამ მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და დამპყრობლები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და საბოლოოდ, დაბრუნებულიყვნენ ალჟირში [6,8]. ამის შემდეგ, ალჟირის ოსმან ფაშამ სულთან მუჰამადთან მიავლინა ორი ალჟირელი ალიმი და ორი თურქი მეთაური. მათ გადაცეს ოსმან ფაშას შეტყობინება და დიდი ძალისხმევის შედეგად დაარწმუნეს მუჰამადი, რომ მას არ ჰქონდა ოსმალეთის ტერიტორიაზე შეჭრის უფლება და დააფიცეს ალაჰი, რომ ის აღარასოდეს გადავიდოდა მდინარე თაფნაზე. იმ დროიდან მოყოლებული, 1845 წლამდე თაფნა ითვლებოდა ალჟირ - მაროკოს საზღვრად [6,9].

1659 წელს, „სცენიდან“ გავიდა უკანასკნელი სა‘დი და ფესის მოსახლეობა აუჯანყდა დილაელ მარაბუტს, მუჰამად ალ-ჰაჯს. მათ დახმარება თხოვეს სულთან მუჰამადს. სულთანი შევიდა „ფეს ალ-ჯადიდში“, შეიპყრო ალ-ჰაჯის მომხრე, ქალაქის მმართველი აბუ ბაქრ ათამალი. ყოველივე ამის შემდეგ, მუჰამად ალ-ჰაჯი ბერბერებთან ერთად დაიძრა ფესისაკენ. მან დაშალა ქალაქის კედლებთან გაშლილი ბანაკი. სულთანი მუჰამადი გაემართა მასთან შესახვედრად, მაგრამ ჯარის სიმცირის გამო იძულებული გახდა ფესში დაბრუნებულიყო. ქალაქის მოსახლეობამ სულთანს ერთგულება შეჰფიცა, რის შემდეგაც იგი დაბრუნდა სიჯილმასაში. ფესისათვის ბრძოლა ისევ გაგრძელდა, მას შეეწირა ბევრი ცნობილი პიროვნება: ანდალუსიელთა მეთაური ‘აბდ ელ-ქერიმ ელ-ლირინი, მუჰამად ბენ სელიმანი და ა.შ. ალ-ჰაჯმა დაამარცხა ფესელები. მათ აღიარეს დილაელის ავტორიტეტი. დილაელმა მარაბუტმა, ფესში მმართველად დანიშნა თავისი შვილი აჰმადი და უბრძანა ალი ბენ იდრის ელ-ჯუდის, მულაი იდრისის მავზოლეუმიდან მეამბოხეთა ნეშტების გამოტანა. ვინაიდან, ელ-ჯუდი არ დაემორჩილა მას, ალ-ჰაჯმა იგი ალყაში მოაქცია, თუმცა სიცოცხლე შეუნარჩუნა. იდრისმა და მისმა თანამოაზრეებმა თავი შეაფარეს ელ-მოკფიას ზავიას, რის შემდეგ დატოვეს ფესი [6,10].

1659 წლის ივნისში, სიჯილმასაში გარდაიცვალა ალი აშ-შარიფი. ცნობილმა სწავლულმა, მულაი მუჰამად ელ-მობარაქმა მას მიუძღვნა არაჩვეულებრივი ელეგია [101,126].

აშ-შარიფის გარდაცვალების შემდეგ მისმა უმცროსმა შვილმა არ-რაშიდმა დატოვა თაფილალეთი, ვინაიდან შიშობდა, რომ უფროსი ძმა სულთანი მუჰამადი მას გაუსწორდებოდა. თავდაპირველად იგი გაემართა თედღაში,[1] შემდეგ მიაშურა დემნათს,[2] საიდანაც გადავიდა დილას ზავიაში. არ-რაშიდმა მოიარა აზრუ, ფესი, თაზა, ანგადი.

1659-60 წლებში, ფესის წინააღმდეგ გაილაშქრა მეკობრე ღაილანმა. მან გაანადგურა ქალაქის აღმოსავლეთით მცხოვრები ტომი. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, გადარჩენილები მოწყალებას ითხოვდნენ ფესის ქუჩებში.

1660-61 წლებში, მუჰამად ალ-ჰაჯმა ბერბერებთან ერთად მიწასთან გაასწორა გარბის პროვინცია. ღაილანმა თავი შეაფარა აბუ სელჰამის ზავიას. 1661 წელს (ან 1662) ალ-ჰაჯი ფესში გარდაიცვალა, რის შემდეგაც ქალაქმა დაიბრუნა დამოუკიდებლობა [6,12]. ამასთანავე, დილაელების დასუსტებით ისარგებლა არაბული ტომის დორაიდის მეთაურმა ად-დორაიდიმ და მოახვია თავისი ძალაუფლება ქალაქის მოსახლეობას. ამის საპასუხოდ, ალ-ჰაჯის შვილი მუჰამადი ბერბერების მრავალრიცხოვანი ჯარით დაიძრა ფესისაკენ. იგი დაბანაკდა „ფეს ალ-ბალის“ კედლებთან. ათი დღის მანძილზე, ფესელებმა ქალაქის მმართველის, ბენ სალაჰის მეთაურობით სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მუჰამადს. იგი იძულებული გახდა უკან დაეხია.

1662 ან 1663 წლის ბოლოს ფესიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ჰაიაინას დასახლება მიწასთან გაასწორა სულთანმა მუჰამადმა. მან დაანგრია მეჩეთები და გაანადგურა ხორბალი, რითაც ხალხი საკვების გარეშე დატოვა. ფაქტობრივად გაქრა ჰაიაინას ტომის დასახლების და მისი სოფლების მოსახლეობა. სასოწარკვეთილმა და შეშინებულმა ფესელებმა დახმარება თხოვეს დილაელ მუჰამად ბენ ალი ტაჰარს. საბედნიეროდ, სულთანმა მალევე დატოვა ფესი [6,13].

1661 წელს, ინგლისის მეფემ ჩარლზ II-მ ([1630-1685] მეფე 1666 წ.-დან) იქორწინა პორტუგალიის მეფის ქალიშვილზე ეკატერინეზე და მზითვის სახით მიიღო ტანჟერი [96,222].

---

[1] თედღა – სიჯილმასადან დასავლეთით 40 კილომეტრში.
[2] დემნათი – აღმოსავლეთ მაროკოში.

1663-64 წლებში, ფესის მოსახლეობა ად-დორაიდის გავლენით განუდგა სულთან მუჰამადს, რასაც მოჰყვა ქალაქის ერთ-ერთი უბნის, ტალას განადგურება. ამ ადგილზე შემდეგ გაშენდა პლანტაციები. ამავე პერიოდში, ად-დორაიდის მებრძოლები თავს დაესხნენ მექნესის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბერბერულ ტომებს და ხელთ იგდეს დიდი ნადავლი და ტყვეები. შურისძიების მიზნით, ბერბერებმა გაილაშქრეს ად-დორაიდის ჯარის წინააღმდეგ.

§2. მულაი არ-რაშიდის მმართველობა (1664-1672)

1664 წელს, მულაი არ-რაშიდმა ანგადთან თავი სულთნად გამოაცხადა. მას მხარს უჭერდნენ მა'კილის[1] არაბული და ბერბერული ბანუ იზნასენის ტომები. ისინი თან გაყვნენ არ-რაშიდს უჯდაში. ბუნებრივია, რომ სულთანი მუჰამადი ვერ შეეგუა ძმის თავნებობას. მან დატოვა სიჯილმასა და გაემართა მულაი არ-რაშიდთან დასაპირისპირებლად [6,14]. ბრძოლის დასაწყისშივე, ანგადის ველზე სულთანი მულაი მუჰამადი დაიღუპა. სულთნის ჯარის დიდი ნაწილი გმირულად დაეცა, ნაწილი ტყვედ აიყვანეს, ხოლო ჯარის მცირე ნაწილმა მოახერხა გაქცევა. არ-რაშიდმა გაქცეულები მალე იპოვნა და ცოცხლად დაამარხვინა. მულაი არ-რაშიდმა ბერბერულ-არაბული ტომების მეშვეობით გზა გაიკაფა ტახტისაკენ. ამავე დროს, მას მიემხრო ვაზანის შორფა. შეიძლება ითქვას, რომ არ-რაშიდი იყო ფილალის დინასტიის რეალური ფუძემდებელი და წინამორბედებთან შედარებით ბევრად გავლენიანი სულთანი. ზოგიერთი ისტორიკოსის თქმით, მულაი არ-რაშიდმა ძალიან განიცადა ძმის სიკვდილი. მან იგი დაასაფლავა იბნ მეშ'ალის დასახლებაში, საიდანაც დაბრუნდა უჯდაში. ქალაქ უჯდაში არ-რაშიდმა მოიკრიბა ძალები, მას ერთგულება გამოუცხადეს იქ მცხოვრებმა ტომებმა [6,15; 144,1; 142,569].

არ-რაშიდის წარმატებამ შეაშფოთა ჰაიაინას და ფესის ერთ-ერთი გარეუბნის ჰავზის მოსახლეობა. მათ შეიძინეს ცხენები, იარაღი და „ბაბ ალ-ფუთუჰთან" საზეიმოდ დაიფიცეს, რომ გაილაშქრებდნენ მულაი არ-რაშიდის წინააღმდეგ. რასაკვირველია, არ-რაშიდმა ყველაფერი შეიტყო, მაგრამ მან გამოიჩინა გამჭრიახობა, მაშინვე არ მოიმოქმედა არაფერი აჯანყებულთა წინააღმდეგ. დატოვა თაზა და ალყაში მოაქცია ძმისშვილი, მუჰამად ბენ მუჰამად აშ-შარიფი.

[1] მა'კილი – XI საუკუნეში გადმოვიდა და დასახლდა ეგვიპტიდან მაროკოში ატლანტის ოკეანის სანაპიროზე [4,20].

მათ შორის ბრძოლა გაგრძელდა ცხრა თვე. მუჰამადმა გაქცევით უშველა თავს. არ-რაშიდი შევიდა სიჯილმასაში, განაახლა ქალაქის გალავანი და დაბრუნდა თაზაში. სულთნის სიჯილმასაში შესვლის შემდეგ, ფესელებმა გადაწყვიტეს დაპირისპირებოდნენ მულაი არ-რაშიდს თაზაში. მათ 1666 წლის აპრილში დატოვეს ფესი, მაგრამ თაზაში ჩასვლამდე მოულოდნელად წააწყდნენ მტრის ჯარს და იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. სულთანი არ-რაშიდი დაედევნა მათ მდინარე სებუმდე. იქაურმა მაცხოვრებლებმა რაშიდი აღიარეს მაროკოს სულთნად [6,16].

1666 წლის აგვისტოში, მულაი არ-რაშიდი დაბანაკდა ფესთან. პირველი ბრძოლა გაგრძელდა სამი დღე, რომლის დროს სულთანი ყურში დაიჭრა და უკან დაიხია. ის დაბრუნდა და ისევ დატოვა ქალაქი, რადგანაც გაემართა რიფში[1] შაიხ არასის აჯანყების ჩასახშობად, რომელიც დაამარცხა. საბოლოოდ, სულთანმა არ-რაშიდმა მოახერხა „ფეს ალ-ჯადიდში“ შესვლა მელაჰის[2] მხრიდან. ქალაქის ამ ნაწილის მმართველმა, ად-დორაიდიმ გაქცევით უშველა თავს. მეორე დღეს, სულთანი შევიდა „ფეს ალ-ბალში“. ლემტუნას მეთაურმა და მისმა შვილმა თავი შეაფარეს ალ-ჯისას ბასტიონს. ასევე გაიქცა ანდალუსიელთა მეთაური ბენ სალაჰი. მულაი არ-რაშიდმა იპოვა გაქცეულები და სიკვდილით დასაჯა. ბენ სალაჰის თანამებრძოლებმა თავი მოიკლეს. სავარაუდოა, რომ სულთანმა ფესის ალიმებს გადაუხადა ფული და ამით გზა გაიხსნა არამარტო ფესისაკენ, არამედ სხვა რეგიონებისკენაც. აღსანიშნავია, რომ ‘ალავიტი სულთნები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფესის ალიმებისა და მოსახლეობის მხრიდან მათი ძალაუფლების ცნობას [96,210].

1667 წელს სულთანმა არ-რაშიდმა შეუტია ამბოხებულ დილაელებს – „ბატნ რუმანის“ ვაკეზე და დაამარცხა ისინი 1668 წლის დასაწყისში, რის შემდეგაც დაბანაკდა დილაში. დილაელებმა სულთანს გადაცეს ქალაქის გასაღები. როდესაც მულაი არ-რაშიდი შევიდა დილაში, მან შეიწყალა მოსახლეობა და დარჩა იქ თვე-ნახევარი. იგი დაეპატრონა ფულს, განძს, ცხენებს, იარაღს და ხელში ჩაიგდო მნიშვნელოვანი დოკუმენტები. დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი გაიქცა ფესში. შემდეგ სულთანმა გასცა დილას ზავიის დანგრევის ბრძანება.

---

[1] რიფი, ერ-რიფი – მთიანი რაიონი ჩრდილოეთ მაროკოში, ქედი ატლასის მთების სისტემაში; როგორც აღვნიშნეთ საფრანგეთის პროტექტორატის დროს (1912–1956), არსებობდა რიფის რესპუბლიკა, მუჰამად ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის მეთაურობით (იხ. თავიV).
[2] მელაჰი – ებრაელთა უბანი; ევროპული კვარტალი.

დილას აღების შემდეგ, არ-რაშიდი გაემართა მარაქეშისაკენ. ამ პერიოდში მას დაუპირისპირდნენ შუა ატლასის და სანჰაჯას ბერბერული ტომები. 1668 წლის ივლისში, სულთანი შევიდა მარაქეშში. აიყვანა ტყვედ „დამოუკიდებელი სამთავროს,“ შაბანათის მეთაური, აბუ ბაქრ იბნ ქარუმ ალ-ჰაჯ აშ-შაბანი და მისი ოჯახის რამდენიმე წევრი, რომლებიც სიკვდილით დასაჯა [96,210; 80,148; 69,53; 123,288].

1668-69 წლებში, სულთანი არ-რაშიდი დაუპირისპირდა მეკობრე ღაილანს, რომელმაც 1669 წელს მოახერხა ალჟირში გაქცევა. ამავე წელს არ-რაშიდი დაბრუნდა ფესში, საიდანაც გააძევა იქ დასახლებული დილაელები. გამონაკლისის სახით, მხოლოდ ორმოც დილაელს დართო ფესში ცხოვრების უფლება [6,20]. გაძევებული დილაელები დასახლდნენ თლემსენში მუჰამად ალ-ჰაჯთან და მის ოჯახთან ერთად.[1] 1669 წელს მულაი არ-რაშიდმა გაილაშქრა ილიღის სიმაგრეში მცხოვრებ მუჰამად ას-სემლალის წინააღმდეგ. სულთანმა სიცოცხლეს გამოასალმა მარაბუტი, მისი ოჯახის წევრები და მომხრეები [116,290]. მოგვიანებით, 1670 წელს არ-რაშიდმა აიღო სუსი. მან სიცოცხლის ბოლო წლებში განახორციელა რეიდები სალესა და ტანჟერში.

აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსები დადებითად აფასებენ სულთან არ-რაშიდის მმართველობას. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო განათლებული პიროვნება, სწავლობდა ისლამურ სამყაროში ცნობილ კარავიინის[2] უნივერსიტეტში, ხშირად ესწრებოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო სხდომებს. მარაქეშიდან ფესში დაბრუნების შემდეგ, მან გადააყენა კარავიინის ხელმძღვანელი, მუჰამად ბენ აჰმად ელ-ფასი და ყადი ალ-მეზუარი. ყადის ფუნქციები გადააბარა მუჰამად ალ-ნეჯას, ხოლო უნივერსიტეტის მმართველად დანიშნა მუჰამად ალ-ბუნიანი [96,211].

მულაი არ-რაშიდი ყველანაირად ხელს უწყობდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, აჯილდოვებდა ფულითა და ძვირფასი საჩუქრებით სწავლულებს, ხშირად სტუმრობდა ალიმებს. სულთანი არ-რაშიდი ზრუნავდა ქალაქების გალამაზებასა და კეთილმოწყობაზე. მან ქალაქებში გაიყვანა არხები [96,212].

ამასთანავე, არ-რაშიდმა განავითარა ვაჭრობა, პორტების საქმიანობა, ცადა სალეს მეკობრეების თავის სასარგებლოდ გამოყენება. ფესელ ვაჭრებს და

---

[1] მუჰამად ალ-ჰაჯი გარდაიცვალა თლემსენში. ის დაკრძალეს შაიხ ას-სანუსის მავზოლეუმში.
[2] არაბულად კარავიინ. იგი არ უნდა აგვერიოს თუნისში მდებარე ქალაქ კაირავანში.

ხელოსნებს თავიანთი საქმის გასაფართოვებლად უბოძა ფული, გააძლიერა და გარდაქმნა ჯარი. სულთანმა მოჭრა ახალი მრგვალი ფორმის სპილენძის მონეტა – „რაშიდია“.[1] სულთანმა არ-რაშიდმა შეზღუდა ქვეყანაში არსებული „დამოუკიდებელი სამთავროები“, განავრცო ძალაუფლება ფაქტობრივად მთელ მაროკოში და შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე დაიყვანა სიღარიბე, რის გამოც იგი შეიძლება ჩავთვალოთ წარმატებულ სულთნად.

ადამიანი, რომელიც შიშს გვრიდა ყველას, იმსხვერპლა უბედურმა შემთხვევამ. 1672 წელს, მულაი არ-რაშიდი ჩავიდა მარაქეშში მსხვერპლთშეწირვის დღესასწაულზე („ʿīد ალ-ქაბīრ“). მეორე დღეს, აგდალის ბაღებში სეირნობისას, მისი ცხენი შემთხვევით შეეჯახა ფორთოხლის ხეს, რომლის ტოტებმა მას თავი მოაცალა. იგი გარდაიცვალა 42 წლის ასაკში. თავდაპირველად, არ-რაშიდი დაკრძალეს მარაქეშში, საიდანაც ისმაილმა გადაასვენა ფესში – სიდი ჰარაზემის მავზოლეუმში [6,23; 96,252].

§3. სულთანი მულაი ისმაილი და ფილალის ძალაუფლების განმტკიცება

მულაი არ-რაშიდის გარდაცვალების შემდეგ, 26 წლის ასაკში მაროკოს სამეფო ტახტზე ავიდა მისი ნახევარძმა ისმაილი, რომელიც სულთან არ-რაშიდის მმართველობის ხანაში განაგებდა მექნესს.[2] ისმაილს არ-რაშიდის გარდაცვალება აცნობა მექნესში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ებრაელმა, რის შემდეგაც მექნესის მოსახლეობამ იგი სულთნად ცნო.

მულაი ისმაილს, მმართველობის პირველ წლებში დაუპირისპირდნენ ძმები ჰაშიმი, ალ-ჰარანი, რომელიც ბატონობდა თაფილალეთში, დილაელი აჰმად ბ. ʿაბდ ალ-ლაჰი, ძმისშვილი აჰმად ბ. მაჰრუზი – ქ. მარაქეშიდან. იბნ მაჰრუზს მხარს უჭერდნენ სუსელები და ცნობილი მეკობრე ღაილანი, რომელსაც

[1] აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდამდე მაროკოში მიმოქცევაში იყო ოთხკუთხა მონეტები.

[2] ისმაილის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ევროპელი მოგზაურები, დიპლომატები, ტყვეები, რაც ხშირად მოკლებულია სიმართლეს. მულაი ისმაილი იყო სულიერად და ფიზიკურად ძალიან ძლიერი პიროვნება. 60 წლის ასაკში ერთი შეხტომით ჯდებოდა ცხენზე, ეწეოდა ჯანსაღ ცხოვრებას, არ სვამდა, იყო ჭეშმარიტი მუსლიმი. ისმაილი გამოირჩეოდა მტკიცე ხასიათით და წარმოუდგენელი სისასტიკით. ამასთანავე, იგი იყო კარგი მხედართმთავარი, ჭკვიანი, ცბიერი, ანგარებიანი, ცეცხლოვანი ტემპერემენტის მქონე ადამიანი, ძალიან მდიდარი, საშუალო აღნაგობის, ხორბლისფერკანიანი. მას ჰქონდა კონუსისებური ფორმის სახე, კარგი ნაკვთები და ლამაზი თვალები. იგი ატარებდა წვერს [147,1; 135,358; 129,414; 79,24].

აქეზებდნენ თურქები. გარდა ამისა, სულთან ისმაილს აუჯანყდა სხვადასხვა ტომი [138,9801; 88,465].

1672 წელს, ისმაილი შევიდა მარაქეშში. აჰმად ბ. მაჰრუზმა თავი შეაფარა საჰარას, საიდანაც მოუწოდებდა ფესელებს სულთნის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ. 1673-74 წლებში, მან ისარგებლა ბიძის არყოფნით და ისევ დაიკავა ქალაქი.[1] სულთანი გაემართა მარაქეშისაკენ და ანგადის გზაზე დაიმორჩილა სეგუნას ტომი. ბუ-აკაბასთან ბრძოლაში ისმაილის ძმისშვილი დამარცხდა და თავი შეაფარა მარაქეშს. მულაი ისმაილი დაედევნა მას და 1675 წელს ალყაში მოაქცია „წითელი ქალაქი“. მის აღებამდე, სულთანს ასევე დაუპირისპირდა ჰავზის ტომი. ორწლიანი ალყის შემდეგ, 1677 წელს სულთანმა ისმაილმა შტურმით აიღო ქალაქი მარაქეში. აჰმად ბ. მაჰრუზი სუსში გაიქცა. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ისმაილმა სიკვდილით დასაჯა 10 ათასი მარაქეშელი, რაც ძალიან გადაჭარბებულია. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სულთანმა მარაქეშში შესვლის შემდეგ თავი მოჰკვეთა მხოლოდ ექვს ადამიანს და ტყვედ აიყვანა 301 მოსახლე [1,12-13; 138,9802; 77,222; 88,468; 96,253].

1674 წელს, სულთანი ისმაილი ოთხთვიანი ალყის შემდეგ შევიდა ფესში. მან სიკვდილით დასაჯა ამბოხების მეთაური ზაიდან ბ. ‘აბდ ალ-ამირი. სულთანმა „ფეს ალ-ჯადიდის“ მმართველად დანიშნა ‘აბდ არ-რაჰმან ელ-მუთრარი, ხოლო „ფეს ალ-ბალის“ – აჰმად ეთ-თლემსანი. ქალაქის ორივე ნაწილის მმართველები ცნობილი იყვნენ დესპოტიზმით. ისინი აწიოკებდნენ ფესის მაცხოვრებლებს. ელ-მუთრარის არ დაცალდა ახალი ფესის მართვა. იგი გარდაიცვალა ბუ-აკაბასთან, ბ. მაჰრუზთან ბრძოლისას [138,9802; 77,223; 1,13].

ფესის დამორჩილების შემდეგ, ისმაილი დაუპირისპირდა ღაილანს, რომელიც დათარეშობდა ფესისა და სალეს გზებზე. მულაი ისმაილმა ალყაში მოაქცია თაზაში მყოფი მეკობრე, რომელსაც ჰყავდა მცირერიცხოვანი ჯარი. ღაილანი დამარცხდა და გაიქცა, მაგრამ სულთნის ერთ-ერთი მეომარი დაედევნა მას და სიკვდილით დასაჯა. ისმაილის ბრძანებით მეკობრის თავი ჩაატარეს ფესის ქუჩებში [1,14; 88,469].

[1] მაჰრუზს ისმაილის არყოფნა შეატყობინა ცოლმა, სა‘დმა ლალა მარიამმა („ლალა“ – კეთილშობილი ქალბატონი ან წარჩინებული გვარის, მამაკაცის ცოლი. ლალას ტიტულს ატარებს მაროკოს მეფის მეუღლე სალმა ბენანი).

1674 წელს, ისმაილმა გაილაშქრა ალჟირელი თურქების წინააღმდეგ, რომლებიც მას ეცილებოდნენ სასაზღვრო სიმაგრეებსა და ორანს. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, რომ მულაი ისმაილს ეცნო მათი ძალაუფლება. ვადი შელფთან ბრძოლისას სულთანი დამარცხდა, რადაგანაც იგი მიატოვა ჯარმა და ისმაილი პირადი არმიის იმედზე დარჩა. გარდა ამისა, თურქები არაბებთან შედარებით ბევრად კარგად იყვნენ შეიარაღებული და აღჭურვილი ზარბაზნებით. ამასთანავე, მულაი ისმაილს ხელი შეუშალა ქარბუქმა. ამ მარცხის შემდეგ ის იძულებული გახდა მდინარე თაფნა ეღიარებინა მაროკო-ალჟირის საზღვრად [96,259; 76,41].

საჭიროა აღინიშნოს, რომ ერთადერთი მულაი ისმაილი ვერ რიგდებოდა ოსმალეთის სულთანთან აღნიშნული სადავო ტერიტორიების გამო. გარდა ამისა, იგი თხოვდა ისმაილს მისი ძალაუფლების აღიარებას და ეცილებოდა „ამირ ალ-მუ'მინ̄ინის" ტიტულის ტარებაში. რა თქმა უნდა, სულთანი ისმაილი არასოდეს დათანხმდებოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მაროკოს დაქვემდებარებას. ისმაილი, ისევე როგორც ყველა 'ალავიტი სულთანი თვლიდა, რომ მხოლოდ მას თავისი წარმომავლობის გამო შეეძლო ეტარებინა მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ტიტული.

1681 წელს, ისმაილი დაუპირისპირდა ფესის ალიმებს და გააძევა თანამოაზრეებთან ერთად ერთ-ერთი გავლენიანი ყადი. სულთან ისმაილის წინააღმდეგ არაერთხელ გამოვიდნენ ფესის ალიმები [85,20;86,148].

1682 წელს, მულაი ისმაილმა გაილაშქრა ბანუ სანუსის და თუნისელ მურად ბეგთან ერთად ალჟირელი თურქების წინააღმდეგ, მაგრამ იგი თურქებთან ბრძოლაში კვლავ დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ისმაილს მურად ბეგთან განსაკუთრებული კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

1684 წელს, აჰმად ბ. მაჰრუზმა და ალ-ჰარანმა დაიკავეს თარუდანთი. მათ მხარს უჭერდნენ ბანუ სანუსის, 'აით 'ატას და მეშ'ალის ტომები. ალყის დროს ბ. მაჰრუზი დაიღუპა, ჰარანმა თავი შეაფარა საჰარას. 1687 წელს, სულთანმა ისმაილმა აიღო თარუდანთი და შეაჩერა სანჰაჯას ტომების ატლასის მთებიდან ჩამოსვლა [96,261; 77,222; 134,7408].

გადმოცემის მიხედვით, 1684-94 წლებში მულაი ისმაილმა დაიმორჩილა შუა ატლასის და ზედა მულუიას ბერბერები. მათ დაურიგა 20 ათასი მსხვილფეხა საქონელი, რის სანაცვლოდ მოთხოვა გარკვეულ პერიოდში მატყლის და

კარაქის ჩაბარება. ისმაილმა ამით აიძულა ისინი მიწათმოქმედებასთან ერთად ხელი მიეყოთ მესაქონლეობისათვის [104,212; 74,586].

1701 წელს, სულთან ისმაილის ერთ-ერთმა შვილმა, მულაი ზაიდანმა თლემსენის ხელში ჩაგდების მიზნით, გაილაშქრა ალჟირში თურქთა წინააღმდეგ და გაძარცვა ქალაქ მასკარაში ბეგის სასახლე, რის გამოც ისმაილმა იგი მკაცრად დასაჯა [77,230; 123,296; 110,125].

თავი III

სულთან ისმაილის საშინაო პოლიტიკა

სულთანი არ-რაშიდი ყველანაირად შეეცადა ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას, მაგრამ მისი ძალისხმევა არ აღმოჩნდა საკმარისი. როდესაც ისმაილმა ჩაიბარა მმართველობა, მაროკოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი შიმშილობდა. 1672 წელს, ვერც ერთმა უბრალო მაცხოვრებელმა ვერ დაკლა ცხვარი „ʿēდ ალ-ადჰას“ - მსხვერპლთშეწირვის დღესასწაულზე. ამასთანავე, 1500-1800 წლებში მაროკოში დროდადრო მძვინვარებდა სხვადასხვა ეპიდემია, რასაც თან ერთვოდა გვალვები და მიწისძვრები. 1800 წელს მაროკოს მოსახლეობის რიცხვი აღწევდა დაახლოებით 3-დან 4 მილიონს, რაც ბევრად ნაკლები იყო 1500 წელთან შედარებით [72,162].

ტახტზე ასვლისთანავე, მულაი ისმაილი შეუდგა ქვეყნის შენებას და მისი პრესტიჟის აღდგენას საერთაშორისო არენაზე. ისმაილმა განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო ეკონომიკის განვითარებას, კონტროლზე აიყვანა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელი შეუწყო სამკურნალო ბალახების, ზეთისხილის, მოშენებას და მეფუტკრეობის განვითარებას. ისმაილი იღებდა იმპორტიდან და ექსპორტიდან შემოსული მოგების 10%-ს, აქედან თაფლის სანთლის შემოსავლის 25% ეკუთვნოდა პირადად სულთან ისმაილს. გარდა ამისა, მისი ქონების 1/6 მოდიოდა ტყვეების გამოსყიდვაზე. მულაი ისმაილმა ტყვეებისათვის და დამნაშავეებისათვის მექნესში საგანგებოდ ააშენა ციხე. მიწისქვეშა უზარმაზარი ნაგებობა ყველას ზარავდა. ამბობენ, რომ ღამღამობით მიწისქვეშეთიდან ამოდიოდა ადამიანთა გოდების ხმები. სულთანმა ზუსტად ციხის თავზე მოაწყო ელჩებისათვის მისაღები დარბაზი, რათა პირადად გაეგონათ თავიანთი მოქალაქეების ყვირილი. ისმაილს ზოგჯერ ჩაჰყავდა ელჩები ციხეში. ამით იგი ცდილობდა, რაც შეიძლება მცირე დროში მიეღო დიდი გამოსასყიდი. მულაი ისმაილი ქრისტიან ტყვეებს იყენებდა მექნესის მშენებლობაზე (იხ. თავი IV) [79,82; 123,299-301; 73,124].

მიუხედავად იმისა, რომ სულთან ისმაილს ისტორიკოსები მიაწერენ ებრაელების ჩაგვრასა და აწიოკებას, ისინი ქრისტიანებთან ერთად აქტიურად ჩართული იყვნენ ვაჭრობაში, ხოლო რამდენიმე იუდეველს მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა. 1666 წელს, როდესაც ერთ-ერთი ფრანგი დიპლომატი

ფრეჟუსი, წარდგა თაზაში არ-რაშიდის წინაშე, მან ნახა სულთნის გვერდით ორი ებრაელი: იაკობ პარუნი და აარონ კარსინეტნი. აარონი იყო ცნობილი იუველირი და მულაი არ-რაშიდის მთავარი დამფინანსებელი, ხოლო მამა-შვილი იუსუფ და აბრაამ მიმრანები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს სულთან ისმაილის კარზე. სწორედ იუსუფმა აცნობა ისმაილს არ-რაშიდის გარდაცვალება. მან თითქოს წინასწარ გათვალა ყველაფერი. იუსუფმა მულაი ისმაილს მისცა დიდი ფული, რითაც გაიმყარა პოზიციები. რამდენიმე წლის შემდეგ იგი გახდა ინტრიგების მსხვერპლი, ხოლო მისმა შვილმა დაიკავა მაღალი თანამდებობა. საფრანგეთის ელჩმა სენტეოლობმა, რომელმაც პირადად იხილა ისმაილთან მომუშავე იუდეველები განაცხადა, რომ მულაი ისმაილი ეწეოდა ვაჭრობას და პოლიტიკას ყველა სჯულის ადამიანთან, რაც სულთნის წისქვილზე ასხამდა წყალს [94,176-177;1,19].

XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მაროკოში საგრძნობლად გაიაფდა პროდუქტები, განვითარდა ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა. ეგვიპტელი ფელაჰების მსგავსად მოსახლეობა ამუშავებდა მიწას. ხალხი უსაფრთხოდ გადაადგილდებოდა გზებზე, რაზედაც პირადად ზრუნავდა სულთანი ისმაილი.

მულაი ისმაილი დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქების კეთილმოწყობას. ეს განსაკუთრებით ეხება მექნესს, რომელიც საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა პატარა დასახლებას. ისმაილმა იგი დედაქალაქად აქცია (იხ. თავი IV).

1699-1700 წლებში, სულთანმა ისმაილმა დაუნაწილა ქვეყანა შვილებს. გადმოცემის თანახმად, მან იხმო თავისთან დიდი ვაზირი ალ-ქათიბი და ჰკითხა მას, თუ ვინ იმსახურებდა ყველაზე მეტად ტახტს. მან სულთანს დაუსახელა სამი პრეტენდენტი. ისმაილმა თადლა არგუნა აჰმად აზ-ზაჰაბის (დიალექტური ფორმა ად-დაჰაბი), ‘აბდ ალ-მალიქს დრა‘ა, მუჰამად ალ-‘ალემს სუსი, მულაი ალ-მუ‘მინ ალ-კადირს სიჯილმასა. მოგვიანებით იგი დამკვიდრდა თიზიმში, მაგრამ ორ წელიწადში გარდაიცვალა და შეცვალა იუსუფმა. უფროსი ვაჟი ვერ გახდა ვიცე-სულთანი. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მან უარი თქვა საკუთარ გეგმებზე [77,228].

1708 წელს ისმაილმა გააძევა ალჟირელი თურქები ორანიდან. როდესაც მულაი ისმაილმა შეაღწია სამხრეთში, მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა დაიკავა ‘აინ-მადის ტერიტორია, ერთ-ერთმა ბიძაშვილმა კი განალაგა ჯარი ბუ-სემგუნაში (1710-13) და მიუხედავად იმისა, რომ იანიჩართა ამბოხებებმა და ტომთა

აჯანყებებმა შეამსუბუქა იქ შეჭრა, სულთანმა ისმაილმა ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. მან გადაიტანა მთელი ყურადღება შვილებს შორის ძალაუფლებისათვის ატეხილ ბრძოლაზე. მულაი აბუ ნასრი დაუპირისპირდა ძმას ‘აბდ ალ-მალიქს, დაამარცხა იგი და დაიკავა დრა‘ა, ხოლო ‘აბდ ალ-მალიქმა გაქცევით უშველა თავს. სულთანმა გაგზავნა მულაი შარიფი დრა‘ში და დანიშნა იგი ‘აბდ ალ-მალიქის ნაცვლად [108,90-91]. ამ პერიოდში სუსის მმართველმა თავი გამოაცხადა სულთნად და გაემართა მარაქეშისაკენ, რომელიც ალყაში მოაქცია. ბრძოლა მასა და ზაიდანს შორის გაგრძელდა ორი წელი.

1718 წელს ‘აბდ ალ-მალიქმა უარი განაცხადა დედაქალაქისათვის წილის გაგზავნაზე. ისმაილმა იხმო შვილები, რათა თავიდან აეცილებინა მაროკოს დაშლა. თადლა მან საბოლოოდ უანდერძა აჰმად აზ-ზაჰაბის და იგი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ ნაცვლები ყოველწლიურად აგზავნიდნენ მექნესში პროვინციებზე დაწესებულ გარკვეულ თანხას, რაც აბიდების ჯარს ხმარდებოდა.

1717-18 წლებში მულაი ისმაილმა შვილებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით, დაიწყო მათი გაგზავნა დედებთან ერთად სიჯილმასაში. თითოეულ მათგანს გამოუყო სახლი, მიწის ნაკვეთი და მოსამსახურეები. სიმრავლის გამო, ისინი ვერც ერთ ქალაქში ვერ დასახლდებოდნენ. გადმოცემის მიხედვით, მულაი ისმაილს ჰყავდა 700 ვაჟი, 1000 ქალიშვილი და 15060 შვილიშვილი, რაც საკმაოდ გადაჭარბებულია. 34 ან 35 წლის ასაკში სულთანს ჰყავდა 60-ზე მეტი შვილი, აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში მას ეყოლებოდა დაახლოებით 200 მემკვიდრე [40,273; 77,230].

ისმაილის ჰარემი ითვლიდა 500 მხევალს. სულთანი განსაკუთრებით დიდი პატივითა და სიყვარულით ეპყრობოდა გამუსლიმებულ ინგლისელ ქერა ქალბატონს პილოუს და შავკანიან ზაიდანას. როდესაც მხევალი გადააბიჯებდა 30 წელს, მას აგზავნიდნენ სიჯილმასას ძველ ჰარემში [116,126].

სულთან ისმაილის შვილებს შორის ძალაუფლებისთვის დაწყებულმა ბრძოლამ, გავლენა მოახდინა ქვეყნის ერთიანობაზე. 1721 წლიდან მაროკოს ხეობები თანდათანობით მახზანისაგან დამოუკიდებელი ხდებოდა. ასევე გააქტიურდნენ ტომთა ბელადები [101,227].

მულაი ისმაილმა დარჩენილი სიცოცხლის ბოლო სამი დღე გაატარა თადლაში, აჰმად აზ-ზაჰაბისთან. ერთ-ერთი შვილის გარდაცვალების შემდეგ, მას საგრძნობლად შეერყა ჯანმრთელობა. იგი გარდაიცვალა 1727 წლის გაზაფხულზე, 81 წლის ასაკში. მულაი ისმაილის პირადი, უნიკალური ბიბლიოთეკა – 12 ათასი წიგნი გადაეცა მეჩეთებს. ისმაილი დაკრძალეს მექნესში, მაროკოელი პოეტის სიდი ელ-მეჯდუბის გვერდით. დღევანდელი სამეფოს ქალაქების მრავალი ქუჩა დღესაც ატარებს მის სახელს [77,231].

ისმაილის დიდებას ხელს უწყობდა „მაროკოს ვერსალის“ – მექნესის შენება, ჰარემული თავგადასავლები. ისტორიკოსები ხშირად ადარებენ ერთმანეთს მულაი ისმაილს და „მზის მეფეს“ – ლუდოვიკო XIV-ს (1638-1715). საფრანგეთის მეფეს სურდა მთელი ევროპის მართვა, ისმაილი კი ოცნებობდა ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობაზე. ორივე მონარქი შეპყრობილი იყო განდიდების მანიით. ისინი ხშირად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ისმაილი 55 წლის მანძილზე ცეცხლითა და მახვილით განაგებდა მაროკოს. მან დაიმორჩილა ამბოხებული ტომები, ოჯახის წევრები, გააერთიანა და ქვეყანას დაუბრუნა დაკარგული ტერიტორიები, აღორძინა ეკონომიკა, შექმნა ძლიერი ჯარი.

სულთანმა ისმაილმა თავის მემკვიდრეებს დაუტოვა აშენებული ქვეყანა, მისი ძალაუფლება წვდებოდა ვადი სენეგალს. სულთანი სძულდა ყველას და ამავდროულად მას პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ ევროპის დიდი მონარქები. მან დაუმკვიდრა მაროკოს ღირსეული ადგილი საერთაშორისო სარბიელზე. ისმაილმა დატოვა უკვდავი სახელი და კვალი ქვეყნის ისტორიაში. სულთან ისმაილის მემკვიდრეობას ვერ გაუფრთხილდნენ მისი შვილები, რომლის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში ისევ ანარქია დაიწყო [116,168; 111,87; 106,65].

§1. სულთან ისმაილის ჯარი

ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ, კერძოდ ტომთა დაუმორჩილებლობამ, ოჯახის წევრების დაპირისპირებამ, ევროპელების მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების სურვილმა და ძალაუფლების განმტკიცების

აუცილებლობამ, 1674-76 წლებში სულთანი ისმაილი მიიყვანა ახალი და ძლიერი ჯარის შექმნის აზრამდე [76,43]. გადმოცემის მიხედვით, მახზანის[1] ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მუჰამად იბნ ალ-კასიმ ალილიშმა, რომლის მამას ეკავა სა'დების ცნობილი სულთნის ალ-მანსურის კარზე მდივანის თანამდებობა, მულაი ისმაილს აცნობა წიგნის შესახებ, სადაც რეგისტრირებული იყო იმ მეომრების სახელები, რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ მარაქეშის შემოგარენში. რა თქმა უნდა, ისმაილი დაინტერესდა მიწოდებული ინფორმაციით და დაავალა ალ-კასიმს მათი მოძებნა და სათანადო დავთარში გატარება [77,225; 76,45; 102,273]. რაც შეეხება მაროკოში ამ დრომდე არსებულ ჯარს, ცნობილია, რომ ის ძირითადად დაკომპლექტებული იყო არაბული ტომებისაგან. ზოგჯერ სულთნები იყენებდნენ გამუსლიმებულ ქრისტიანებსაც. ჯარისკაცებს მოქონდათ ქვეყნისათვის შემოსავალი ფულადი და ნადავლის სახით [76,41].

თავდაპირველად, ისმაილის არმიაში შევიდნენ არაბული – გიშის ტომები, რომლებსაც იყენებდნენ მარინიანებიც. სა'დის შარიფების მმართველობის პერიოდში ჯარი უმეტესწილად შედგებოდა მა'კილის ტომებისაგან, რომლებსაც ეწინააღმდეგებოდნენ ჰილადიის არაბული ტომები. სულთანმა ისმაილმა გამოიყენა აგრეთვე ოაზისებიდან და ატლასის რეგიონიდან გამოსული მა'კილის ტომი, რომელსაც ასევე ეყრდნობოდა მისი ნახევარძმა არ-რაშიდი. მულაი ისმაილმა ჯარში ჩარიცხა თავისი დედის, მდაფრას არაბული ტომი. თურქთა წინააღმდეგ განხორციელებულმა კამპანიამ კი მას ნათლად დაანახვა, რომ საჭიროებდა ბევრად ძლიერ და ერთგულ ჯარს [96,255].

1678-79 წლებში, სულთანმა მონების ხელში ჩაგდების მიზნით, მოაწყო ექსპედიციები სუსის გავლით საჰარასა და სუდანში. მან ქალაქ შინკიტიდან ჩამოიყვანა 2 ათასი მონა. მულაი ისმაილი დროდადრო ავსებდა ჯარს სამხრეთ საჰარიდან, სუდანიდან, თიმბუქთუდან, სეგუდან[2] ჩამოყვანილი ტყვეებით [70,182; 78,169]. პატარა ზანგები იზრდებოდნენ „ჯარის შვილებად". ათი წლის ასაკში ისინი მიყავდათ ისმაილთან. პირველი სამი წელი მათ ასწავლიდნენ სხვადასხვა ხელობას – კალატოზობას, მჭედლობას, იძენდნენ ჯორების გამრეკის პროფესიას. სწავლების მეოთხე წელს იწყებოდა სამხედრო საქმის დაუფლება: ცხენზე ჯდომა, მშვილდოსნობა, მუშკეტი, ცალკე ავარჯიშებდნენ სირბილში.

[1] „მახზან" – არაბულად საწყობი, ხაზინა – დამკვიდრდა მაღრიბში ალ-მუვაჰიდების დროს სახელმწიფოს და ხელისუფლების აღსანიშნავად. პერიოდულად იგი აღნიშნავდა მხოლოდ ხაზინას.

[2] სეგუ – ქალაქი მალიში, მდინარე ნიგერის მარჯვენა სანაპიროზე.

ამავე დროს, ახალგაზრდა ზანგ გოგონებს ასწავლიდნენ მეურნეობის გაძღოლას, მათ შორის ყველაზე ლამაზს – მუსიკას. 15 წლის ასაკში ჯარის ბავშვები შეყავდათ ქვედანაყოფში და აქორწინებდნენ. მათი ვაჟები ასევე ეკუთვნოდნენ ჯარს. გოგონებს ან მეომრებზე ათხოვებდნენ ან უშვებდნენ სულთნის ვაჟების მოსამსახურეებად. მეომრებს არ ჰქონდათ თავისუფალ ქალზე დაქორწინების უფლება.

აღსანიშნავია, რომ 1680 წელს ისმაილმა სამხედრო სამსახურისაგან გაათავისუფლა შორფა [1,16]. სულთანი ისმაილი სუფრიტებს[1] მაშინვე არ უშვებდა საბრძოლველად. თავდაპირველად იგი აგზავნიდა მათ მეშრა‘ არ-რემულში.[2] ახალგაზრდა მეომრების მთავარი მოვალეობა იყო გამრავლება. პირველი მეომარი, რომელიც დაიბადა მეშრა‘ არ-რემულში და რომელიც მიუყვანეს სულთანს მექნესში თარიღდება 1688-89 წლებით [119,149; 13,16]. ისინი თავიანთი წარმოშობის გამო იძენდნენ ზანგების („ზინჯი“, მრ.რ. „ზუნ**უ**ჯ“) ან მონების – აბიდების[3] სახელს და რადგან დებდნენ ფიცს ალ-ბუხარის[4] ჰადისების კრებულზე, უწოდებდნენ მათ „ალ-ბუხარის“ ან „ბავახერს“. ისინი ლაპარაკობდნენ ადგილობრივ დიალექტებზე [40,274; 29,70; 77,226; 86,70]. საჰარის ზანგები და ის მეომრები, რომლებიც დაბადებული იყვნენ მეშრა‘ არ-რემულში, შეადგენდნენ სულთნის რეგულარულ ჯარს. ვინაიდან მათ „არ ჰქონდათ ფესვები“ მაროკოში, ისინი თავიანთი მბრძანებლის ერთგულნი იყვნენ. სულთან ისმაილის მმართველობის ბოლო წლებში, შავი მონების რიცხვმა მიაღწია 150 ათასს, აქედან 70 ათასი იმყოფებოდა მეშრა‘ არ-რემულში, 25 ათასი მექნესში, რომელიც შეადგენდა ისმაილის პირად არმიას. დანარჩენები იდგნენ გარნიზონებად კასბებში. სულთანმა ისმაილმა ააგო 76 კასბა [136,630].

---

[1] სუფრიტები („ას-სუფრ̄ა“) - მიმდევრები სამი უმთავრესი ხარიჯიტული თემიდან ერთ-ერთისა, რომელიც შეიქმნა ბასრაში VII საუკუნის მეორე ნახევარში. მისი დამაარსებელია ზიად ბ. ასფარი. თემის სახელწოდება უკავშირდება დამაარსებლის მამის სახელს („სუფრ“,მრ.რ„ასფ̄არ“). რამდენჯერმე მოხდა სუფრიტთა აჯანყება. აღნიშნული თემის წარმოქმნის მიზეზი გახდა ხარიჯიტთა შორის რელიგიურ-პოლიტიკური უთანხმოებანი. აზრაკიტებისაგან განსხვავებით, სუფრიტები არ მიიჩნევდნენ ურწმუნოებად იმ თანამეთემეებს, რომლებიც თავს იკავებდნენ აჯანყებებში მონაწილეობისგან. ისინი უარყოფდნენ მოწინააღმდეგეთა ქალებისა და ბავშვების დახოცვას. დასაშვებად მიაჩნდათ რწმენის კეთილგონიერი დაფარვა („თაქ̄ია“) [12,178-179];
სუფრიტი – მეომარი, ახალწვეული.

[2] მეშრა‘ არ-რემული – მექნესსა და სებუს შორის, სალესთან ახლოს.

[3] „‘აბდ“, მრ.რ. „‘აბ̄დ“ – არაბულად მონა.

[4] ალ-ბუხარი (810-870) – გამოჩენილი სუნიტი მუჰადისი. დაიბადა ბუხარაში, გარდაიცვალა სამარყანდში. 10 წლიდან დაიწყო ჰადისების შესწავლა და ცხოვრების მიზნად დაისახა მათი შეგროვება. აღსანიშნავია მისი კრებული „ას-საჰ̄იჰ“ და ბიოგრაფიული ნაშრომი ჰადისების გადამცემთა შესახებ „ათ-თა’რ̄იხ ალ-ქაბ̄ირ“.

აღნიშნული ჯარი იღებდა მონაწილეობას ყველა მსხვილ ლაშქრობაში. სულთანმა მათ მიცა მიწების შეძენის, ე.ი. ჰამათინის უფლება. როცა შავი მეომრები მიხვდნენ, რომ ისინი წარმოადგენდნენ მაროკოში ერთადერთ ძლიერ და ორგანიზებულ ძალას, მათ გაუჩნდათ ძალაუფლებისაკენ ლტოლვის ტენდენცია, მაგრამ აბიდების რაოდენობა თანდათან შემცირდა. XVIII საუკუნის ბოლოს ისინი იქცნენ სულთნის პირად მცველებად [105,66; 72,149].

მულაი ისმაილი იმედოვნებდა, რომ შავი არმიის მეშვეობით შეძლებდა ქრისტიანთა ოკუპაციისაგან პორტების გათავისუფლებას და თურქების შემოტევის უკუგდებას.

შავ ჯარში შედიოდა რენეგატების მცირე კონტინგენტიც, რომლებიც ფლობდნენ სამხედრო ტექნიკურ ხელოვნებას. გარდა ამისა, ისმაილს საფრანგეთიდან ჩამოყავდა სამხედრო პირები, რომლებიც ამარაგებდნენ იარაღით და წვრთნიდნენ სულთნის მეომრებს. მას იარაღი ჰოლანდიიდანაც კი შემოჰქონდა [129,414].

ამგვარად, მულაი ისამილის ჯარი შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად:

1. ალ-ბუხარის ჯარი, რომელშიც შედიოდნენ ალ-მანსურის დროიდან შემორჩენილი ერთეული რაზმები და ქვეყნის გარედან ჩამოყვანილი მონები.

2. ხეობის ანუ ვადის ჯარი – შედგებოდა არაბული ტომებისგან.

3. რიფის ანუ სანაპირო მუჯაჰიდები, რომელთა მეშვეობით ისმაილმა გააძევა მაროკოდან უცხოელი დამპყრობლები [99,54; 119,215].

სულთან ისმაილს ჯარი გადანაწილებული ყავდა სტრატეგიულ ადგილებში. ნაწილი აკონტროლებდა აჯანყებულ რაიონებს, შუა ატლასს, ნაწილი იდგა მთავარ დამაკავშირებელ გზებზე – თაზას დერეფნიდან უჯადში, ფესიდან თაფილალეთში და ფესიდან მარაქეშში, ხოლო დანარჩენები ადევნებდნენ თვალყურს სანაპირო ზოლს. მათ არ უნდა გამოპარვოდათ მაროკოში არასასურველი ძალების გამოჩენა. ჯარი პასუხისმგებელი იყო მშვიდობაზე. მეომრებს ენიშნებოდათ ხელფასი. თითოეულ კასბაში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა დაახლოებით 500-დან 1000-მდე ჯარისკაცი. მულაი ისმაილის ჯარში მცირე რაოდენობით შემავალი გამუსლიმებული ქრისტიანები მახზანში ვერ იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს. მათ ზოგჯერ ეკისრებოდათ რელიგიური ფუნქციები [96,258; 104,214]. სულთნის ბრძანებით, კასბების გვერდით საგანგებოდ აშენდა მოგზაურთათვის ღამის გასათევი ნაგებობები.

აღსანიშნავია, რომ ისმაილი განსაკუთრებით არ უყვარდათ ფესის ალიმებს. ისინი თვლიდნენ, რომ ტირანი სულთანი ზედმეტად ხარჯავდა ფულს და არაკანონიერად აწესებდა მძიმე გადასახადებს. გარდა ამისა, მათ მიაჩნდათ, რომ ისმაილის ჯარს არ ჰქონდა გადასახადების აკრეფისა და ჯიჰადის წარმოების უფლება. მულაი ისმაილის მმართველობის პერიოდში, აგრარული გადასახადის მთავარ ფორმად იქცა ნა'იბა (არაბულად – „შემცვლელი", „ცვლილებასთან დაკავშირებული"), რომელსაც იხდიდა ყველა მაროკოელი. ნა'იბა მიუთითებს, რომ გადასახადები განიხილებოდა როგორც ერთიანი რენტა. მის შემოღებას მთიან რაიონებში და უპირველეს ყოვლისა ზავიების მარაბუტების მხრიდან მოჰყვა მღელვარებები. ნა'იბა იკრიფებოდა ფულადი და ნატურის სახით ყოველ ორ ან სამ წელიწადში ერთხელ. ხშირად გადასახადების ამოღება სრულდებოდა მსხვერპლით და ამიტომ მოსახლეობა მტრულად იყო განწყობილი შავი არმიის მიმართ [32,224].

სულთან ისმაილს აბიდების გაწვრთნასა და დაფინანსებაში დიდ დახმარებას უწევდა ერთ-ერთი არაბული ტომის შაიხი, ბექარი. მათ შორის განსაკუთრებით განმტკიცდა კავშირი მას შემდეგ, რაც 1678 წელს მულაი ისმაილმა იქორწინა შაიხის ქალიშვილზე, ხენასაზე. ამ ქორწინებამ დაარეგულირა ურთიერთობა მახზანსა და ტომთა კონფედერაციებს შორის [76,43].

1700 წელს, კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა ისმაილსა და ალიმებს შორის. სულთნის ცნობილმა მეთაურმა 'აბდ ალ-ხალიკმა მოკლა აბიდი. ალიმებმა იგი შეიფარეს და თხოვეს სულთანს მისი შენდობა. ისმაილი დაპირდა მათ, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა მას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ 'აბდ ალ-ხალიკი მოკლული იპოვეს. არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი იმის შესახებ, რომ უშუალოდ მულაი ისმაილის ბრძანებით მოკლეს მეთაური 'აბდ ალ-ხალიკი. სავარაუდოა, რომ სულთანმა შური იძია და ამით ღიად დაუპირისპირდა ალიმებს [76,46; 1,16].

1708 წელს, სულთანმა ისმაილმა ფესის ალიმებს კატეგორიულად მოთხოვა შავი მონების ანუ აბიდების აღიარება და მათი ჩაწერა ჯარში. ისმაილმა თავიდანვე გააფრთხილა ალიმები, რომ თუ არ დაემორჩილებოდნენ მის ბრძანებას, სიკვდილით დასჯიდა მათ. ერთადერთი, ვინც გაბედა მულაი ისმაილთან პირდაპირ დაპირისპირება, ეს იყო იმ დროს ცნობილი სწავლული მუჰამად 'აბდ ას-სალამი. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, სულთანმა ჩამოართვა მას ქონება, დააპატიმრა მისი ოჯახის წევრები, მუჰამადი კი დაბა ფესის

ბაზარში და აიძულა მოწყალების თხოვნა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ისმაილმა გადაიყვანა ‘აბდ ას-სალამი მექნესის ცნობილ ციხეში. ერთი წლის მერე, 1709 წელს სულთანმა შეინდო ურჩი სწავლული და გაათავისუფლა პატიმრობიდან, რის შემდეგაც მუჰამადმა ჩარიცხა ჯარში ჰარათინელები[1] და გააგრძელა მოღვაწეობა [76,47]. მეორე ვერსიის თანახმად კი, ისმაილმა სიკვდილით დასაჯა ‘აბდ ას-სალამი. მან ციხიდან მისწერა ისმაილს წერილი, რომელშიაც წერდა: „მე ვერ მივიღებ თქვენს წინადადებას, რადგანაც ვერ დავარღვევ რელიგიის კანონებს და მხოლოდ ალაჰს შეუძლია იყოს მსაჯული“. ორი დღის შემდეგ მუჰამადი ჩამოახრჩეს.

აღსანიშნავია, რომ XVIII-XIX საუკუნეებში, ალიმები მონაწილეობდნენ ყველა იმ ცერემონიალსა, თუ პროცედურაში, რომელიც ეხებოდა ძალაუფლების გადაცემას. ისინი არკვევდნენ ტახტის პრეტენდენტის წარმომავლობას, მის პირად თვისებებს და ადგენდნენ შეესაბამებოდა თუ არა, პრეტენდენტი მუსლიმური სამართლის მიერ დადგენილ კანონებს. სწორედ ალიმები ახდენდნენ საბოლოოდ სამხედრო და პოლიტიკური პირების არჩევის ლეგიტიმაციას, რის შემდეგ მმართველი ითვლებოდა კანონიერად არჩეულად. ალიმები ასევე ადგენდნენ ბაᾳ‘ას ანუ ერთგულების ფიცის ტექსტს, რომელიც გამოხატავდა ფორმალურად ახლად არჩეული სუვერენის აღიარებას [145,79-83].

XVII-XVIII საუკუნეებში, სულთნის გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრე ხდებოდა ქვეყნის პროვინციების ნაცვლების, ტომების მეთაურების, ქალაქების ნოტაბლეების, ჯარის კორპუსების ხელმძღვანელების, ზავიების მარაბუტების და შარიფების მხრიდან მისი სულთნად ცნობის შემდეგ. ადრეულ პერიოდში კი საკმარისი იყო რომელიმე ძლიერი ტომის მხარდაჭერა და მისგან მომდინარეობა. XVII საუკუნიდან მოყოლებული, აუცილებელი გახდა, რომ მაროკოს სულთანი ყოფილიყო მოციქულ მუჰამედის შთამომავალი, ე.ი. შარიფი [145,2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალიმები ადგენდნენ ბაᾳ‘ას ტექსტს. აგრეთვე მას ხელს აწერდნენ საერო პირები და მიემართებოდნენ დედაქალაქში, რათა პირადად დაედოთ ფიცი სუვერენის ერთგულებაზე. ალიმების ოფიციალურად აღიარების გარეშე ტახტის პრეტენდენტი ვერ იქნებოდა ლეგიტიმური

[1] ჰარათინელები – უძველესი ფერადკანიანი (სხვა მონაცემებით შავკანიანი) მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობდა მაროკოს ოაზისებში, ბერბერების მიერ საჰარის ოაზისების დაპყრობამდე. ისინი მონებისაგან განსხვავებით იყვნენ თავისუფალნი [57,18].

სულთანი.[1] ამგვარად, ისმაილმა ჯარის მეშვეობით შეძლო ამბოხებული ბერბერების დამორჩილება, ზედა ატლასის ბერბერული ტომების გარდა, მახზანის განმტკიცება, ქვეყანაში წესრიგის დამყარება, ქურდობის აღკვეთა, გადასახადების ამოღება, და ევროპელების მიერ მიტაცებული პორტების დაბრუნება [იხ. აქვე §2]. ღამით, ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანს, მათ შორის ქალს თავისუფლად შეეძლო მარტო გასულიყო გარეთ ისე, რომ არავინ ჰკითხავდა, თუ ვინ იყო და სად მიდიოდა.

§2. საღვთო ომი ევროპელთა წინააღმდეგ

XVI საუკუნიდან მოყოლებული მაროკოს მთელი რიგი პორტები უცხოელების ხელში იყო. როდესაც სულთანმა ისმაილმა დაიმორჩილა სხვადასხვა ბერბერული და არაბული ტომი და გააძლიერა ჯარი, მან წამოიწყო საღვთო ომი ანუ ჯიჰადი ევროპელთა წინააღმდეგ [135,565].

1681 წელს, მულაი ისმაილმა აიღო ალ-მაჰდია, იგივე ალ-მა'მურა, რომელიც ესპანელებმა დააარსეს 1614 წელს მდინარე სებუს შესართავთან. ალ-მაჰდიადან გადიოდა გზა სალეზე [40,273; 99,297; 71,182].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტანჟერი მზითვის სახით გადაეცა ინგლისის მეფეს და იგი ბრიტანეთის პარლამენტში განიხილებოდა, როგორც „ფასდაუდებელი ალმასი დედოფლის დიადემაში". პორტის კამპანიას სათავეში ჩაუდგა ისმაილის ერთ-ერთი უძლიერესი მხედართმთავარი, ალი იბნ 'აბდ ალ-ლაჰ არ-რიფი. მან ალყაში მოაქცია ტანჟერი. პორტის აღებასთან დაკავშირებით მაროკოელი და ევროპელი ისტორიკოსები გვაწვდიან განსხვავებულ ვერსიებს. ევროპელი ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ იმის შემდეგ, რაც დაანგრიეს სიმაგრეები და კოშკები ინგლისელებმა უბრალოდ დატოვეს ქალაქი, ხოლო მაროკოელი ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ

[1] XVII-XIX და XX საუკუნეებში, ალიმების თანხმობა ასევე აუცილებელი იყო ნებისმიერი პოლიტიკური აქციის გასატარებლად. დღესდღეობითაც მუჰამად VI-ს ძალაუფლებაში, ისევე როგორც ეს იყო ერთი საუკუნის წინ, გაერთიანებულია ორი ძირითადი პრინციპი:1. მოციქულის ქარიზმა, 2. ქვეშევრდომების მხრიდან ფორმალურად მისი ძალაუფლების ცნობა. მეფე არის მაროკოელი ხალხის საერო და სულიერი ლიდერი. იგი იცავს ისლამის კანონებს და დღემდე ატარებს შუა საუკუნეების დროინდელ მართლმორწმუნეთა მეთაურის – „ამრ ალ-მუ'მინინის" ტიტულს. თუმცა ტახტის მიღების საკითხები ზუსტად არის განსაზღვრული კონსტიტუციით და ძალაუფლების გადაცემა ხორციელდება უფრო მეტად საერო და არა მუსლიმური კანონმდებლობის საფუძველზე [145,3].

‘აბდ ალ-ლაჰ არ-რიფის სიძლიერის და სისასტიკის გამო ოკუპანტები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ პორტი. 1684 წელს, ექვსწლიანი ალყის შემდეგ, ალი იბნ ‘აბდ ალ-ლაჰ არ-რიფი შევიდა ტანჟერში და გასცა ბრძანება, რაც შეიძლება მალე აღედგინათ ალყის დროს დანგრეული გალავანი, მეჩეთები, კოშკები. მულაი ისმაილმა ტანჟერში ჩაასახლა რიფელები [104,216; 1,17]. 1689 წელს, ისმაილმა ესპანელებს წაართვა ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე პორტი ლარაში (არაბულად ელ-‘არ̄’იშ), რომელიც 1610 წლიდან ესპანეთის შემადგენლობაში შედიოდა. ლარაშისათვის ბრძოლა გაგრძელდა სამ-თვე ნახევარი და მას სათავეში ედგა აჰმად ბ. ჰადუ. მუსლიმებმა ხელში ჩაიგდეს დიდი ნადავლი. ლარაშის დაბრუნებას პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ [104,217;113,65].

1691 წელს, ერთწლიანი ალყის შემდეგ, ‘აბდ ალ-ლაჰ არ-რიფიმ აიღო ატლანტის ოკეანის პორტი ასილა, რომელიც ასევე ესპანელების ხელში იყო. გადმოცემის მიხედვით, პორტის მოსახლეობამ და ესპანელებმა გემებით გაქცევით უშველეს თავს, რის შემდეგაც სულთნის ჯარმა დაიკავა ქალაქი. ესპანელებისაგან მაროკოელებს დარჩათ ასი ქვემეხი [122,296; 81,223]. ასილას შემდეგ ალი იბნ ‘აბდ ალ-ლაჰ არ-რიფიმ იერიში მიიტანა სეუტაზე, რომლის დროსაც გარდაიცვალა. იგი შეცვალა მისმა შვილმა აჰმადმა. 25 ათასმა რიფელმა მებრძოლმა ვერ გაამართლა სულთან ისმაილის მოლოდინი. ესპანელებს ასევე დარჩათ ხმელთაშუა ზღვაში მდებარე პორტი მელილა, ორი პატარა კუნძული – პენონ დე-ველესი და ალ-ჰუსემასი.

რაც შეეხება პორტუგალიას, ფაქტობრივად 1515 წლიდან მას ხელთ ეპყრა ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პორტი ელ-ჯადიდა, იგივე მაზაგანი,[1] რომელიც დაუბრუნა ქვეყანას 1769 წელს სულთანმა იბნ ‘აბდ ალ-ლაჰმა [147,2; 110,51].

[1] მაზაგანის სახელი მომდინარეობს ბერბერული ტომის მაზაგავას სახელწოდებიდან, რომელიც ცხოვრობდა პორტთან ახლოს.

თავი IV

საქალაქო ცხოვრება და ისლამურ-არაბული კულტურა მაროკოში

როგორც აღინიშნა, უძველესი დროიდან მაროკო დასახლებული იყო მომთაბარე ტომებით – თანამედროვე ბერბერების წინაპრებით. მოგვიანებით, ბერბერულ-არაბული კულტურის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა თავისებური ისლამურ-არაბული კულტურა, რაც უპირველეს ყოვლისა აისახა ქვეყნის მოსახლეობასა და საქალაქო ცხოვრებაში. საუკუნეების წინ დაარსებული ქალაქები დღემდე წარმოადგენენ მრავალი მეცნიერის შესწავლის საგანს და ათასობით ტურისტს იზიდავს.

მაროკოს ქალაქები იყოფა სამ კატეგორიად: 1. „ბედუია“ – ძირითადად დასახლებულია სოფლებიდან ჩამოსული მოსახლეობით. მას მიეკუთვნება გარკვეულწილად მარაქეში, უჯდა და სხვა. 2. „მახზანის“, იგივე „შარიფთა“ ქალაქები. ამ კატეგორიაში შედიან ფესი, მარაქეში, რაბატი და მექნესი. 3. „ჰადრია“ – მოიცავს იმ ქალაქებს, სადაც დღემდე შენარჩუნებულია მუსლიმური ანდალუსიის კულტურის ელემენტები. მის რიცხვს მიეკუთვნება რაბატი, სალე. „ჰადრიაში“ ასევე გულისხმობენ მდიდარი ფენებით დასახლებულ ქალაქებს [36,109].

ნებისმიერი ქალაქის დაარსებისას, ყურადღება ექცეოდა მის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, კლიმატს, სასმელი და სარწყავი წყლების არსებობას. ფესის დაფუძნების შემთხვევაშიც, დიდი გავლენა იქონია მისმა მდებარეობამ და ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა.

ფესი (ძველი სახელწოდება „ფეზი“, არაბულად „ფას“ – წერაქვი, თოხი) მდებარეობს ატლასის მთების ჩრდილოეთ მთისწინეთში, მდინარე სებუს შენაკადთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, 789 წელს მას საფუძველი ჩაუყარა ჰასანის შვილთაშვილმა, იდრის იბნ ‘აბდ ალ-ლაჰმა და თავდაპირველად ეწოდა უბრალოდ ქალაქი – „მადინა“. თუმცა, იდრის I სიცოცხლის ბოლომდე ვალილაში ცხოვრობდა, სადაც გარდაიცვალა 791 ან 792 წელს [40,54; 44,42; 41,277].

ფესი სწრაფად განვითარდა, რადგანაც მდებარეობდა საქარავნო გზების გზაჯვარედინზე და ითვლებოდა შარიფების ადგილსამყოფელად. ფრანგი მეცნიერი ე.ფ. გოტიე მიუთითებს ფესთან ახლო მდებარე მიწისზედა და მიწისქვეშა წყლების სიუხვეზე. უეჭველია, რომ ხელსაყრელი გეოგრაფიული

ადგილმდებარეობის გარდა, წყლის არსებობამაც განაპირობა აქ ქალაქის აშენება. გარდა ამისა, ფესის შემოგარენში დიდი რაოდენობით მოიპოვება ძვირფასი სამშენებლო მასალები და ბოლოს, იგი მდებარეობს ყველაზე ხელსაყრელ ადგილზე, რომელიც აკავშირებს შუა მაღრიბს ატლანტის ოკეანის დაბლობთან. სწორედ აქ გადის გზა, მიმავალი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – ტანჟერიდან თაფილალეთის ოაზისებამდე [40,54; 82,4].

იდრისიანთა დინასტიის ფუძემდებელმა დააარსა სხვა ქალაქებიც: ლუკოხი (საფდადის ხეობა), აკლამისი, ჰაჯერ ან-ნასრი. იგი დაეუფლა თამესნას (სალეს რაიონი), შემდეგ ფააზს (აზრუს რაიონი, ‘აინ-ლიოჰი) და თლემსენს [32,90]. იდრის I მოწამლა ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (786-809) ემისარმა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ბერბერი აურები შარიფის შვილში, იდრის II-ში ხედავდნენ ღვთის მადლის – „ბარაქას“ მატარებელს და 11 წლის ასაკში იგი ოფიციალურად აღიარეს იდრის I-ის მემკვიდრედ [31,18]. მას ჰარუნ არ-რაშიდმა მიუჩინა თავისი ხალხი. ახალგაზრდა მბრძანებელზე, აურების გარდა გავლენას ახდენდნენ იფრიკიელი და ანდალუსიელი არაბები, რომლებიც გარს ეხვივნენ მას ვალილაში. გაურკვეველი მიზეზით იდრის II-მ მოაკვლევინა აურების ბელადი აბუ ისჰაკი, რის შემდეგაც ამირა და მისი ქვეშევრდომები თავს მშვიდად ვეღარ გრძნობდნენ ვალილაში. ამიტომ მულაი იდრისმა გაიხსენა დაუმთავრებელი ქალაქი ფესი, რომელიც იმ დროს წარმოადგენდა ბერბერთა დასახლებას. ლეგენდის მიხედვით, იდრის II-ის ვაზირმა, ვადი ფესთან სეირნობისას აღმოაჩინა მდინარეებით და წყაროებით მდიდარი ტყის ზოლი, სადაც კარვებში ცხოვრობდნენ ზენათას ტომები. ისინი ცნობილი იყვნენ „ბანუ ხაირის“ სახელით. ვაზირმა უამბო ნანახის შესახებ ამირას. ამის შემდეგ იდრის II-მ ზენათასაგან იყიდა მიწები 6 ათას დირჰამად და დაასახლა არაბები [115,54].

808 წელს მულაი იდრისი შეუდგა ფესის მარჯვენა სანაპიროს გაფართოებას. ვინაიდან იქ ბინადრობდნენ მტაცებელი ცხოველები, მას შემოარტყა გალავანი. 809 წლის დასაწყისში ამირამ წამოიწყო ქალაქის შენება მდინარის მარცხენა სანაპიროზე. მან ამ ნაწილსაც შემოავლო გალავანი, ააშენა პატარა სასახლე და მეჩეთი. 809 წელს ფესი გამოცხადდა იდრისიანთა დინასტიის დედაქალაქად. ფესის ორ ნაწილს შორის ყოველთვის არსებობდა მეტოქეობა, რაც ხელს უშლიდა მის განვითარებას [140,7686; 97,158-161].

818 წელს, ქალაქის ძველ ნაწილს თავი შეაფარა 8 ათასმა ესპანელმა მუსლიმმა, რომელნიც გააძევეს კორდოვიდან აჯანყების შემდეგ. მათი

შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფესის ანდალუსიურ კვარტალში. ამ პერიოდში, ქალაქში საუბრობდნენ ყველაზე სუფთა, სალიტერატურო არაბულზე მთელ რეგიონში.

808-828 წლებში, იდრის II-მ საამიროს შეუერთა ტანჟერი, სეუტა, თლემსენი. მისი ვაჟის ალ-მუნთასირის დროს (828-836) იდრისიანთა საამირო დაიშალა სამთავროებად. გადმოცემის მიხედვით, შარიფის ათმა ვაჟმა (სხვა მონაცემებით შვიდმა) ბერბერი ბებიის, კენზას რჩევით დაინაწილეს მამის სამფლობელოები. სავარაუდოა, რომ ამ დრომდე იდრისიანთა დინასტიის საამირო უკვე წარმაოდგენდა ქალაქ-სახელმწიფოების ფედერაციას და მათი ძალაუფლება ძირითადად ქალაქებზე ვრცელდებოდა [29,49].

იდრისიანთა მმართველობის დროს, ქალაქში საგანგებოდ აშენდა სასტუმროები, აიგო წისქვილები, მომრავლდა აბანოები.

არქეოლოგებმა ფესში აღმოაჩინეს 12 სამონეტო კარი, სადაც იჭრებოდა დირჰამი, რაც ერთი მხრივ ადასტურებს თითოეული საამიროს დამოუკიდებლობას, მეორე მხრივ კი, მათ შორის მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობებს. ამასთანავე, ალ-მუნთასირის დროიდან ფესის მფლობელი ინარჩუნებდა იმამის წოდებას, რის გამოც სარგებლობდა განსაკუთრებული პატივისცემით და გავლენით [40,41-43].

958–960 წლებში, ჯაუჰარ ას-სიკილი (გარდ.992წ.) შეიჭრა ფესში, რის შემდეგაც კორდოვას მმართველმა ალ-ჰაქამ II-მ (961-976) ალყა შემოარტყა იდრისიანთა ციტადელს, ჰაჯერ ან-ნასრს. ესპანელმა ომაიანებმა (756-976) ტყვედ აიყვანეს უკანასკნელი იდრისიანები და გაგზავნეს ისინი კორდოვაში. ერთ-ერთი მათგანი გაიქცა კაიროში, მოიპოვა ფატიმიანთა (910-1171) მხარდაჭერა, მაგრამ ისევ ტყვედ ჩავარდა და სიკვდილით დასაჯეს [110,44; 109,87]. 980-1012 წლებში ფესი ისევ კორდოველი ომაიანების მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა.

1069 წელს ალმორავიდების (არაბულად „ალ-მურაბიტუნ“) მეთაური, იუსუფ იბნ თაშფინი ([1061-1106] ერთ-ერთი ვერსიით თაშუფინი) შევიდა ფესში. მან გააერთიანა ქალაქი და იგი აქცია ალ-მურაბიტების საყრდენად ჩრდილოეთ მაროკოში. ამასთანავე, იუსუფი ითვლება ფესის მეორე დამაარსებლად, მან ააგო აქ ნაგებობანი, დაანგრია პატარა მეჩეთი და მის სანაცვლოდ ააშენა დიდი, რომლის ასაგებად მიიწვია ანდალუსიელი მშენებლები. ალ-მურაბიტების მმართველობის პერიოდში (1056-1147), ძირითადად დასრულდა ვადი ფესში მიმდინარე სამუშაოები. ქალაქი ბრწყინავდა თავისი სიდიადით [140,7687].

1145 წელს ალმოჰავიდების (არაბულად „ალ-მუვაჰიდუნ“) მეთაური, ‘აბდ ალ-მუ’მინი (1130-1163) ხანგრძლივი ალყის შემდეგ შევიდა ფესში. მან აღადგინა ალყის დროს დანგრეული კედლები.

ალ-მუვაჰიდების დროს (1130-1269), ფესში აშენდა ბიბლიოთეკები, ციხესიმაგრეები, მეჩეთები, სასახლეები და დიდებული ალაყაფის კარი. მიუხედავად ამისა, ალ-მუვაჰიდების „დამკვიდრება“ ფესში ალ-მურაბიტებთან შედარებით ითვლება მისი განვითარებისათვის შეფერხების პერიოდად. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ბერბერები აიძულებდნენ კარავიინის მქადაგებლებს ბერბერულ ენაზე ქადაგებას [108,77].

1200 წელს ფესის 785 მეჩეთში ასწავლიდნენ მუსლიმურ თეოლოგიას და სამართალს. მოგვიანებით, როცა მისი დიდება გასცდა მაროკოს საზღვრებს, ეს ქალაქი გახდა საერთო ისლამური მეცნიერების ცენტრი, სადაც სწავლობდნენ არისტოტელეს ფილოსოფიას, მათემატიკას, მედიცინას [101,47].

1248 წელს ფესი დაიკავეს მარინიანებმა და ამ დროიდან მოყოლებული იგი გახდა ახალი სახელმწიფოს დედაქალაქი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ალჟირი, თუნისი და ტრიპოლიტანია. მარინიანთა მმართველობის პერიოდში, ქალაქმა მიაღწია დიდების ზენიტს, შენდებოდა ახალი მედრესეები, სასახლეები, ბაღები. ფესმა სახელი გაითქვა მშვიდობისმოყვარეობითა და შემწყნარებლობით. „მაღრიბის მექა“ გახდა ქვეყნის ეკონომიკური ცენტრიც, სადაც თავს იყრიდნენ ალჟირელი, ანდალუსიელი, საჰარელი და სხვადასხვა ქრისტიანული სახელმწიფოს ვაჭრები. ქალაქიდან გადიოდა ფაიფური, ქსოვილები. დროთა განმავლობაში, ფესის დიდება თანდათანობით გაქრა და იქ რელიგიურმა ფანატიზმმა დაისადგურა [55,47].

1472 წელს, ვატასიანი მუჰამად აშ-შაიხი ფესში სულთნად გამოაცხადეს. მოგვიანებით, უკანასკნელ ვატასიანებს ძალა აღარ შეწევდათ წინააღმდეგობა გაეწიათ ძლიერი სა‘დის შარიფებისთვის და ერთ-ერთი ვატასიანის რევანშის აღების მცდელობა სრული კრახით დასრულდა [60,114]. 1549 წელს, სა‘დებმა შიდა განხეთქილების წყალობით აიღეს ფესი, ხოლო 1554 წელს ფესელებმა ალჟირელი თურქების დახმარებით გააძევეს ქალაქიდან სა‘დები. ამავე წელს, შარიფებმა დაიბრუნეს ფესი და დაამარცხეს ამბოხების მეთაური აბი ჰასუნი. იგი გარდაიცვალა ქალაქის მისადგომებთან ბრძოლისას. სა‘დების მმართველობის პერიოდში, მაროკოს დედაქალაქი გახდა მარაქეში, თუმცა

სა'დის შარიფები განსაკუთრებით დაკავებული იყვნენ კარავიინის მეჩეთისა და უნივერსიტეტის გაფართოებით და გალამაზებით [140,7691].

XVI საუკუნის დასაწყისში, ლევ აფრიკელის[1] ცნობით ფესის მოსახლეობის რიცხვმა მიაღწია 125 ათასს.

1603 წლის 20 აგვისტოს, ფესში გარდაიცვალა სა'დების ცნობილი სულთანი ალ-მანსური.

1659 წელს მულაი მუჰამადმა ფესი მიწასთან გაასწორა. 1666 წელს ქალაქი დაიკავა სულთანმა არ-რაშიდმა. მან მდინარე სებუზე აღმართა გრანდიოზული ოთხმალიანი ხიდი, ხელი შეუწყო ქალაქის კეთლმოწყობას, წესრიგში მოიყვანა სარწყავი არხები, განავითარა ვაჭრობა, ხელოსნობა, დააარსა „აშ-შარატინის" მადრესე, ააშენა კასბა, რომელიც დღესდღეობით ცნობილია შერარდას (1670) სახელით [126,513].

1674 წელს, სულთანმა ისმაილმა აიღო ფესი. მართალია, ისმაილს განსაკუთრებით არ უყვარდა ფესი და მარაქეში, მაგრამ ალიმების მიზიდვის მიზნით, მან ააშენა მედრესეები და სახლები მათთვის, ვინც იგი სულთნად აღიარა. მულაი ისმაილმა კიდევ უფრო მოაწესრიგა არხები [60,3]. ქვეყნის მმართველმა გადაიტანა დედაქალაქი მარაქეშიდან მექნესში. სულთან ისმაილის გარდაცვალების შემდეგ, ფესი არაერთხელ გახდა ამბოხებების ცენტრი. საფრანგეთის პროტექტორატის დროს, იგი იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კერად [43,23; 31,26].

ფესში ერთი შეხედვით არაფერი შეცვლილა, თითქოს ყველაფერი ისეთივეა, როგორც იყო საუკუნეების წინ: სახლები, მეჩეთები, ქუჩები, რელიგიური საძმოები, ხელოვნება და პირველ რიგში ხალხი. იგი ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც არ არის მანქანის სადგომები (იგულისხმება „ფᾱს

[1] ალ-ჰასან იბნ მუჰამად ალ-ვაზან აზ-ზაითი ალ-ფასᾱ – თავის თავს უწოდა იუჰანა ალ-ასად ალ-ღარნატი. დაიბადა 1492 წელს გრენადაში (არაბულად „ღარნატა"), რომლის დაცემის შემდეგ მისი ოჯახი დასახლდა ფესში, რის გამოც შეიძინა ნისბა – „ალ-ფᾱსᾱ", მან მიიღო კარგი განათლება. მოღვაწეობდა ბანუ ვატასის და სა'დების კარზე [45,445], აღწერა ქალაქი ფესი. სავარაუდოა, რომ 1515 წელს გაემართა წმინდა ქალაქების მოსალოცად. მოიარა რამდენიმე ქვეყანა. სამშობლოში მიმავალი შეიპყრეს სიცილიელმა მეკობრეებმა და 1520 წელს ჩაიყვანეს ნეაპოლში, შემდგომში ჟირაფთან ერთად „აჩუქეს" რომის პაპ ლეო X-ს (1513-1521), რომლის სახელიც დაერქვა. იტალიაში ლევ აფრიკელი იძულებული გახდა მიეღო ქრისტიანობა. იგი ბოლონიაში ასწავლიდა არაბულს. ესპანურის ცოდნამ კი ხელი შეუწყო იტალიურისა და ლათინურის სწრაფად დაუფლებაში. 1524 წელს, მან ბოლონიაში ერთ-ერთ ებრაელ ექიმს შეუდგინა არაბულ-ებრაულ-ლათინური ლექსიკონი, რომლის ხელნაწერი შენარჩუნდა ესკურიალში. 1526 წელს, ლევ აფრიკელმა დაასრულა ნაშრომი „აფრიკის აღწერა" [45,446], ხოლო 1527 წელს შეადგინა 30 ცნობილი არაბი ფილოსოფოსის და ექიმის ბიოგრაფიები, რომელნიც მოგვიანებით გამოიცა. 1528 წელს დაბრუნდა აფრიკაში და ისევ გახდა მუსლიმი. დასაშვებია, რომ ლევ აფრიკელი გარდაიცვალა 1552 წელს თუნისში [45,447].

ალ-ბალ̄ი“). აქ არის მულაი იდრისის ზავია და წმინდა აკლდამა, რომელიც 1100 წელი ხელშეუხებლადაა შენარჩუნებული [60,64]. იგი ანიჭებს „ბარაქას“ – ყოვლისმიმტევებელ ლოცვა-კურთხევას ყველას, ვინც ჩამოდის ქალაქში აღმოსავლეთიდან ან დასავლეთიდან (ყადიები, ბედუინები, სახელმწიფო მოღვაწეები, სწავლულები, ავადმყოფები...). ეს ალბათ ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც ნებისმიერ ადამიანს – დამნაშავეს ან მკვლელს, გაკოტრებულ ვაჭარს ან მოღალატეს, ქურდს ან ფიცის გამტეხს შეუძლია ჰპოვოს თავშესაფარი მრავალი წლით და იცხოვროს მიღებული მოწყალებით. იგი იქნება წმინდა და ხელშეუხებელი, როგორც ეს ადგილი. მეჩეთის შესასვლელთან ჩერდება მეფის აბიდი, ფელაჰი, უცხოელი ტურისტი. საფრანგეთის პროტექტორატის დროს, ფრანგი პოლიციელი და ყოველი ახალი რეზიდენტი მეჩეთის კედლებთან ტოვებდა ოქროს მონეტას. ასევე, უცხოელები პატისვისცემის ნიშნად დღესდღეისობითაც წირავენ ფულს. ცალკე არის ღარიბთათვის შესაწირი ადგილი. რელიგიური სტატუსის მქონე ქალაქში აკრძალულია სისხლის დაღვრა [60,65].

ფესი, ისევე როგორც მაროკოს სამეფოს სხვა ქალაქები იყოფა ორ ნაწილად: ძველი ფესი – „ფ̄ას ალ-ბალ̄ი“ და ახალი ფესი – „ფ̄ას ალ-ჯადიდ“. მედინა გარშემორტყმულია XII და XIII საუკუნეების დროინდელი „ბაბ ალ-მაჰრუკის“, „ბაბ ბუ-ჯელუდის“ კარიბჭეებით (1911-12). კედლების გარეთაა 1582 წელს აგებული ბასტიონები. ძველ ფესში არის ვიწრო ქუჩების ლაბირინთები, ანდალუსიელების და კაირავანელების კვარტლები, ციხესიმაგრეები. ჩრდილოეთით მდებარე ფერდობებზე აღმართულია მარინიანთა დროინდელი ნეკროპოლი (XIVს. ნაწილი მოიცავს XII საუკუნის ნანგრევებს) [126,513].

„ფ̄ას ალ-ბალ̄ში“ მდებარეობს ისლამურ სამყაროში ცნობილი კარავიინის მეჩეთი და უნივერსიტეტი. გადმოცემის მიხედვით, იგი დააარსა 858 ან 859 წელს კაირავანელი ვაჭრის ერთ-ერთმა ქალიშვილმა, ფატიმამ. XI საუკუნიდან აშენდა 16 მინაშენი, თითოეულში 21 თაღითა და 270 სვეტით [112,81]. კარავიინი გაფართოვდა 956 და 1135 წლებში. 1950 წელს იგი რესტავრირებულ იქნა. მეჩეთის ეზოები დამშვენებულია გალერეებით, XVI-XVII საუკუნეების დროინდელი პავილიონებით, შადრევნებით. დღესდღეისობით, კარავიინი მოიცავს მეჩეთს, უნივერსიტეტს, აკადემიას, ბიბლიოთეკას (დაფუძნდა 1349 წ.), სასწავლო ცენტრს, სადაც ეუფლებიან ცოდნას მაღრიბიდან, ეგვიპტიდან, ლიბიის უდაბნოდან, შორეული ინდოეთიდან ჩამოსული სტუდენტები [60,66;97,163-168].

ძველი ქალაქიდან დასავლეთით მდებარეობს ახალი ქალაქი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს მარინიანებმა (1276). ფესის ორი ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირებულია ბაღებით. „ფᾱს ალ-ჯადᾱდში“ მდებარეობს „დარ ალ-მახზანის“ სასახლე (XIII საუკუნის დასასრ., XVI-XVIII სს.), დიდი მეჩეთი (1276) ჭრელი მინარეთით, მელაჰი. მრავალმა ებრაელმა ოქრომჭედელმა, თუ იუველირმა, რომლებიც ოდესღაც აქ ცხოვრობდნენ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის (1948) შემდეგ დატოვეს ფესი. ქალაქის ახალ ნაწილში აგრეთვე მდებარეობს „ალ-ჰამრას“ (1339) და „ალ-ზჰარის“ მეჩეთები (1357). ჩრდილოეთითაა შერარდას კასბა. ფესის მთავარ მეჩეთში ქალებს არ უშვებენ [44,23].

ქალაქის ღირშესანიშნაობად ასევე ითვლება „ალ-ატარინის“ (1323-25), „ბუ-ინანიას“ (1357) მედრესეები და მოკფიას (XIXს) აბანო [126,513].

XIX საუკუნის დასასრულამდე ფესი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც იკერებოდა საქვეყნოდ ცნობილი „ფესა“ (წაკვეთილი კონუსისებური ფორმის წითელი ფერის ქუდი), რომელსაც ხშირად თურქულ წარმომავლობას მიაწერენ.

XX საუკუნის ათიან წლებში, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, საფრანგეთის რეზიდენტის ლიოტეს (იგივე ლიოტიე-[1911-25]) თაოსნობით დაიწყო თანამედროვე ქალაქის შენება, სადაც განლაგებულია საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობები. 1912 წელს, რეზიდენტმა მღელვარე ფესს ამჯობინა რაბატი, რომელიც დედაქალაქად აქცია.

ქალაქგარე ზონა მოიცავს ვილებსა და ბაღებს. ფესიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით შემორჩენილია ამარგუს ციხის ნანგრევები (XI-XII სს.), მრგვალი კოშკი [128,751].

გაზაფხულობით, ფესში ეწყობა „სულთან ტოლბას“ დღესასწაული და წელიწადში ერთხელ იმართება ისლამური კონფერენცია. „სულთან ტოლბას“ შემოღებასთან დაკავშირებით ისტორიკოსთა შორის განსხვავებული ვერსიები არსებობს. ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი უკავშირდება არ-რაშიდის ფესში შესვლასა და მის ქორწილს, ხოლო ისტორიკოსების მეორე ნაწილი თვლის, რომ დღესასწაული დაკავშირებულია სულთან ისმაილის სახელთან. ზეიმი გრძელდება სამი დღე. ამ დროს, კარავიინის უნივერსიტეტის სტუდენტები ირჩევენ „სულთანს“ და მოსახლეობა წირავს ფულს. არჩეული სულთანი ერთი საათით ხვდება მონარქს, რომელიც ღებულობს მას, როგორც „თანასწორს“. დღესასწაულის დღეებში, მატულობს სტუმართა და ტურისტთა რიცხვი, რასაც

ბუნებრივია ვაჭრები იყენებენ თავიანთ სასარგებლოდ. სამი დღის მანძილზე „სულთან ტოლბას“ „ემორჩილება“ ყველა [94,146-147].

ქალაქი ფესი, ქვეყნის ჩრდილოეთის დედაქალაქი, არის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი, ხალხური ხელოვნების ტრადიციული დარგების – საფეიქრო საქმის, მეთუნეობის, საიუველირო, ტყავის დამუშავების, მეხალიჩეობის ცენტრი და სახელმწიფოს სატრანსპორტო კვანძი [128,751]. მან, როგორც არაბული მაღრიბის ინტელექტუალური და რელიგიური ცხოვრების კერამ, დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. მისი დაარსება ეს იყო ახალი ეპოქის დასაწყისი მაროკოს ისტორიაში. ფესმა წარმატებით გაუწია კონკურენცია სხვა მნიშვნელოვან ქალაქებს და რელიგიურ სასწავლებლებს [124,10].

მარაქეში XI საუკუნეში სანჰაჯას ტომის ბელადმა, იაჰია ბ. იბრაჰიმმა თანამოაზრეებში ისლამის გავრცელების მიზნით, მიიწვია ცნობილი მაროკოელი თეოლოგი ‘აბდ ალ-ლაჰ იბნ იასინი. ვინაიდან, მდინარე ნიგერზე სანჰაჯელმა ბერბერებმა აღმართეს ციხესიმაგრე, არაბულად „რიბატ“ (გამაგრებული ადგილი, მონასტერი), ამ საძმოს წევრებს უწოდებენ მურაბიტებს. 1042 წელს, იბნ იასინმა დაიწყო ისლამის გავრცელება საჰარის ბერბერებსა და ტაკრურის ზანგებს შორის. 1055 წელს მურაბიტებმა დაიკავეს დღევანდელი მაროკოს და ალჟირის დიდი ნაწილი. მოგვიანებით, 1062 წელს მათმა ცნობილმა სარდალმა, იუსუფ იბნ თაშფინმა საფუძველი ჩაუყარა ქალაქ მარაქეშს (არაბ. „მარრაქუშ“, დაარსდა 1071 წელს), რომლისგანაც მომდინარეობს ქვეყნის თანამედროვე სახელწოდება [56,167; 27,56; 44,40; 97,84-109;103,5].

მარაქეშს უწოდებენ „წითელ ქალაქს“, რადგანაც იგი გარშემორტყმულია წითელი კედლებით. ქალაქის სახელის ზუსტი წარმომავლობა უცნობია. ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ის მომდინარეობს ბერბერული სიტყვიდან, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთ ბიბლიურ პერსონაჟთან. ნაწილი ვარაუდობს, რომ მასმუდას დიალექტზე „მარრაქაშ“ ნიშნავს მგზავრის გაფრთხილებას – „არ შეყოვნდე“ და მიიჩნევენ, რომ ის ბერბერული სიტყვაა და ნიშნავს “mur”(n)“akush”-ღვთის მიწას. ამასთანავე, მეცნიერთა უმრავლესობა ქალაქის სახელს განმარტავს, როგორც წითელს, მორთულს[151,1].

უდაოა, რომ თაშფინი მოხიბლა მომავალი დედაქალაქის მშრალმა და ჯანსაღმა კლიმატმა. მან გაშალა სელის კარვები, შემოარტყა ბანაკს სარტყელი და ააგო კასბა იარაღის შესანახად. იბნ თაშფინმა გათხარა ჭები, რომლებიც

უერთდებოდა ერთმანეთს კეტარას მიწისქვეშა მილების მეშვეობით. მოგვიანებით, აბუ ბაქრმა ააგო ქვის სასახლე – „კასრ ალ-ჰაჯარ“. 1132 წელს (ან 1130) იბნ თაშფინის მემკვიდრემ, რომელიც მას შეეძინა ქრისტიანი ტყვე ქალისგან, ალი ბ. იუსუფმა მარაქეშს შემოავლო 15 კილომეტრიანი გალავანი. ალ-მურაბიტების დროს მარაქეშში ფეხი მოიკიდა ანდალუსიურმა კულტურამ. ამირას კარზე მოღვაწეობდნენ ცნობილი ღვთისმეტყველები: ყადი აიადი, შუა საუკუნეების ერთ-ერთი საუკეთესო ექიმი იბნ ზუჰრი, ინჟინერი ბინ იუნი, რომელმაც კიდევ უფრო დახვეწა კეტარას საირიგაციო სისტემა [87,12; 31,20; 23,142].

მარაქეში აშენდა ალ-მურაბიტების მიერ ესპანეთში დაგროვილი ნადავლის ხარჯზე. იგი იყო უზარმაზარი იმპერიის დედაქალაქი, რომლის საზღვრები გაშლილი იყო სენეგალიდან კაბილიამდე და სარაგოსიდან სანტარენამდე. 1147 წელს მარაქეში დაიკავა ‘აბდ ალ-მუ’მინმა. თავდაპირველად ალ-მუვაჰიდებმა მარაქეში ფაქტობრივად მიწასთან გაასწორეს. ნაწილობრივ გადარჩა ის ორი სიმაგრე, რომელნიც წინამორბედების დროს იცავდა ქალაქს რიფისა და მასმუდას ტომების თავდასხმებისაგან. მარაქეშის ახალმა მმართველებმა მალე აღადგინეს დანგრეული ნაგებობები იმ ანდალუსიელი არქიტექტორების მეშვეობით, რომლებმაც ააგეს ქალაქი. შენარჩუნდა იბნ თაშფინის საფლავი და ცნობილი აგდალის ბაღები. ალი იბნ იუსუფის დიდი მეჩეთისგან გადარჩა მინბარი. დროთა განმავლობაში, ალ-მუვაჰიდებს შორის წარმოქმნილმა განხეთქილებამ გამოიწვია ესპანელ ქრისტიანთა ჩარევა მაღრიბის ქვეყნების საშინაო საქმეებში. აღსანიშნავია, რომ ღვთისმშობლის ტაძრის აშენების სანაცვლოდ, კასტილიის მეფემ ფერნანდო III-მ, ‘აბდ ალ-მუ’მინს გაუგზავნა 12 ათასი მხედარი. 1232 წელს ტაძარი დაანგრიეს, მაგრამ მარაქეშის საეპისკოპოსო არსებობდა XIV საუკუნემდე [87,14; 40,152].

„წითელი ქალაქის“ კეთილმოწყობაზე განსაკუთრებით ზრუნავდა ალ-მუვაჰიდების ერთ-ერთი სახელგანთქმული მმართველი ალ-მანსური (1184-1199), რომლის კარზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სახელოვანი ფილოსოფოსი და მეცნიერი იბნ რუშდი (1126-1198). ალ-მანსურმა ციტადელში ააგო 11 ან 12 სასახლე. მან დააარსა მადრასა, სადაც მუსლიმები იღებდნენ განათლებას უსასყიდლოდ და წელიწადში ერთხელ ღებულობდნენ საჭირო ტანისამოსს. მედრესეში სამხედრო ხელოვნების გარდა, ასწავლიდნენ სახელმწიფოს მართვას. ვინც ირიცხებოდა სახელმწიფოს მართვის დარგზე, მას ევალებოდა სამართლის ცოდნა. აღნიშნულ პროფესიას ეუფლებოდნენ ამირას ან შეძლებული ფენის

შვილები. ალ-მანსურმა, მარაქეშში ააშენა დიდი საავადმყოფო - კეთილმოწყობილი პალატებითა და ლამაზი ბაღებით. აღსანიშნავია, რომ მარაქეში ცნობილი იყო, როგორც ჰომეოპატიის ცენტრი [101,106].

ალ-მანსურის დროინდელი მეჩეთებიდან გადარჩა ცნობილი 67-მეტრიანი მინარეთი – „ქუთუბია“, რომელიც აიგო (1199) „კასრ ალ-ჰაჯარის“ ადგილზე. მას ასე იმიტომ ეწოდა, რომ მისგან დაახლოებით ას მეტრში იყიდებოდა წიგნები („ქუთუბ“). „ქუთუბიას“ თავს ამშვენებს ოთხი მოოქროვილი სპილენძის ბურთი [121,871]. წყაროების მიხედვით, ალ-მანსურის ერთ-ერთმა ცოლმა ან გაყიდა ქორწილში მიღებული ძვირფასი სამკაულები და აღებული თანხით გააკეთებინა ბურთები, ან უბრალოდ გადაადნო ძვირფასეულობა. სავარაუდოა, რომ ამით მას უნდოდა ცოდვების გამოსყიდვა. საუკუნეების მანძილზე, ბურთების მოჭრის მიზნით (ეგონათ ოქროსი), მრავალმა ყაჩაღმა თუ მმართველმა მოინდომა მათი ჩამოხსნა, მაგრამ უცნაური მოვლენების გამო ხელს იღებდნენ ამ განზრახვაზე. ამბობენ, რომ ვინც ეს ბურთები დაკიდა, წარმოთქვა მაგიური ლოცვა, რათა ზებუნებრივ ძალებს ისინი მუდმივად დაეცვათ. ასტროლოგების მტკიცებით, ბურთები ინარჩუნებდნენ წონასწორობას პლანეტების ზეგავლენის წყალობით [4,79; 73,141; 87,1].

ლეგენდის მიხედვით, 67-მეტრიანი ქუთუბიას ადგილზე თავდაპირველად აიგო სხვა მეჩეთი (1147). ვინაიდან კიბლა არასწორად იყო მიმართული მექისკენ, მალე დაანგრიეს, ხოლო ‘აბდ ალ-მუ’მინმა მისი მშენებელი სიკვდილით დასაჯა. ქუთუბია მუსლიმურ სამყაროში ითვლება სამთაგან (ჰასანის კოშკი რაბატში, ლა-ჯირალდა სევილიაში) ერთ-ერთ ულამაზეს ნაგებობად [148,2; 46,23]. 1269 წელს, როცა მარაქეში დაიკავეს მარინიანებმა, დედაქალაქმა ფესში გადაინაცვლა.

როგორც აღინიშნა 1548 წელს, სა‘დების შარიფებმა დაიპყრეს მარაქეში, მისი მოსაზღვრე ტერიტორიით. მათ ქალაქი კვლავ აქციეს დედაქალაქად. ისინი განსაკუთრებით ზრუნავდნენ მის გალამაზებაზე. სა‘დმა სულთანმა მუჰამად ალ-მაჰდიმ (1517-1557) მარაქეშში ააშენა სასახლეები და სხვა ნაგებობანი. მან მიიღო „ამირ ალ-მუ‘მინინის“ ტიტული, რომელსაც შემდგომში ატარებდა მაროკოს ყველა მმართველი [23,187; 37,266]. აღსანიშნავია, რომ მარაქეშში გავრცელებული იყო მალიქიტური მაზჰაბი.[1]

[1] მალიქიტური მაზჰაბი – მომდინარეობს მედინელი მალიქ იბნ ანასიდან (713-795). მალიქიტები კრძალავდნენ ყურანის და სუნას ახსნა-განმარტებას. ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ ფიკჰისა და მისი განშტოების ფურუ‘ს სწავლას. მალიქიტები მაღრიბში ასრულებდნენ ყადიების და იმამების ფუნქციას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დაკავებული იყო მშრალი კაზუისტიკით [60,76-77].

1578-93 წლებში სა'დების სახელოვანმა სულთანმა, ალ-მანსურმა ააშენა „ალ-ბადის“ სასახლე – მეჩეთებითა და საჯინიბოებით. იგი აიგო ესპანურ-მავრითანულ სტილში. სამშენებლო მასალად გამოყენებულ იქნა ონიქსი, ოქრო, იტალიური მარმარილო. სასახლეს ეკავა 50 ჰექტარი. მოგვიანებით, სულთან ისმაილის ბრძანებით 1696 წელს „ალ-ბადი“ ნანგრევებად იქცა, რადგანაც შარიფმა იგი მექნესის სამშენებლო მასალად გამოიყენა. დღესდღეისობით, ყოველ წელს სასახლის ნანგრევებში ეწყობა მაროკოული ფოლკლორის ფესტივალი [143,1]. ალ-მანსურის მმართველობის პერიოდში, აშენდა სა'დების შარიფების აკლდამა, რომელიც ასევე წარმოადგენს მუსლიმური არქიტექტურის ერთ-ერთ შედევრს. მულაი ისმაილმა ვერ გაბედა მისი ხელყოფა, თუმცა დაფარა ალ-მანსურის მეჩეთის კედლებით. 1917 წლამდე არამუსლიმებს ეკრძალებოდათ აკლდამაში შესვლა. სა'დების მავზოლეუმი შედგება სამი დარბაზისგან. აქ განისვენებენ სა'დების 66 „მეთაური“, მათი მემკვიდრეები, უახლოესი ნათესავები და დინასტიის სხვა ასი წარმომადგენელი [144,2].

1668 წელს მარაქეში დაიკავა სულთანმა არ-რაშიდმა. შარიფმა განსაკუთრებით იზრუნა ქალაქზე, ააგო შენობები, გააშენა ბაღი.

როგორც აღინიშნა 1677 წელს სულთანმა ისმაილმა იერიშით აიღო „წითელი ქალაქი“ და მოსახლეობის ნაწილი სიკვდილით დასაჯა. ისმაილის მმართველობის პერიოდში, მარაქეშმა დაკარგა დედაქალაქის სტატუსი და იგი მექნესს დაუთმო [39,261]. ხანგამოშვებით, მულაი ისმაილის მემკვიდრეების დროს, მარაქეში ისევ გახდა მაროკოს დედაქალაქი. 1873 წელს, იქ სულთნად აკურთხეს მულაი ჰასან I.

1880 წლიდან დაიწყო „ბაჰიას“ ანუ „ლამაზმანის სასახლის“ შენება. იგი ააგო დიდმა ვაზირმა სიდი მუსამ ერთ-ერთი მეუღლის საპატივსაცემოდ (მას ჰყავდა სულ 24 ცოლი). მშენებლობის დასრულების შემდეგაც, ვაზირი ყიდულობდა მის გარშემო მდებარე მიწებს. მან რამდენჯერმე გადააკეთა სასახლე. მთავარ არქიტექტორს, ალ-ჰაჯ მუჰამად ბინ მაკი ალ-მისუფს შვიდი წელი დასჭირდა სიდი მუსას ახირებების შესასრულებლად. საბოლოო ჯამში, ბაჰია გადაიქცა ლაბირინთად და აცდა დაგეგმილ პროექტს. გადმოცემის მიხედვით, დიდ ვაზირს არ მოწონდა მაღალი ნაგებობანი და ამიტომ, სასახლე არც ისე მაღალია. იგი უპირატესობას ანიჭებდა პირველ სართულს. ბაჰია იმდენად ლამაზი გამოვიდა, რომ მან აჯობა სამეფოს ყველა დანარჩენ სასახლეს, რაც ბუნებრივია არ მოეწონა ახალგაზრდა სულთანს 'აბდ

ალ-‘აზიზს. 1900 წელს, როდესაც გარდაიცვალა სიდი მუსა, სულთნის ბრძანებით ბაჰია გაძარცვეს. 1912 წელს კი საფრანგეთის რეზიდენტმა ლიოტემ, ამოირჩია სასახლე რეზიდენციად. რეზიდენტი ვერ იტანდა სიცივეს, რის გამოც მან სასახლეში გააკეთებინა ბუხრები, რამაც დააზიანა მისი კედლები. დროთა განმავლობაში, ბაჰია გადაიქცა სასტუმროდ. მას სტუმრობდნენ გამოჩენილი ევროპელი და ამერიკელი საზოგადო მოღვაწეები, პოლიტიკოსები. თუმცა თანამედროვე სასტუმროებმა სასახლე დაჩრდილეს. ამჟამად, იქ მიჰყავთ ტურისტები [144,2; 153,1].

1912 წელს მარაქეში დაიკავეს საჰარის ტომის ჰიბას მეამბოხეებმა. მათ გაანადგურეს ფრანგები. პროტექტორატის დროს, ქალაქის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა დაეცა. მას მართავდნენ საფრანგეთის მიერ დანიშნული პირები, რისი უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ჰაჯ ტამი. იგი ისტორიაში შევიდა, როგორც მუჰამად V-ს ტახტიდან ჩამოგდების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი [15,129; 152,1].

გარდა ამისა, ატლასის მთების გავლით მარაქეშზე მუდმივად გადიოდა საქარავნო გზა (საჰარიდან და თიმბუქთუდან), დატვირთული ოქროთი, მონებით, მარილით. საქონელი შემდგომში იტვირთებოდა ატლანტის ოკეანის პორტებში და გადიოდა ევროპაში. „წითელ ქალაქში“ კარგად განვითარებული ვაჭრობა ხელს უწყობდა მის კეთილდღეობას.

მარაქეში, ისევე როგორც მაროკოს სხვა ქალაქები იყოფა ორ ნაწილად. მედინას ცენტრში მდებარეობს ცნობილი „ჯამ‘ ალ-ფანᾶ’ს“[1] მოედანი. 1912 წლამდე მოედნის კედლებზე ეკიდა სიკვდილმისჯილთა – მტრების, მოღალატეების, მეამბოხეთა ან დამნაშავეთა თავები. ძველად, მზის ჩასვლის შემდეგ კარიბჭე იკეტებოდა, ვინც ვერ ასწრებდა ქალაქში შესვლას და ცდილობდა კედლებიდან გადასვლას მტრად ითვლებოდა და ახრჩობდნენ. დღესდღეისობით „ჯამ‘ ალ-ფანᾶ“ წარმოადგენს ხალხის თავშეყრის, ბაზრობის და გასართობ ადგილს. მედინაში თავმოყრილია მეჩეთები, სასახლეები, ზავიები. აღსანიშნავია „ქუბა ალ-ბაადინის“ აგურის ექვსთაღიანი გუმბათოვანი პავილიონი (XI-XII სს.), იბნ იუსუფის დროინდელი რვა ეზოიანი მედრესე (დაარსდა XIVს, რეკონსტრირებული იქნა 1565 ან 1569 წელს) ყადი აიადის მეჩეთი და უნივერსიტეტი, „დარ სი საიდის“ სასახლე – დღევანდელი

[1] ჯამᾶ’ა - არაბულად სახალხო, რელიგიური თავყრილობა, მოედანი. ალ-ფანᾶ’ – სიკვდილმისჯილები, ისინი, ვინც ჩამოახრჩეს, დახვრიტეს, მოჰკვეთეს თავი ან ხელ-ფეხი.

ხელოვნების მუზეუმი (XIXს), „შვიდი წმინდანის აკლდამა“, რომლის ისტორია დაკავშირებულია სულთან ისმაილის მმართველობასთან და სუფიზმის დიდ გავლენასთან. შაიხ აბუ ალი ალ-ჰასან ალ-იუსიმ, მულაი ისმაილის მითითებით, საფუძველი ჩაუყარა ეს-სუვეირას მსგავსად რეგრეგას - „წმინდანების ფესტივალს“ [116,164; 38,46; 151,1].

ქალაქი მარაქეში განთქმულია აგდალის (XII ს., 405 ჰექტარი), მენარას (XVII ს.) ზეთისხილის და ფრანგი მხატვარის ჟაკ მაჟორელის (1886-1962) ბაღებით, ფინიკის პალმების ტყით. გადმოცემის მიხედვით, მარაქეშის ერთ-ერთი ალყის დროს დამპყრობლებს არაფერი ჰქონდათ საჭმელი ფინიკის გარდა. მათი წასვლის შემდეგ ქალაქის გარშემო აღმოცენდა ტყე, როგორც ჯილდო ალყაშემორტყმულთათვის [146,1; 15,129].

ტრადიციისამებრ, „წითელი ქალაქის“ თითოეული სახლის ჭიშკარზე კიდია რგოლი და თითქმის ყველა რგოლზე მოხატულია მოციქულის ქალიშვილის, ფატიმას ხელი, რომელიც იცავს ოჯახს ბოროტი ძალებისაგან, ქურდებისაგან, ხანძრისაგან, თავდასხმებისაგან და ყოველივე სიბოროტისაგან [60,30].

აღსანიშნავია, რომ ქალაქში ცხოვრობენ იუდეველები. მათი ნაწილი დასახლდა მარაქეშში 70 წელს რომაელების მიერ იერუსალიმის და სოლომონის ტაძრის დანგრევის შემდეგ. ნაწილი დამკვიდრდა აქ ესპანელ მუსლიმებთან ერთად XVIII საუკუნის დასაწყისში.[1]

მედინას სამხრეთით ეკვრის კასბა, ხოლო მისგან დასავლეთით მდებარეობს თანამედროვე ქალაქი - „გელიზ“, რომელიც შენდება 1913 წლიდან. მარაქეშიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 კილომეტრში XII საუკუნის დროინდელი „ტასგიმუტას“ ციხის ნანგრევებია [15,129].

დღესდღეობით, მარაქეშს განაგებს „ფაშა“ – რაიონის გუბერნატორის მოადგილე. „წითელი ქალაქი“ არის მარაქეშის პროვინციის ადმინისტრაციული და სამხრეთ მაროკოს მთავარი ეკონომიკური ცენტრი. ზედა ატლასის და საჰარის მკვიდრებს აქ ჩამოაქვთ გასაყიდად მატყლი, ტყავი. თვითონ იძენენ

[1] მარაქეშში არიან ისეთი ებრაელებიც, რომლებმაც მიიღეს ისლამი და ითვლებიან ბერბერებად ან არაბებად [55,19]. მარაქეშში აგრეთვე ცხოვრობენ ევროპელები. უმეტესწილად ესენი არიან ვაჭრები და სამუშაოს მაძიებლები. ყოველწლიურად, სამყაროს ყველა კუთხიდან ქალაქში ათასობით ტურისტი ჩამოდის. მარაქეშის ქუჩები ლაბირინთივითაა და როგორც საუკუნეების წინ, აქაა ისეთი ქუჩები, სადაც მუშაობენ მჭედლები, მეჩუქურთმეები. „წითელ ქალაქში“ არის ე.წ. სუკების რაიონი საწყობებით, მაღაზიებით, სავაჭრო დუქნებით, წვრილი და მსხვილი სახელოსნოებით, სადაც შეიძლება ყველაფრის შეძენა [60,20].

აუცილებელ ნივთებს და ევროპულ ნაწარმს [130,871; 72,72]. 1985 წლიდან ქალაქის ძველი ნაწილი - „მედინა“ შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში.

რაბატი VII-X საუკუნეებში, იმ რეგიონებში, სადაც მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის არსებობდა სამხედრო-იდეოლოგიური დაპირისპირება გაჩნდა ეგრეთწოდებული რიბატი. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა მხოლოდ ციხესიმაგრეს და დასახლებული იყო სარწმუნოებისათვის მებრძოლი მოხალისეებით. „დარ ალ-ისლამის“ ტერიტორიაზე, ხალიფა ომარ I-ის (634-644) დროიდან მოყოლებული, სამხედრო მოვალეობის შესრულება საღვთო საქმედ ითვლებოდა და ისლამის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. რიბატის მებრძოლები – ალ-მურაბიტები იცავდნენ პურიტანული ისლამის მკაცრ წესებს, ხოლო X-XI საუკუნეებიდან რაბატი არაბულ მაღრიბში უბრალო სამხედრო სიმაგრე გახდა. მოგვიანებით, ალ-მუვაჰიდების მმართველობის პერიოდში დაარსდა დღევანდელი მაროკოს სამეფოს დედაქალაქი, არაბულად „არ-რიბᾱტ“, რომელიც ასრულებდა გამაგრებული სიმაგრის და პორტის როლს [21,198; 139,5080; 56,208; 11,162;97,216-219].

1150 წელს (სხვა მონაცემებზე დაყრდნობით 1138 წ.), ხალიფა ‘აბდ ალ-მუ’მინმა ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, მდინარე ბუ-რეგრეგის მარცხენა ნაპირზე, ფრიალო კლდეზე აღმართა საბრძოლო მასალისათვის გამაგრებული სიმაგრე, რომელსაც უწოდა გამარჯვების ბანაკი ანუ „რიბᾱტუ-ლ-ფათჰ“. ამავე დროს, გამარჯვების ბანაკი წარმოადგენდა ესპანეთში გადასასვლელ უმოკლეს გზას, საიდანაც ხალიფა აწარმოებდა სამხედრო ოპერაციებს ალ-მურაბიტების წინააღმდეგ. მან შეძლო სამხრეთ მაროკოს და ესპანეთის დაპყრობა. მეომრები მარაგდებოდნენ წყაროს, ‘აინ-გაბულას წყლით. „რიბᾱტუ-ლ-ფათჰ“ გარშემორტყმული იყო გალავნით და მოიცავდა კვადრატული ფორმის, სწორკუთხა კოშკს. გალავნის ნაწილი დღემდე კარგადაა შენარჩუნებული. ბანაკი გადაჭიმული იყო 450 ჰექტარზე [8,101; 43,19; 75,1087].

აღსანიშნავია, რომ რაბატ-სალეს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ, ჯერ კიდევ არაბების დამკვიდრებამდე მიიზიდა ფინიკიელები, კართაგენელები და რომაელები. აქ გადიოდა რომის იმპერიის სამფლობელოების მთავარი საზღვარი და ქალაქი სალე ცნობილი იყო შელას სახელით (სალე, არაბულად „სალᾱ“, „სლᾱ“, ესპანურად „შელა“ – ნიშნავს უკვდავს).

X საუკუნეში, მდინარე ბუ-რეგრეგის ორივე ნაპირზე დასახლდნენ ბერბერები. სალე სწრაფად განვითარდა: აშენდა ბაზრები, აბანოები, სასტუმროები, სახლები, ხიდი და რაც უმნიშვნელოვანესია აიგო წყალსატევი. რაც შეეხება რაბატს, აქ ბერბერები მოვიდნენ მაროკოს ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონებიდან, თუმცა ისინი სალეში უფრო მრავლად არიან [144,1; 114,46].

გადმოცემის მიხედვით, ხალიფა ალ-მანსურს, რომელიც ფლობდა გრენადას, ჯარის დაბანაკებას ურჩევდნენ გიბრალტარის სრუტის ნაპირზე, ქალაქ სეუტაში, მაგრამ მან რაიონის მწირი ნიადაგის გამო და მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად, ააშენა ნამდვილი ქალაქი „რიბატუ-ლ-ფათჰის“ გარშემო. გარდა ამისა, იმდროინდელი დედაქალაქი ძალიან შორს იყო ესპანეთისგან და საჭიროების შემთხვევაში ალ-მანსური დახმარებას ვერ გაუწევდა ჯარს. ქალაქში აიგო მედრესეები, სასახლეები, დუქნები. მიიწვიეს ხელოსნები, ვაჭრები, სწავლულები. ხალიფას ბრძანებით, რაბატის მოსახლეობას დაენიშნა დამატებით გასამრჯელო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლებიდან. ამიტომ, ქალაქში იწყეს დასახლება სხვადასხვა სოციალური ფენის და პროფესიის ადამიანებმა, რამაც ხელი შეუწყო მის განვითარებას. მაცხოვრებლების ნაწილი ეწეოდა ვაჭრობას სამეფო კართან. რაბატი გახდა აფრიკის კონტინენტზე ერთ-ერთი ცნობილი და მდიდარი ქალაქი [4,117].

რაბატის წყლით უზრუნველყოფის მიზნით, სუვერენმა გაიყვანა აკვედუკი, რომელიც ამარაგებდა მას 12 მილზე მდებარე წყაროს წყლით. აკვედუკი იყოფოდა ტოტებად, საიდანაც წყალი მიედინებოდა საცხოვრებელი სახლების, მედრესეების, ტაძრების, სასახლეების, აბანოების და შადრევნების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ რაბატში მდინარე უერთდება ოკეანეს და ადის 10 მილზე, ამიტომ წყალი ჭებში მარილიანია [75,1087; 73,118].

ალ-მანსური ცხოვრობდა რაბატში აპრილის თვიდან მაისამდე. იგი, ისევე როგორც ალ-მუვაჰიდების სხვა მმართველები, აგებდა მეჩეთებსა და სასახლეებს. 1185-89 წლებში, რაბატს სამხრეთით და დასავლეთით შემოარტყეს დიდი გალავანი, რომელსაც 5 კარი დაატანეს. იგი გადაჭიმული იყო თითქმის 6 კილომეტრზე. ყველაზე კარგადაა შემონახული „ბაბ არ-რუჰის“ (XII ს) კარიბჭე. სამხედრო ნაგებობების კომპლექსი და მის შიგნით აღმართული კასბა უდაია იცავდა ქალაქს ოკეანისა და მდინარის მხრიდან.

1197-98 წლებში, ხალიფა ალ-მანსურმა ესპანეთში გადასვლამდე ბრძანა იმამ ჰასანის მეჩეთის აგება. მან პირადად შეარჩია ადგილი ქალაქის ყველაზე

მიუდგომელ და ამაღლებულ ადგილზე. ჰასანის მეჩეთი უნდა ყოფილიყო ყველაზე დიდი ისლამურ სამყაროში, მაგრამ ხალიფამ ვერ მოასწრო მისი აშენება. იგი ოცნებობდა ისეთი მეჩეთის აგებაზე, სადაც მთლიანად განთავსდებოდა მისი ჯარი და შეძლებდა მინარეთში ცხენით შესვლას. მეჩეთს ჰქონდა 16 კარი, 3 შიდა ეზო და დაახლოებით 400 სვეტი. მას ეკავა 183x140 მიწის ფართობი. მოგვიანებით, იგი გაანადგურა XVIII საუკუნეში მომხდარმა მიწისძვრამ. ჰასანის მეჩეთიდან შემორჩა მხოლოდ 260 სვეტი და ვარდისფერი ქვის 44-მეტრიანი მინარეთი, რომელიც არაა რადიოფიცირებული და წარმოადგენს ალ-მუვაჰიდების არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშს [99,25; 36,26; 43,69; 59,63]. ალ-მანსურის გარდაცვალების შემდეგ რაბატი იმდენად დაზიანდა, რომ მისგან სამწუხაროდ არ დარჩა მეათედი ნაწილიც კი, დაზიანდა აკვედუკიც [43,152; 158,2].

1248 წელს რაბატი და სალე დაიკავეს მარინიანებმა. ქალაქის ნაწილი დაეთმო ბაღებსა და ვენახებს. დასახლებულ ნაწილს მოიცავდა მხოლოდ 2 ან 3 კვარტალი. ქალაქს ყოველთვის ემუქრებოდა საფრთხე პორტუგალიელების მხრიდან, რადგანაც პორტუგალიის მონარქები თვლიდნენ, რომ თუ დაეუფლებოდნენ მას, ადვილად დაიმორჩილებდნენ ფესის სამეფოს. მარინიანთა მმართველობის პერიოდში, ქალაქი კვლავ ასრულებდა გამაგრებული ბანაკის როლს, სადაც თავს იყრიდა ლაშქარი ესპანეთში გადასასვლელად [31,22].

XVII საუკუნის დასაწყისში, სალესა და რაბატის თემი გაერთიანდა და იქცა ჯერ ესპანეათიდან გამოძევებული მავრების[1] თავშესაფრად, შემდეგ სალეს მეკობრეთა კერად. ანდალუსიელი მავრების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ მედინაში [132,870]. ქალაქ ორანჰოსიდან გამოსულმა ესპანელმა მუსლიმებმა შექმნეს იმ დროისათვის დამახასიათებელი „მეკობრული რესპუბლიკა“, რომლის მეთაურები დამოუკიდებლად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს უცხოეთის ქვეყნებთან. მეკობრეები აწიოკებდნენ ევროპის სანაპიროებს კანარის კუნძულებიდან ისლანდიამდე. ანდალუსიელმა მავრებმა რაბატს უწოდეს „სლᾱ ალ-ჯადᾱდ“. შუა საუკუნეების ევროპაში, რაბატი ევროპაში ცნობილი გახდა

[1] მავრი, ისევე როგორც მავრითანული, მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „მავროს“ (შავი). მოდის ანტიკური ეპოქიდან, როდესაც მავრებს უწოდებდნენ მაღრიბის, მავრითანიის სახელმწიფოს ძირძველ ბერბერ მოსახლეობას. VIII საუკუნეში ბერბერ-არაბების პირინეის ნახევარკუნძულზე შეჭრის შემდეგ, სახელწოდება „მავრ“ გავრცელდა ჩრდილოეთ აფრიკიდან მოსულ ბერბერებსა და არაბებზე [30,137].

„ახალი სალეს“ სახელით და ასრულებდა მნიშვნელოვანი კვანძის როლს ხმელთაშუაზღვისპირეთის მოსახლეობისათვის.

XVII საუკუნის დასაწყისში, ‘ალავიტმა სულთნებმა რაბატში დაასახლეს არაბული ტომი უდაია, რომლის სახელსაც ატარებს „კასბა უდაია“. ამავე საუკუნეში რაბატი კედლით გაყვეს ორ ნაწილად, ჩრდილოეთ ნაწილს ეწოდა მედინა.

1627 წლიდან სალეს „მეკობრეთა რესპუბლიკა“ (1667-მდე) აერთიანებდა რაბატს და ესპანეთის ქალაქების მიხედვით, მას სათავეში ედგა არჩევითი საბჭო. მეკობრეები შეავიწროვა სულთანმა ისმაილმა, რომლის მოხელეები კონტროლს უწევდნენ მათ საქმიანობას და იღებდნენ ხაზინის შემოსავლის 2/3-ს. 1641 წელს მარაბუტმა ალ-‘ა’იაშმა გაავრცელა თავისი ძალაუფლება მექნესზე, ფესსა და მეკობრეთა „რაბატ-სალეს რესპუბლიკაზე“. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ინგლისთან და საფრანგეთთან [90,316]. XVII საუკუნის 90-იან წლებში კი, სალეში კერძო პირები დაეპატრონენ მეკობრეთა გემებს [30,224]. როგორც აღინიშნა, მოგვიანებით მულაი სლიმანმა ლუდოვიკო XVIII-თან ერთად გაანადგურა მათი ხომალდები.[1] მეკობრეების სამხედრო ძლიერებას გვახსენებს უზარმაზარი ქონგურებიანი აგურის კედელი და აქა-იქ შემორჩენილი ბასტიონები. გარდა ამისა, დღევანდელ დედაქალაქში ცხოვრობდნენ ევროპელი ავანტურისტები. ზოგიერთი მათგანი იღებდა ისლამს და სამუდამოდ რჩებოდა მაღრიბში საცხოვრებლად [23,175].

1755 წელს ქალაქში მოხდა მიწისძვრა. იგი შევიდა ისტორიაში ლისაბონის მიწისძვრის სახელით, რის გამოც რაბატმა დაკარგა პორტის ფუნქცია. თუ სამი საუკუნის წინ ნაოსნობა შესაძლებელი იყო ბუ-რეგრეგის ზემოთ მდებარე „ბაბ მრისის“ კარიბჭემდე, დღესდღეობით, ეს შეუძლებელია. იგი, როგორც საპორტო ქალაქი დაჩრდილეს ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე პორტებმა, კენიტრამ და კასაბლანკამ [77,72; 132,870].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რაბატსა და მის შემოგარენში იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, რამაც 60 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. როგორც აღინიშნა, მაროკოში ეპიდემიებს ხშირად ჰქონდა ადგილი.

---

[1] 1845 წლამდე (სხვა მონაცემებით 1827 წლამდე) ევროპის სახელმწიფოების მმართველები, თავიანთი გემების მეკობრეებისგან დაცვის მიზნით, უხდიდნენ მაროკოს სულთნებს ყოველწლიურად დიდ თანხას.

1912 წელს, საფრანგეთის რეზიდენტმა ლიოტემ გადაიტანა ადმინისტრაციული ცენტრი მღელვარე ფესიდან რაბატში და დაიწყო ახალი ევროპული ტიპის ქალაქის შენება, არქიტექტორ ა. პროსტას პროექტით [125,300].

1930-50 წლებში, რაბატი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. 1956 წლიდან იგი დამოუკიდებელი სამეფოს დედაქალაქია. რაბატი ქალაქ სალესთან ერთად გამოყოფილია რაბატ-სალეს დამოუკიდებელ პრეფექტურად, რომელსაც მართავს გუბერნატორი. მედინა კვლავ გარშემორტყმულია სანაპიროზე მდებარე ნანგრევებით. იგი შედგება კასბისგან და მელაჰისგან. აღსანიშნავია ანტიკური რაბატის ათასწლოვანი ნანგრევები – „შელა“, რომელიც XI საუკუნიდან იქცა მუსლიმურ აკროპოლად, მარინიანთა სასაფლაო, ასევე მარინიანთა ერთ-ერთი სახელოვანი სულთნის აბუ-ლ-ჰასანის, იგივე „შავი სულთნის“ (1331-1348) აკლდამა, ორი მინარეთი [159,2]...

ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს ჰასანის მეჩეთი და ვიეტნამელი არქიტექტორის ვან ტუანის პროექტით აშენებული მუჰამად V-ს მდიდრული მავზოლეუმი (1955-1961). მედინა გამოყოფილია ქალაქის ახალი ნაწილისაგან ანდალუსიელთა კედლით [16,89; 107,24; 35,44].

რაბატში მდებარეობს არაბულ მაღრიბში ცნობილი მუჰამად V-ს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მასთან არსებული სამეცნიერო ბაზები, სხვადასხვა სასწავლო ცენტრი, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, მეცნიერებათა აკადემია, არაბული ქვეყნების ლიგასთან არსებული ბიურო, სახელმწიფო არქივი, კათოლიკური საკათედრო ტაძარი, არქიეპისკოპოსის რეზიდენცია [124,300].

მექნესი X საუკუნეში მწირი ადგილებიდან გამოსულმა ზენათას ერთ-ერთმა ტომმა დააარსა მექნესის დასახლება[1]. სავარაუდოა, რომ ბერბერები მოიხიბლნენ ჯანსაღი კლიმატით, უხვი წყლებით და ნაყოფიერი მიწებით, სადაც ყვაოდა ზეთისხილი. ამ დროიდან მოყოლებული, მას ეწოდა „მიქნას“, „მიქნას აზ-ზაითუნ“ და წარმოადგენდა ბერბერთა თავშეყრის და ბაზრობის ადგილს [155,4].

ალ-მურაბიტების დროს მექნესი იქცა გამაგრებულ დასახლებად, ხოლო ალ-მუვაჰიდებმა ის გამოიყენეს ვაჭრობისთვის.

[1] ზოგიერთი მკვლევარი ირწმუნება, რომ ადგილობრივმა მიქნასას ტომმა საფუძველი ჩაუყარა მომავალ დედაქალაქს.

მექნესი განსაკუთრებით გაიზარდა მარინიანთა მმართველობის პერიოდში. 1276 წელს მათ ააგეს კასბა. მოგვიანებით, აშენდა მეჩეთი, პატარა სასტუმროები, ხიდები, გაიყვანეს არხები, დაფუძნდა ზავია. XIV საუკუნის მეორე ნახევარში დაარსდა „ბუ-ინანიას“ მდიდრული მეჩეთი. საუკუნეების მანძილზე, მექნესი რჩებოდა პატარა დასახლებად. იგი არაერთხელ გახდა სხვადასხვა ტომის სათარეშო ობიექტი. მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ აქედან მიემართება გზა შუა ატლასისაკენ [69,302].

1672 წელს, როდესაც მაროკოს სამეფო ტახტზე ავიდა მულაი ისმაილი, მექნესი იყო დიდი სოფელი. ისმაილმა ის მაროკოს დედაქალაქად გამოაცხადა 1673 წელს. სულთანს იგი განსაკუთრებით უყვარდა. გარდა ამისა, იგი ვერ „რიგდებოდა“ მარაქეშისა და ფესის მოსახლეობასთან. როგორც ჭკვიანმა პოლიტიკოსმა, ისმაილმა თავიდანვე გათვალა, რომ მომავალი დედაქალაქიდან შეძლებდა შუა ატლასის ბერბერების გაკონტროლებას [69,303; 96,264].

მულაი ისმაილი, მმართველობის პირველივე წლებში შეუდგა ახალი მექნესის შენებას. გადმოცემის მიხედვით, შემდგომში მან კონტიზე დაქორწინებაზე უარის მიღების შემდეგ, გადაწყვიტა ვერსალის დაჩრდილვა და საერთოდ მსოფლიოს განცვიფრება. ევროპით დაინტერესებული სულთანი, აიძულებდა ქრისტიანებს თავიანთი სამშობლოს შესახებ ყველაფრის დაწვრილებით მოყოლას. იგი ყველაზე მეტად დაინტერესდა ძლიერი და ფუფუნებაში მცხოვრები „მზის მეფის“ – ლუდოვიკო XIV-ს ცხოვრებითა და ვერსალის დიდებით [31,194].

ახალი დედაქალაქის აშენება დაკავშირებული იყო არაადამიანურ შრომასთან. მხურვალე მზის ქვეშ იგებოდა „მაღრიბის ბაბილონი“, რომელსაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა. ლეგენდის მიხედვით, მექნესის მშენებლობისას დაიღუპა 30 ათასი ადამიანი. ქალაქს აგებდნენ ქვეშევრდომები, მშენებლები, პატიმრები, მონები, ტყვეები, რომელთა შორის იყო 2 ათასი ქრისტიანი. დროთა განმავლობაში, მშენებელთა რიცხვი გაიზარდა 50-დან 60 ათასამდე. სულთნის უმნიშვნელო ახირებაც კი, ყველასათვის კანონი იყო. ისმაილი არ თაკილობდა ფიზიკურ შრომას. პერიოდულად, იგი ჩნდებოდა წერაქვით ხელში მიმდინარე სამუშაოებზე და ცდილობდა გაცემული მითითებების გაკონტროლებას, ამოწმებდა შესრულებული დავალებების ხარისხს და ითხოვდა ანგარიშს სამუშაოებთან დაკავშირებით [155, 2; 58,40].

მშენებლები დაყოფილი იყვნენ რამდენიმე ჯგუფად: ნაწილი თხრიდა ორმაგ თხრილებს, ნაწილი ანგრევდა ძველ შენობებს, ზოგიერთი მათგანი ამზადებდა სამშენებლო მასალას – თიხას ურევდნენ ქვიშას და უმატებდნენ წყალს. მასალები გადაქონდათ ფიცარნაგებებით, რომლის დროსაც ხშირად იღუპებოდნენ [110,668]. მექნესის შენება იყო იძულებითი და მძიმე პროცესი. დედაქალაქისაკენ მიემართებოდნენ ადამიანებისა და ცხოველების დაუსრულებელი ქარავნები. მექნესი იზრდებოდა, იგი ანცვიფრებდა ყველას თავისი გიგანტური ზომებითა და მშვენიერებით, თუმცა მალე აცდა დაგეგმარებას და დაირღვა სასურველი ჰარმონია [110,669].

მულაი ისმაილმა, ქალაქში საგანგებოდ ააშენა ციხე ტყვეებისათვის და დამნაშავეებისათვის. ციხის 40 ათასს კაცზე გათვლილი გეგმა, შეადგინა თავისუფლების სანაცვლოდ პორტუგალიელმა ტყვემ კარამ, რომლის სახელიც მას დაერქვა. უსაფრთხოების მიზნით, იგი აშენდა მიწის ქვეშ და გადაჭიმული იყო 7x7 კილომეტრზე. ამჟამად, ის მიწისძვრების გამო ნაწილობრივ დანგრეულია და მისი კარი ღიაა დამთვალიერებელთათვის. პატიმრების უმრავლესობას შეადგენდნენ მოგზაურები, მეზღვაურები, რომლებიც ხელში უვარდებოდნენ სალესა და რაბატის მეკობრეებს. ცნობილი ფრანგი არისტოკრატი დე მუეტი, რომელიც ათი წელი ცხოვრობდა ტყვეობაში წერდა, რომ ისმაილის ციხეში ქრისტიანთა რიცხვი აღწევდა 25 ათასს, ხოლო 30 ათასი დამნაშავე გამწესებული იყო სულთნის 12 ათასი ცხენის მოსავლელად. არაბი ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ ქრისტიანთა რიცხვი აღწევდა მხოლოდ 500 კაცს [146,2].

მექნესში აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, მეჩეთები, აიგო წყალსატევი. სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით ქალაქგარე ზონაში ცალკე გამოიყო ებრაელთა უბანი მელაჰი. მარინიანთა კასბაში ისმაილმა აღმართა უზარმაზარი სასახლე „დარ ალ-ქაბირა“ და შემოარტყა მას სამი გალავანი, გააშენა ბაღი, სადაც დატანებული იყო მწვანე ფერის მოჭიქული ანდალუსიური კერამიკა. გარდა ამისა, მან ააშენა რამდენიმე სასახლე, შადრევანი. პირველი ადამიანი, რომელმაც მოინახულა სულთნის არქიტექტურული კომპლექსი, იყო ინგლისელი სამხედრო ჯონ ვინდუსი. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნებათმცოდნეები მას თვლიან „ხელოვნების სიმახინჯედ“, იგი აღფრთოვანდა მავრითანულ-ანდალუსიურ სტილში აგებული ნაგებობების კომპლექსით. მულაი ისმაილმა ცალკე გამოყო ჰარემი, იარაღის საწყობები,

ანბარი, კასბები შავი არმიისათვის. სულთნის სასახლეებს ამშვენებდა ოქრო, მარმარილო და მოზაიკა [156,2; 60,73].

ისმაილი სიცოცხლის ბოლომდე არ წყვეტდა მექნესში სამუშაოებს. ქალაქი ძირითადად იგებოდა ტყვეთა გამოსასყიდის ხარჯზე. მდიდრები დიდი ფულის საფასურად თავს აღწევდნენ ტყვეობას, ხოლო ღარიბები სიცოცხლის ბოლომდე რჩებოდნენ მექნესში, ღებულობდნენ ისლამს და მუშაობდნენ მშენებლობაზე. დიდი ბედნიერება იყო, რომელიმე ელჩი თუ გამოისყიდიდა მათ. იმის გარდა, რომ სულთანმა ისმაილმა გამოსასყიდის მალე მიღების მიზნით ზუსტად ციხის თავზე მოაწყო ელჩებისათვის მისაღები დარბაზი, მის გვერდით საგანგებოდ ააშენებინა დიპლომატების საცხოვრებელი სახლები, რათა მათ ყოველდღე ეყურებინათ თანამემამულეთა ტანჯვისთვის. მან რამდენჯერმე ელჩების თვალწინ დახოცა ტყვეები. ისმაილის გარდაცვალების შემდეგ ციხე დაცარიელდა, პატიმრებმა გაქცევით უშველეს თავს [73,126].

მექნესის მშენებლობის დროს, აიგო ახალი კარიბჭეებიც, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი და ლამაზია „ბაბ ალ-მანსურ“, რომელიც ითვლება ერთ-ერთ ულამაზეს კარიბჭედ მთელ მაროკოში. იგი ააგო გამუსლიმებულმა ქრისტიანმა ტყვემ მანსურ ლარიშმა. მან ჯილდოს სახით მოიპოვა თავისუფლება. საბოლოოდ, მისი აგება დასრულდა 1732 წელს, სულთან ‘აბდ ალ-ლაჰის დროს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სულთანმა ისმაილმა 1696 წელს დაანგრია „ალ-ბადის სასახლე“, ხოლო მისი მარმარილო გამოიყენა მექნესის მშენებლობაზე. ისმაილს ასევე მიაწერენ ვოლუბილისის დანგრევასა და გაძარცვას, რაც სიმართლეს არ შეეფერება [69,268].

სულთნის გარდაცვალების შემდეგ, მექნესი გადავიდა მეორე პლანზე, თუმცა აღიმართა ახალი შენობები. ისმაილის ათი სასახლიდან შემორჩა „დარ ალ-ქაბირა“, სამმაგი ციხის რგოლი, კედლები ბასტიონებით და მედინას მონუმენტალური კარიბჭეები – „ბაბ ალ-ბარუდინ“ (XVII ს. დასასრ.-XVIII ს. დასაწყ.), „ბაბ ალ-ჰამ“ (XVII ს. დასასრ.) [125,634; 143,1]. შედარებით კარგად შენარჩუნდა კასბა – მეჩეთის მწვანე მინარეთით (1203); სამხეცე; ერთკილომეტრიანი მიწისქვეშა გვირაბი; საწყობების ნანგრევები; „ბურჯ ალ-მანსურის“ საწყობი; დაუმთავრებელი საჯინიბოები; ბეღელი; „დარ ჯამაის“ სასახლე (XIX ს.) – დღევანდელი ხალხური ხელოვნების მუზეუმი (1920 წლიდან), სადაც ცხოვრობდა ჯამაის ცნობილი ოჯახი, რომლის ორი წევრი

სულთან მულაი ალ-ჰასანის დროს (1873-1894) იყო მინისტრი. 1912 წლიდან 1920 წლამდე სასახლეში ფუნქციონირებდა ჰოსპიტალი.

თანამედროვე ქალაქი შენდება 1919 წლიდან. საფრანგეთის პროტექტორატის დროს, ფრანგებმა მექნესში გახსნეს შტაბები. ამავდროულად, ევროპელმა მიწათმფლობელებმა კიდევ უფრო გაზარდეს ქალაქის გარშემო გაშენებული ციტრუსები და ვენახები, რომელნიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გადავიდა სახელმწიფოს ხელში. მთავრობამ ვენახები იჯარით მისცა მაროკოელ მემამულეებს [131,1023].

დღესდღეობით, სამხრეთ მაროკოს დედაქალაქი წარმოადგენს ქვეყნის მიწათმოქმედების და ცნობილი რელიგიური საძმოს „აისავას“ ცენტრს. საძმოს წევრები მიმოფანტულნი არიან ქვეყნის რაიონებში და ზოგიერთ მუსლიმურ სახელმწიფოში. როდესაც მთავრდება დიდი მარხვის რამადანის თვე, აისავას მიმდევრები მიემართებიან მარაქეშის ქუჩებში დაფდაფების ბრახუნითა და გოდებით [131,1023, 60,74].

კასაბლანკა („დარუ-ლ-ბაიდა’“) პორტი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, დასავლეთ მაროკოში, სახელმწიფოს მთავარი ეკონომიკური და სატრანსპორტო-მრეწველობის ცენტრი. „თეთრი ქალაქი“ წარმოადგენს თანამდროვე მაროკოს სამეფოს სიმბოლოს. VII-VIII საუკუნეებში, მის ადგილზე არსებობდა ბერბერების დასახლება ანფა, რომელიც იყო ბერბერული სახელმწიფოს, ბერგვატას დედაქალაქი.

შუა საუკუნეებში, ანფას მოსახლეობა ეწეოდა ვაჭრობას იტალიასთან, პორტუგალიასთან და ესპანეთთან. მოგვიანებით დასახლდნენ მეკობრეები, რომლებიც აწიოკებდნენ ევროპის სახელმწიფოების გემებს. XV საუკუნეში მეკობრეობა იმდენად განვითრდა, რომ პორტუგალია იძულებული გახდა მიეღო გადამჭრელი ზომები. 1468 წელს, პორტუგალიის სახელმწიფომ გაგზავნა სადამსჯელო ექსპედიცია ანფაში, რომელმაც შტურმით აიღო და გადაწვა ქალაქი. განხორციელებული სამხედრო ოპერაციის მიუხედავად, 1515 წელს განახლდა მეკობრეთა თავდასხმები. ამიტომ ევროპელებმა ხელმეორედ გაანადგურეს იგი. პორტის რაიონში ოკუპანტებმა დააარსეს კოლონია, სადაც ააგეს თავდაცვითი სიმაგრეები. ვინაიდან ცენტრში იდგა თეთრი შენობა, რომელიც იყო მოგზაურთათვის საორიენტაციო წერტილი, ესპანელმა ვაჭრებმა

ფორტსა და ქალაქს უწოდეს კაზა ბლანკა, ანუ „თეთრი სახლი“ [160,1]. არაბები კი შემოკლებით უწოდებენ მას „კასას“ ან „კაზას“.

1755 წელს კასაბლანკა მთლიანად დაანგრია ცნობილმა ლისაბონის მიწისძვრამ. მოგვიანებით, სულთან მუჰამად ბენ ‘აბდ ალ-ლაჰის ზეწოლის შედეგად პორტუგალიამ დატოვა ქალაქი კასაბლანკა. აღნიშნული ქალაქი არაერთხელ გახდა უცხოელი დამპყრობლების მსხვერპლი. გარდა ამისა, იგი აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში.

კასაბლანკას ისტორიული ბირთვია მედინას ციხის კედლები, რომელიც ემიჯნება პორტს. თანამედროვე ქალაქი აშენებულია ნახევარკუნძულზე-სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მრავალი კულტურული ძეგლის მიუხედავად, „თეთრი ქალაქი“ უპირველეს ყოვლისა ცნობილია ჰასან II-ს მეჩეთით (1993), რომელიც წარმოადგენს მუსლიმური არქიტექტურის შედევრს. იგი ყველაზე დიდია ქააბას შემდეგ. ჰასან II-ს მეჩეთი ააგო ფრანგმა არქიტექტორმა მიშელ პინსომ. მინარეთის სიგრძეა 200 მეტრი და ამიტომ იგი არის უდიდესი რელიგიური ნაგებობა. მინარეთი 30 მეტრით დიდია ხეოფსის პირამიდაზე და 40-ით, წმინდა პეტრეს ტაძარზე. მეჩეთი შიგნით ერთდროულად იტევს 200 ათასს და 80 ათასს მლოცველს ეზოში. მისი მშენებლობა დაჯდა 800 მილიონი დოლარი. დარბაზში აღმართულია 78 ვარდისფერი გრანიტის სვეტი. იატაკი მოპირკეთებულია ოქროსფერი მარმარილოთი და ონიქსით, ხოლო სახურავის ცენტრალური ნაწილი არის მოძრავი [160,2].

ამგვარად, მაროკოს ამჟამინდელი და ყოფილი სატახტო ქალაქები დღესდღეობითაც ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ქვეყნის განვითარებასა და ცხოვრებაში. ამავდროულად, ისინი წარმოადგენენ ტურისტებისა და მეცნიერთა ინტერესის საგანს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ზემოთ ნახსენები ქალაქების გარეშე ნაკლები იქნებოდა მის მიმართ მკვლევართა, თუ მოგზაურთა ყურადღება. „მაღრიბის მექის“ წყალობით მუდმივად იზრდება საზოგადოების ინტერესი მაროკოს სამეფოსადმი. გარდა ამისა, ყოფილი სატახტო ქალაქები მიჩნეულია იმ ცენტრებად, სადაც დღემდე შენარჩუნებულია არაბულ-ბერბერული კულტურის ტრადიციები.

თავი V

მაროკო და ევროპის სახელმწიფოები ფილალის გამგებლობის პერიოდში

საუკუნეების მანძილზე, მაროკო თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო ყოველთვის იზიდავდა უცხოელებს. XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დასაწყისში, უფრო მეტად გაიზარდა მის მიმართ ევროპის სახელმწიფოების ინტერესი.

სულთანმა არ-რაშიდმა, რომელსაც სურდა ტანჟერის დაბრუნება, ურთიერთობა დაამყარა საფრანგეთთან და შეეცადა მის გამოყენებას ინგლისის წინააღმდეგ. ამავე დროს, ფრანგმა დიპლომატმა ფრეჟუსიმ სცადა არ-რაშიდის საშუალებით ამ რეგიონში გავლენის გაძლიერება, რაც ვერ მოახერხა, ვინაიდან იგი ამხილეს ჯაშუშობაში. შარიფი, როგორც მაღრიბის პორტების ბატონ-პატრონი, ვალდებული იყო ებრძოლა უცხო ძალების წინააღმდეგ [40,269].

მოგვიანებით, სულთან ისმაილის მმართველობის პერიოდში, „შარიფთა სახელმწიფოს“ პორტები გაცხოველებული ვაჭრობის ცენტრებად იქცნენ. საქონელი განსაკუთრებით სწრაფად იყიდებოდა სალესა და თეტუანში, სადაც უმეტესწილად თავს იყრიდნენ ფრანგები. ვაჭრობა გაჩაღებული იყო საფიში, აგადირსა და სუსშიც.

თანდათანობით, მაროკოში ფეხი მოიკიდეს უცხოელმა ვაჭრებმა. სანაპირო ქალაქებმა სახელი გაითქვეს წითელი ტყავის წარმოებით, მექნესში იყიდებოდა ტყავი, ხორბალი, ინდიგო, სირაქლემას ბუმბულები, სპილენძი. ინგლისიდან მაროკოში შედიოდა სინგური, ჩაი, ცნობილი ინგლისური მაუდი, ჰოლანდიიდან შეჰქონდათ სელი, რკინის მავთულები, სარკეები, ყვითელი სპილენძი, ფოლადი, ნახევრად გამომწვარი აგური, ქსოვილები, რომლებსაც იყენებდნენ ჩალმისთვის. იტალიიდან შედიოდა შაბი, თუნის იარაღი, ხოლო მაროკოდან ევროპის ქვეყნებში გადიოდა აბრეშუმი, ბამბა, სანელებლები, ვერცხლისწყალი, ოპიუმი. გემები იტვირთებოდა კადისში, საიდანაც მიემართებოდნენ სხვადასხვა მიმართულებით [123,299-300].

1682 წელს, სულთანმა ისმაილმა გაგზავნა ელჩები ინგლისსა და საფრანგეთში. ინგლისის სამეფო კარზე წარსდგა იბნ ჰადუ. სულთანს სურდა ევროპასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და კონსულების დანიშვნა

ევროპის სახელმწიფოებში. ელჩის პირველ ვიზიტს საფრანგეთში არ მოუტანია მაროკოსათვის რაიმე მნიშვნელოვანი სარგებელი [96,272; 23,195].

აღსანიშნავია, რომ ლუდოვიკო XIV-მ გაგზავნა დიპლომატიური მისიით მარკიზ დე პრეი ესპანეთსა და მაროკოში. მარკიზი თავდაპირველად გაემართა კადისში და ესპანელებს მოთხოვა 500 ათასი ეკიუ მექსიკაში საფრანგეთის საქონლის მიტაცების გამო. 1682 წელს ესპანეთიდან მარკიზი ჩავიდა მაროკოში – სალესა და თეტუანში. მას უნდოდა ტყვეების გამოსყიდვა და სალეს მეკობრეების მიერ საფრანგეთის კუთვნილი გემის დაბრუნება. მარკიზ დე პრეის ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენჯერმე მოუწია მაროკოში ჩასვლა. 1685 წლის 8 სექტემბრიდან 19 სექტემბრამდე მარკიზის ესკადრამ განახორციელა სადაზვერვო რეიდი ტანჟერის წყლებში, მაგრამ ფრანგი „დიპლომატის“ ვიზიტმა „შარიფთა სახელმწიფოში“ ვერ გამოიღო შედეგი [89,264-265].

1683 წელს, ისმაილმა გაგზავნა ელჩი ალ-ჰაჯ მუჰამად თამიმი საფრანგეთის მეფის კარზე. თამიმი განსაკუთრებით მოიხიბლა ვერსალის დიდებით და ლუდოვიკო XIV-ს არაკანონიერი შვილის, ახალგაზრდა ქვრივის, კონტის აუწერელი სილამაზით. როდესაც იგი დაბრუნდა სამშობლოში, მან უამბო სულთანს ვერსალის და კონტის შესახებ. სულთანმა ისმაილმა ისევ მიავლინა ელჩი „მზის მეფესთან“, რომელმაც გადასცა მას ისმაილის კონტიზე დაქორწინების სურვილი. საპასუხოდ, საფრანგეთის მეფემ სულთანს მოსთხოვა ქრისტიანობის მიღება, თუმცა არსებობს წერილები, რომლებშიც ისმაილი თვითონვე თხოვს საფრანგეთისა და ესპანეთის მონარქებს ისლამის მიღებას, ან უკიდურეს შემთხვევაში პროტესტანტობაზე გადასვლას. მულაი ისმაილს განსაკუთრებით სძულდა კათოლიციზმი. კონტიზე დაქორწინებაზე უარის მიღების შემდეგ, მან გამოავლინა საოცარი გამჭრიახობა, დაივიწყა შეურაცხყოფა და სცადა საფრანგეთის გამოყენება ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, რასაც გარკვეული შედეგებიც მოჰყვა [77,220; 120,158; 100,70].

1683 წლის 13 დეკემბერს (სხვა მონაცემებით 1682წ.), ხელი მოეწერა მაროკო - საფრანგეთის სავაჭრო შეთანხმებას, რომლის საფუძველზე, ფრანგებს მაროკოში ეძლეოდათ თავისუფალი ვაჭრობის უფლება. ეს წარმატება კიდევ უფრო განმტკიცდა 1687 წელს დადებული ახალი შეთანხმებით, მაგრამ ლუდოვიკო XIV-მ მასზე ხელმოწერის შემდეგ, არ მიავლინა ელჩი ისმაილთან, რაც ნიშნავდა მის დამცირებას [95,432; 122,301]. დაძაბული ვითარების განმუხტვის მიზნით, საფრანგეთის მეფემ დააყენა ტყვეთა გამოსყიდვის საკითხი. ვინაიდან

საფრანგეთის ფლოტის მენიჩბეების დიდ ნაწილს შეადგენდნენ მაროკოელები, იგი არ დათანხმდა ისმაილს მაროკოელი ტყვეების გამოსყიდვაზე. მენიჩბეები შემოსილი იყვნენ უხეში ტილოს საცვლებით და თავზე ეხურათ ჩაჩები. თითოეულ მათგანს პირში ედოთ ლანჩები, რათა აეტანათ მათრახის დარტყმა. გემზე ამბოხის თავიდან აცილების მიზნით, მენიჩბეები ორ-ორად იყვნენ გადაჯაჭვულნი. ლუდოვიკო XIV-მ ასევე უარი უთხრა მულაი ისმაილის ელჩს მათ მონახულებაზე. არსებობს ვერსია, რომ ლუდოვიკომ იყიდა მუსლიმი ტყვეები მალტიდან, მენიჩბეთა რაოდენობის გასაზრდელად [70,119].

1688 წელს დაიდო შეთანხმება ტყვეთა გამოსყიდვისა და ურთიერთგაცვლის შესახებ, რომელმაც ვერ გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგი. მონარქები ხშირად ვერ თანხმდებოდნენ და ბავშვებივით ექიშპებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ კარგი ურთიერთობები. ლუდოვიკო XIV ისმაილს უგზავნიდა ოქროს საათებს, იარაღებს. თავის მხრივ, მულაი ისმაილი ასაჩუქრებდა მას ლომებით, ვეფხვებით, სირაქლემებით, სპილოს ძვლით.

ზემოთ აღნიშნული შეთანხმებების საფუძველზე, საფრანგეთს მიეცა მაროკოს ქალაქებში კონსულების დანიშვნის უფლება. ფრანგი ვაჭრები თავისუფლდებოდნენ ისმაილის მიერ დაწესებული გაზრდილი საბაჟო გადასახადებისგან. ასევე, შეთანხმების მე-5 მუხლის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, საფრანგეთს უნდა გაეწია ისმაილისთვის სამხედრო დახმარება, მულაი ისმაილი კი ვალდებულებას იღებდა საფრანგეთის სახელმწიფოს ფლოტის მეკობრეებისგან დაცვაზე. გარდა ამისა, ნებისმიერი პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ის ოფიციალურად ეწეოდა საფრანგეთთან ვაჭრობას, მისი ქონება გადადიოდა ფრანგების ხელში [100,70].

1704 წელს ინგლისელებმა დაიკავეს გიბრალტარი და ამით მათ მიეცათ მაროკოს პორტებზე თავდასხმის საშუალება. ინგლისის მოკავშირე იყო ჰოლანდია. ეს ორი ქვეყანა ცდილობდა მაროკო – ალჟირის კონფლიქტის უფრო მეტად გამწვავებას, რაც დასრულდა მათი მარცხით.

1712 წელს, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ფრანგებმა გამოისყიდეს ოცი ტყვე [100,72].

სულთან ისმაილის გარდაცვალების შემდეგ, ანარქიის პერიოდშიც არ შეწყვეტილა ვაჭრობა ევროპის სახელმწიფოებთან. ინგლისს სურდა თეტუანში მისი მონოპოლიზირება. იგი ჰოლანდიასთან ერთად იყოფდა სელითა და მაუდით ვაჭრობას, სალედან და საფიდან თაფლის სანთლის, თხის ტყავის და

აგადირიდან სპილენძის ექსპორტირებას. ინგლისს მაროკოდან გაჰქონდა შალი. ამ დროისათვის ძალიან იკლო საფრანგეთთან ვაჭრობამ. მაროკოსა და საფრანგეთის სამეფოს შორის დაიძაბა ურთიერთობა მას შემდეგ, რაც მაროკოში დასახლდნენ ლანგედოკელი (საფრანგეთი) პროტესტანტი ლტოლვილები. ერთ-ერთი მათგანი გახდა სალეს ვალი. 1710 წელს საფრანგეთის კონსული იძულებული გახდა დაეტოვებინა სალე. 1712 წელს ასევე დატოვა ქვეყანა საფრანგეთის კონსულმა თეტუანში. მომდევნო 40 წლის მანძილზე ფრანგებს აღარ ყოლიათ წარმომადგენელი „შარიფთა სახელმწიფოში", რითაც ისარგებლა ინგლისმა და დაიკავა პირველი ადგილი მაროკოს ეკონომიკაში [96,273; 123,302].

საჭიროა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე (1789-94) ევროპის სახელმწიფოების გემები დევნიდნენ მუსლიმთა ხომალდებს, მათ ნებას არ აძლევდნენ მონაწილეობა მიეღოთ მაღრიბის და ახლო აღმოსავლეთის ხმელთაშუაზღვისპირეთის ვაჭრობის განახლებასა და საერთაშორისო პროცესებში, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მაროკოს ეკონომიკაზე.

XVIII საუკუნის მიწურულს, დასავლეთ ევროპის გავლენის ზრდამ გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკის დაცემა, სუვერენიტეტის შესუსტება. სულთანი იყო მაროკოს დიდი ფეოდალი, ფლობდა მიწების უმეტესს ნაწილს, რაც ოფიციალურად იწოდებოდა „არ̄ადინ ალ-მახზანად". მიწის მასივების მეორე ნაწილი ეკუთვნოდა ფეოდალებს და მულქის კატეგორიად ითვლებოდა. გავრცელებული იყო თემური მიწები – „არშ". ნაკვეთების მძიმე საიჯარო პირობით გაცემა (უნდა ჩაებარებინათ მოსავლის 4/5-დან 7/8-მდე) იწვევდა ფელაჰების აჯანყებებს [49,5-6].

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, სიდი მუჰამადის მმართველობის პერიოდში, მაროკოს პორტებში გამოჩნდნენ ჩრდილოეთ ევროპელი ვაჭრები. 1757 წელს სულთანმა დადო შეთანხმება დანიასთან, რომლის საფუძველზე მის ქვეშევრდომებს მიეცათ საფიში ვაჭრობის უფლება. სანაცვლოდ, დანია იღებდა ვალდებულებას სულთნისთვის ზარბაზნების მიწოდებაზე. 1763 წელს დაიდო სავაჭრო შეთანხმება შვეციასთან. მუჰამად III ასევე აგრძელებდა ურთიერთობას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. 1760 წელს მან დადო სავაჭრო შეთანხმება ინგლისთან, 1765 წელს ვენეციასთან.

1765 წელს, საფრანგეთის ფლოტმა დაბომბა ლარაში და სალე. 1766 წელს ფრანგებმა შეაღწიეს მეკობრეთა ლიუკებში, მათი ხომალდების გადაწვის

მიზნით, მაგრამ დაბრუნებისას ვერ გაიარეს „ქვების სეტყვისგან“ ჩახერგილი გასასვლელი. 230 ადამიანი, მათგან 30 ფრანგი ოფიცერი ან დაიღუპა შეტაკებისას, ან ტყვედ აიყვანეს. მაროკოელებმა შეძლეს სამივე თავდასხმის უკუგდება [101,224]. ფრანგებმა დაბომბეს ლარაში, მაგრამ სულთანმა მუჰამედ III-მ მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნა ლუდოვიკო XV-თან და ლუდოვიკო XVI-თან. 1795 წელს საფრანგეთმა დანიშნა კონსული სალეში, რის შედეგად სულთანმა გამოისყიდა მუსლიმი ტყვეები [99,69; 1,77].

1769 წელს მუჰამადმა პორტუგალიელებს წაართვა მაზაგანი. 1773-74 წლებში მან მოაწყო ექსპედიციები სეუტასა და მელილას დასაბრუნებლად, თუმცა ვერ შეძლო პორტების დაბრუნება და იძულებული გახდა 1780 წელს ზავი დაედო ესპანეთთან [104,224].

სულთან სიდი მუჰამად III-ს შემდეგ, მულაი სულაიმანის მმართველობის პერიოდში, განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობები ევროპის სახელმწიფოებთან. მულაი სულაიმანმა უცხოელების ქვეყანაში შეღწევის გაძლიერების ასაცილებლად, აუკრძალა მათ მაროკოში ცხოვრება და შეზღუდა მათთან კავშირი. კონსულებს მიეცათ მხოლოდ ტანჟერში ცხოვრების უფლება. ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა მისი მემკვიდრეების პერიოდშიც, რის შემდეგაც XIX საუკუნის ბოლოს მაროკო ფაქტობრივად იზოლაციაში აღმოჩნდა [104,227]. გარდა ამისა, სულაიმანმა თითქმის დაკარგა ფლოტი, ვინაიდან გემები გაიყიდა ალჟირსა და თუნისში. ვენისა და ექს-ლა-შაპელის კონგრესებზე (1815/18) ევროპის სახელმწიფოების ლიდერებმა უნდობლობა გამოუცხადეს სულთან სულაიმანს, ვინაიდან ევროპა განიხილავდა მაროკოს, როგორც მეკობრულ სახელმწიფოს. 1817 წელს სულაიმანი იძულებული გახდა ლუდოვიკო XVIII-სთან ერთად გაენადგურებინა მეკობრეები. ამავე წელს, მან გაცა ბრძანება ხორბლის ევროპაში ექსპორტირებაზე. იმპერიალისტური სახელმწიფოების გავლენა „მაროკოს სასულთნოზე“ დღითიდღე ძლიერდებოდა.

§1. რიფის რესპუბლიკა და ესპანეთის ექსპანსია მაროკოში

XX საუკუნის დასაწყისში, ესპანეთის სამეფო მაროკოში ფლობდა ე.წ. პრეზიდიოს („პორტი, სიმაგრე“) სეუტასა და მელილას, რომლებიც გადაწყვიტა

გაეხადა საყრდენ ბაზებად მომავალი ტერიტორიების დასაპყრობად. ამ პერიოდში, ესპანეთი სუსტად იყო განვითარებული სამრეწველო და სამხედრო თვალსაზრისით. ქვეყნის ბურჟუაზიას სურდა გამოეყენებინა ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება თავისი მიზნის მისაღწევად, ხოლო ინგლისი ცდილობდა შეენარჩუნებინა უპირატესობა გიბრალტარის ტერიტორიაზე ანუ ჩრდილოეთ ნაწილში და ამით მას ერჩივნა ეხილა გვერდით სუსტი ესპანეთის სახელმწიფო.

1907 წლის 29 მარტს, ალჟირიდან გენერალი ლიოტე შეიჭრა უჯდაში, რითაც დაიწყო მაროკოს ოკუპაცია. ორი დღის შემდეგ ‘აბდ ალ-აზიზმა გაუგზავნა საფრანგეთის რეზიდენტს ტანჟერში წერილი, რომელშიც გამოხატავდა თავის გაკვირვებას. ვინაიდან საფრანგეთმა უჯდის გარდა მოახდინა შაუიას, რაბატის და კასაბლანკას ოკუპაცია (1907-08) ესპანეთმაც მოისურვა რიფში ტერიტორიების გაფართოება, მაგრამ წააწყდა დიდ წინააღმდეგობას [22,243].

აღსანიშნავია, რომ ალ-ხესირასის კონფერენციის შემდეგ ესპანეთმა მიიღო რიფის რაიონში მაღაროების დამუშავების და მშენებლობის უფლება. 1908 წელს მან დაიწყო მაღაროებისა და მელილადან 20 კილომეტრში რკინიგზის მშენებლობა. მუშა-ხელს აძლევდნენ ადგილობრივი ტომების მეთაურები, რის სანაცვლოდაც იღებდნენ ჯილდოს. რიფელები გამოვიდნენ იძულებითი სამუშაოების წინააღმდეგ, მათ გაანადგურეს მაღაროს კომპანიის ქონება და გააძევეს სულთნის წარმომადგენელი, რამაც ხელი შეუწყო ესპანეთს 1908-10 წლებში განეხორციელებინა სამხედრო ექსპანსია. დამპყრობლები წვავდნენ სოფლებს, ფლოტმა ორჯერ დაბომბა სანაპირო დასახლებები. 1909 წლის 18 ივლისს, ესპანელები დამარცხდნენ. რიფელებმა მოულოდნელად იერიში მიიტანეს გენერალ მარინის ბანაკზე, მოკლეს და დაჭრეს ესპანელი ჯარისკაცები და ოფიცრები, ხოლო 27 ივლისს დაამარცხეს პოლკოვნიკ პონტოს რაზმი. ესპანეთი გაუთავებლად აგზავნიდა რიფში დამატებით რაზმებს, რომელთა რიცხვმა მიაღწია 50 ათასს. ესპანელები ბევრად კარგად იყვნენ შეიარაღებულები, მაგრამ ისინი სულ მარცხდებოდნენ [51,34].

1910 წლის 17 ნოემბრის საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმების საფუძველზე დროებით ესპანეთის სამეფოს ხელში გადავიდა რიფის ნაწილი. მაროკოს სულთანს ჩამოერთვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მეთაურების დანიშვნის უფლება, მელილაში მყოფი ესპანეთის უმაღლესი კომისრის ნებართვის გარეშე.

ხალხის წინააღმდეგობის მიუხედავად, ესპანელების ჯარში შედიოდნენ ადგილობრივი მკვიდრებიც. რიფელები იძულებული იყვნენ გადაეხადათ დიდი გადასახადები დამპყრობელთა ჯარის შესანახად. ამასთანავე, მათ დაეკისრათ 65 წლის მანძილზე კონტრიბუცია - 4 მილიონი პესეტის ოდენობით. გარდა ამისა, რიფელების მიერ დასახლებულ რაიონებში იშლებოდა საბაჟო და პოლიციური პოსტები, რომლებსაც აკონტროლებდნენ უშუალოდ ოკუპანტები.

მოგვიანებით, დასავლეთ ნაწილში ესპანეთმა დაიწყო გარბის დაპყრობა. 1911 წელს, ფრანგებმა დაიკავეს ფესი, რის საპასუხოდაც ესპანეთმა მოისურვა ლარაშისა და ელ-კსარ-ელ-ქებირის ხელში ჩაგდება, რამაც გამოიწვია საფრანგეთის უკმაყოფილება. მას ამ დროისათვის სურდა მაროკოს ტერიტორიის მთლიანად დაუფლება, მისი ჩრდილოეთი ნაწილის ჩათვლით [51,36]. 1911 წლის ზაფხულში ესპანელებმა წაიწიეს ქვეყნის სიღრმეში სეუტადან თეტუანისკენ და ლარაშიდან ჯიბალის ტომებით დასახლებულ რაიონში, სადაც წააწყდნენ დიდ წინააღმდეგობას ჯიბალის ერთ-ერთი გავლენიანი ტომის, არუსის მხრიდან. მათი ბელადი არ-რაისუნი კი სათავეში ჩაუდგა დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. შემდგომში არ-რაისუნი ძირითდად დაკავებული იყო ხალხის გატაცებით და გამოსასყიდის მიღებით. 1912 წელს ოკუპანტები შევიდნენ თეტუანში [22,253].

საფრანგეთი მოითხოვდა ესპანეთის სამეფოსაგან მაროკოს დასავლეთიდან ჯარების გაყვანას. ის თანახმა იყო მხოლოდ რიფის ოკუპაციაზე, რაზედაც ესპანეთი პასუხობდა, რომ შეთანხმების მიხედვით მას ეკუთვნოდა დასავლეთი ნაწილიც. კონფლიქტი მოგვარდა 1912 წლის საფრანგეთ-ესპანეთის მოლაპარაკებით, რომლის მიხედვით ესპანეთის სამეფოს მფლობელობაში გადადიოდა ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, ხოლო სულთნის წარმომადგენელი - „ხალიფა“ ინიშნებოდა თეტუანში. ევროპელებმა ხელში ჩაიგდეს ბუნებრივი წიაღისეულიც [51,38].

1913 წელს, არ-რაისუნიმ გაანადგურა გარბში ესპანეთის ჯარები, რის შემდეგაც გენერალი ალფანი შეცვალა გენერალმა მარინმა. ახალი მეთაურის დანიშვნამ მაინც ვერ მოუტანა ესპანეთის სამეფოს წარმატება [66,211]. დამპყრობლებმა შეცვალეს ბრძოლის ტაქტიკა და დაიწყეს ტომებისა და ფეოდალების მოსყიდვა და გადაბირება. 1914 წელს, მათ დაიკავეს თაზა, მიიმხრეს რიფის ტომების - იტეფისა და ბუკუიას მეთაურები [24,383]. 1915 წელს, დადეს შეთანხმება არ-რაისუნისთან და აღიარეს მისი ძალაუფლება ჯიბალის

ტომებზე. ამით ისინი ავალდებულებდნენ გაეწია დახმარება არამთიანი რაიონების დაპყრობაზე და პირდებოდნენ, რომ არ შეიჭრებოდნენ მის ტერიტორიაზე.

აგრესორებს სურდათ გავლენიანი ტომის, ბენი (სალიტერატურო ფორმა – ბანუ) ურიაგილის („ურᾱაღილ“) ბელადის, ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის გადაბირება. ბენი ურიაგილი იყო ყველაზე დიდი რიფის ჩრდილო-აღმოსავლეთში და უძლიერესი სამხედრო თავალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ‘აბდ ალ-ქერიმმა ითამაშა უნიშვნელოვანესი როლი 1907-08 წლებში სულთან ‘აბდ ალ-აზიზის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში. 1907 წელს, იგი ასევე დაუპირისპირდა ტახტის პრეტენდენტს ბუ-ჰამარას. ‘აბდ ალ-ჰაფიზის მოსვლის შემდეგ კი გადავიდა მის მხარეზე და მიიღო რიფის მმართველობის უფლება. ამავდროულად, ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი აგრძელებდა ბრძოლას ბუ-ჰამარას წინააღმდეგ. დაიკავა მისი რეზიდენცია სალვანი და აიძულა გაქცეულიყო მთაში. ესპანელებს კარგად ესმოდათ მისი ძლიერება და ამიტომ ‘აბდ ალ-ქერიმის ვაჟები მიიწვიეს თავისთან. მისი უფროსი შვილი, მუჰამად იბნ ‘აბდ-ალ-ქერიმი დაიბადა 1882 წელს. მან შეისწავლა ღვთისმეტყველება თეტუანსა და ფესში. 1910 წელს იხმეს მელილაში, სადაც მუშაობდა ადგილობრივ სკოლაში მასწავლებლად, შემდეგ დაინიშნა მოსამართლედ და მალე გახდა მელილასა და მისი შემოგარენის უფროსი მოსამართლე [51,40; 7,75; 33,575].

1915 წელს, ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი ალ-ჰუსემასში შეხვდა ესპანელ გენერალს აიზპურუს, რომელმაც შესთავაზა რიფზე ესპანეთის პროტექტორატის დამყარება, რაზედაც უარი მიიღო. ამასთანავე, ის მოღვაწეობდა ანტიიმპერიალისტურ გაზეთში და აწარმოებდა მოლაპარაკებას (1914) გერმანიის აგენტთან, მელილას მკვიდრთან ფრანცისკ ფრალთან, რომელიც პირდებოდა მუჰამადს შეიარღებულ დახმარებას ფრანგებისა და ესპანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთი წლის შემდეგ მუჰამად იბნ ‘აბდ ალ-ქერიმი დააპატიმრეს მელილაში ორი წლით. მან რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა ციხიდან გაპარვა. შვილის დაჭერის შემდეგ, ‘აბდ ალ-ქერიმმა დაიკავა ნეიტრალური პოზიცია. იგი თავაზობდა ესპანეთს ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას. 1916 წელს, მუჰამადი ციხიდან გამოუშვეს და დანიშნეს ისევ მელილას ოლქის მთავარ მოსამართლედ. მისი უმცროსი ძმა კი ისიც მუჰამადი (სხვა მონაცემებით

მაჰმადი), გაგზავნეს მადრიდში საინჟინრო სკოლაში სასწავლებლად, სადაც მიღებულ იქნა სამეფო კარზე [51,44].

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ესპანელმა კოლონიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ დადგა მაროკოს შიდა რაიონების ოკუპაციის დრო. გენერალ ბერენგერის გეგმის მიხედვით, ახალ უმაღლეს კომისარს ჯერ უნდა დაეპყრო დასავლეთი ნაწილი, შემდეგ შეენარჩუნებინა მშვიდობა რიფელებთან და გაელაშქრა აღმოსავლეთზე.

1919 წლის დასაწყისში, ესპანელი ოკუპანტები შეიჭრნენ ჯიბალის ტომების ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია რიფელების აღშფოთება. ამასთანავე, მათ დაიწყეს უერგის ხეობის ოკუპაცია. ამავე წელს, ესპანელებსა და ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის შორის იმდენად დაიძაბა ურთიერთობა, რომ მან გამოიწვია შვილები მელილადან და მადრიდიდან, თუმცა არ გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა. 1919-20 წლებში, იგი ასევე ცდილობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას [25,358; 47,28; 7,60; 42,355].

1920 წელს ესპანელები აგრძელებდენ ომს დასავლეთში და ცდილობდნენ ბენი ურიაგილის ტომის ბელადის შემორიგებას. გაუგზავნეს მას წერილი, რომელშიც თხოვდნენ ესპანეთში შვილების დაბრუნებას, რაზედაც მიიღეს პასუხი, რომ ისინი დაბრუნდებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ ესპანეთის სამეფო რეალურად ითანამშრომლებდა მასთან. ამის შემდეგ აგრესორმა დაიწყო რიფელებთან ღიად კონფლიქტის პროვოცირება.

1920 წლის შემოდგომაზე, ესპანელებმა დაიკავეს დასავლეთ ნაწილში შეშაუენი („შიშვან“) და განახორციელეს რიფის დარბევა, რომელიც დააბრალეს ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის. ამის საპასუხოდ, ‘აბდ ალ-ქერიმმა მიმართა წერილით გენერლებს აიზპურუს და ბერენგერს, რომელშიც მოითხოვდა ჩადენილი ბოროტმოქმედების მიზეზის დასახელებას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ის ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს. ესპანელებმა გამოიყენეს ეს წერილი მის წინააღმდეგ და გაავრცელეს ხმები, რომ ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი აღიარებდა დანაშაულს და მოუწოდებდნენ ხალხს მისი დამხობისაკენ. აღშფოთებულმა ტომის მეთაურმა დაიფიცა, რომ ამის შემდეგ ის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა აგრესორთა წინააღმდეგ, თუმცა მათგან განსხვავებით არ ჩქარობდა ომის დაწყებას.

1920 წლის ბოლოს, ‘აბდ ალ-ქერიმმა თავი მოუყარა შეიარაღებულ ძალებს ესპანეთის პორტებთან ახლოს, თაფერსითთან. აქედან გადიოდა რკინიგზის გზა

ბუ-ფარკუფამდე, რომელიც უერთდებოდა აზიბ ელ-მიდარ-მელილას ხაზს. ამ სტრატეგიული პუნქტებიდან რიფელები ემუქრებოდნენ ესპანელების საკომუნიკაციო სისტემებს. სამხედრო კამპანიას სათავეში ჩაუდგა ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი, რომლის შვილები დარჩნენ ადჯირში („ადჯირ“) სხვა ტომების გადასაბირებლად. აუცილებელი იყო არსებული შიდა ტომობრივი დაპირისპირების მოსპობა და ყველა ტომის უკლებლივ გაერთიანება. ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული საომარი მოქმედებები, რომ ‘აბდ ალ-ქერიმი მოულოდნელად გარდაიცვალა. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, იგი მოწამლეს ესპანელებმა. მისი უფროსი ვაჟი, მუჰამადი სათავეში ჩაუდგა ესპანეთის სამეფოს წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას [64,150; 47,32].

1921 წელს, დაიწყო 24 ათასიანი ოკუპანტთა მსვლელობა რიფზე. აქედან 4 ათასს შეადგენდნენ მტრის მხარეზე მებრძოლი მაროკოელები. საერთოდ საოკუპაციო ჯარების რიცხვი აღწევდა 63 ათასს. ესპანელების მხრიდან კამპანიას სათავეში ჩაუდგა გენერალი სილვესტერი. მან 1921 წლის დასაწყისში წაიწია რიფის შიგნით და დაიკავა ცალკეული დასახლებები. თებერვალში ესპანელებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიაღწიეს სიდი-დრისს, მდინარე ალ-ქებირის შესართავთან.

მუჰამად ‘აბდ ალ-ქერიმი თვლიდა, რომ ამ ეტაპზე მას არ გააჩნდა შესაბამისი ძალები და მოწინააღმდეგეს თავიდანვე არ გაუწია წინააღმდეგობა, რის გამოც ოკუპანტებმა დაიკავეს რიფის ნაწილი. ამ დროს, აგრესორებმა გადაწყვიტეს წინ წაწევა კელატესის კონცხისაკენ, რიგსის შესართავში. ამით მათ უნდოდათ თემსამანის ტომის გაძევება. გარდა ამისა, დამპყრობლებს გამიზნული ჰქონდათ საზღვაო დესანტის მეშვეობით ალ-ჰუსემასის დაკავება. რა თქმა უნდა, ეს გეგმა მოწონებულ იქნა მონარქის, ალფონს XIII-ის მიერ [51,48].

1921 წლის 1 ივნისს, ესპანელები დამარცხდნენ დარ აბართან რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად. მაროკოელების დიდი ნაწილი, რომელიც იბრძოდა მტრის მხარეზე, მიემხრო რიფელებს. ამ გამარჯვებამ ‘აბდ ალ-ქერიმს შემატა ახალი მეომრები და სათავე დაუდო რიფის ტომების სამხედრო კავშირის შექმნას. ოკუპანტები ასევე დამარცხდნენ სიდი-იბრაჰიმთან [25,342; 7,105].

1921 წლის 18 ივლისს, ანვალთან ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბიმ ასევე უკუაგდო ესპანელები და მოულოდნელად შეუტია იგერიბენის პოსტს. იქაური მაროკოელებიც შეუერთდნენ თანამემამულეებს. გენერალმა სილვესტერმა გაცა უკან დახევის ბრძანება. რიფელებმა დაიკავეს იგერიბენი და ხელში ჩაიგდეს

იარაღი. სილვესტერმა რევანშის აღების მიზნით, გადაისროლა ძალები ანვალთან, იგერიბენთან ახლოს. 6 დღიანი ბრძოლის შემდეგ (21-26 ივლისი) ესპანელები ხელმეორედ დამარცხდნენ. არმია მოიცვა პანიკამ. ისინი გარბოდნენ, ტოვებდნენ იარაღს, მანქანებს და მედიკამენტებს. გენერალმა სილვესტერმა თავი მოიკლა. ანვალის ბრძოლის შემდეგ რიფელებმა ტყვედ აიყვანეს 1265 მეომარი [46,51; 22,260; 47,45; 161,24-25].

5-6 აგვისტოს, ამბოხებულებმა გაანადგურეს მელილადან 50 კილომეტრში არუიტთან მდგარი გენერალ ნავაროს ჯარი და ამით მიუახლოვდნენ მელილას. ვინაიდან ქალაქი მელილა XV საუკუნის ბოლოდან ფორმალურად შედიოდა ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში, მუჰამად ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის შეეშინდა სხვა სახელმწიფოების ჩარევის და ამიტომ არ დაიკავა იგი. ამით მან დაუშვა უდიდესი შეცდომა. ანვალის ბრძოლამ გადაარჩინა ჯიბალის ტომები. ესპანელებმა უკან დაიხიეს, გენერალი ბერენგერი გაიქცა მელილაში.

აგრესორების დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ჯარს არ სურდა ბრძოლა ესპანელი ფინანსისტების ინტერესის გამო. ამასთანავე, უმაღლესი სამხედრო პირები ინიშნებოდნენ არა დამსახურებისამებრ, არამედ პროტექციით. ისინი ხშირ შემთხვევაში იყვნენ არისტოკრატიული წრიდან და არ ჰქონდათ მიღებული სამხედრო განათლება, ძირითადად უნდებოდნენ ინტრიგების ხლართვას და სპეკულაციებს. გარდა ამისა, არმიაში ყვაოდა კორუფცია და ამასთანავე მის დიდ ნაწილს შეადგენდნენ უბრალო გლეხები [51,53].

საჭიროა აღინიშნოს, რომ ესპანეთში დროდადრო ადგილი ქონდა სახალხო მღელვარებებს, რომელნიც მიმართული იყო მაროკოში ომის წინააღმდეგ. 1921 წლის სექტემბერში ესპანეთის სათავეში მოსულმა მაურის ახალმა მთავრობამ გაგზავნა „შარიფთა სახელმწიფოში“ დამატებით 4,5 ათასი ჯარისკაცი, რომელიც ასევე გაანადგურეს რიფელებმა.

‘აბდ ალ-ქერიმს კარგად ესმოდა, რომ მიღწეული გამარჯვებები არ იყო საბოლოო და ამიტომ მოუწოდა დასავლეთ რიფის მოსახლეობას გაერთიანებისა და ბრძოლისაკენ. გარდა ამისა, იგი შეუდგა არმიის გაზრდასა და რეორგანიზაციას.

1921 წლის სექტემბერში მუჰამად ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბიმ მიიწვია კაბირები-ტომთა წარმომადგენლები და მოუწოდა მათ ერთიანობისაკენ და აგრესორთა წინაღმდეგ ბრძოლისაკენ. გადაწყდა ნაციონალური მთავრობის ფორმირება. 19 სექტემბერს შედგა ეროვნული კრება, რომელზედაც გამოაცხადეს

რიფის დამოუკიდებლობა, ‘აბდ ალ-ქერიმის მეთაურობით და მას მიენიჭა ემირის ტიტული. შეიქმნა რიფის ტომების გაერთიანებული რესპუბლიკა („ალ-ჯუმჰ**ურ**ī**ა** ალ-ითიჰ̄ად**ī**ა ლიკაბ̄ილ არ-რ**ī**ფ“). კრებაზე რიფის დედაქალაქად გამოცხადდა ქალაქი ადჯირი, დამტკიცდა რესპუბლიკის დროშა და მიღებულ იქნა კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანო გახდა ნაციონალური კრება. მისი მდივანი იყო რიფის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მუჰამად ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრები, რომელთა მოვალეობას ასრულებდა პრეზიდენტი. მისი მრჩეველი ითავსებდა პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრის, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრების ფუნქციებს [162,1-2].

1921 წლის კრებამ ასევე მიიღო „ნაციონალური ფიცი“:

1. მაროკოზე დაწესებული პროტექტორატის არ ცნობა.
2. ესპანელების ევაკუაცია რიფიდან. ესპანეთს რჩებოდა მხოლოდ მელილა და სეუტა მიმდებარე შემოგარენით.
3. რიფის რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება.
4. რესპუბლიკურ-კონსტიტუციური მთავრობის შექმნა.
5. ბოლო 12 წლის მანძილზე აგრესორთა მხრიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურება და ტყვეთა გამოსყიდვა.
6. სხვადასხვა სახელმწიფოსთან შეთანხმებების და ურთიერთობების დამყარება, ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე [51,57; 22,257;161,25].

გარდა ამისა, გამოცხადებულ იქნა მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაცია. დასავლეთის ფრონტი ჩაიბარა ალ-ხატაბის ძმამ მაჰმადმა, ხოლო აღმოსავლეთის - თვით პრეზიდენტმა. არმიას, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობდა ‘აბდ ალ-ქერიმი, რომელიც შედგებოდა რეგულარული ჯარებიდან და ირეგულარული ტომთა ლაშქრებიდან. რეგულარული ჯარების რიცხვი აღწევდა 6-7 ათასს. მათგან ჩამოყალიბდა 60-70 ასეული, რომლის სათავეში იდგა ასეულის მეთაური („კ̄ა’იდ ალ-მი’ა“). ეს ჩინი შეესაბამებოდა კაპიტანს. ასეული იყოფოდა ქვედანაყოფებად - 50 და 25 ჯარისკაცად, რომლებსაც მეთაურობდნენ უმცროსი ოფიცრები. 400 ერთეული ემორჩილებოდა მაიორის ჩინის ოფიცერს („ტაბურ“). ოფიცრები იღებდნენ მუდმივ გასამრჯელოს: ასეულები - 25 დუროს თვეში, მაიორები – 30 დან 45-მდე დუროს, ხოლო ჯარისკაცებს ყოველდღიურად

უხდიდნენ 2 ესპანურ პესეტას. მათ ასევე უფლება ჰქონდათ მიეყიდათ მთავრობისთვის ომში მოპოვებული ნადავლი. 100 ფრანგული ტყვია ღირდა ოთხი დურო, ესპანური კი ერთი.

რიფის არმია გაწვრთნილი იყო ესპანურ ყაიდაზე და ძირითადად დაკომპლექტებული იყო იმ მაროკოელებისაგან, რომლებიც ადრე მსახურობდნენ ფრანგების და ესპანელების რიგებში, აგრეთვე შედიოდნენ მტრის მხრიდან გადასული უცხოელები. ჯარისკაცები და ოფიცრები ირჩეოდნენ სხვადასხვა ტომიდან. რეგულარული ნაწილები არასოდეს არ იგზავნებოდნენ ბრძოლის ველზე სრული შემადგენლობით. ისინი ასრულებდნენ მთელი არმიის მამოძრავებელი ბირთვის როლს. მათი ოფიცრები და ჯარისკაცები ვალდებული იყვნენ გაეწვრთნათ ტომთა ლაშქრები და ეხელმძღვანელათ მათთვის ფრონტის ხაზზე. ამასთანავე, მათგან აყალიბებდნენ საარტილერიო ნაწილებს. ტომთა ლაშქრები შეადგენდნენ მთავარ საბრძოლო ძალას, რომლებშიც შედიოდნენ მოსახლეობის 16-დან 50 წლამდე მამაკაცები (სხვა მონაცემებით 19-დან 60 ასაკის). ჯარის რიცხვი იცვლებოდა ომის მსვლელობის მიხედვით. პრეზიდენტი საომრად აგზავნიდა იმ ტომებს, რომელთა ტერიტორიაზე მიმდინარეიბდა საომარი მოქმედებები. ისინი იცვლებოდნენ ორ-სამ კვირაში ერთხელ და თუ უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა შეტაკება, მაშინ ენაცვლებოდნენ მათ მეზობელი ტომები. დიდი ნაწილი შეადგენდა ქვეით ჯარს, ხოლო ცხენოსანთა რიცხვი აღწევდა 2 ათასს [51,63].

რიფელების სიმამაცე აღრთფოვანებას იწვევდა თვით მოწინააღმდეგებშიც. ისინი კარგად იყვნენ გაწვრთნილი და გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ბრძოლის უნარით. საათში ფეხით გადიოდნენ 7 კოლომეტრს, თან ყოველთვის ჰქონდათ წყალი და კალათა საკვებით. არმია მარაგდებოდა ბრძოლის ველიდან მოპოვებული იარაღით და ამავდროულად ყიდულობდნენ მას იაფად მტრის ქალაქებში, ესპანელი ჯარისკაცებიდან. რიფელები სარგებლობდნენ ხელის ყუმბარებით, რომლებსაც ამზადებდნენ რიფელი ებრაელი იუველირები და მჭედლები მოწინააღმდეგის აუფეთქებელი ბომბებისაგან. მათი ხარისხი ბევრად ჯობდა ესპანელებისას. რიფის არმიის სუსტი წერტილი იყო ავიაცია და სამხედრო ჰოსპიტალების არარსებობა. ისინი ამაოდ შეეცადნენ ავიაციის შექმნას. გარდა ამისა, ანვალის ბრძოლის დროს მოპოვებული მედიკამენტების მარაგი დროთა განმავლობაში ამოიწურა და რიფელებმა ვერ მოახერხეს მისი შევსება [51,67].

აღსანიშნავია, რომ რიფის რაიონებში ადმინისტაციული ერთეული იყო არა ოლქი, არამედ ტომი ანუ შენარჩუნებული იყო საუკუნოვანი ტრადიცია. სახელმწიფო იყოფოდა 18 ტომად. ტომის სათავეში იდგა კᾱ'იდი („კᾱ'იდ", მრ.რ. „კუვᾱდ", კᾱდა-ხელმძღვანელი, მეთაური, ბელადი"), ხოლო გვარისას შაიხი. ისინი ასრულებდნენ მოსამართლის, სამხედრო მეთაურის და გადასახადების ამკრეფის ფუნქციებს. ამასთანავე, თითოეული ტომის სათავეში ბელადთან ერთად იდგა სათემო საბჭო-ჯამᾱ'ა. კᾱ'იდები ექვემდებარებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს და ტომთა სპეციალურ საბჭოს. ტომების მეთაურების მიერ მიღებული განაჩენი, ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. რიფის რესპუბლიკა იყო ტომთა კავშირი „სამხედრო დემოკრატიის" თავისებური ფორმით.

შემოღებულ იქნა ორი გადასახადი: 1. სულადობრივი, რომელსაც იხდიდა ყველა, ომის ინვალიდებისა და უპოვრების გარდა. 2. გადასახადი სათემო შემოსავლებიდან, რომელიც ხმარდებოდა რეგულარულ არმიას. იგი განისაზღვრებოდა შემოსავლის 5% ოდენობით და მას იხდიდნენ ფულადი ან ნატურალური პროდუქტის სახით, რაც დაბალი იყო სხვა ქვეყნებთან შედარებით [51,61].

1921 წლის ოქტომბერში ესპანელების 70 ათასიანმა ჯარმა შეუტია რიფელებს. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა მელილასა და ალ-ჰუსემასის რაიონში. მათი მცდელობა გადასულიყვნენ მელილას მხრიდან უშედეგოდ დასრულდა. 1922 წელს ესპანელებმა ხელმეორედ შეუტიეს. ბრძოლა გაიმართა მელილა-საბთას ხაზზე. თებერვლის შუა რიცხვებში ოკუპანტები დამარცხდნენ და მათ დაიხიეს ქალაქ მელილასაკენ. ესპანეთის სამეფოს სამხედრო კაბინეტი იძულებული გახდა დაეყენებინა სამხედრო ოპერაციების შეწყვეტის საკითხი. გარდა ამისა, ქვეყანაში იზრდებოდა ხალხის უკმაყოფილება სამხედრო ოპერაციების მიმართ და ამასთანავე სამეფოს ხაზინა ეწირებოდა მაროკოს ომს.

1922 წელს მაურის მთავრობა შეცვალა გერიას მთავრობამ, რომელმაც განაახლა ბრძოლები და დააწესა სასტიკი ცენზურა პრესაზე, რათა მოსახლეობას არ გაეგო მაროკოში მიმდინარე მოვლენები. 1922-23 წლებში, ესპანეთმა დაიბრუნა ანვალის ბრძოლამდე „კუთვნილი ტერიტორიები".

'აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი ცდილობდა მშვიდობის დამყარებას და შეეცადა მოეპოვებინა ევროპის სახელმწიფოებისგან რიფის რესპუბლიკის აღიარება. მას იმედი ჰქონდა, რომ ტანჟერის საკითხთან დაკავშირებით გამოიყენებდა ინგლისის, საფრანგეთის და ესპანეთის უთანხმოებას. ეს პრობლემა

განსაკუთრებით გამოიკვეთა ანვალის მარცხის შემდეგ. როდესაც საფრანგეთმა დაინახა ესპანეთის სისუსტე გადაწყვიტა მიეთვისებინა მისი ტერიტორია და ხელში ჩაეგდო ტანჟერიც. საფრანგეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ ესპანელებს ძალა აღარ შეწევდათ გაეკონტროლებინათ და დაემორჩილებინათ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მოსახლეობა, რაც საფრთხეს უქმნიდა ფრანგების უსაფრთხოებას.

1922 წელს, ლიოტემ განაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელობა აღიარებდა ერთიან მაროკოს სულთნის მეთაურობით, რამაც გამოიწვია ესპანეთის პროტესტი. ამის საპასუხოდ, ესპანურ-აფრიკულმა ლიგამ გააჩაღა ბრძოლა საფრანგეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ ხმელთაშუა ზღვაში და ჩრდილოეთ მაროკოში, რაშიც აქტიურად ჩაერთო პრესა. ინგლისი დაიმუქრა, რომ ტანჟერის საერთაშორისო სტატუსის საკითხის არშესრულების შემთხვევაში, დააყენებდა საკითხს ერთა ლიგაზე. ამასთანავე, ინგლისის სამეფომ გააძლიერა ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში, გაზაფხულზე კი განახორციელა „მეგობრული ვიზიტი" ესპანეთის პორტებში.

ამავე წელს, 'აბდ ალ-ქერიმმა გაგზავნა წარმომადგენლები ფესსა და ლონდონში. მას იმედი ჰქონდა, რომ გამოიყენებდა ევროპის სახელწიფოებს შორის არსებულ უთანხმოებას, რაც უშედეგოდ დასრულდა. საფრანგეთმა 'აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის რიფის აღიარების ნაცვლად შესთავაზა სავაჭრო ხელშეკრულების დადება და გადაცა ნოტა, რომლის მიხედვით პოლიტიკური და სასულიერო ძალაუფლება ენიჭებოდა მხოლოდ მაროკოს სულთანს, რომელიც უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა ანალოგიური საკითხები. ასევე ამაოდ დასრულდა ლონდონის მისიაც ივლისში. რიფელებმა მოახერხეს მხოლოდ იარაღის მოვაჭრეებთან კავშირის დამყარება. ამავე დროს, 'აბდ ალ-ქერიმმა გაუგზავნა წერილები საფრანგეთის, ინგლისის, აშშ-ს მთავრობებსა და რომის პაპს [51,72].

პარალელურად, რიფის რესპუბლიკის პრეზიდენტი აწარმოებდა მოლაპარაკებას ესპანეთის მთავრობის აგენტთან ეჩევარიეტთან, რამაც ასევე ვერ გამოიღო შედეგი. ესპანელები თანახმდებოდნენ რიფის შიდა ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის აღიარებას, სამეფოს პროტექტორატის შემადგენლობაში [64,150].

იმ დროს, როცა რიფის რესპუბლიკის ფრონტზე სუფევდა სიმშვიდე ოკუპანტებმა გადაწყვიტეს ჯიბალის ტომების განადგურება, რათა ხელი

შეეშალათ რიფთან შეერთებაში და ხელში ჩაეგდოთ დასავლეთის მხრიდან დაპყრობის ახალი პლაცდარმი. 1922 წელს, ესპანეთის სამეფოს 30 ათასიანი არმია დაიძრა ჯიბალის წინააღმდეგ. მაისის თვეში მათ დაიკავეს არ-რაისუნის რეზიდენცია, თაზარუთის აული. კა'იდი გაიქცა მთაში. მოპოვებულმა წარმატებამ მაინც ვერ გამოასწორა არსებული მდგომარეობა [66,195].

ამ პერიოდში, ესპანეთში დაიწყო მაღაროელთა გაფიცვები. ივნისში მათ შეუერთდნენ მეტალურგებიც, მოგვიანებით მხარი დაუჭირეს სხვა პროფესიის ადამიანებმაც. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყანა ვეღარ უძლებდა ომის ხარჯებს. 15 ივლისს გადააყენეს გენერალი ბერენგერი, მის ნაცვლად დანიშნეს ბურგეტი და დაიწყეს მოლაპარაკება მოღალატე არ-რაისუნისთან. თავდაპირველად მოლაპარაკებები შევიდა ჩიხში და ესპანეთმა ისევ განაახლა მზადება ახალი კამპანიისათვის [51,75; 22,278].

1922 წლის 12 აგვისტოს, იმის შემდეგ, რაც ესპანურ გაზეთში „ლიბერტად" გამოქვეყნდა 'აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის წერილი, რომელშიც ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არ იყო ესპანელი ხალხის წინააღმდეგი და იბრძოდა მხოლოდ კოლონიალიზმის წინააღმდეგ, უფრო მეტად გაიზარდა მთავრობის მიმართ ხალხის უკმაყოფილება. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ დეკემბერში სანჩეს-გერას მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო. ლიბერალურმა ალბას ახალმა მთავრობამაც განაგრძო ომი მაროკოში. ესპანელების ჯარმა მიაღწია 140 ათასს. საომარი ოპერაციების პარალელურად, დამპყრობლები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ჯიბალისა და გუმარას ტომებთან, რის საპასუხოდ 'აბდ ალ-ქერიმი ცდილობდა მათ გადაბირებას. ესპანელები სულ მარცხდებოდნენ.

1923 წელს, რიფის კიდევ ერთი დელეგაცია ამაოდ ჩავიდა პარიზში. მათ მოახერხეს მხოლოდ იარაღის შეძენა. ამავე წლის აპრილში კი ფრანგები გადავიდნენ ჯერ კიდევ დაუპყრობელი თაზას რაიონში, ხოლო ესპანელები მოემზადნენ ახალი შეტაკებისათვის და ხელი მოაწერეს შეთანხმებას არ-რაისუნისთან. მან კი გაყიდა რიფელები დიდი ფულის სანაცვლოდ. ის დათანხმდა არა მარტო დაქვემდებარებოდა ესპანელებს, არამედ საკუთარ თავზე აიღო ესპანეთის ზონაში წესრიგის დამყარება და დაპირდა აგრესორებს, რომ დაეხმარებოდა შეიარაღებული ძალებითაც. ამ ყველაფრის მიუხედავად, 1923 წლის მაისში განხორციელებული კამპანია წარუმატებელი აღმოჩნდა [47,67]. ივნისში რიფელებმა გაანადგურეს ოკუპანტები დასავლეთ მაროკოში – ურსა -

შეშაუენის ხაზზე. ასევე დაამარცხეს მტერი ქალაქ ვაგიტშიც. ამის შემდეგ ესპანელები შეეცადნენ რიფელებთან „კომპრომისზე წასვლას“. დაპირისპირებული მხარეები ვერ რიგდებოდნენ მთავარ საკითხზე. ესპანეთი ცნობდა რიფს, როგორც ავტონომიურ ოლქს და არ აღიარებდა მას როგორც ცალკეულ დამოუკიდებელ რესპუბლიკას. დამპყრობლები ცდილობდნენ ტომობრივი არისტოკრატიისა და ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის მოსყიდვას. პირდებოდნენ მათ დიდ თანამდებობებს და მატერიალურ დახმარებას. ამით ისინი იმედოვნებდნენ რიფელების ერთიანობის გატეხვას. ესპანეთის სამეფო აძლევდა მათ მოსაფიქრებლად 48 საათს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ახალი თავდასხმებით. აგვისტოს ბრძოლაში ოკუპანტები ისევ დამარცხდნენ.

ესპანეთის ჯარის განადგურება მაროკოში ფაშისტური რეჟიმის მომხრემ, ბარსელონელმა გენერალმა პრიმო დე რივერამ მოინდომა მაროკოს საბოლოო დამორჩილება. მისი თაოსნობით დაიწყო ალ-ჰუსემასის დაბომბვა. „შარიფთა სახელმწიფოში“ გაიგზავნა 6 კრეისერი და 12 გამანდგურებელი კატერი. ამასთანავე, კონცენტრირება მოხდა მელილას ფრონტზე. ამჟამად სამხედრო მისიის შესრულება დაევალა ყოფილ სამხედრო მინისტრს აიზპურუს, რომელიც დაინიშნა უმაღლესს კომისრად. ფაშისტური დირექტორიაც შეზღუდული იყო ფინანსებში. 1923 წლის შემოდგომაზე, პრიმო დე რივერა იძულებული გახდა შემოფარგლულიყო ალ-ჰუსემასის მხოლოდ ზღვიდან დაბომბვით და გადაედო სახმელეთო ოპერაცია გაზაფხულამდე. 1923 წლის დეკემბერში, ესპანეთის მეფე ალფონს XIII და პრიმო დე რივერა ჩავიდნენ რომში იარაღის შესაძენად. ვატიკანში ყოფნის დროს, ესპანეთის მონარქმა აღნიშნა, რომ იგი ყოველთვის იბრძოდა და იბრძოლებდა მუსლიმთა წინააღმდეგ. მისი სიტყვა გადაიცა საჯაროდ, რამაც გამოიწვია ხალხის აღშფოთება. ამავე წელს, ესპანეთის სამეფოს აგენტი შეხვდა რიფში რესპუბლიკის პრეზიდენტს და გამოისყიდა ტყვეები 4 მილიონ პესეტად, ხოლო მაროკოელი პატიმრები გაანთავისუფლეს ესპანეთის ციხეებიდან. 1923-24 წლებში, ზამთარში წვიმების სეზონის დროს დროებით შეწყდა საომარი მოქმედებები, რაც გამოყენებულ იქნა ახალი ძალების მოსაკრებად. ამასთანავე, ‘აბდ ალ-ქერიმმა კიდევ ერთხელ მიმართა ინგლისს ესპანეთთან შუამდგომლობისათვის [51,83; 22,261].

1924 წლის თებერვალში, მელილას რაიონში რიფელებმა დაამარცხეს ესპანელები, რის საპასუხოდაც მალაგაში დაიწყო ჯარის აჯანყება. ჯარისკაცებს აღარ სურდათ მაროკოში სამხედრო სამსახურის მოხდა და ომში

მონაწილეობა. მაროკოელებმა მოიპოვეს გამარჯვება გაზაფხულისა და ზაფხულის სამხედრო ოპერაციებშიც. ესპანეთის ჯარი პანიკამ მოიცვა.

მაროკოში ჩავიდა თავად პრიმო დე რივერა. აგვისტოში, თეტუანთან გამარჯვების შემდეგ დაიწყო რიფელების მხარეზე იმ ტომების გადასვლის პროცესი, რომლებიც ადრე ინარჩუნებდნენ ნეიტრალურ პოზიციას (მაგ: „ბანუ ჰასან“). რიფელებს ასევე შეუერთდნენ მტრის მხარეზე მებრძოლი მაროკოელებიც.

1 სექტემბერს, რიფელებმა ალყა შემოარტყეს თეტუანის დასავლეთით მდებარე ესპანელების ბანაკს და ჩახერგეს გზა თეტუანსა და ტანჟერს შორის. მათ დაიკავეს მდინარე ლაუს ხეობაში გაშლილი რამდენიმე საგუშაგო და ხელში ჩაიგდეს იარაღი. 4 სექტემბერს ოკუპანტებმა დაიწყეს უკან დახევა. მეორე დღეს, პრიმო დე რივერა ისევ ჩავიდა მაროკოში. აგრესორებს ძალიან გაუჭირდათ თავიანთი გარნიზორების გაყვანა. მათ ერთ ნაწილში გადაიხადეს 150 ათასი პესეტა [66,117].

10 სექტემბერს შეწყდა სარკინიგზო, სატელეფონო და სატელეგრამო კავშირი სეუტასა და თეტუანს შორის. ბრძოლა მიმდინარეობდა თეტუანის კედლებთან. ესპანელების წინააღმდეგ იბრძოდნენ მაროკოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონის ტომები. ამ გამარჯვებების შედეგად მაროკოელებმა მოიპოვეს მტრის ქვეყნიდან გაძევების შანსი. ამ დროს, ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბიმ კვლავ წამოაყენა რიფის რესპუბლიკის აღიარების საკითხი და მოითხოვა ესპანელების ჯარების გაყვანა ოკუპირებული ტერიტორიებიდან თეტუანის ჩათვლით, მელილას, სეუტას, ალ-ჰუსემასის და ველეს-დელ-გამერირას კუნძულების გარდა. რიფის პრეზიდენტი ასევე ითხოვდა ბოლო 12 წლის მანძილზე მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და მოღალატე ტომების მეთაურების დასჯას. საპასუხოდ პრიმო დე რივერამ შეკრიბა რიფის დასავლეთში 100 ათასი და მელილაში 60 ათასი ჯარისკაცი. სამხედრო ოპერაციას სათავეში ჩაუდგა გენერალი აიზპურუ, რომელიც დამარცხდა. დე რივერას ბრძანებით, თუ ვინმე უარს იტყოდა ომში მონაწილეობაზე, მნიშვნელობა არ ჰქონდა იქნებოდა სამოქალაქო, თუ სამხედრო პირი, იქნებოდა დაპატიმრებული. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში კი სიკვდილით დაისჯებოდა. ეს განკარგულება გამოიცა მას შემდეგ, რაც თეტუანში გენერალზე განხორციელდა თავდასხმა. თავდამსხმელი ადგილზე დახვრიტეს.

ნოემბრის შუა რიცხვებისათვის ესპანელები საბოლოოდ განდევნეს შიდა რაიონებიდან. თეტუანი და მდინარე ლაუს ხეობა მთლიანად გადავიდა მაროკოელების ხელში. 11 დეკემბერს უკანასკნელმა ესპანელმა დატოვა ალ-არბას საგუშაგო. ესპანეთი ფლობდა ელ-კსარ-ელ-ქებირს, ლარაშს, არსილას, არსილა-თეტუანი-სეუტას ხაზს და მელილას მოსაზღვრე რაიონს.

1924 წლის დეკემბერში, გიბრალტარის სანაპიროზე აჯანყდა ანჯერას ტომი. აჯანყებულებმა დაიკავეს ტანჟერიდან აღმოსავლეთით 20 კილომეტრში მდებარე ალ-კასრ ას-საგირის პუნქტი და რამდენიმე ოფიცერი ტყვედ აიყვანეს. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მუშებმაც. მოგვიანებით, ამბოხებულებმა დაიკავეს ამ რაიონში მდებარე სხვა პოსტებიც.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რიფის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ გომარას და ჯიბალის ტომები. რიფელებმა კვლავ დაუშვეს შეცდომა. მათ არ უკუაგდეს კოლონიზატორები ზღვისკენ, რომლებიც ფლობდნენ მხოლოდ პატარა პლაცდარმს.

1924 წელს, განახლდა მოლაპარაკებები. ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის შეთავაზეს იარაღი და ფული, საფრანგეთის წინააღმდეგ გამოსვლის და რამდენიმე პუნქტის სანაცვლოდ (კელატესის კონცხი, პორტო-ნუევო...). მოლაპარაკებები მალე შეწყდა. ყველაფერი ეს გამიზნული იყო დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. გარდა ამისა, მწიფდებოდა საფრანგეთ-რიფის კონფლიქტი და ამიტომ ესპანეთს აწყობდა საფრანგეთის ომში ჩათრევა. ესპანეთის სამეფოს არ სურდა მშვიდობა. ბუნებრივია, რომ მაროკოელების ბრძოლა ორ ფრონტზე, დაასუსტებდა მათ ერთიანობას და ქვეყანას [51,91].

რიფის რესპუბლიკა აძლევდა ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოებს მაგალითს, რაც ბუნებრივია აშინებდა საფრანგეთს და ამიტომ მან იპოვა მიზეზი ახალგაზრდა რესპუბლიკასთან საბრძოლველად.

§2. საფრანგეთის ჩარევა კონფლიქტში და მისი შედეგები

რიფელები არ გამოდიოდნენ ფრანგების წინააღმდეგ, მაგრამ მათმა ბრძოლამ გავლენა იქონია საფრანგეთის ზონის მოსახლეობაზე. I მსოფლიო ომის დასრულების დროს, საფრანგეთის ნაწილში დაუმორჩილებელი რჩებოდა ქვეყნის მთიანი და უდაბნო ადგილები, მაღალი ატლასის, ანტი-ატლასის და ჯაბალ-საგოს რაიონები, რომლებსაც ფრანგები უწოდებდნენ „ლაქებს“. ცალკე გამოიყო თადლა და თაზა, რომლის ტომებმა დაამყარეს ურთიერთშორის კავშირი, აირჩიეს სამხედრო მეთაურები და დაიწყეს ბრძოლა თავისუფლებისათვის.

1920 წელს ლიოტემ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით 3 წლის მანძილზე უნდა დაეპყროთ და აეთვისებინათ ზემოთ აღნიშნული ტერიტორიები, რამაც ვერ გამოიღო შედეგი [162,65-66].

1923 წელს, ფრანგებმა შეუტიეს თაზას მექნესის და ფესის მხრიდან. მათ განიცადეს დიდი ზარალი. მოსახლეობის ნაწილი გაიხიზნა მთებში. 1924 წელს, საფრანგეთმა მოახდინა კონფლიქტის პროვოცირება მდინარე უერგის ხეობის გამო. ეს ხეობა იყო საზღვარი, რადგანაც მდებარეობდა ორ ზონას შორის [46,95; 47,73]. ამასთანავე, არ არსებობდა ზუსტი რუკა, რომელზედაც დატანებული იქნებოდა მკაფიო საზღვარი. გარდა ამისა, უერგის ხეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რიფის ოლქთან, დასახლებული იყო მონათესავე ტომებით და რაც მთავარია, რიფი აქედან მარაგდებოდა პურით. გაზაფხულზე ლიოტემ დაიწყო უერგის ოკუპაცია. ‘აბდ ალ-ქერიმი ამაოდ ცდილობდა მშვიდობის დამყარებას. ფრანგმა კომისარმა სიტუაციის გასარკვევად გაგზავნა ადჯირში ფესელი ვაჭარი სადიკ ალ-ხამლიში. რიფის რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ რაიონის მოსახლეობა ფაქტობრივად ეკუთვნოდა რიფს და იხდიდა გადასახადებს, თუმცა მზად იყო განეხილა საზღვრის საკითხი. აპრილის თვეში, ოკუპანტებმა შარიფ დერკავიას რაზმების მეშვეობით განახორციელეს თავდასხმა რიფის მეზობელ, ბენი ზარვალის ტომზე. რიფელებმა უკან დაიხიეს. მათ მხარეზე გადავიდა ბენი ზარვალის ჯარის დიდი ნაწილი. 25 აპრილს, სადიკ ალ-ხამლიში კვლავ გაგზავნეს ადჯირში, რომელმაც გადასცა ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის შეტყობინება იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის ადმინისტრაცია მზად იყო მიეღო ფესში რესპუბლიკის წარმომადგენელი.

9 მაისს, კა'იდი ალუში ჩავიდა ფესში. მას შეხვდა ქალაქის დაზვერვის უფროსი. კა'იდმა განაცხადა, რომ 'აბდ ალ-ქერიმი ითხოვდა საზღვრის განსაზღვრას, რის შემდეგაც გაიყვანდა ჯარს ამ რაიონიდან. საპასუხოდ ფრანგებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჭირდებოდათ ამა თუ იმ რაიონის ოკუპაციაზე ნებართვა და გადაცეს 1912 წლის კონვეცია, რომელიც ადგენდა მათ შორის საზღვარს.

27 მაისს, ფრანგებმა გადალახეს უერგის ხეობა და დაიკავეს მიმდებარე ტერიტორია, რის საპასუხოდაც რიფელებმა შეუტიეს ბუ-ადლს და სიდი მუჰამადის პოსტებს. თავდაპირველად მათ უკან დაიხიეს და ორ დღეში ისევ უშედეგოდ შეუტიეს. ივნის-აგვისტოში ასევე არ წყდებოდა შეტაკებები. სექტემბრის თვეში ფრანგებმა მოახდინეს უერგის ზედა წელის ოკუპაცია და დაიწყეს მისი ათვისება. წვიმების სეზონამდე, ფესიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მათ გახსნეს საგუშაგოები [51,100].

ინგლისს აღელვებდა თავისი კოლონიების საკითხი და შიშობდა, რომ რიფელების მაგალითი გამოიწვევდა ახალი მღელვარებების ტალღას. ამის გამო განაცხადა, რომ არ იყო საფრანგეთის მოქმედებების წინააღმდეგი, თუმცა არ შეეგუებოდა ქვეყნის „გადაკეთებას".

საფრანგეთის აგრესიის დაწყება რიფის რესპუბლიკის წინააღმდეგ

საფრანგეთ-რიფის ომი ფაქტობრივად დაიწყო მაშინ, როდესაც საფრანგეთმა ხელში ჩაიგდო უერგი და ამით მომარაგების გარეშე დატოვა რიფელები. გარდა ამისა, 1924-25 წლებში ფრანგები ემზადებოდნენ ახალი თავდასხმებისათვის, ყიდულობდენ სხადასხვა ტომის შაიხებს და ამარაგებდენ მათ იარაღით. რიფელებიც ემზადებოდნენ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აშენებდნენ და აგებდნენ გზებს, ხიდებს, გაყავდათ სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზები, ეწეოდნენ აგიტაციას ფრანგების წინააღმდეგ.

'აბდ ალ-ქერიმი ემზადებოდ საომრად, მაგრამ 1925 წლის ზამთარში არ განახორციელა მსხვილი სამხედრო ოპერაცია ესპანეთის ფრონტზე, რითაც ისარგებლეს ოკუპანტებმა და დაიკავეს ახალი ტერიტორიები. ისინი ბომბავდნენ სოფლებს, თავს დაესხნენ ანჯერას ტომს, რომელმაც უკან დაიხია. აიღეს ქალაქი ალ-კასრ ას-საგირი. ამ ყველაფერმა მაინც ვერ შეცვალა ესპანეთის ზონაში არსებული მდგომარეობა.

1925 წლის 14 იანვარს, მონტ-საგრადოში შედგა ჯიბალის ტომებისა და რიფელების შეხვედრა, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 4 დიდი რაზმის („ხარკა“) შექმნის თაობაზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ არ-რაისუნის დაკავების შემდეგ (1925 წლის 10 აპრილს იგი ჩაიყვანეს ადჯირში) ჯიბალის ტომები შეუერთდნენ ამბოხებულებს. ტანჟერიდან მელილამდე ტერიტორია უკვე რიფის რესპუბლიკის ხელში იყო.

გაზაფხულზე, საფრანგეთიდან და ალჟირიდან ჩამოსული ახალი საჯარისო ნაწილები განლაგდნენ ვაზანში. ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი ამაოდ ცდილობდა მშვიდობის დამყარებას, როგორც საფრანგეთთან ასევე ესპანეთთან.

რიფელების პირველი თავდასხმა. იმის შემდეგ რაც ვერ მოხერხდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება, რიფელები გადავიდნენ შეტევაზე. 1928 წლის 12 აპრილს მათ დაიკავეს ბენი ზარვალის ტერიტორია. მათი უმეტესობა დიდი სიხარულით შეუერთდა რიფელებს. წინააღმდეგობა გაწია მხოლოდ შარიფმა დერკავიამ და მისმა გარემოცვამ, რომელნიც მოსყიდული ჰყავდათ ფრანგებს, თუმცა ბენი მესტარას ტომის მეომრებმა აიძულეს ისინი დაეხიათ ფრანგების საგუშაგომდე. 23 აპრილს ბენი ზარვალის მთელი ტერიტორია შეუერთდა რიფს, რაზედაც საფრანგეთმა განაცხადა, რომ ბენი ზარვალი შედიოდა მის ზონაში. საპასუხოდ ‘აბდ ალ-ქერიმმა აღნიშნა, რომ ამ ტომმა ბევრჯერ გაგზავნა წარმომადგენელი რიფში იმისათვის, რომ შესულიყვნენ მის შემადგენლობაში და მხოლოდ კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით თავს იკავებდა მის თხოვნაზე [51,107;162,2]. ბენი ზარვალის მაგალითზე, სხვა მეზობელმა ტომებმაც წამოიწყეს აჯანყება და თავდასხმა მდინარე უერგის ხეობაში მდებარე ფრანგების საგუშაგოებზე. ოკუპანტებმა გადაისროლეს დამატებითი ძალები ალჟირიდან და განლაგდნენ დარ-კაიდ-მედბას, ‘აინ-აიშას, კალხათ ას-სლესის პუნქტებში და დაიწყეს დასახლებებისა და მეჩეთების გადაწვა. ამით აგრესორებმა დაუშვეს შეცდომა, რადგან ის ტომები, რომლებიც აქამდე საერთოდ არ ერეოდნენ კონფლიქტში აღდგნენ მათ წინააღმდეგ და მხარი დაუჭირეს აჯანყებულებს. 25 აპრილს რიფელებს მიემხრო სლესის ნაწილი და სოფელ ულედ ბუ-სულთანის მოსახლეობა. ამბოხებულები უახლოვდებოდნენ კიფანს.

საფრანგეთის დიდი მცდელობის მიუხედავად, მან ვერ მოახერხა ესპანეთის სამეფოს ომში ჩათრევა, ვინაიდან ის ფაქტობრივად გაკოტრებული იყო. რიფელები კი აგრძელებდნენ შეტევას ორი მიმართულებით (1925) - ფესისა და

მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის, თაზისაკენ (აქ გადიოდა ფესი-ალჟირის რკინიგზის ხაზი). ამასთანავე, რიფელებს ეხმარებოდნენ გეზაუას და სანჰაჯას ტომები. მათ აიღეს რამდენიმე საგუშაგო და ალყა შემოარტყეს უერგის ხეობაში ფრანგულ პოსტებს. აგრესორებმა შეუტიეს ახალი ძალებით, ვერ მიაღწიეს გამარჯვებას, თუმცა მოიპოვეს გარკვეული წარმატება. 13 მაისს, მათ დაიკავეს ბიბანი (ბიბანი იყო ფესისაკენ მიმავალი კარი).

მაისში, ფრანგებმა განაახლეს ბრძოლა მელილაში, მაგრამ მალე უკან დაიხიეს. ამ პერიოდში რიფის პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა ახალი რაზმები ჯიბალის ტომებიდან. ორ ფრონტზე ბრძოლა ამძიმებდა რიფელების მდგომარეობას, მაგრამ დამპყრობლებმა მაინც ვერ გატეხეს მათი მებრძოლი სული.

რიფელების მეორე შეტევა. როგორც ცნობილია, ბიბანის ბრძოლის შემდეგ რიფელებს შეუერთდნენ ჯიბალის, გუმარას, ბრანესის და გეზნაიას ტომები. მაისის ბოლოს მათ შეუტიეს თაზას, ვაზანის ჩრდილოეთით კი შეიჭრნენ საფრანგეთის ზონაში და კვლავ ალყა შემოარტყეს მთის მასივს ბიბანს. ფრანგებმა განიცადეს დიდი ზარალი. მოსაზღვრე ტომებმა ისევ დაიწყეს რიფელების მხარეზე გადასვლა. თავდაპირველად ფრანგები დამარცხდნენ. მხოლოდ ხელმეორედ შეტევისას მათ მოახერხეს ნაწილი საგუშაგოების ევაკუაცია.

31 მაისს, რიფელები ბიბანის რაიონში შეებრძოლნენ პოლკოვნიკ ფერალს [46,116]. ამის პარალელურად, მათ იერიში მიიტანეს ესპანეთის რამდენიმე პუნქტზეც, თუმცა მთელი ძალები მიმართული იყო ფრანგების წინააღმდეგ. მათ მხარეზე იბრძოდნენ ოკუპანტების ყოფილი მომხრეებიც.

1925 წლის 1 ივნისს, იმპერიალისტები თავს დაესხნენ ვაზანის სექტორს. 3 ივნისს მიაღწიეს ბიბანიდან აღმოსავლეთით, მდინარე უერგის სამხრეთ ნაპირს. ფრანგებს არ ყოფნიდათ მაროკოში ბრძოლის გამოცდილება. ალჟირიდან გადმოსროლილი ჯარი კი იბრძოდა ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე. გარდა ამისა, ისინი არ იყვნენ შეჩვეული მაროკოს კლიმატს და პირველი მსოფლიო ომის დროს შემუშავებული საბრძოლო ტაქტიკა არ იყო გათვლილი „შარიფთა სახელწიფოზე“. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პარტიზანული ომიც [51,118]. რიფელები მუდმივად თავს ესხმოდნენ მტრის პოსტებს. ფრანგები მალავდნენ მსხვერპლის ზუსტ რიცხვს.

5 ივნისს, რიფელების მეორე შეტევამ უფრო დაამძიმა დამპყრობელთა მდგომარეობა. ფრანგები ითხოვდნენ დამატებით ძალებს. აჯანყებულებმა მთელი ძალით შეუტიეს თაუნათის რაიონს, საიდანაც შესაძლებელი იყო უერგის ხეობის გაკონტროლება. ფრანგები ბევრად კარგად იყვნენ შეიარაღებულები, მაგრამ ივნისის შუა რიცხვებში ამბოხებულებმა დაიკავეს თაუნათი და ცალკეული რაზმები 20-30 კოლომეტრით მიუახლოვდნენ ფესს. ამასთანავე, რიფელებმა არაერთხელ წაიწიეს თაზისაკენ და კვლავ დაემუქრნენ ვაზანს. ფრანგებმა მოახდინეს ვაზანის მოსახლეობის ევაკუაცია და გაგზავნეს იქ დამატებითი ძალები. მაროკოელებმა ასევე წარმატებით გაილაშქრეს დასავლეთის ფრონტზე. 7 ივნისსს, მათ დაიკავეს ბიბანის რაიონში, მდინარე ლუკოსის ხეობაში მდებარე ბრიკშის პოსტი და წაიწიეს წინ თაზისაკენ.

სიტუაციის დაძაბვის გამო, მაროკოში ჩაფრინდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი პენლევე. იგი შეხვდა სულთანს და გენერლებს. მან დააჯილდოვა მედლებითა და სხვადასხვა ჯილდოთი ჯარის მეთაურები და სამხედრო ჯვრებით სამი გამყიდველი მაღალჩინოსანი. ამით იგი ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას [51,120]. პენლევემ განაცხადა, რომ საფრანგეთს დარჩენილი ჰქონდა მხოლოდ მადაგასკარის სამი ბატალიონი და ამიტომ ვეღარ გაგზავნიდა დამხმარე ძალას. იგი მალე დაბრუნდა სამშობლოში. რიფელებმა კი დაიკავეს, სკერი-ცენტრალურ ფრონტზე, აშკირანი-ბიბანის რაიონში, ხოლო დასავლეთში განლაგდნენ ვაზანის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთში კი - თაზაში. აჯანყებულებმა ცოტა ხნით შეაჩერეს სამხედრო ოპერაციები, რათა აღედგინათ ძალები და მიეხედათ მოსავლისათვის. მათ ჰქონდათ ხორცისა და პურის მცირე მარაგი. 100 კოლოგრამი ჭვავი იყიდებოდა 130 პესეტად, იმ დროს როცა 100 ტყვია ღირდა 10 პესეტა.

საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია (1925). სამხედრო წარუმატებლობის გამო, საფრანგეთმა ისევ მიმართა ესპანეთს. 1925 წლის 25 მაისს, ფრანგების წარმომადგენელი შეხვდა პრიმო დე რივერას. ისინი შეთანხმდნენ ერთობლივი კონფერენციის ჩატარების თაობაზე. მათ ასევე ჰქონდათ ინგლისის დახმარების იმედი.

საფრანგეთი ითხოვდა ალ-ჰუსემასის ზღვის უბეში 18 ათასიანი ესპანელების დესანტის გადასხმას და თვლიდა, რომ რიფის რესპუბლიკის დედაქალაქის, ადჯირის წინააღმდეგ განხორციელებული ერთობლივი კამპანია შეცვლიდა მდგომარეობას საფრანგეთ-ესპანეთის ფრონტზე.

ესპანეთის სამეფო ჯერ მზად არ იყო ახალი ომისათვის და თავაზობდა მხოლოდ რესპუბლიკის ბლოკადას. გარდა ამისა, იგი არ თანხმდებოდა საზღვრების შეცვლას. 1925 წლის 18 ივნისს, ესპანეთის წარმომადგენელი ეჩევარიეტა ჩავიდა ‘აბდ ალ-ქერიმთან და შესთავაზა ალ-ჰუსემასში პორტის შექმნის, მელილადან რკინიგზის მშენებლობის, რიფის მაღაროების ექსპლუატაციის და ტყვეთა გამოსყიდვის სანაცვლოდ, რიფის ავტონომიის აღიარება. ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბიმ ამ ყველაფერზე უარი განაცხადა და მოლაპარაკება შეწყდა.

პარალელურად, 18 ივნისს მადრიდში საიდუმლოდ გაიხსნა საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია. დღის განრიგში დადგა შემდეგი საკითხები:

1. იარაღით ვაჭრობის კონტრაბანდის მოსპობა.
2. „არასასურველ უცხოელებზე“ კონტროლის დაწესება. საჭიროების შემთხვევაში მათი გაძევება ორივე ზონიდან.
3. კორდინირებული სამხედრო მოქმედებები.
4. საფრანგეთ-ესპანეთის ზუსტი საზღვრების დადგენა [22,297].

აგრესორები კონფერენციის პირველსავე დღეებში შეთანხმდნენ მაროკოს სანაპიროს ბლოკადაზე. 22 ივნისს, ხელი მოეწერა საზღვაო შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის თაობაზე. სახელმწიფოები იღებდნენ ვალდებულებას რიფის სანაპირო ზოლის კონტროლზე, თუმცა დადგენილების საფუძველზე ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას. ასევე ესპანეთს შეეძლო საფრანგეთის გაკონტროლება და პირიქით [51,126]. ევროპის ეს ორი სახელმწიფო ვერ რიგდებოდა ტანჟერის საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ ტანჟერის საკითხი კონფერენციიდან მოიხსნა.

11 ივლისს ხელი მოეწერა შეთანხმებას საფრანგეთ-ესპანეთის მიერ საზღვრების გაკონტროლებაზე და იარაღით ვაჭრობის შეწყვეტაზე. ერთი კვირის შემდეგ კი მადრიდში შემუშავებულ იქნა ერთობლივი წინადადებები რიფის რესპუბლიკასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც რიფისა და ჯიბალის ტომებს ეძლეოდათ ავტონომია და უნდა მომხდარიყო ტყვეთა გაცვლა. გარდა ამისა, უნდა შექმნილიყო პოლიციური ძალები, რომელთა რიცხვი განისაზღვრებოდა თანდათანობით. ტომებს ეძლეოდათ თავისუფალი ვაჭრობის უფლება და ეკრძალებოდათ იარაღით ვაჭრობა. ვინაიდან ეს პირობები ნიშნავდა ისევ კოლონიალური რეჟიმის შენარჩუნებას, საფრანგეთი და ესპანეთი

აგრძელებდა მზადებას ახალი სამხედრო მოქმედებებისათვის. 1925 წლის 25 ივლისს კონფერენცია დაიხურა. მიღებულ იქნა შემდეგი შეთანხმებები:

1. თანამშრომლობა სამხედრო სფეროში.
2. რიფის რესპუბლიკის მთლიანი ბლოკადა.
3. ტანჟერის ნეიტრალურ ზონად გამოცხადება.
4. იკრძალებოდა კავშირი აჯანყებულ ტომებთან, თუმცა მხარს უჭერდნენ მაროკოს კოლონიალურ რეჟიმს.
5. თითოეულ მხარეს შეეძლო თავის ზონაში სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ოპერაციების წარმოება.

რიფელების ზაფხულის სამხედრო კამპანია. რიფელებმა ძალა მოიკრიბეს და განაახლეს ბრძოლა. ამ დროს ფრანგებმა გაავრცელეს ხმები იმის თაობაზე, თითქოს რიფის პრეზიდენტი იყო გერმანელების აგენტი, ანუ ისინი მიდიოდნენ ყველაფერზე. ასევე აგრესორები ავრცელებდნენ ხმებს, რომ ვინც მიდიოდა ალჟირში სეზონურ სამუშაოზე, ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი სვამდა საკონცეტრაციო ბანაკში [51,130]. ამით ფრანგები ცდილობდნენ ტომთა გადაბირებას და მოსახლეობის დატერორებას. გარდა ამისა, ისინი აცხადებდნენ, რომ თუ ვინმე გამოცხადდებოდა მათთან მიიღებდა პურს.

ოკუპანტებმა რიფის ოლქში შეგზავნეს ჯაშუშები, რომლებიც ამავდროულად აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს. ამით მათ ჰქონდათ სხვადასხვა ტომის ბელადის, შიდა შუღლის აღმოცენების და შიმშილის იმედი. საპასუხოდ, რიფის მთავრობამ გამოსცა სპეციალური ბიულეტენები, რომლებშიც ხაზგასმული იყო ფრანგების მიერ გავრცელებული სიცრუე და მოუწოდებდნენ ხალხს გონიერების გამოჩენისაკენ. აღნიშნული ბიულეტენები იკითხებოდა ხალხმრავალ ადგილებში, სოფლებსა და ბაზრებში. პარალელურად ამისა, ‘აბდ ალ-ქერიმმა დაიწყო საფრანგეთის ზონაში აგიტატორების გაგზავნა, რომლებიც ავრცელებდნენ ხმებს რიფელების გამარჯვებაზე.

ფრანგების რეპრესიების მიუხედავად, სულ უფრო მეტი ტომი გადადიოდა რიფელების მხარეზე. მესგილდას ტომიც მიემხრო თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს, ხოლო მისი მოღალატე ბელადი ჩამოახრჩეს.

ივნისის შუა რიცხვებში ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბიმ ადჯირში მიიწვია ტომთა სამხედრო საბჭო, რომელმაც განიხილა სამომავლო გეგმები. ივნისის მეორე ნახევარში რიფელებმა გაორმაგებული ძალებით განაახლეს ბრძოლა - თაზა,

ვაზანის და ფესის მიმართულებით. ფრანგები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ, რადგანაც მათ არ ეგონათ, რომ მტერს ისევ ჰქონდა ბრძოლის უნარი.

1925 წლის 21 ივნისს, ფესში ჩავიდა ლიოტე, რის შემდეგაც 25 ივნისს სულთანმა გაავრცელა მაროკოს ყველა მეჩეთში წერილი, რომელშიც წერდა: „რიფელები იქცევიან არასწორად და აღვივებენ ქვეყანაში ანარქიას. მოგიწოდებთ, არ დაუჯეროთ ხმებს მათი გამარჯვებების შესახებ და ყველამ აკეთოთ თქვენი საქმე“.

ლიოტემ სულთანთან ერთად ფესში მიიწვია ადგილობრივი ტომები, ვაჭრები და არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც დაარწმუნა, რომ რიფელები იყვნენ უბრალოდ ამბოხებულები, რისთვისაც აუცილებლად დაისჯებოდნენ. ფრანგები მუდმივად ცდილობდნენ მსხვილი ფეოდალების მიმხრობას და დაუმორჩილებელი ტომების დაშინებას.

ივნისის ბოლოს აჯანყებულები გადავიდნენ ფრონტის აღმოსავლეთ ნაწილში, თაფრუთის რაიონში-მდინარე მსუნთან და დაამყარეს კავშირი ორ ტომთან-ტსულისთან და ბრანესთან. მათი ტერიტორიები გადიოდა ფესი-უჯდა რკინიგზის ხაზთან. ამ ტომთა გადაბირებამ ამბოხებულებს საშუალება მიცა მიახლოვებულიყვნენ თაზას. 27 ივნისს მათ შეუტიეს ფრანგებს ბაბ-თაზასთან. ოკუპანტებმა დატოვეს ბაბ-მიზაბი, სხვა პოსტები კი მდებარე ტსულის და ბრანესის ტერიტორიაზე გადავიდა რიფელების ხელში და ისინი მიუახლოვდნენ ფესი-უჯდას რკინიგზის ხაზს.

ფრანგები სასტიკად უსწორდებოდნენ უბრალო მოსახლეობას. ისინი ბომბავდნენ მათ და მოსავალს. აჯანყებულებს არ გააჩნდათ ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემა, მაგრამ ოკუპანტები მარცხდებოდნენ. რიფელებმა წაიწიეს მდინარე ლებენის და მსუნას რაიონში. ამით მათ ალყაში მოაქციეს თაზა, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. საპასუხოდ ფრანგებმა გადაისროლეს მთელი თავისი ძალები აღნიშნულ ტერიტორიებზე [51,133].

ამ კრიტიკულ მომენტში, დამყპრობლებმა კვლავ გამოიყენეს სულთნის ავტორიტეტი და მსხვილი ფეოდალები. მათ სურდათ შეენარჩუნებინთ ჯერ კიდევ „მორჩილი ტომები“. პირდებოდნენ მათ დიდძალ ქონებას და აყალიბებდნენ მათგან პარტიზანულ რაზმებს. ახლად ჩამოყალიბებული რაზმები მიემართებოდნენ ფრანგების წინ და მათ უკან მიყვებოდნენ ოკუპანტები. ისინი წარმოადგენდნენ ერთგვარ თავდაცვით რგოლს და გარდა ამისა, თუ ვინმე შეეცდებოდა გაქცევას ადვილად იჭერდნენ. ფრანგებმა მაინც ვერ მიაღწიეს

გამარჯვებას. 3 ივლისამდე მუდმივად გრძელდებოდა რიფელების შეტევა. ისინი გაჭირვებით ინარჩუნებდნენ მსუნს, კიფანს და‘აინ-მაატუფს [162,3].

4 ივლისს, რიფელების მხარეზე საბოლოოდ გადავიდნენ ტსულისა და ბრანესის ტომები, რაც ამძიმებდა ოკუპანტთა მდგომარეობას და საფრთხის ქვეშ აყენებდა თაზაში მათ პოზიციებს. ამბოხებულები უკან იხევდნენ და სულ უფრო უახლოვდებოდნენ თაზას. 5 ივლისს მათ მოახდინეს თაზას ოკუპაცია.

28 ივლისს, საფრანგეთის სამოქალაქო კონტროლორი გაბრიელი ადჯირთან შეხვდა ‘აბდ ალ-ქერიმს, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისი, აშშ და იტალია არ იქნებოდა რიფის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი აღიარებდა მის დამოუკიდებლობას. ასევე მან აღნიშნა, რომ არაერთხელ მიმართა საფრანგეთს საზღვრის აღიარებასთან დაკავშირებით, რაზედაც მიიღო უარი და 1924 წელს ფრანგებმა განახორციელეს სამხედრო ოპერაციები. ფრანგებმა კვლავ უარი განაცხადეს რიფის აღიარებაზე და ამიტომ აჯანყებულებმა გააგრძელეს ბრძოლა.

სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პენლევემ დანიშნა მაროკოში მთავარსარდლად პირველი მსოფლიო ომის დროს სისასტიკით ცნობილი მარშალი პეტენი, რომელიც სარგებლობდა ბურჟუაზიულ წრეებში დიდი ავტორიტეტით. მარშალს მიეცა „შარიფთა სახელმწიფოში“ თავისუფლად მოქმედების უფლება.

17 ივლისს, რიფელებმა გადაჭრეს ‘აინ-აიშა-ფესის გზა, რაც იყო უკანასკნელი წარმატება, ვინაიდან ივლისის ბოლოს საფრანგეთის არმია ითვლიდა 150 ათასს. მეორე დღეს ‘აბდ ალ-ქერიმმა მიიწვია სამხედრო საბჭო. აზრი ორად გაიყო. ნაწილი ითხოვდა მშვიდობის დამყარებას, ნაწილს სურდა ბოლომდე ბრძოლა. გადაწყდა ომის გაგრძელება, თუმცა 20 ივლისის შემდეგ თავდასხმები თანდათანობით შესუსტდა. ფრანგების რაოდენობრივმა და ტექნიკურმა უპირატესობამ შეუძლებელი გახადა მუდმივი შეტევები. გარდა ამისა, მათ ბოლომდე ვერ მოახერხეს უკლებლივ ყველა ტომის გაერთიანება და გადაბირება და რაც მთავარია, საფრანგეთ-ესპანეთი როგორც იქნა შეთანხმდნენ ერთობლივი მოქმედებების თაობაზე.

ევროპის ამ ორ სახელმწიფოს წარუდგინეს რიფის რესპუბლიკის სამშვიდობო პირობები, ხოლო „რიფის კომიტეტის“ ინგლისელმა მდივანმა გორდონ კანინგმა ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში „კოტიდენ“ გამოაქვეყნა აღნიშნული პირობები, რომელიც მოიცავდა შემდეგ პუნქტებს:

1. უნდა აღიარებული ყოფილიყო რიფი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და მისი დამოუკიდებლობის გარანტად უნდა გამოსულიყო ერთა ლიგა. მაგალითისთვის მოყავდათ ავღანეთი. რიფის მეთაური იღებდა ემირის ტიტულს.
2. მაროკოს სულთანი აღიარებული იქნებოდა, როგორც სულიერი ლიდერი და მისი სახელი მოხსენიებული იქნებოდა პარასკევის ხუტბაში.
3. სამხრეთ საზღვარი გავიდოდა მდინარე უერგის ჩრდილოეთ ნაპირზე. ჯიბალის ტომის ტერიტორია მთლიანად შევიდოდა რიფში, ლარაშის, არსილას და თეტუანის ჩათვლით.
4. ესპანეთს რჩებოდა სეუტა და მელილა მიმდებარე ტერიტორიებით და მელილადან 15 კოლომეტრში მდებარე რკინის მაღაროები - „ორა". რიფის ხელისუფლება უფლებას იტოვებდა ყოლოდა მუდმივი არმია, რომლის რაოდენობა დადგინდებოდა ექსპერტების მიერ. შემცირება კი მოხდებოდა ეტაპობრივად ჯარში გაწვევისას.

რიფელები ასევე მოითხოვდნენ საფრანგეთის ზონაში პანისლამისტური პროპაგანდის შეწყვეტას და ნებისმიერი რეპარაციის გადახდის შეცვლას. ყოველივე ამის გარდა, მათთვის უნდა მიეცათ სესხი, რათა თავიდან აეცილებინათ ეკონომიკური სირთულეები. ეკონომიკის განვითარებისათვის, ესპანეთს უნდა გაეწია გარკვეული შეღავათები, რომლის სანაცვლოდ ესპანელი ვაჭრები მიიღებდნენ პრივილეგიებს ლარაშში, თეტუანსა და ადჯირში. ამასთანავე, საფრანგეთს და ესპანეთს, როგორც მთავარ მონაწილეებს უნდა ეთანამშრომლათ შემდგომში აშენებულ ფესი-ტანჟერი-მელილა-თაზას რკინიგზის მართვაში. ამავდროულად, 'აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი პირდებოდა ევროპელებს გამოსასყიდის გარეშე ტყვეების მესამედის დაბრუნებას და მოუწოდებდა აგენტების გაწვევისაკენ და ბლოკადის მოხსნისაკენ. 'აბდ ალ-ქერიმი ასევე მოითხოვდა სამედიცინო კომისიების შეყვანას და რიფის როგორც მებრძოლი ქვეყნის ცნობას. ბუნებრივია საფრანგეთმა უარი განაცხადა წამოყენებულ პირობებზე და ამით დასრულდა საფრანგეთ-რიფის ომის პირველი ეტაპი [51,139].

საფრანგეთ-რიფის ომის II ეტაპი/ერთობლივი აგრესია რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1925 წლის აგვისტოს დასაწყისში რიფის სამხედრო მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ფრანგებმა ივლისის ბოლოს მიიღეს იარაღი და დამატებითი ძალები. ოკუპანტების მხარეზე იბრძოდნენ ესპანელები, სულთნის მომხრეები, ჯარები სენეგალიდან და ალჟირიდან. რიფელებს ძალა აღარ

შეწევდათ გაეწიათ წინააღმდეგობა. ამას თან ერთვოდა ბლოკადა. ვაზანის რაიონში მათ უკან დაიხიეს. ამის შემდეგ, საფრანგეთის რაზმი პოლკოვნიკ ფრეიდებერგის მეთაურობით და ესპანელთა რაზმი გენერალ რიკელიმეს მეთაურობით, გაერთიანდნენ მდინარე ლუკოსის ხეობაში.

აღმოსავლეთის ფრონტზე რიფელები აგრძელებდნენ პარტიზანულ ომს, რასაც აღარ ჰქონდა ორგანიზებული სახე. ისინი მუდმივად უტევდნენ თაზას რაიონს. მათ უნდოდათ საფრანგეთის „კუთვნილი“ ალჟირ-მაროკოს კავშირგაბმულობის ხაზის მწყობრიდან გამოყვანა და შუა ატლასის ტომებთან გაერთიანება. რიფელების ხელისშეშლის მიზნით ოკუპანტებმა გადაწყვიტეს ტსულის და ბრანესის ტომების ტერიტორიების დაკავება, რომლებიც აჯანყებულების ხელში იყო. 17 აგვისტოს, ფრანგებმა დაბომბეს ტსული, ხოლო ქვეითი ჯარი დაიყო სამ ნაწილად. ამბოხებულებმა უკან დაიწიეს, თუმცა მათი ჯარი არ იქნა განადგურებული. მეორე დღეს მათ ბრანესის ტომთან ერთად შეუტიეს საფრანგეთის მარჯვენა კოლონას ‘აინ-მესეფის, სამხრეთ მასივის ხაზზე. ოკუპანტებმა უკან დაიხიეს. მაროკოელებმა შეინარჩუნეს ეგრეთწოდებული შვერილი.

25 აგვისტოს ფრანგებმა ტანკებითა და ცეცხლსასროლი იარაღით იერიში მიიტანეს ბრანესის ტომზე. მათ დატოვეს ‘აინ-მესეფის რაიონი და მდინარე ჰადარის ხეობა. ბრანესის და ტსულის ნაწილი მიემხრო მტერს. ამ სამხედრო ოპერაციების შედეგად ფრონტის ხაზი გადავიდა ჩრდილოეთში.

შეტევითი თავდასხმები, რომლებიც შეიმუშავა მარშალმა პეტენმა იყოფოდა სამ ეტაპად:

1. წვიმების სეზონამდე უნდა დაეპყროთ სტრატეგიული პუნქტები და ესპანელებთან ერთად ალყა შემოერტყათ რიფის ტერიტორიებისათვის.
2. ზამთარში უნდა განეხორციელებინათ „პოლიტიკური ქმედებები“ – მოესყიდათ ტომთა ბელადები, გაეღვივებინათ შიდა ტომობრივი შუღლი და დაეშალათ ტომთა სამხედრო კავშირი.
3. გაზაფხულზე უნდა დაწყებულიყო სამხედრო ოპერაციები საბოლოო დაპყრობისათვის.

რესპუბლიკისათვის ამ მძიმე დღეებში, ‘აბდ ალ-ქერიმმა დახმარებისათვის მიმართა ალჟირისა და თუნისის მოსახლეობას. მან მოუწოდა მათ ფრანგების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ. ის თავაზობდა ერთიანი რესპუბლიკის შექმნას, რომლის შემადგენლობაშიც შევიდოდა ჩრდილოეთ აფრიკის ყველა

ქვეყანა, თუმცა ალჟირსა და თუნისს არ შეეძლოთ შეიარაღებული დახმარების გაწევა.

‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი აგრძელებდა მობილიზაციას და ცდილობდა მშვიდობის დამყარებას. 20 აგვისტოს, მან გაგზავნა წერილი საფრანგეთის პარლამენტში, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რიფის რესპუბლიკას სურდა მშვიდობა საფრანგეთთან და მხოლოდ ლიოტეს პოლიტიკამ აიძულა წასულიყო მის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში პეტენი და პრიმო დე რივერა შეთანხმდნენ ერთობლივ სამხედრო მოქმედებებზე. ესპანეთის დესანტი უნდა გადამსხდარიყო ალ-ჰუსემასში, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გაუწევდნენ დახმარებას და ფრანგები შეუტევდნენ ფესის რაიონს [51,145]. საფრანგეთის დივიზიები განლაგებული იყო ფესსა და თაზას შორის. ამასთანავე, მობილიზირებული იყო სულთნის მიერ ჩამოყალიბებული ნაწილები. 1 სექტემბრისთვის ყველაფერი მზად იყო. პარალელურად, ფრანგებმა გაგზავნეს აგენტები მოსახლეობაში, რომლებიც ეწეოდნენ ჩაბარების პროპაგანდას. გარდა ამისა, მათ მოისყიდეს რამდენიმე ტომი (მაგ: ტსულის). საპასუხოდ ‘აბდ ალ-ქერიმი აგზავნიდა სადამსჯელო სამხედრო რაზმებს, რასაც საფრანგეთი პასუხობდა მათი თავდაცვით.

რიფელების შეტევა თეტუანზე და ესპანელების დესანტის გადასხმა ალ-ჰუსემასში. საფრანგეთ-ესპანეთის მზადების პარალელურად, რიფის პრეზიდენტმაც დაიწყო სამხედრო მზადება. ახლად მიმხრობილ ტომებს მან გაუგზავნა აგიტატორები. ბენი ურიაგილის მეომრები გაეგზავნა ბენი ზარვალის ტომს. ამასთანავე, ჩამოყალიბდა რიფის პირველი ცხენოსანი რაზმი, მეტლასის და ბენი ამრეტის ტომებიდან.

რიფელები აღვსილი იყვნენ ენთუზიაზმით. ახალგაზრდები სწავლობდნენ ზარბაზნიდან სროლას. იარაღს ყიდულობდნენ ესპანელი ჯარისკაცებიდან. თითოეულ ტომს დაევალა სამი რაზმის გამოყოფა, რომლებსაც შემდგომ შეცვლიდნენ ახლად გაწვრთნილი „მეომრები“. შეიქმნა ეგრეთწოდებული განასაკუთრებული „დარტყმითი რაზმები“. განხორციელდა ძალთა გადაჯგუფება. რიფის პრეზიდენტმა პირადად ჩაიბარა საფრანგეთის ზონაში მყოფი ჯარი. აჯანყებულებმა გადაწყვიტეს თეტუანზე თავდასხმა, რათა ხელი შეეშალათ ალ-ჰუსემასში დესანტის გადასხმისათვის. ესპანელები კი უშედეგოდ

ცდილობდნენ ჯიბალის ტომების ბელადებთან მოლაპარაკებას, ამ კამპანიაში მონაწილეობის მიღებაზე.

3 სექტემბერს დაიწყო რიფელების თეტუანზე შეტევა. ისინი მიუახლოვდნენ ქალაქს და მიზანში ამოიღეს იგი. ამ ფაქტმა საგრძნობლად გაზარდა რიფის რესპუბლიკის პრესტიჟი ესპანეთის ზონის ტომთა შორის. სასტიკი ბრძოლების მიუხედავად, პრიმო დე რივერა აგრძელებდა მზადებას ალ-ჰუსემასში დესანტის გადასხმაზე. თუმცა 3 სექტემბერს სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ პრიმო დე რივერა დესანტთან ერთად დაბრუნდა თეტუანში და მან უკუაგდო რიფელები. აჯანყებულების თავდასხმამ გაართულა ალ-ჰუსემასში დესანტის გადასხმის საკითხი.

სექტემბრის დასაწყისში ესპანელები და ფრანგები რამდენიმე დღის მანძილზე ბომბავდნენ რიფის სანაპირო ზოლს ადჯირთან ახლოს, სადაც თავდაპირველად დესანტის გადასხმის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. რიფელებმა ჩაძირეს ერთი ხომალდი და დაჭრეს ესპანელი კაპიტანი, თუმცა მტრის ჯარის ძალთა უპირატესობა აშკარა იყო. მათი რიცხვი აჭარბებდა 15 ათასს. ისინი შეიარაღებული იყვნენ არტილერიით, ტანკებით და ყავდათ ასზე მეტი გემი.

6 სექტემბერს, რიფელების მოტყუების მიზნით, ესპანელებმა გადასხეს მცირე დესანტი მდინარე ლაუს რაიონში, 7 სექტემბერს კი გენერალ საროს მთავარმა ნაწილებმა იწყეს გადასვლა სებადილიას უბეში. რიფის სანაპირო ისევ იბომბებოდა გემებიდან. 8 სექტემბერს, აჯანყებულები იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ მორო-ნუევოს მწვერვალი. მტრის ჯარი სულ იზრდებოდა. რიფელებმა 20 სექტემბერს მოახერხეს დესანტის შეჩერება, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მათი უკუგდება ზღვაში, ვინაიდან იძულებული გახდნენ მოეგერებინათ ფესის რაიონში ფრანგების თავდასხმა.

23 სექტემბერს, რიფელები შეებრძოლნენ ესპანეთის სადესანტო ძალებს, რომლებმაც დაიკავეს მალმუსის მასივი. აჯანყებულებმა მოახერხეს ესპანელების ცოტა ხნით უკუგდება და დაიწყეს ადჯირის ევაკუაცია, რომელიც დასრულდა 30 სექტემბერს. დედაქალაქში შესულმა ესპანელებმა, დანიშნეს ქალაქის მმართველად ‘აბდ ალ-ქერიმის ბიძაშვილი, მოღალატე სულაიმან ალ-ხატაბი. ფესის რაიონში ესპანეთ-საფრანგეთის ერთობლივი მოქმედებების გამო რიფელებმა დაკარგეს დედაქალაქი ადჯირი, თუმცა აგრძელებდნენ ბრძოლას [51,146-47].

ფრანგების სვლა ფესისა და თაზას რაიონში. აჯანყებულებმა მოიგერიეს ცენტალური ფრონტი, მაგრამ გახდნენ გაძლიერებული სროლის მსხვერპლნი. ფრანგების სამი კოლონა მიიწევდა ტანკებითა და არტილერიით, ბომბავდნენ თვითმფრინავებიდან. ამიტომ რიფელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თაუნათის, გაფრუტის, ტერუალის ფორტები და დაეხიათ მეზრაას მთის მასივისაკენ-ბიბანსა და ამჯოტთან. 15 სექტემბერს მათ დატოვეს მეზრაას მასივი. იმავე დღეს დაიბომბა ბიბანი. 20 სექტემბრისათვის, ცენტრალურ ნაწილში ფრონტის ხაზი გადიოდა მსუნზე, ამჯოტზე, აშკირანზე, აუნადზე, მეზრაას მასივზე, სკერზე და ‘აინ-მაატუფზე. რიფელებმა ამ პერიოდში დაიხიეს ერთი ხაზით უკან. ყველაფრის მიუხედავად, გრძელდებოდა ცალკეული ტომების აჯანყება. ფრანგებმა ვერ შეძლეს ბენი ზარვალის ტომის დამორჩილება.

20 სექტემბერს თავდასხმები შეწყდა. ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი შეეცადა მშვიდობის დამყარებას, რაზედაც პრიმო დე რივერამ განაცხადა, რომ მას როგორც ამბოხებულს არ ჰქონდა უფლება ეწარმოებინა მოლაპარაკებები ამა თუ იმ სახელმწიფოსთან.

საფრანგეთის ხელისუფლების რჩევით, მაროკოს სულთანმა მიმართა ტომებს. თუ რომელიმე მათგანი დაატყვევებდა ‘აბდ ალ-ქერიმს, ან მის ძმას მიიღებდა ნახევარ მილიონ ფრანკს. საყურადღებოა, რომ პარტიზანული ბრძოლები აჭიანურებდნენ ფრანგების გამარჯვებას. ამავდროულად, რესპუბლიკის პრეზიდენტი აკონტროლებდა მტრის თითოეულ ნაბიჯს. თვითონ საფრანგეთის ჯარის შიგნითაც არ იყო ორგანიზებულობა და რწმენა იმისა, რასაც აკეთებდნენ. ოკუპანტები გაუთავებლად ხარჯავდნენ ფულს და აგზავნიდნენ ახალ ძალებს. მათი ჯარის რიცხვმა მიაღწია 200 ათასს.

30 სექტემბერს, ფრანგებმა გენერალ ბუაშის მეთაურობით შეუტიეს თაზას რაიონს, სამი დღის შემდეგ კი ესპანელმა ცხენოსნებმა-სიაჰას რაიონს. რიფელები უკან იხევდნენ და ოკუპანტების ხელში გადადიოდა ტერიტორიები ტომებით, რითაც კარგავდნენ მოკავშირეებს. ხშირ შემთხვევაში ტომები თვითონ ბარდებოდნენ მტერს, თუმცა ზოგჯერ ზოგიერთი მათგანი აგრძელებდა პარტიზანულ ომს [161,4-5]. საერთოდ აჯანყებულების მხარეზე იყვნენ გეზაუას, ავლად კასიმის, ბენი ურიაგილის, ჯაიას, სლესრ მეზრაუას, მეზნატის, გიუას, ბენი მასგილდას, ბენი ზარვალის, ტსულის და ბრანესის ტომები. მათ უღალატეს ფიშტალის, შერაგას და ჰაიაინას ტომებმა.

საფრანგეთ-ესპანეთის ერთობლივი მოქმედებების გამო, 10 ოქტომბერს რიფელებმა დატოვეს ნადორის მთის მასივი და სიდი ბუ-რეკბა. სამხედრო ოპერაციის დროს, ფრანგები თიზი უზლის რაიონიდან შეუერთდნენ ესპანეთის სახცენოსნო რაზმს, რომლებიც მოემართებოდნენ სიაჰიდან. მტრის წარმატება, მაინც ვერ ტეხდა რიფელებს.

1925 წლის ზამთრის კამპანია. ოქტომბრის შუა რიცხვებში ბრძოლების შეწყვეტის მიუხედავად რიფელები მაინც აგრძელებდნენ პარტიზანულ ომს. არ გადიოდა დღე ისე, რომ არ მოეკლათ ერთი ფრანგი ოფიცერი. ისინი მუდმივად აზიანებდნენ მტრის კომუნიკაციებს. ფრანგებმა ამ დროს გადააჯგუფეს საჯარისო ნაწილები სამ ნაწილად:

1. ვაზანი ტაფრანტი, ‘აინ-აიშა, დარ-კაიდ-მიზაბი.
2. ფესი, მექნესი.
3. თაზა.

ესპანელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ადჯირი, მაგრამ რიფელები არ შევიდნენ ქალაქში, ვინაიდან ის მდებარეობდა ხეობაში და განუწყვეტლივ იბომბებოდა მტრის მიერ. 4-5 ნოემბრამდე იცხრილებოდა თეტუანი. ტანჟერ-თეტუანის გზაზე კი აჯანყებულები აზიანებდნენ კავშირგაბმულობის ხაზს. საფრანგეთსა და ესპანეთში სულ უფრო იძაბებოდა მდგომარეობა, რადგან ხალხი გამოდიოდა მაროკოში ომის წინააღმდეგ.

1925 წლის ზამთრის მშვიდობიანი მოლაპარაკება. ორი სახელმწიფოს გაერთიანებული შეტევების შემდეგ ‘აბდ ალ-ქერიმმა კიდევ ერთხელ ცადა მოლაპარაკების წარმოება. შუამავალი, როგორც ეს იყო 1925 წლის ივლისსა და აგვისტოში, იყო „რიფის კომიტეტის მდივანი“ ლონდონში, აგენტი კანინგი. ოქტომბრის ბოლოს ის ჩავიდა პარიზში და არაოფიციალურად შეხვდა პრემიერ-მინისტრს პენლევეს და დეპუტატებს-პერეს და მალვის. მათ გადაცეს კანინგს 1925 წლის ივლისის კონფერენციაზე შემუშავებული სამშვიდობო პირობები და განუმარტეს, რომ ავტონომია გულისხმობდა სულთნის როგორც სულიერი ლიდერის აღიარებას, შიდა ურთიერთობებზე უარის თქმას და მაროკოში არსებული საბაჟო ტარიფების მიღებას.

13 ნოემბერს აგენტი ჩავიდა მაროკოში და შეხვდა საფრანგეთის გენერალურ რეზიდენტს, სტეგუს. მისი თქმით ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის ოფიციალური წერილის საფუძველზე უნდა მოეთხოვა საფრანგეთ-ესპანეთის მშვიდობის პირობები. ამის შემდეგ კანინგი მიიღო რიფის რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

ბუნებრივია მან წამოყენებულ პირობებზე უარი განაცხადა, ხოლო საფრანგეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ბრიანმა და პრიმო დე რივერამ შემდგომში საერთოდ უარი თქვეს კანინგის მიღებაზე. მათ შეთავაზებული ავტონომიაც კი ძალიან ლიბერალურად მოეჩვენათ.

გაზაფხულის თავდასხმებისათვის მზადება. საფრანგეთმა ისევ დაიწყო ჯაშუშების თავის სასარგებლოდ გამოყენება, ხოლო ოფიცრები ცდილობდნენ ტომების მოსყიდვას, შიდა შუღლის გაღვივებას და სულთნის ავტორიტეტის გაზრდას. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რიფში სუფევდა საშინელი შიმშილი, რამაც გავლენა იქონია შექმნილ ვითარებაზე. 12 ათასი ოჯახი გადავიდა ფრანგების მხარეზე. ‘აბდ ალ-ქერიმი ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას და საპასუხოდ ამისა, ისევ აგზავნიდა სადამსჯელო რაზმებს.

ზამთრის პერიოდში სამივე მხარე-საფრანგეთი, ესპანეთი და რიფი ემზადებოდა გაზაფხულისათვის. ამავდროულად, არ შეწყვეტილა თეტუანის დაცხრილვა. ოკუპანტებმა შეუტიეს ალ-ჰუსემასს. რიფელების შტაბი გაშლილი იყო თარგისთში („თარჯᾱსთ“). მათ ყავდათ სულ რამდენიმე ექიმი, რაც ამძიმებდა მდგომარეობას. აჯანყებულები აგებდნენ გზებს, თავშესაფრებს, აწესრიგებდნენ საკომუნიკაციო სისტემებს. ისინი მშენებლობაზე იყენებდნენ ტყვეებს. თარგისთი-ბარავესის გზის მშენებლობაზე მუშაობდა 460 ტყვე [51,168].

1926 წლის მარტში, ესპანელებმა შეუტიეს რიფელებს თეტუანის რაიონში. რაოდენობრივი უპირატესობის და თანამედროვე იარაღით აღჭურვის გამო რიფელები დამარცხდნენ. მოგვიანებით, მათ ისევ გაანახლეს სხვა პოზიციიდან თეტუანის დაცხრილვა. ამასთანავე, მზადდებოდა გენერალური შეტევა რიფის რესპუბლიკაზე.

კონფერენცია უჯდაში. 1926 წლის თებერვალში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ კიდევ ცადა მშვიდობის დამყარება. მეთაურმა ჰადუმ ისევ მიმართა ტაურირტში სამოქალაქო კონტროლორს, გაბრიელს სამშვიდობო პირობების მისაღებად. 24 მარტს, ჰადუ მეორეჯერ ჩავიდა ტაურირტში. ფრანგებმა დროის მოგების მიზნით დაიწყეს მოლაპარაკებები. ისინი მაისის დასაწყისში ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მათ წარადგინეს შემდეგი პირობები:

1. რიფელები უნდა დამორჩილებულიყვნენ მაროკოს სულთანს.
2. უნდა განიარაღებულიყვნენ.
3. დაებრუნებინათ ტყვეები.

4. უნდა მოეცილებინათ პრეზიდენტი.

30 მარტს შედგა სამშვიდობო კრება პენლევეს, ბრიანის, პეტენის და სტეგუს მონაწილეობით. მონაწილეები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ თუ რიფი არ მიიღებდა საფრანგეთის წინადადებას, ისინი დაიწყებდნენ მის წინააღმდეგ ფრათომასშტაბიან, ერთობლივ სამხედრო ოპერაციას. შეთავაზებულ პირობებს რა თქმა უნდა დაეთანხმა ესპანეთიც. დაიგეგმა მოლაპარაკებების გამართვა ქალაქ უჯდაში.

16 აპრილს, რიფის დელეგაცია მუჰამად აზრაკანის და აჰმად შედის შემადგენლობით ჩავიდნენ ტაურირტში, სადაც შეუერთდათ ჰადუ. ორი დღის შემდეგ, უჯდიდან დასავლეთით 130 კოლომეტრში მდებარე ბერტოს ბანაკში, საფრანგეთის და ესპანეთის დელეგატები შეხვდნენ რიფელებს. მოლაპარაკების მსვლელეობის დროს, საფრანგეთის მოთხოვნით რიფელებმა შეწყვიტეს თავდაცვითი სამუშაოები, თუმცა ფრანგებს არ განუხორციელებიათ ანალოგიური ქმედება. მათ დაიკავეს მდინარე უერგის მარჯვენა სანაპიროს რაიონი 30 ათასი ოჯახით, ესპანელებმა კი გადასხეს დესანტი ალ-ჰუსემასის უბეში [22,307].

კონფერენციაზე ესპანელებმა და ფრანგებმა მოახდინეს რიფელების წინადადებების იგნორირება, მოთხოვეს მათთვის კერტის მაშინვე ჩაბარება და ტყვეთა გადაცემა. სავარაუდოდ, საფრანგეთმა და ესპანეთმა წამოაყენა ეს მოთხოვნები იმისათვის, რომ შეწყვეტილიყო მოლაპარაკება და დაებრალებინათ ყველაფერი აჯანყებულთათვის. მთავრობის მითითებით, საფრანგეთის დელეგაციამ მიიღო მითითება, რომ შემდგომში მაინცდამაინც არ მოეთხოვათ კერტის ოკუპაცია და ხაზი გაესვათ ტყვეთა დაბრუნებაზე.

20 აპრილს, რიფელებმა გამოაქვეყნეს ეგრეთწოდებული სამშვიდობო შეტყობინება. ისინი თანახმა იყვნენ სულთნის ხელისუფლების აღიარებაზე, ტომთა განიარაღებაზე და მშვიდობის დამყარების შემდეგ ტყვეთა დაბრუნების საკითხის გადაწყვეტაზე. ამ ყველაფერმა გამოიწვია გაურკვევლობა. ჰადუს დაბრუნების შემდეგ შედგა მორიგი შეხვედრა ტაურირტსა და უჯდას შორის, ალ-აიუნში. აჯანყებულები უარს აცხადებდნენ კერტის ევაკუაციაზე, თუმცა შეთავაზეს მძიმედ დაჭრილი ტყვეების, ქალებისა და ბავშვების გადაცემა. კონსულტაციის მიზნით დროებით შეწყდა მოლაპარაკება.

26 აპრილს, ქალაქ უჯდაში სამ დელეგაციას შორის ოფიციალურად შედგა პირველი პლენალური სხდომა. ევროპელებმა წამოაყენეს შემდეგი პირობები:

1. ტყვეთა გაცვლა და წითელი ჯვრის დაუყონებლივ რიფში შესვლა.
2. ესპანეთ-საფრანგეთის მიერ რამდენიმე სტრატეგიული პუნქტის დაკავება (მაგ: კერტი).
3. ტომთა განიარაღება.
4. შერეული პოლიციის შექმნა.

ფრანგი გენერლის სიმონის თქმით, მხოლოდ ამ პირობების მიღების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკური საკითხების განხილვა.

საფრანგეთი უკვე მზად იყო სამხედრო მოქმედებებისათვის და მას აღარ უნდოდა დროის დაკარგვა. 27 აპრილს, ევროპის ამ ორმა სახელმწიფომ რიფის დელეგაციას მოთხოვა ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის არა მარტო ხელისუფლებიდან ჩამოშორება, არამედ მაროკოდან მისი გაძევება. ოკუპანტების განცხადებით, კონფლიქტის მოგვარების შემდეგ დღის წესრიგში დადგებოდა რიფის ავტონომიის საკითხი. მათ გადაცეს რიფის რესპუბლიკის დელეგაციას ნოტა. აჯანყებულებმა მოახდინეს მისი ჩასწორება შემდეგნაირად:

1. რიფელები ვერ გაანთავისუფლებდენენ ყველა ტყვეს, თუმცა თანხმდებოდნენ წითელი ჯვრის შეყვანაზე.
2. აღიარებული იქნებოდა მაროკოს სულთნის სასულიერო ძალაუფლება.
3. რიფის რესპუბლიკა ვერ დაუშვებდა სულთნის და მისი წარმომადგენლების ჩარევას რესპუბლიკის შიდა საქმეებში.
4. ვერ მიიღებდა პროტექტორატის ხელმძღვანელობის მხრიდან ნებისმიერი სახის კონტროლს.
5. თანხმდებოდნენ ტომთა განიარაღებაზე საფრანგეთისა და ესპანეთის კონტროლის ქვეშ, თუმცა წესრიგის დაცვის მიზნით მას უნდა ყოლოდა საკუთარი შეიარაღებული ძალები.
6. რიფის რესპუბლიკა არ დაუშვებდა ევროპელების ჯარს თავის ტერიტორიაზე, თუნდაც მშვიდობის დამყარების მიზნით [51,175].

ამ კრიტიკულ პერიოდში, რიფელებმა მოინდომეს საკონსულტაციოდ ‘აბდ ალ-ქერიმთან შეხვედრა, რაზედაც დაპირისპირებულმა მხარემ განაცხადა, რომ არ შეცვლიდა პოზიციას. ოკუპანტები 1 მაისისთვის ითხოვდნენ თუნდაც ერთი მოთხოვნის შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ თავდასხმით. გარდა ამისა, 1 მაისს რიფელებს მოთხოვეს 7 მაისამდე უკლებლივ ყველა ფრანგი და ესპანელი ტყვის გადაცემა. რიფის დელეგაცია ისევ გაემგზავრა თავის მეთაურთან შესახვედრად.

6 მაისს, რიფელებმა ოფიციალურად უარი თქვეს წამოყენებულ მოთხოვნებზე. მათ განაცხადეს, რომ ისინი გაცვლიდნენ 25 ესპანელ და 25 ფრანგ ტყვეს 50 რიფელზე. გენერალმა სიმონმა მოლაპარაკებები ჩაშლილად გამოაცხადა. იმავე დღეს რესპუბლიკის დელეგატები გაემართნენ ნემურსში, საიდანაც გემით დაბრუნდნენ რიფში. მათ თან ახლდა ფრანგი ექიმი მოსნე, რომელსაც მიქონდა ტყვეებისათვის საჭირო მედიკამენტები და ნივთები. საფრანგეთის დელეგაცია კი დაბრუნდა ფესსა და რაბატში.

უჯდის კონფერენცია იყო დადგმული კომედია, იმისათვის რომ მოეხდინათ თავიანთ ქვეყნებში საზოგადოებრივ აზრზე გავლენა და რაც მთავარია, მოეგოთ დრო ახალი, გადამწყვეტი სამხედრო კამპანიისათვის.

§3. რიფის რესპუბლიკის კაპიტულაცია

მოლაპარაკებების შეწყვეტის მეორე დღესვე საფრანგეთმა დაიწყო რიფის დაბომბვა. 8 მაისისათვის საოკუპაციო ჯარები წაიწიენ მდინარე კერტის ხეობაში. პეტენის გეგმვის მიხედვით, ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ კერტის რაიონში და ალყაში მოექციათ რიფელები. ამასთანავე, მათ სურდათ ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის საყრდენის, ბენი ურიაგილის ტომის, მთიანი ტერიოტრიის დაპყრობა, რომელიც მდებარეობდა ადჯირიდან სამხრეთით. ესკადრილია მუდმივად ბომბავდა რიფელების სამხედრო შტაბს თარგისთს.

8 მაისს, ესპანეთ-საფრანგეთის ჯარი გაერთიანდა ჯიბალის, ტუნზის უღელტეხილზე. მათ დაიპყრეს კერტის ხეობა, გრძელდებოდა თარგისთის დაბომბვა, დაიცხრილა მდინარე უერგის რაიონი. 10 მაისისთვის რიფელებმა შეუტიეს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს, სუკ ატ-ტლეტა ალ-ასმეფს, რომელიც აკავშირებდა ერთმანეთთან მოკავშირეებს. რიფელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, თუმცა დიდი იყო ორივე მხარეს მსხვერპლთა რიცხვი.

ოკუპანტები აგრძელებდნენ თარგისთზე შეტევას, ხოლო აჯანყებულები ცდილობდნენ გადაეტანათ მტრის ყურადღება სხვა რაიონზე. ჯიბალის ტომები თავს ესხმოდნენ თეტუანიდან სამხრეთით მდებარე სამხედრო პოსტებს, რის გამოც მსხვერპლის რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.

20 მაისისთვის, ამბოხებულებმა დაკარგეს ყველა ის სიმაღლე, რომელიც გარს ერტყმოდა მდინარე გისის ზემო წელს. მის ნაპირებზე მდებარეობდა თარგისთი. ევროპელებმა ხელში ჩაიგდეს იმ სიმაგრეების პირველი ხაზიც, რაც იცავდა თარგისთს სამხრეთიდან. მათ დაიკავეს ქედის უღელტეხილიც, რომელიც ყოფდა ნიკურის და გისის ხეობებს. აღსანიშნავია, რომ ესპანეთ-საფრანგეთის ფრონტი საგრძნობლად შემცირდა და ამიტომ მათ ძალები გადაისროლეს დასავლეთით – ბუკუიას ტომის ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ოკუპანტებს შეეძლოთ გადაეტანთ მთელი შეიარაღება ალ-ჰუსემასის უბეში, რაც ხელს შეუწყობდა თარგისთის რაიონში იარაღისა და ძალების გაზრდას.

რიფელების მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. 23 მაისს, მათ დატოვეს თარგისთის და გისის ხეობა. ისინი ალყაში აღმოჩნდნენ და ამიტომ დაიწყეს ჩაბარება. ამ დროს ‘აბდ ალ-ქერიმმა სთხოვა საფრანგეთის გენერალურ რეზიდენტს სტეგუს მოლაპარაკებების განახლება და ვინაიდან მან ვერ მიიღო პასუხი, გაგზავნა ერთ-ერთი შარიფი პოლკოვნიკ კორაპთან კაპიტულაციის პირობებზე შესათანხმებლად. 25 მაისს, პოლკოვნიკმა შესთავაზა ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბის ჩაბარება ყოველგვარი პირობის გარეშე და „მოწყალების“ მიღება გამარჯვებულისგან. ‘აბდ ალ-ქერიმთან შარიფს თან გააყოლეს სამი დაზვერვის ოფიცერი. 26 მაისისთვის გაანთავისუფლეს ფრანგი ტყვეები და გადააგზავნეს თარგისთში. ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი ამ დროს იმყოფებოდა სნადას დასახლებაში, რომელიც დაბომბეს.

რიფის რესპუბლიკის პრეზიდენტი მთელი დღე ამაოდ ელოდა სტეგუსგან პასუხს. 27 მაისს, კი ფრანგ ოფიცერთან ერთდ გაემგზავრა კორაპის შტაბში, რომელსაც უნდა გადაეცა მისთვის პასუხი. ამაო ლოდინის შემდეგ რიფის პრეზიდენტი ჩაბარდა. მან განაცხადა, რომ ეს იყო წმინდა ომი და მისი და რიფელების ვალი იყო ბრძოლის ბოლომდე მიყვანა. ოკუპანტები ულოცავდნენ ერთმანეთს გამარჯვებას [51,181].

რიფელები დამარცხდნენ, მაგრამ ტომების დიდ ნაწილს არ შეუწყვეტია ბრძოლა. ესპანელები გაჭირვებით მიიწევდნენ წინ ბენი ურიაგილის ტომის ტერიტორიაზე, მდინარე გისის რაიონში, სადაც 1 ივნისს შეუერთდნენ ფრანგებს. მანამადე კი 30 მაისს, დასრულდა ბენი ზარვალის ტომის ოკუპაცია.

გამარჯვებული მხარეები ისევ ვერ მორიგდნენ საზღვრისა და ტანჟერის თაობაზე. დიპლომატიურ ომში ჩაერთვნენ ინგლისი, აშშ და იტალია. მათ არ

სურდათ საფრანგეთის გაძლიერება, ამიტომ ინგლისმა მხარი დაუჭირა საფრანგეთთან შედარებით სუსტ ესპანეთს.

1926 წლის 14 ივნისს, პარიზში საიდუმლოდ შედგა საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია, რომელმაც განიხილა ესპანეთის ზონიდან ამბოხებულთა ბედი, მათ შორის ‘აბდ ალ-ქერიმის, მისი ოჯახის და რაც მთავარია, რიფელების და ჯიბალის ტერიტორიებზე მშვიდობის დასამყარებლად გარკვეული ზომების მიღება. კონფერენციაში მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:

1. ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბი ოჯახთან ერთად გაიგზავნებოდა რეიუნიონის კუნძულზე.
2. საზღვარი ორ ქვეყანას შორის დადგინდებოდა ადგილზე 1912 წლის შეთანხმების საფუძველზე, სპეციალური შერეული კომისიის მიერ. ამასთანავე, საზღვარი ისე უნდა გავლებულიყო, რომ ესა თუ ის ტომი უნდა შესულიყო მთლიანად ან საფრანგეთის, ან ესპანეთის ზონაში.
3. აჯანყების შემთხვევაში, ორივე მხარეს შეეძლო სხვის მიწაზე თავისი მეამბოხე ტომის დევნა.
4. თითოეული სახელმწიფო ახორციელებდა კონტროლს საკუთარ სანაპიროზე.
5. ფრანგები იქამდე დარჩებოდნენ რიფში, სანამ მათ არ შეცვლიდნენ ესპანელები.
6. უნდა დამყარებულიყო მუდმივი და უწყვეტი კავშირი ევროპის ამ ორ სახელმწიფოს შორის.
7. სასტიკად იკრძალებოდა ტომებისათვის იარაღის მიყიდვა.
8. მხარეებს უნდა შეეტყობინებინათ ერთმანეთისათვის საკუთარ რეგიონებში არსებული მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას ტანჟერთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მათ ვერ მიიღეს ახალი ტერიტორიები, ვინაიდან არც ერთ ქვეყანას არ აწყობდა მათი გაძლიერება. ამ ყველაფერთან დაკავშირებით ‘აბდ ალ-ქერიმმა განაცხადა, რომ თვით საფრანგეთმაც კი წააგო ეს ომი [161,1-2].

1925 წლის მადრიდის კონფერენციის მერე, 1926 წელს ესპანელების რიცხვმა მიაღწია 110 ათასს, ფრანგებისას 325 ათასს. 1926 წლის 10 ივნისის საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმების შემდეგაც გრძელდებოდა ტომთა გამოსვლები აგრესორთა წინააღმდეგ. ივნისის შუა რიცხვებში თაზას, შუა ატლასის და

ჯიბალის რაიონები, ისევ დაუმორჩილებელი რჩებოდა. თაზაში გამოდიოდნენ ფრანგების წინააღმდეგ. ათდღიანი ბრძოლის შემდეგ კი ტომები იძულებულები გახდნენ ჩაბარებულიყვნენ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ 1934 წლამდე საფრანგეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა „შარიფთა სახელმწიფოს“ მთლიანად დამორჩილება. პერიოდულად ასევე გრძელდებოდა ჯიბალის ტომების თავდასხმები. რაც შეეხება ესპანეთს, მან მხოლოდ 1926 წლის აგვისტოში შეძლო შეშაუენის დაპყრობა [162,1].

1926 წლის 28 აგვისტოს ‘აბდ ალ-ქერიმ ალ-ხატაბიმ დატოვა მაროკო, ოჯახთან, ბიძასთან და ძმასთან ერთად (სულ 23 კაცი).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ რიფელების ხუთწლიან თავგანწირვას არ ყავდა ბადალი უცხოელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ესპანეთ-რიფის ომმა აჩვენა, რომ ფაშისტურ ესპანეთს არ შეეძლო რიფელებთან გათანაბრება. ოთხი წლის მანძილზე ისინი მუდმივად მარცხდებოდნენ. ესპანეთის სამეფო „განადგურდა“ არა მარტო სამხედრო, არამედ ფინანსური თვალსაზრისითაც.

რიფელების წარმატებამ შეაშფოთა საფრანგეთის მთავრობა, რამაც გავლენა იქონია რესპუბლიკის ბედზე. ამიტომ მან 1924 წლის გაზაფხულზე მოახდინა საფრანგეთ-რიფის ომის პროვოცირება. პირველ ეტაპზე ფრანგებმა დაიხიეს უკან და დატოვეს 63 სამხედრო პოსტი. იმპერიალისტები აღჭურვილი იყვნენ თანამედროვე იარაღით, მაგრამ რიფელების წინააღმდეგ ბრძოლამ გამოავლინა როგორც ესპანეთის სამეფოს, ასევე საფრანგეთის ძალების არაორგანიზირებულობა და არაკომპეტენტურობა.

იმპერიალისტებმა მოიპოვეს გამარჯვება მას შემდეგ, რაც გააერთიანეს ძალები და დაგეგმეს ერთობლივი სვლა. ევროპის ეს ორივე სახელმწიფო შეშფოთებული იყო არაბული ქვეყნების სოლიდარობით და ამიტომ ისინი ყველანაირად ცდილობდნენ არ გასულიყო ინფორმაცია მაროკოს საზღვრებს გარეთ. როგორც აღინიშნა ოკუპანტებმა დააწესეს მკაცრი ცენზურა რადიოსა და პრესაზე. გარდა ამისა, ისინი მიმართავდნენ ეთნიკური შუღლის გაღვივების, რეპრესიებისა და დაშინების პოლიტიკას.

რიფის რესპუბლიკამ გაუძლო 300 ათასს ჯარისკაცს, მაშინ როდესაც მათი რიცხვი აღწევდა 60-70 ათასს და შეიარაღებული იყვნენ ძველი იარაღით. გარდა ამისა, მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ინგლისმა უარი განაცხადა აჯანყებულებზე იარაღის მიყიდვაზე და მხარი დაუჭირა საფრანგეთს. ამავდროულად, რიფის შიგნით მაინც არსებობდა შიდა ტომობრივი

დაპირისპირება და პარალელურად დიდ გავლენას ახდენდა მათი მოსყიდვის ხერხი, არსებული შიმშილი და ბლოკადა.

თავი VI

ფილალის სახელმწიფოს დაცემა და აღზევება

§1. მაროკო მულაი ისმაილის მემკვიდრეების დროს

მულაი აჰმად აზ-ზაჰაბი (1727-1729). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მულაი ისმაილის გარდაცვალების შემდეგ გაძლიერდა აბიდების გავლენა. ქვეყანაში ისევ დაიწყო ანარქია, რა დროსაც მათი მხარდაჭერა აუცილებელი გახდა ტახტის ყველა პრეტენდენტისათვის. აზ-ზაჰაბიმ ძალაუფლების მოპოვების და მისი განმტკიცებისათვის აბიდებს ფული გადაუხადა, რის შემდეგაც ალყაში მოაქცია ფესი. ქალაქის მაცხოვრებლებმა მას მოუკლეს ერთ-ერთი ძლიერი თანამებრძოლი. მულაი აჰმადი ბოლომდე ვერ მოესწრო გამარჯვებას, რადგანაც ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა, ხოლო მისმა ძმამ ‘აბდ ალ-მალიქმა დაიკავა სიჯილმასა და მულაი იდრისის ზავია [96,282].

მულაი ‘აბდ ალ-ლაჰი. 1729-57 წლებში რამდენჯერმე ავიდა ტახტზე. სულთანი ‘აბდ ალ-ლაჰი იყო შაიხ ბექარის შვილიშვილი. 1729 წელს, მან ფესს დაუშინა ყუმბარები, რის შემდეგაც წყალი შეუწყვიტა ქალაქს. სულთანმა აიღო მექნესი, სუსი, თადლა, შუა ატლასის ბერბერების დახმარებით გაანადგურა 10 ათასი „შავი მეომარი“, რითაც შური იძია ძმის, ‘აბდ ალ-მალიქის მკვლელობისათვის. მას შემდეგ, რაც ‘აბდ ალ-ლაჰს დაუპირისპირდნენ აბიდები, მან თავი შეაფარა ბიძებს უედ ნუნში [96,283]. 1735 წელს მაროკოს სულთანი გახდა თაფალალეთიდან გამოსული ალი ალ-‘აარეჯი, რომელიც ერთ წელიწადში დაამხეს. 1736 წელს რამდენიმე თვით მულაი ‘აბდ ალ-ლაჰი ისევ გახდა სულთანი. 1736-38 წლებში მაროკოს ტახტი ეკავა მულაი მუჰამად ბ. არბიიას, ხოლო 1738-40 წლებში მულაი ალ-მუსთადის. 1740-45 წლებში მულაი ‘აბდ ალ-ლაჰმა მესამეჯერ ჩაიბარა მმართველობა. 1745 წელს მაროკოს სამეფო ტახტზე ავიდა მულაი ზინ ალ-‘აბიდინი, რომელიც მალევე გადააყენეს [96,287].

1745-57 წლებში მაროკოს კვლავ განაგებდა მულაი ‘აბდ ალ-ლაჰი, თუმცა ამ პერიოდში მას ეცილებოდნენ ძალაუფლებაში ტახტის სხვა პრეტენდენტები.

30-წლიანმა არეულობამ გამოიწვია სხვადასხვა ტომის გაძლიერება. მხოლოდ, ისმაილის შვილიშვილმა სიდი მუჰამად იბნ ‘აბდ ალ-ლაჰმა შეძლო რელიგიურ ცენტრებსა და მახზანს შორის ურთიერთობის დარეგულირება. ზოგიერთმა სუფიურმა ორდენმა კი განიცადა შევიწროვება დასავლეთ ალჟირის

მხრიდან. ამასთანავე, მუჰამად III და მისი მემკვიდრეები გამოვიდნენ სახელმწიფოს ცენტრალიზაციის წინააღმდეგ. სამხედრო ორგანიზმის მთავარ ელემენტად ისევ გიშის ტომები გახდნენ. ისინი თან ახლდნენ სულთანს და მის კარს ლაშქრობებსა და ნახევრად დამოუკიდებელ ოლქებში გადასახადების აკრეფისას [40,273; 24,508].

XVIII საუკუნეში მახზანმა დაკარგა რეალური ძალაუფლება. მას ექვემდებარებოდა ბარის მოსახლეობა, ხოლო ტომები აღიარებდნენ მხოლოდ სულთნის სასულიერო ძალაუფლებას.

სიდი მუჰამად III-ს მმართველობა. როდესაც მულაი მუჰამადმა ჩაიბარა მმართველობა, იგი შეუდგა მარაქეშის განახლებას, მაგრამ არ დაცალდა ერთ-ერთი არაბული ტომის ამბოხის გამო. მან თავი შეაფარა საფის. მულაი აჰმადმა, რომელიც იყო სიდი მუჰამადის ძმა და რაბატის გამგებელი, გაათავისუფლა მარაქეში აჯანყებულებისაგან. საფიში მყოფმა მუჰამადმა „გამოაცარიელა“ იქაურობა და მიიმხრო არაბული ტომები ‘აბდა, აჰმარი, რეჰამნა, რის შემდეგაც შევიდა მარაქეშში. სულთან მუჰამად III-მ აღადგინა „წითელ ქალაქში“ დანგრეული ნაგებობანი და ააგო ახალი შენობები. ‘აბდას, აჰმარის, რეჰამნას და ჰავზის ტომების დახმარებით დაიმორჩილა აჯანყებულები სუსში, შაუიაში. მან მშვიდობა დაამყარა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, შეავიწროვა ზავიები. ამ პერიოდში გართულდა ვითარება მაროკოს ჩრდილოეთში. ვინაიდან ბერბერები ძარცვავდნენ მექნესს და მის შემოგარენს, აბიდები ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სულთანმა ხაზინის შევსების მიზნით, ბაზრებზე და ზოგიერთ საქონელზე ცალკე დააწესა გადასახადები. 1751 წელს პირად კონტროლზე აიყვანა ატლანტის ოკეანის სანაპირო პორტების, აგადირის (არაბულად „აქ̄ადē̄რ“, „აღ̄ადē̄რ“) და საფის ბაზრები, ბრძოლა გამოუცხადა კონტრაბანდას და მოგვიანებით მოჭრა ახალი ფული [104,220].

მულაი მუჰამადმა გარდაქმნა ჯარი, რომლის ნაწილი განათავსა სანაპირო ზოლში, შემორჩენილი 15 ათასი აბიდი გადააჯგუფა და აღჭურვა ახალი იარაღით. იგი კარგად ეპყრობოდა მეომრებს, მათ სამ თვეში ერთხელ უხდიდა ხელფასს და ხშირად ასაჩუქრებდა. ამასთანავე, ჰავზის ტომისაგან ჩამოაყალიბა კორპუსი და დააკისრა გადასახადების ამოღება. მულაი მუჰამადი არაბული ტომების გარდა, დაეყრდნო რამდენიმე ბერბერულ ტომს. აბიდების აჯანყების ჩასახშობად, 1755 წელს ქვეყნის სათავეში მოსვლამდე, მან გამოიყენა ‘აით იდრასენი და გერუანი. გარდა ამისა, საღვთო ომის წარმოებისას დაეყრდნო

არაბულ ტომს აჰსენს. მუჰამადი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ყოველთვის ითვალისწინებდა გამჭრიახი ვაზირის აბუ ‘აბდ ალ-ლაჰ მუჰამად ალ-‘არაბ კადუსის აზრს.

სულთანი მუჰამადი დაინტერესდა ძლიერი ფლოტის შექმნით და გემთმშენებლობის განვითარებით. ვაჭრებს საგანგებოდ დაავალა გემების საშენი მასალის შემოტანა, ააგო 60 ხომალდი. ოსმალეთის სულთანმა, რომელთანაც მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა, გაუგზავნა ბაგირები, იალქნები, ღუზები, საარტილერიო იარაღი და 30 გემთმშენებელი. მუჰამადი ასევე მეგობრობდა მაღრიბის გამგებლებთან [149,1; 150,1].

1764-65 წლებში, მან ატლანტის სანაპიროზე დააარსა პორტი მოგადორი – არაბულად „ას-საᾱრა“ (სიმაგრე), რომლის ასაშენებლად მიიწვია ფრანგი და ინგლისელი არქიტექტორები. აღნიშნული პორტი განკუთვნილი იყო ევროპელების თავისუფალი ვაჭრობისათვის და უკავშირდებოდა ტრანსსაჰარის – ოქროს, სპილოს ძვლის და შავი მონებით ვაჭრობას. ეს-სუვეირას შემოგარენი ცნობილი იყო ფასდაუდებელი შავი შაქრით, რომელიც იცვლებოდა იტალიურ კარარის მარმარილოზე 1x1-ზე [154,3; 71,82; 137,9492].

მუჰამადმა რაბატში, სალეში, ლარაშსა და ანფაში ააგო უზარმაზარი ბასტიონები. გამოაცოცხლა რაბატი, კასაბლანკა, იზრუნა ფესზეც. მარაქეში ისევ აქცია დედაქალაქად. ლარაშში გახსნა ასანთის წარმოების ქარხანა.

აღსანიშნავია, რომ სიდი მუჰამადის მმართველობის ხანაში არაბულ მაღრიბში გამოჩნდნენ ამერიკელები. მაროკო ასრულებდა შუამავლის როლს ამერიკას, ალჟირსა და თუნისს შორის. 1786 წელს ჯორჯ ვაშინგტონმა გაუგზავნა სულთან მუჰამადს წერილი, რომელშიც თხოვდა ამერიკის ხომალდების ხმელთაშუა ზღვაში მეკობრეების თავდასხმისაგან დაცვას. თუნისის და ალჟირის მმართველებმა ამერიკელებს ხომალდების ხელშეუხებლობის სანაცვლოდ მოთხოვეს ყოველწლიური დიდი გადასახადი. სულთნის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მხარეები ვერ შეთანხმდნენ. ყოველივე ამის გარდა, მუჰამად III იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ცნო შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1789 წელს, ჯორჯ ვაშინგტონმა კონგრესისა და თავისი სახელით მუჰამადს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მადლობას უხდიდა მას დახმარების სურვილისათვის. მოგვიანებით, 1860 წელს ამერიკამ გახსნა პირველი საკონსულო ტანჟერში [100,74].

სულთან მუჰამად III-ს გამგებლობის პერიოდში, გაფართოვდა ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, იმატა პილიგრიმების რიცხვმა ჰიჯაზში. ერთ-ერთი ჰაჯის დროს სულთანმა გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები ჰიჯაზის შარიფებს. ამასთანავე, მან იქორწინა მექის შარიფის, სურურის ქალიშვილზე. მუჰამადი გარკვეულ ინტერესს იჩენდა ვაჰაბიტების[1] იდეოლოგიისადმი [96,224].

სიდი მუჰამად იბნ ‘აბდ ალ-ლაჰი იყო მორწმუნე და ძალიან განათლებული პიროვნება. მან განსაკუთრებით კარგად იცოდა ისლამამდელი – ჯაჰილიის დროინდელი პოეზია. იგი ბევრს კითხულობდა, იძენდა წიგნებს მეჩეთებისათვის, ზრუნავდა მეცნიერებაზე. ყოველ პარასკევ დღეს, ლოცვის შემდეგ ხვდებოდა ალიმებს, ესაუბრებოდა მათ პრობლემებზე, ეხმარებოდა მატერიალურად. აღსანიშნავია, რომ ხუტბაში მუჰამად III-ს შემდეგ მოიხსენიებდნენ ოსმალეთის სულთანს მუსტაფა III-ს და მის ძმას [104,225].

1790 წელს სულთანი მუჰამად III გარდაიცვალა და მაროკოს ტახტი დაიკავა მისმა შვილმა იაზიდმა, რომელიც მას რამდენჯერმე განუდგა. მიუხედავად იმისა, რომ მუჰამად III-ს დროს ქვეყანაში გაძლიერდა ევროპის სახელმწიფოების შეღწევა, ისტორიკოსები მას დადებითად აფასებენ და მიიჩნევენ მშენებელ მმართველად [96,300].

იაზიდის აჯანყებები (1769-1784). გადმოცემის მიხედვით, სულთან მუჰამად III-ს განსაკუთრებით უყვარდა იაზიდი. იგი მას ზედმეტად ანებივრებდა, არაფერზე ეუბნებოდა უარს. ვინაიდან, „წინდახედული“ ტახტის მემკვიდრე იყო კარგი მხედარი და მეომარი, მუჰამად III-მ მას ჩააბარა არტილერია და საჯარისო ერთეულები. 1768 ან 1769 წელს მუჰამადმა დანიშნა იაზიდი მახზანის, ბერბერული ტომის გერუას მეთაურად. მან სახელი გაითქვა შორფასთან კარგი ურთიერთობით, საღვთო ომში მონაწილეობის მიღებით და ქრისტიანების მიმართ ზიზღით, რითაც ცდილობდა ბერბერების გულის მოგებას. ერთ-ერთი

[1] ვაჰაბიზმი (არაბულად „ალ-ვაჰაბ̄ა“) – რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა სუნიტურ ისლამში, რომელიც წარმოიქმნა არაბეთის ნახევარკუნძულზე XVIII საუკუნის შუა ხანებში, ჰანბალიტური მაზჰაბიდან, მუჰამად ‘აბდ ალ-ვაჰაბის (1703/4-87) მოძღვრების საფუძველზე. აღნიშნული მოძღვრება მოითხოვდა ადრეული ისლამისაკენ დაბრუნებას, ერთღმერთიანობის (არაბულად „თავჰ̄იდ“) პრინციპების დაცვას, უარის თქმას ყოველგვარ სიახლეებზე (არაბულად „ბიდ‘ა“), წმინდანებისა და წმინდა ადგილების თაყვანისცემაზე, გმობდა ფუფუნებას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჯიჰადს, როგორც ურწმუნოებთან, ისე იმ მუსლიმებთან, რომლებიც განუდგნენ ადრეული ისლამის პრინციპებს. ვაჰაბიზმი გამოცხადდა საუდის არაბეთის იდეოლოგიად. იგი გავრცელდა ინდოეთში, ინდონეზიაში, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში [17,60].

ბერბერული ტომის, ‘აით უმალუს დახმარებით მან თავი გამოაცხადა სულთნად. მუჰამადმა გააფრთხილა შვილი, რომ შეჩერებულიყო. იაზიდმა თავი შეაფარა ‘აით ისჰაკის ზავიას, რის შემდეგაც დამკვიდრდა მარაქეშში, სიდი ბენ აბესის ზავიაში. სულთანმა მუჰამადმა აპატია ამბოხება ურჩ ძეს და გაგზავნა იგი „ფეს ალ-ჯადიდში“, სადაც ჩაება ძმათაშორის ბრძოლაში. რამდენიმე ძმა შეეწირა იაზიდთან დაპირისპირებას, რის შემდეგაც მან თავი შეაფარა მულაი იდრისის ზავიას. სულთანმა მას მეორეჯერ შეუნდო, მაგრამ მეამბოხე მემკვიდრემ მოკლა ორი ძმა და ოცდაათი მსახური [96,301].

1775 წელს სულთანმა მუჰამადმა ბრძანა მარაქეშში მცხოვრები აბიდების ათასი ოჯახის ტანჟერში გადასახლება. შავი მონები აუჯანყდნენ სულთანს, რომელმაც მათ დასასჯელად გაგზავნა იაზიდი. მან ისევ უღალატა მამას, გადაუხადა აბიდებს ფული და აიძულა ისინი, რომ ეღიარებინათ იგი მაროკოს მმართველად. ტომების უდაიას, გერუანის და იდრასენის ერთგულების წყალობით, მუჰამად III-მ შეინარჩუნა ძალაუფლება. იაზიდმა ისევ გაქცევით უშველა თავს. სულთანმა მუჰამად III-მ შვილს მესამეჯერაც შეუნდო ღალატი, მაგრამ მის მიმართ ნდობა დაკარგა და გზიდან ჩამოიცილა.

1784 წელს სულთანმა გადაწყვიტა თაფილალეთში ექსპედიციის მოწყობა. იგი შიშობდა, რომ მულაი იაზიდი მას ხელს შეუშლიდა და ამიტომ გაგზავნა იგი საპილიგრიმოდ.

მულაი იაზიდის პილიგრიმობა (1784-1790). 1784 წელს იაზიდი ქარავანთან ერთად ჩავიდა თუნისსა და ტრიპოლში. ვინაიდან, მაროკოს ამ ქალაქებთან დამყარებული ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა, მისმა მმართველებმა იგი კარგად მიიღეს. ისტორიკოსების ნაწილი ირწმუნება, რომ იაზიდმა დახოცა ქალაქების მმართველები და მოკვეთილი თავები გაუგზავნა მამას ტრიპოლიდან მაროკოში. 1799 წელს მულაი იაზიდი დაბრუნდა სამშობლოში. მუჰამადმა ის სასწრაფოდ ისევ გაგზავნა წმინდა ქალაქებში. ჰიჯაზისაკენ მიმავალ გზაზე, მან გაიგო, რომ მამამისის ელჩს მიჰქონდა ძვირფასი ძღვენი მექასა და მედინაში. იაზიდმა გადაწყვიტა ქარავნის გაძარცვა. იგი შეყოვნდა კაიროში. როდესაც სულთანმა შეიტყო შვილის ბოროტი განზრახვა, შეცვალა დიპლომატის მარშუტი. იგი გაამგზავრა ალჟირიდან ზღვით კონსტანტინოპოლში, სადაც შეუერთდა თურქ და სირიელ პილიგრიმებს. ელჩმა იაზიდის ჰიჯაზში ჩასვლამდე

დაურიგა საჩუქრები მექის, ჰიჯაზის და იემენის შარიფებს. განრისხებულმა მულაი იაზიდმა, ხელში ჩაიგდო ის ოქროს სკივრები, რომლებიც უნდა ჩამოერიგებინათ უკანა გზაზე სირიას, ერაყსა და ეგვიპტეში. იაზიდმა კატეგორიულად უარყო ქურდობა [96,304]. ურჩი ტახტის მემკვიდრე ამაოდ ცდილობდა მაროკოში დაბრუნებას. თავდაპირველად იგი თავის თანამოაზრეებთან ერთად ჩავიდა კაიროში, შემდეგ გადავიდა ტრიპოლიტანიასა და ალჟირში. 1788 წელს სულთანმა მუჰამად III-მ მას ისევ გაუგზავნა ფული, რათა მოელოცა წმინდა ქალაქები. აღსანიშნავია, რომ იაზიდს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ევროპელ კონსულებთან, ისინი მასში ხედავდნენ მაროკოს მომავალ მმართველს. იაზიდი თავისი ავადმყოფური ბუნებიდან გამომდინარე ვერ ისვენებდა, მან მიაღწია „შარიფთა სახელმწიფოს“ საზღვრებს, თუმცა ვერ გაბედა სამშობლოში დაბრუნება და გადავიდა თუნისში. საბოლოოდ, მულაი იაზიდი შეუერთდა ლიბიაში, არაბეთიდან მომავალ თაფილალეთელ ჰაჯიებს. იგი პირისპირ შეხვდა ოაზისის მმართველს, რომელიც მისი დაუძინებელი მტერი იყო. ვინაიდან, მას კარგად ესმოდა, რომ თაფილალეთის რაიონში ვერ მოაწყობდა ამბოხებას, არაფერი მოიმოქმედა ოაზისის მმართველის წინააღმდეგ. იგი გაემართა ცოდვების მოსანანიებლად ‘აბდ ას-სალამის ზავიაში, სადაც ყოფნის დროს რამდენიმე თვეში სულთანი მუჰამადი გარდაიცვალა [96,305].

იაზიდის „მეფობა“ (1790-1792). 1790 წელს მულაი იაზიდს მიემხრო მთის და თეტუანის მოსახლეობა, მას მხარი დაუჭირეს ქრისტიანებმაც. იგი შევიდა მარაქეშში და მიწასთან გაასწორა მელაჰი, რის შემდეგაც მასთან ჩავიდნენ დელეგაციები ტანჟერიდან, ლარაშიდან, ასილადან, ტანჟერში კი მიიღო ფესელები. თითოეული ქალაქის წარმომადგენელმა მას მიართვა ძღვენი. ლარაშში ყოფნისას იაზიდი შეხვდა მამის გარემოცვას. ამის შემდეგ, მულაი იდრის ზერჰუნმა დრა‘ში და მულაი სლიმანმა თაფილალეთში მას აღუთქვეს ერთგულება. მულაი იაზიდი დამკვიდრდა მექნესში. მას ერთგულება გამოუცხადეს გარბის ტომებმაც. მულაი იაზიდის მმართველობის ხანაში, ბანუ უდაია ისევ დაფუძნდა „ფეს ალ-ჯადიდში“, ხოლო აბიდები დაასახლეს ტანჟერში [96,306].

1790 წელს ესპანეთის მეფემ მიულოცა მულაი იაზიდს ქვეყნის სათავეში მოსვლა, მაგრამ მას მალევე გაუფუჭდა მასთან ურთიერთობა მოგადორსა და

ლარაშში ესპანეთის კონსულების და ტანჟერში ორი ბერის დაკავების გამო. იგი დაეყრდნო საზღვაო და სახმელეთო ჯარის ნაწილებს და დაეპატრონა მთელ მაროკოს. მულაი იაზიდმა ალყაში მოაქცია სეუტა, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია. ალყის მოხსნის სანაცვლოდ, ესპანელებმა დაუბრუნეს მას წართმეული მაროკოელი მეკობრეების ორი გემი. იაზიდს უღალატეს რეჰამნას, ჰავზის, ‘აბდას ტომებმა. მათ ერთგულება გამოუცხადეს მის ძმას, ჰიშამს მარაქეშში. ძალაუფლების გამო, ძმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ჰიშამ ბ. მუჰამადი დამარცხდა. სულთანმა დახოცა მარაქეშის მოსახლეობის ნაწილი, ნაწილს კი თვალები დათხარა. იაზიდი იმსხვერპლა ტყვიამ. გარდაცვალებამდე სულთანს აგრეთვე დაუპირისპირდა ძმა, ‘აბდ არ-რაჰმანი. მან არაბული ტომების დუკალას და ‘აბდას მეშვეობით შეძლო მისი დამორჩილება, მოაწყო აჯანყება სუსში, აიღო თაფილალეთი. სულთანი იაზიდის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა ცეცხლის ალში იყო გახვეული, დაიძაბა ურთიერთობა ესპანეთთან, მწიფდებოდა კონფლიქტები სხვა ქვეყნებთან [96,306].

სულთანი სულაიმანის მმართველობა (1793-1822). იაზიდის შემდეგ სულთანი გახდა მისი ძმა სულაიმანი, იგივე სლიმანი, რომელიც განსაკუთრებით ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარებას. მისი მმართველობის ხანაში, მაროკოს მოსახლეობის უმეტესობა დაინტერესდა მეცნიერებით. სულთანმა 1792-96 წლებში გზიდან ჩამოიცილა ტახტის სხვა პრეტენდენტები, დაამყარა სიმშვიდე ქვეყანაში, გააიაფა პროდუქტები და დაწია გადასახადები. იგი კმაყოფილდებოდა პორტებიდან შემოსული შემოსავლებითა და ტომებიდან მიღებული გამოსაღებით. მულაი სულაიმანი იყო ღვთისმოშიში ადამიანი, გამოირჩეოდა რელიგიური შემწყნარებლობით. მან რამდენიმე ქალაქში ააგო ახალი ნაგებობანი, კარგი ურთიერთობა ჰქონდა თუნისისა და ალჟირის ბეგებთან. შარიფმა უკუაგდო უჯდაში შესული თურქები (ჰიჯრით 1211 წ.). როდესაც თლემსენის მოსახლეობამ მას ერთგულება გამოუცხადა, არ გამოიყენა ეს მომენტი, რათა შემოეერთებინა აღნიშნული რეგიონი. თლემსენის მოსახლეობის მხრიდან, შარიფის ძალაუფლების აღიარებას მოჰყვა თურქების მიერ მისი აოხრება. სულაიმანმა დახმარება გაუწია მათ და შიმშილობის თავიდან ასაცილებლად მოწყალებით აავსო ისინი (ჰიჯრით 1220 წ.) [101,170; 96,307].

სულთანმა გაავრცელა თავისი ძალაუფლება პროვინციებზე. 1802 წელს, მან ამოიღო გადასახადები დრა‘ადან, 1803 წელს რიფიდან, 1804 წელს თაზადან და

უჯდიდან. 1807 წელს სულაიმანი შევიდა ფიგიგში, გურარაში და თუათში. 1810 წელს აკრიფა გადასახადები თადლადან და ხელმეორედ, 1812 წელს რიფიდან. 1815 წელს სულთანმა დაიმორჩილა თამესნა და ჰავზი [1,18].

ტომთა დამორჩილება. 1801 წელს სულთანმა სულაიმანმა წარმატებით გაილაშქრა ‘აით უმალუს წინააღმდეგ, ხოლო 1804 წელს მან გამარჯვება მოიპოვა ‘აით იდრასენზე, რომელიც თავს ესხმოდა ზედა მულუიაში თაფილალეთში მიმავალ ქარავნებს. მულაი სულაიმანმა დაიცვა ‘აით იდრასენის ტომი, ვინაიდან თვლიდა მას მახზანისათვის უფრო მისაღებად [1,19]. ამავე წელს, შუა ატლასის ბერბერული ტომები აბუ ბაქრ ამჰაუშის მეთაურობით დაუპირისპირდნენ სულთანს და იდრასენის ტომს. 1811-12 წლებში სულაიმანის ჯარი დამარცხდა და მიმოიფანტა სეფრუსა და აზრუში. ბერბერებმა ისარგებლეს ამით, თავს დაესხნენ ფესისა და მექნესის მოსახლეობას, აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ მათ. ვინაიდან, თავად ბერბერებს შორის წარმოიქმნა განხეთქილება, მათ ვერ გამოიყენეს წარმატება და ძირი ვერ გამოუთხარეს სულთნის ხელისუფლებას [96,310].

1816 წელს წარმატებით დასრულდა სამხედრო ექსპედიციები ოაზისებში. სულთანმა დაამარცხა ‘აით ‘ატა, რომელმაც საგროში გაქცევით უშველა თავს. მოგვიანებით, 1818 წელს სულაიმანმა შეკრიბა ჯარი თადლაში ბერბერების წინააღმდეგ გასალაშქრად, რომლებმაც შეაღწიეს სულთნის ბანაკში და გაძარცვეს. აბიდებმა ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. სულაიმანი გადაარჩინა მასთან ერთად კარავში მყოფმა ბერბერმა, რომელმაც იგი გააპარა. სულთანმა, ბერბერების განადგურების მიზნით, ისინი საჩუქრებით შეიტყუა და დააპატიმრა 700 ბერბერი ნოტაბლი. სულაიმანს აგრეთვე პრობლემას უქმნიდა მეამბოხე აბუ ბექრ ამჰაუში, რომელიც აქეზებდა მთის მოსახლეობას მის წინააღმდეგ [63,24-32;104,228].

1819 წელს ფესის მოსახლეობა აუჯანყდა სულთან სულაიმანს. მან დახმარებისთვის მიმართა ბერბერებს და შეუტია ქალაქს, აიღო იგი და გაძარცვულ სახლებში ჩაასახლა ბერბერები. ფესიდან იგი ჩავიდა რაბატში და დააპატიმრა სამხრეთის ტომების მღელვარებების მეთაური. რაბატიდან გაემართა მარაქეშში, იხმო მექნესიდან აბიდები, რომლებიც არ დაემორჩილნენ მას. ამასთანავე, მას აუჯანყდნენ ბანუ უდაია და გარბის ტომები. უდაიამ კი გაძარცვა ფესის ორივე ნაწილი. სასოწარკვეთილი ქალაქის მოსახლეობა

დაირაზმა საკუთარი სახლების დასაცავად. სულაიმანი ვერაფერს გახდა. ბერბერები არწმუნებდნენ მას, რომ დაეტოვებინა ტახტი, რომლებთანაც შეთანხმებით სულთანი გახდა ბრაჰიმ ბ. იაზიდი, მაგრამ მალევე გარდაიცვალა და შეცვალა ძმამ მულაი საიდმა. ორივე ძმა დაკავებული იყო ჩრდილოეთ მაროკოს ძარცვით. მულაი სულაიმანმა ისევ მოინდომა ძალაუფლების ხელში აღება. მან მოკლა საიდი, შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას და ფესისა და თეტუანის დაკავებას. ამ დროს ქვეყნის სამხრეთ ნაწილის ტომებს სათავეში ჩაუდგა მისი ძმისშვილი ‘აბდ არ-რაჰმანი, რომელიც ქალაქ ფესში სულთნად გამოაცხადეს. ჰავზში აჯანყდა არაბული ტომი, მათ შური იძიეს სულაიმანის მიერ მათი ზავიის გაძარცვისათვის. სულთანი დამარცხდა და დაბრუნდა მარაქეშში. გარდა ამისა, მულაი სულაიმანმა ვერ შეძლო ზედა და შუა ატლასის, აგრეთვე საჰარის ქედის მოსახლეობის დამორჩილება [99,69].

აღსანიშნავია, რომ სულთანი სულაიმანის გამგებლობის ბოლო ათი წლის მანძილზე, მაროკოს ზოგიერთი რაიონი, რომელიც ბერბერების ხელში იყო საერთოდ მოწყდა მახზანს. მეამბოხე ბერბერებმა გადაჭრეს საკომუნიკაციო ხაზები და ძარცვავდნენ არა მარტო ქალაქის მოსახლეობას, არამედ თავს ესხმოდნენ პილიგრიმებსაც [99,70].

1822 წელს, სულთანმა სულაიმანმა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ტახტის მემკვიდრედ დაასახელა მულაი ‘აბდ არ-რაჰმანი, რომელიც შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას. მან შექმნა ფინანსური სისტემა და ცდილობდა ვაჰაბიზმის დამკვიდრებას. ქვეყანაში თანდათანობით ფეხს იკიდებდნენ იმპერიალისტური ძალები. ფილალის დინასტია „სულს ღაფავდა“.

§2. ევროპული სახელმწიფოების გავლენის გაზრდა, დამოუკიდებლობის დაკარგვა და აღდგენა

1830 წელს საფრანგეთის მიერ მეზობელი ალჟირის დაპყრობამ მაროკოზეც მოახდინა გავლენა. ევროპის ამ სახელმწიფომ მოინდომა თავისი კოლონიების „დამრგვალება“. სულთანმა ‘აბდ არ-რაჰმანმა (1822-1859) დახმარება გაუწია მუსლიმთა ამბოხების მეთაურს ‘აბდ ალ-კადირს (1832-1842), რის საპასუხოდ ფრანგები შეიჭრნენ მაროკოში. ბრძოლა გაიმართა ვადი ისლთან. სულთნის

ჯარი დამარცხდა [102,81; 98,11]. მხოლოდ ინგლისის ჩარევის „წყალობით“, ქვეყანამ დროებით შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ამ მოვლენებამდე კი, 1829 წელს ავსტრიამ გაანადგურა მაროკოს ფლოტი. ფრანგებმა დაბომბეს ტანჟერი და მოგადორი. 1844 წლის 10 სექტემბერს, ‘აბდ არ-რაჰმანი იძულებული გახდა ხელი მოეწერა კონვენციისთვის, რომლის მიხედვითაც ვალდებულებას იღებდა, რომ აღარ დაეხმარებოდა ‘აბდ ალ-კადირს. აღსანიშნავია, რომ მაროკო შედიოდა იმ ქვეყნების სიაში, რომელთაც ყველაზე ბოლოს დაემუქრათ კოლონიზაციის საფრთხე.

1845 წელს საბოლოოდ დადგინდა ალჟირ-მაროკოს საზღვარი. 1851 წელს ფრანგებმა დაბომბეს სალე, 1859 წელს გაგზავნეს სამხედრო ექსპედიცია ბანუ სანუსის წინააღმდეგ. ამავე წელს, ესპანეთმა ომი გამოუცხადა მაროკოს და 1860 წელს ესპანელები შეიჭრნენ თეტუანში.

სულთან მუჰამად IV-ს (1859-1873) დაეკისრა კონტრიბუცია 100 მილიონი პიასტრის ოდენობით. გარდა ამისა, სეუტა საბოლოოდ შევიდა ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში და მაროკო იძულებით თმობდა სიდი-იფნს. ამავდროულად, ინგლისმა საბაჟოების შემოსავლების მიღების გარანტიის პირობით, აიძულა ესპანეთი უარი ეთქვა თეტუანზე [47,7]. ინგლისი, როგორც გიბრალტარის სრუტის და სიმაგრის მფლობელი აკვირდებოდა ამ რაიონში სხვა სახელმწიფოების მოქმედებას და ყველანაირად ცდილობდა მათი ქმედების დარეგულირებას. 1856 წელს მაროკო იძულებული გახდა გზა გაეხსნა ინგლისის კაპიტალისთვის, მოგვიანებით (1859-60) ევროპის სხვა სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის [119,55].

1856 წლის ინგლისთან, ესპანეთთან, ბელგიასთან, ნიდერლანდებთან, პორტუგალიასთან, საფრანგეთთან და ევროპის სხვა სახელმწიფოებთან დადებული შეთანხმებები, ფაქტობრივად სულთანს არ აძლევდნენ უცხოური ქვეყნების გავლენის შეზღუდვის საშუალებას მაროკოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქვეყანაში თანდათანობით გაიზარდა ევროპელი მოსახლეობის რიცხვი, ხოლო სულთანი ჰასან I იბრძოდა უცხო ძალებისა და საშინაო პრობლემების დასაძლევად. მას სურდა ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმების გატარება, შეუდგა ჯარის მოდერნიზირებას.

ჰასან I-ის ძალისხმევის მიუხედავად, 1880 წლის მადრიდის კონფერენციამ კიდევ უფრო დაასუსტა ქვეყანა [86,95]. აღნიშნული კონფერენცია შედგა ესპანეთის სამეფოს ინიციატივით, რომელსაც აწუხებდა საფრანგეთის

პრეტენზია მადრიბის რეგიონის ამ ნაწილზე. ესპანეთს მხარს უჭერდნენ ინგლისი და გერმანია, საფრანგეთმა დროებით უკან დაიხია. მადრიდის კონვენციის თანახმად, რომელსაც ხელი მოაწერა 11 სახელმწიფომ (1881 წელს მას შეუერთდა რუსეთი) უცხოელებს მიენიჭათ მაროკოში კერძო საკუთრების შეძენის უფლება და მათ სამსახურში მყოფი ქვეშევრდომების (მათ შორის მაროკოელების) მფარველობა, რომლებიც სარგებლობდნენ პრივილეგიებით. ასე რომ, მადრიდის კონვენციამ გზა გაუხსნა უცხოელების აგენტურის გაზრდასა და გაძლიერებას. რა თქმა უნდა, სულთან ჰასანს არ სურდა ყოფილიყო დამოკიდებული რომელიმე ქვეყანაზე. მან მიიწვია ინსტრუქტორები სხვადასხვა სახელმწიფოდან, შეუდგა კასაბლანკაში პორტის რეკონსტრუქციას, იარაღის ქარხნის შენებას და დაიწყო ახალგაზრდების საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა [99,96].

1881-82 წლებში, საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს მაროკოს კუთვნილი ოაზისები. ამ პერიოდში, საქონლის ბრუნვა ხორციელდებოდა პორტების მეშვეობით. ვაჭრობაში მთელი ძალით ჩაება ევროპა. აფრიკის ძველი სავაჭრო კავშირები თანდათან ქრებოდა. მაროკოს რვა პორტში თავმოყრილი იყო უცხოური სახელმწიფოების გემები.

XIX საუკუნის მიწურულს, გერმანიამ დაიწყო მაროკოში აქტიური პოლიტიკის გატარება. 1886 წელს, კასაბლანკაში „გულტოპის“ გემით ჩავიდა გერმანიის დელეგაცია, რომელსაც ეკისრებოდა მაროკოელ ვაჭრებთან კავშირების დამყარება და ქვეყნის ბაზრის კარგად შესწავლა [50,189].

1887 წელს, ინგლისმა და იტალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას მაროკოში საფრანგეთის მოქმედების თაობაზე. მარტში გაფორმდა ანალოგიური შეთანხმება ესპანეთთანაც [51,20].

1891 წელს, გერმანიამ გააფორმა სავაჭრო შეთანხმება მაროკოსთან და დააწესა პირდაპირი საზღვაო კავშირი. ამავე წლიდან ესპანეთმა წამოიწყო ომი რიფის ტომებთან. 1898 წლის 25 თებერვლს, ტანჟერში დაინიშნა მეფის რუსეთის რეზიდენტი. XIX საუკუნის ბოლოს, ქვეყნის ეკონომიკაში პირველი ადგილი დაიკავა ინგლისმა, მეორე საფრანგეთმა, მესამე ესპანეთმა და მეოთხე გერმანიამ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX საუკუნეში მაროკოში ევროპის სახელმწიფოების შეღწევა გაძლიერდა, მაგრამ მათი ინტერესი განსაკუთრებით გამოიკვეთა XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც ევროპის ბურჟუაზია აღივსო „კოლონიალური ციებ-ცხელებით“. „შარიფთა სახელმწიფოს“ სულთნები

იძულებული იყვნენ ეწარმოებინათ ბრძოლა ერთდროულად ორ ფრონტზე – დასავლეთის ექსპანსიისა და ბერბერთა ამბოხებების წინააღმდეგ.

რუსი ექსპერტების აზრით, თუ ინგლისი შეეცდებოდა მაროკოში მყარად დამკვიდრებას, მაშინ საბოლოოდ შეძლებდა ხმელთაშუა ზღვის შესასვლელების დაუფლებას და ამით გახდებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის მფლობელი [50,189].

რაც შეეხება საფრანგეთს, იგი სარგებლობდა ეკონომიკური უპირატესობით და ცდილობდა ქრისტიანობის გავრცელებას, თუმცა მაროკოელები იცავდნენ საკუთარ რელიგიას [22,23]. მაროკოს ძალა არ შესწევდა თავს დასხმოდა ან დამუქრებოდა რომელიმე სახელმწიფოს, მას არ შეეძლო უბრალო დარტყმის უკუგდებაც.

იმპერიალისტები სულთანს უფლებას არ აძლევდნენ დაეწესებინა საბაჟო გადასახადები და მიეღო შემოსავალი. სუვერენი ვეღარ აკონტროლებდა ვაჭრობას. მან დაკარგა კონტროლი ქვეყნის საზღვრების დაცვაზე და უცხოელების სტატუსის განსაზღვრაზე. კოლონიზატორებმა დააცარიელეს ხაზინა და აიძულეს ქვეყნის მმართველი აენაზღაურებინა მათი ხარჯები. გარდა ამისა, მისგან მოითხოვდნენ ქვეშევრდომთა ვალების გასტუმრებას [22,23].

XX საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის უმეტესობა 6-7 მილიონი დაკავებული იყო მესაქონლეობითა და მიწათმოქმედებით. 10-12% ცხოვრობდა ქალაქში. მიწების დიდი ნაწილი ეკუთვნიდა სულთანს და მის ხელისუფლებას („არ̄ადინ ალ-მახზან“). ამ მიწის ნაკვეთებს ამუშავებდნენ გლეხები, მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომები, რომლებიც სარგებლობდნენ საძოვრებით და იხდიდნენ რენტას. ხშირად ამ მიწებს აძლევდნენ გიშის ტომებს. ისინი ჯარში სამსახურის სანაცვლოდ არ იხდიდნენ გადასახადს და კრეფდნენ ნა’იბას [51,13].

ქვეყნის სამხრეთ რაიონის მიწები გადავიდა მსხვილი ფეოდალების ხელში, რომელთა დაქვემდებარებაში შედიოდნენ ცალკეული ტომები და სოფლების თემები. ფელაჰები უხდიდნენ მათ ნატურალური ფორმით მოსავლის 4-დან 8 მეათემდე. ამასთანავე, მიწების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა მეჩეთებს და საქველმოქმედო დაწებულებებს („არ̄ადინ ალ-ჰაბუს“, „ჰაბასა“ - უანდერძა, მისცა), რომლებიც შეეესაბამება ვაკფებს (სხვა ისლამურ სახელწიფოში). მას განაგებდნენ უმაღლესი სასულიერო პირები, რომლებიც ასევე იღებდნენ შემოსავალს გლეხების მოსავლიდან. ყოველივე ამის გარდა, რა თქმა უნდა არსებობდა მულქის კატეგორიის მიწები.

აღსანიშნავია, რომ მაროკოს მთიან, უდაბნო და ოაზისების ნაწილში ჯერ კიდევ არსებობდა თემური წყობილება. შეიარაღებულ ტომებსა და მიწათმოქმედ თემებში შენარჩუნებული იყო პატრიარქალური წყობა და მიწები ეკუთვნოდა ტომების და თემების კატეგორიას („არ̄დინ ალ-ჯამ̄ʿა“) [51,14]. ეს ტომები არ უხდიდნენ გადასახადს მახზანს, თუმცა აღიარებდნენ სულთნის სასულიერო ძალაუფლებას. მათ შიგნით მიმდინარეობდა ფენებად დაშლის პროცესი და არსებობდა ქონებრივი უთანასწორობა. ალ-ჯამ̄ʿას საბჭოებს განაგებდნენ მდიდრები და მათ ხელში იყო დუარები („დ̄უარ“-დასახლება). ძალაუფლება ცალკეულ ტომებსა და გვარებზე გადადიოდა მემკვიდრეობით მხოლოდ წარჩინებულ პირებზე. ზოგჯერ ტომთა მეთაურები იტაცებდნენ სათემო მიწებს და ექსპლუატაციას უწევდნენ თანამეტომელებს და ახდევინებდნენ გადასახადს. ხანდახან კი მათ უწევდათ საფასურის გადახდა ზოგიერთი მუსლიმური ორდენებისათვის. ამავდროულად, ბელადები მეზობელი მკვიდრი ტომების, სხვა ტომების თავდასხმისაგან თავდაცვის მიზნით იღებდნენ მათგან გადასახადს - „ხუვა“ („საძმო“, ამ შემთხვევაში ხარკი). მეთაურები თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების გასამყარებლად იყენებდნენ არსებულ პატრიარქალურ ტრადიციებს.

საყურადღებოა, რომ ქვეყნის არამთიან რეგიონებში, დამპყრობლები ხშირად ეყრდნობოდნენ მსხვილ ფეოდალებს. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში ფეოდალთა ჩაგვრისგან დაღლილი ხალხი არ იყო მზად მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. განსხვავებული სიტუაცია იყო მთიან რეგიონებში [51,16].

1900 წელს, საფრანგეთსა და იტალიას შორის რომში დაიდო შეთანხმება (რატიფიცირებულ იქნა 1902 წ.), რომლის თანახმად საფრანგეთი პირდებოდა იტალიას ტრიპოლის ვილაიეთს (იგი ეკუთვნოდა ოსმალეთს) და კირენაიკას. სანაცვლოდ, იტალიამ განაცხადა, რომ არ იყო ფრანგების მაროკოში შესვლის წინააღმდეგი.

1901-02 წლებში, სულთანმა ʿაბდ ალ-ʿაზიზმა (1895-1908) იძულებით დადო შეთანხმება საფრანგეთთან, რამაც მას მისცა მაროკოში ჯარის შეყვანის საშუალება. რეფორმების გეგმამ, გადასახადებთან, ჯარისა და პოლიციის მოდერნიზირებასთან, მინისტრთა კაბინეტის შექმნასთან და სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით განიცადა მარცხი. ამასთანავე, იზრდებოდა ევროპის სახელმწიფოების, განსაკუთრებით საფრანგეთის კაბალური სესხები (1902,1903, 1910 წწ.).

1902 წლის 20 აპრილის შეთანხმების საფუძველზე, საფრანგეთმა ჯარებისა და პოლიციის შეყვანით შეძლო შეექმნა თავისი სამხედრო და საბაჟო პუნქტები. ევროპის ეს სახელმწიფო იღებდა საკუთარ თავზე დამნაშავეთა დაპატიმრებისა და გასამართლების უფლებას. ფრანგებმა „შარიფთა სახელმწიფოში“ შეიყვანეს სასაზღვრო კომისრები, რომელთა ხელში გადავიდა ქვეყნის საზღვრისპირა რაიონების კონტროლი. ამასთანავე, მათ მაროკოს ტერიტორიაზე ჩააყენეს ჯარი გენერალ ლიოტეს მეთაურობით და მიუერთეს ალჟირს კოლონ-ბეშარი (ამჟამინდელი ქალაქი ბეშარი). იმპერიალისტური ბრძოლის, მსოფლიოს გადანაწილების პერიოდში, რა თქმა უნდა საფრანგეთი იოლად ვერ დაიპყრობდა ქვეყანას. აუცილებელი გახდა მთელი რიგი სახელმწიფოების თანხმობა და შესაფერისი პოლიტიკის გატარება. ამიტომ იგი შეუდგა საიდუმლო მოლაპარაკებების წარმოებას ევროპის სახელმწიფოებთან, რომლებსაც პირდებოდა მაროკოში თავისუფლად მოქმედების სანაცვლოდ სხვადასხვა სახის კომპენსაციას [53,255].

1903 წელს, მღელვარებამ მოიცვა ქვეყნის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი. ამბოხებული რეგიონებიდან არ შედიოდა ხაზინაში თანხები, რის გამოც ‘აბდ ალ აზიზმა აიღო ახალი სესხი, რასაც მიყავდა ქვეყანა დაღუპვისაკენ. ამ პერიოდში მაროკოს სულთანს ჩამოერთვა ხაზინის გაკონტროლების უფლება, რაც საშუალებას არ აძლევდა დაემორჩილებინა ზოგიერთი დაუმორჩილებელი ტომი. მდგომარეობა გამწვავდა დასავლეთ საჰარაშიც. საფრანგეთმა გაგზავნა სადაზვერვო ჯგუფები ადრარში, ტაგანტსა და ტიჯიკდაში, რასაც მოჰყვა იქაური ტომთა დაჯგუფება. მათ დახმარებისათვის მიმართეს სულთანს და გაერთიანდნენ თინდუფაში (‘აინ-სემარასთან ახლოს) მცხოვრები მარაბუტელი შაიხის, მა’ ალ-‘აინინის (სხვა მონაცემებით მა’ ალ-‘აინეინი) გარშემო. შაიხმა გამოუცხადა წმინდა ომი დამპყრობლებს. მან ასკეტიზმისა და სიბრძნის წყალობით მალევე მოიპოვა ხალხის ნდობა. მოგვიანებით, 1906 წელს იგი ჩავიდა ფესში, სადაც ქვეყნის მმართველი და მოსახლეობა დახვდა ზარზეიმით. სულთანმა მა’ ალ-‘აინინს მისცა ფული და იარაღი, რისი მეშვეობითაც მან გადააქცია ‘აინ-სემარა სიმაგრედ. მდგომარეობის გასამუხტად ‘აბდ ალ-აზიზი ისევ შეეცადა რეფორმების გატარებას, რასაც კვლავ მოჰყვა მოსახლეობის უკმაყოფილება. მაგალითისათვის 1906 წელს, მახზანის ვალმა მიაღწია 206 მილიონ ფრანკს [39,5].

1904 წელს, საფრანგეთმა ესპანეთთან დადო საიდუმლო კონვენცია გავლენის გაყოფაზე „შარიფთა სახელმწიფოში“, რომლის საფუძველზეც ესპანეთს ეძლეოდა მაროკოს ჩრდილოეთი ნაწილი-ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოლი და სამხრეთის ზოლი - სანტა კრუზ დე მარ პეკიუენი. რაც შეეხება ესპანეთს, იგი აძლევდა საფრანგეთს ყველა სფეროში თავისუფლად მოქმედების გარანტიას. ყოველივემ ამან გამოიწვია გერმანიის ხელისუფლების გაღიზიანება, რის საპასუხოდაც მანიესმანის ჯგუფის ბანკებმა ატლასსა და ჰავზში საწარმოების სანაცლოდ სულთანს მისცეს კრედიტი. გარდა ამისა, გერმანელებმა კასაბლანკაში გახსნეს წარმომადგენლობა [39,6]. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საფრანგეთი შეეცადა რეფორმების გატარებას, რასაც მოჰყვა გერმანიის პროტესტი. გერმანიის ელჩი ჩავიდა ფესში, ხოლო ვილჰემ II ეწვია ტანჟერს. დადგა პირველი კრიზისი.

აღსანიშნავია, რომ გერმანიას სურდა ინგლის-საფრანგეთის კავშირის გაწყვეტა და საფრანგეთის თავის მხარეზე გადაბირება. იგი არ თანხმდებოდა არანაირ კომპენსაციას. ამავდროულად, ლონდონში გაფორმდა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ანტანტას და ეს ორი ქვეყანა ახდენდა „ურთიერთცოდვების მიტევებას“. საფრანგეთი „ცვლიდა“ ეგვიპტეს მაროკოზე, ინგლისი – მაროკოს ეგვიპტეზე. ორივე სახელმწიფო იღებდა ერთმანეთისგან თავისუფლად მოქმედების საშუალებას.

1904 წლის საფრანგეთ-ინგლისის და ესპანეთის მოლაპარაკების საფუძველზე, ჩრდილოეთ მაროკოს ნაწილი ექცეოდა ესპანეთის გავლენის ზონაში, ტანჟერი გადადიოდა საერთაშორისო კონტროლის ქვეშ. ამასთანავე, ინგლისი მოითხოვდა ხმელთაშუაზღვისპირეთის სრულ დემილიტარიზაციას, ხოლო საფრანგეთი ვალდებულებას იღებდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე აღარ აღმართავდა სიმაგრეს [48,258].

1905 წლის 1 სექტემბერს, ასევე საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე, სამხედრო პოლიცია სეუტასა და მელილაში გადადიოდა ესპანელი ოფიცრების ხელში, რომლებიც იღებდნენ იარაღის კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის უფლებას. გარდა ამისა, ესპანელებს ფრანგებთან ერთად ეძლეოდათ ტანჟერის პოლიციის მართვის საშუალება. ამავდროულად, ისინი მონაწილეობას იღებდნენ საბაჟოს, რკინიგზის, სახელმწიფო ბანკის და სავაჭრო-სამრეწველო კომპანიების მართვაში. მოგვიანებით კი ესპანეთს შეეძლო პირდაპირ ჩარეულიყო მაროკოს საქმეებში [52,33].

ინგლისის შთაგონებით, ამ პერიოდში სულთანმა ‘აბდ ალ-აზიზმა დაიწყო საზღვაო ფლოტისა და საგადასახადო სისტემის რეფორმირება. მან მიიწვია გერმანელი ოფიცრები, თუმცა ფინანსური სიძნელეების გამო, იძულებული გახდა გაეყიდა შეძენილი ოთხი გემი. სუვერენს ასევე არ გამოუვიდა ახალი საგადასახადო სისტემის გატარება ევროპელებსა და იმ მაროკოელებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ უცხოელების მფარველობის ქვეშ [39,6].

მაროკოს 1905, 1909 და 1911 წლების კრიზისებმა გაართულა საერთაშორისო მდგომარეობა. იმპერიალისტების მიერ ქვეყნის დაკაბალებას ხელი შეუწყო 1906 წლის ალ-ხესირასის კონფერენციამ (დაიწყო 15 იანვარს და დასრულდა 7 აპრილს), რამაც დაარეგულირა 1905 წლის საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტი. კონფერენცია გაიმართა გერმანიის მოთხოვნით. იგი იმედოვნებდა, რომ 1880 წლის კონვენციაზე დაყრდნობით და სხვა სახელმწიფოების დახმარებით აიძულებდა საფრანგეთს უარი ეთქვა მაროკოზე პროტექტორატის დამყარებაზე. გერმანიის მიზანი იყო ქვეყანაში შესაღწევად ნიადაგის მომზადება. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 13 სახელმწიფომ (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი, იტალია, ესპანეთი, ბელგია, ნიდერლანდები, პორტუგალია, შვეცია, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები და თვით მაროკო). საფრანგეთს მხარი დაუჭირეს ინგლისმა და ესპანეთმა, იტალია ცოტა ხნით განზე გადგა. უფრო პატარა სახელმწიფოები მიემხრნენ ინგლისს. აშშ ასრულებდა შუამავლის როლს, მაგრამ უფრო იხრებოდა ინგლისის ინტერესებისკენ და დროდადრო ახდენდა ზეწოლას გერმანიაზე [22,241; 34,56]. ევროპის ამ სახელმწიფოს უღალატა რუსეთმა, რადგანაც მას რევოლუციის ჩასახშობად და სხვა ღონისძიებების გასატარებლად სჭირდებოდა ფული და ელოდებოდა დახმარებას საფრანგეთისა და ინგლისისგან. გერმანიის პოზიციას უერთდებოდა მხოლოდ ავსტრია-უნგრეთი. ამიტომ, გერმანია დათანხმდა საფრანგეთის ყველა მოთხოვნას – პორტებში ადგილობრივი პოლიციის ჩაყენებაზე, ფრანგი და ესპანელი ოფიცრების მეთაურობით, ხოლო გენერალ-ინსპექტორი აუცილებლად უნდა ყოფილიყო შვეიცარიელი. ალ-ხესირასის კონფერენციამ გადაწყვიტა სხვა საკითხებიც. იგი დასრულდა გერმანიის დიპლომატიის მარცხით. მან ვერ შეძლო ინგლის-საფრანგეთის კავშირის შესუსტება და საფრანგეთის ხარჯზე პოზიციების გამყარება [34,58].

1906 წელს, ალ-ხესირასის კონფერენციაზე მიღებული შეთანხმების საფუძველზე გაიხსნა მაროკოს სახელმწიფო ბანკი, რომლის კონტროლს

ახორციელებდა საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი და გერმანია. კონფერენციამ გააუქმა მონებით ვაჭრობა და მოახდინა სამონადირეო იარაღის ბიზნესის ლეგალიზირება. ამასთანავე, მასში მონაწილე მხარეებმა დააფიქსირეს მაროკოს და მისი მმართველის დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, საფრანგეთს და ესპანეთს საშუალება ეძლეოდათ შეექმნათ ახალი პოლიცია, საგადასახადო სისტემა და განეხორციელებინათ სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობის ორგანიზირება. რაც მთავარია, ევროპის ეს ორი სახელმწიფო იღებდა გადასახადების ამოღების უფლებას [39,7]. ამავე წელს, მახზანმა მოახდინა ალ-ხესირასის კონფერენციაზე მიღებული შეთანხმებების რატიფიცირება, იმ იმედით რომ მიაღწევდა შემდგომში ზოგიერთი პუნქტის ანულირებას, რამაც გამოიწვია მოსახლეობის გაღიზიანება. მახზანის იმედები ამაო აღმოჩნდა.

დროთა განმავლობაში, იმპერიალისტების ქმედებები იწვევდა საპასუხო აგრესიას. 1907 წელს, მარაქეშში ჩხუბის დროს მოსახლეობამ ჩაქოლა ფრანგი ექიმი მოშანი, რის საპასუხოდაც საფრანგეთმა დაიწყო ქვეყნის სამხრეთ რაიონებიდან მაროკოს დაპყრობა. მოგვიანებით როგორც აღინიშნა, 1907-08 წლებში საფრანგეთის ჯარებმა მოახდინეს რამდენიმე ქალაქის ოკუპაცია, რასაც ბუნებრივია მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა. კასაბლანკაში დამპყრობლებმა რკინიგზის ხაზთან აყარეს მუსლიმთა სასაფლაო, რამაც გამოიწვია ხალხის აღშფოთება, მოკლეს 9 მუშა.

საფრანგეთის ხელისუფლებამ მოშანის მკვლელობასთან დაკავშირებით წაუყენა მაროკოს სულთანს შემდეგი მოთხოვნები:

1. მარაქეშის გუბერნატორის დაპატიმრება.
2. საფრანგეთის კონსულს უნდა ჩაეტარებინა გამოძიება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
3. უნდა დასჯილიყვნენ დამნაშავეები (ზოგიერთი მონაცემით სულ ცოტა 60 ადამიანი).
4. სულთანი ვალდებული ხდებოდა გადაეხადა ჯარიმა.
5. ალ-ხესირასის კონფერენციაზე მიღებული შეთანხმების საფუძველზე უნდა დაჩქარებულიყო პოლიციის რეორგანიზაციის პროცესი.
6. სასაზღვრო პოლიციასთან დაკავშირებით 1901-02 წლების შეთანხმებების შესრულება.
7. ვინაიდან მავრითანიაში მყოფი მულაი იდრისი მხარს უჭერდა ადრარში აჯანყებულ ტომებს, სულთანს იგი მკაცრად უნდა დაესაჯა.

8. მა ალ-აი-ნინის იარაღით მომარაგების შეწყვეტა.
9. სხვადასხვა პრეტენზიის დაკმაყოფილება [22,242].

როდესაც ‘აბდ ალ-აზიზს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, სწორედ ამ დროს ლიოტე შეიჭრა უჯდაში. იგი დათანხმდა მარაქეშის გუბერნატორის შეცვლას და გამოძიების ჩატარებას. სულთანმა ასევე განაცხადა, რომ ეტაპობრივად განიხილავდა სხვა პრეტენზიებსაც. რამდენიმე დღის შემდეგ, 8 აპრილს სუვერენმა გააკეთა განცხადება ჯარიმის გადახდის თაობაზე და მოითხოვა საფრანგეთის ჯარის ქალაქ უჯდიდან გაყვანა [22,243].

საჭიროა აღინიშნოს, რომ ქალაქი კასაბლანკა ამ პერიოდში წარმოადგენდა შალისა და ხორბლის ვაჭრობის ცენტრს, სადაც ეს პროდუქტები იყიდებოდა ბევრად იაფად, ვიდრე ევროპაში, თუმცა ფრანგებმა კასაბლანკაში შესასვლელად მოიმიზეზეს ახალი სამოქალაქო პოლიციის შექმნა და იქ მიმდინარე რკინიგზის მშენებლობა, რაც იწვევდა ქალაქელების უკმაყოფილებას. ფრანგებმა თავდაპირველად დაბომბეს ქალაქი და მხოლოდ ამის შემდეგ ესპანელებთან ერთად შევიდნენ „თეთრ ქალაქში“ [38,8]. საფრანგეთმა კასაბლანკის დატოვების სანაცვლოდ მოსთხოვა სულთანს კომპენსაცია 100 მილიონი ფრანკის ოდენობით, რის გამოც იგი იძულებული გახდა აეღო სესხი მაროკოს სახელმწიფო ბანკიდან. ამასთანავე, გასასტუმრებელი იყო მოხელეების ხელფასებიც. გარდა ამისა, იგი გეგმავდა რეფორმების გატარებას. ქვეყნის მმართველმა გარანტად ჩადო საბაჟო შემოსავლების წილი, სიგარეტით ვაჭრობის მონოპოლია და მახზანის კუთვნილი საპორტო მიწების დიდი ნაწილი.

ამასთანავე, 1908 წელს, ფრანგებმა დაიპყრეს ბენი სნასენის ტომის ტერიტორიები. შემოსავლები შედიოდა ოპიუმიდან, თამბაქოდან, ზაქათიდან და სამოქალაქო გადასახადებიდან. ვალების გასტუმრების მიზნით, სულთანი იძულებული გახდა დაეწესებინა ახალი გადასახადები, რაც ბუნებრივია ძაბავდა სიტუაციას.

ამავე წელს, მიმდინარეობდა შაუიასა და ცენტრალური პლატოს მცხოვრებთა აჯანყება [39,8]. სულთანს დაუპირისპირდა საჰარელი მა’ ალ-‘აინინი, თუმცა ფრანგებმა იგი დაამარცხეს. 1910 წელს იგი გადავიდა თიზიმში, სადაც მალე გარდაიცვალა. მარაბუტელის ბრძოლა გააგრძელა მისმა შვილმა[60,133].

ქვეყანაში იმდენად დაიძაბა მდგომარეობა, რომ სულთნის უფროსმა ძმამ ‘აბდ ალ-ჰაფიზმა გადაწყვიტა ძალაუფლების ხელში აღება. იგი იყო მარაქეშის და

სამხრეთ მაროკოს გენერალური გუბერნატორი. ‘აბდ ალ-ჰაფიზს სძულდა თავისი ნახევარძმა და თვლიდა, რომ მან მიიღო ტახტი მხოლოდ ჩერქეზი დედის გავლენით. რაც შეეხება ‘აბდ ალ-ჰაფიზს, დედის ხაზით ის მომდინარეობდა არაბული შაუიას ტომიდან [22,242-243]. მან მარაქეშში მიიწვია ალიმები, სხვა სასულიერო პირები და კა’იდები. ‘აბდ ალ-ჰაფიზმა დაარწმუნა მიწვეულები იმაში, რომ ვინაიდან მისმა ძმამ დადო უცხოელებთან სხვადასხავა სახის შეთანხმება, იყო ქვეყნისა და ერის მოღალატე. ამის საფუძველზე ალიმებმა გამოსცეს ფათვა:

„ქვეშევრდომები ემორჩილებიან სულთანს, თუ ის იცავს წმინდა კანონს და საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შარიათის მიხედვით შესაძლებელია სუვერენის ჩამოგდება. რაც შეეხება სულთან ‘აბდ ალ-აზიზს და მის ვაზირებს, მათ არ დაიცვეს სახელმწიფოს და ნაციის ინტერესები, რითაც უღალატეს ისლამს“.

1907 წლის 16 აგვისტოს, „წითელ ქალაქში“ ალიმების ნაწილმა ‘აბდ ალ-ჰაფიზი სულთნად აკურთხა. საპასუხოდ, ‘აბდ ალ-აზიზმა ფესში მიიწვია სხვა ალიმები, რომლებსაც მოთხოვა პასუხი. ფესში შეკრებილებმა გამოსცეს შემდეგი ფათვა:

„შარიათის კანონების საფუძველზე ე.წ. სულთანი ‘აბდ ალ-ჰაფიზი ითვლება უზურპატორად და იგი უნდა იქნეს დამხობილი“. ორივე ფათვა გავრცელდა მთელ ქვეყანაში [22,245].

22 სექტემბერს ‘აბდ ალ-აზიზი ჩავიდა რაბატში და შეუდგა თავისი მომხრეების მობილიზაციას. საპასუხოდ, მისმა ძმამ გაგზავნა თავისი თანამოაზრეები მექნესში, რომლებმაც მოახდინეს ქალაქის ოკუპაცია. მექნესის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიემხრო ‘აბდ ალ-ჰაფიზს. ასევე მას მხარი დაუჭირეს ფესელებმა.

1908 წლის იანვარს, რამდენიმე ალიმი და კა’იდი შეიკრიბნენ მულაი იდრისში და შეთანხმდნენ, რომ პარასკევის ხუტბა წაიკითხებოდა სულთან ‘აბდ ალ-ჰაფიზის სახელზე. გარდა ამისა, მათ გაუგზავნეს ‘აბდ ალ-აზიზს ფათვა, რომლის საფუძველზე ის აღიარებული იყო უკანონო სულთნად, ვინაიდან მაროკოს დიდი ნაწილი უცხოელების ხელში იყო, შეკრებილებმა წაუყენეს ‘აბდ ალ-აზიზს შემდეგი მოთხოვნები:

1. სახელმწიფო ბანკის გაუქმება.
2. ფრანგების მიერ ოკუპირებული ქალაქების დაბრუნება.

3. „კაპიტულაციის რეჟიმის“ გაუქმება.
4. ალ-ხესირასის პაქტის ანულირება.
5. საფრანგეთსა და მაროკოს შორის საზღვრის საკითხის ღირსეულად მოგვარება.

6 ივნისს, ‘აბდ ალ-ჰაფიზი ჩავიდა ფესში, რომლის მოსახლეობა სიხარულით დახვდა მას. ივლისში, ფესის მხარდაჭერის შემდეგ ‘აბდ ალ-აზიზმა შეიარაღა 5 ათასი ჯარისკაცი და გადაწყვიტა მარაქეშზე გალაშქრება. 19 აგვისტოს, მან მიაღწია სიდი-რაჯალს (მარაქეშიდან 50 კილომეტრში). ღამით „ჰაფიზიტები“ თავს დაესხნენ მძინარე ჯარისკაცებს. ნაწილი დახოცეს, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს. ამის შემდეგ ‘აბდ ალ-‘აზიზმა თავი შეაფარა კასაბლანკას. ამიერიდან მაროკოს „სრულუფლებიანი“ სულთანი გახდა ‘აბდ ალ-ჰაფიზი [22,247]. ახლად აღიარებულ სულთანს მხარი დაუჭირა გერმანიამ. იგი თვლიდა, რომ ‘აბდ ალ-ჰაფიზი გულწრფელად მოუწოდებდა ერს ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლისკენ. რაც შეეხება საფრანგეთს, მან მოსთხოვა სულთანს:

1. ალ-ხესირასის შეთანხმებების განხორციელება.
2. ევროპის სახელმწიფოებთან დადებული ყველა ხელშეკრულების შესრულება, მათ შორის ფინანსურისაც.
3. კასაბლანკის ოკუპაციის დროს გაწეული ხარჯების ანაზღაურება.
4. ქალაქ კასაბლანკის მოვლენებისას დაზარალებული პირებისათვის კომპენსაციის გაცემა.

სულთანმა ‘აბდ ალ-ჰაფიზმა მიიღო ყველა პირობა, რის საპასუხოდაც ფრანგებმა მოითხოვეს პარიზში მაროკოს დელეგაციის გაგზავნა, რომელიც ზუსტად შეისწავლიდა „თეთრი ქალაქის“ სამხედრო ოპერაციის დროს გაწეულ ხარჯებს. სულთანი დაეთანხმა ამასაც. ახალმა მმართველმა ვერ გაამართლა მაროკოელი ხალხის მოლოდინი. 1909 წლის იანვარში, მან დაამტკიცა კაბალური შეთანხმებები იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან. ‘აბდ ალ-ჰაფიზმა უცხოელებს გადასცა საბაჟოების ყველა შემოსავალი. ფრანგებმა გააძლიერეს რეპრესიები მაროკოელების მიმართ [48,5]. მან იმედგაცრუებული დატოვა მთელი ქვეყანა, პირველ რიგში კი ფესის მოსახლეობა. ხალხი გამოვიდა ‘აბდ ალ-ჰაფიზის წინააღმდეგ, ბენი მუტეირის ტომის მეთაურობით. 8 იანვარს მან სხვა ტომებთან ერთად დაიწყო აჯანყება. ისინი გაემართნენ დედაქალაქისაკენ. სულთნის ჯარი სასტიკ ბრძოლაში დამარცხდა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა მოახდინეს ფესის ბლოკირება. ამბოხებამ მოიცვა მექნესიც, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ‘აბდ ალ-

ჰაფიზის და ‘აბდ ალ-აზიზის ძმა ზეინი. მან განაცხადა, რომ ამ სიტუაციაში მხოლოდ მას შეეძლო ქვეყნის მართვა და მისი კრიზისიდან გამოყვანა. ‘აბდ ალ-ჰაფიზმა კი შეკრიბა დარჩენილი ჯარი, რომელსაც ასევე წარუმატებლად სათავეში ჩაუდგნენ ფრანგები [22,248]. ამბოხებულებმა ამ დროს დააზიანეს ფესსა და ტანჟერს შორის არსებული საკომუნიკაციო სისტემები. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო ფრანგი მთავარსარდალი მუანიე. მან გაგზავნა (1911) ფესისაკენ ფრანგების ოთხი საჯარისო ნაწილი. მაროკოელთა ცალკეული წარმატებისა და თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, თანამედროვე იარაღის უპირატესობამ გადაწონა ყველაფერი. ისინი დამარცხდნენ. 26 მაისს, მუანიემ დაიკავა ფესი. ამბოხებულმა ტომებმა დაიწიეს სამხრეთისაკენ და დაიწყეს მზადება ახალი ეტაპისათვის. საპასუხოდ, სულთანმა გამოხატა თავისი მადლიერება ფრანგების მიმართ და თხოვა მათ მექნესზე გალაშქრებაც. ივნისის ბოლოს მთავარსარდალმა მუანიემ ასევე სისასტიკით ჩაახშო მექნესის აჯანყება, რომლის სანაცვლოდ მოსთხოვა ‘აბდ ალ-ჰაფიზს საფრანგეთის სასარგებლოდ რამდენიმე საკითხის გადაწყვეტა (მაროკოს სესხის, ტანჟერის პორტის...). სულთანი უსრულებდა ოკუპანტებს ყველაფერს [22,250].

საფრანგეთის მოქმედების გამო, დაიძაბა ურთიერთობები გერმანიასთან. ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ დადო ეკონომიკური კონდონიუმი, რის საფუძველზეც იღებდა ვალდებულებას, რომ არ შეუშლიდა ევროპის ამ სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკურ მოღვაწეობას „შარიფთა სახელმწიფოში“. 1909 წელს ფრანგებმა მას შემდეგ, რაც დაიკავეს მექნესი და ფესი, გამოაცხადეს უჯდა-ტაურირტის რკინიგზის მშენებლობა და საფრანგეთის ჯარის ნაწილმა დატოვა კასაბლანკა [39,5].

ამავე წელს, ესპანეთის სამეფომ დაიწყო რიფის ოლქის ოკუპაცია და რკინიგზის მშენებლობა, რომელსაც უნდა შეერთებინა ბენი ბუ იფრუს მაღაროები მელილასთან. ამის გამო, რიფის ტომები თავს დაესხნენ მშენებლობას და მოკლეს ოთხი მუშა. გენერალ მარინის მეთაურობით დამპყრობლებმა წამოიწყეს ბრძოლა რიფელების წინააღმდეგ და დაიპყრეს გურუგუს მთიანი მასივი. ესპანეთის მეფემ გამოსცა მთელი რიგი ბრძანებები, რომელიც ეხებოდა რკინიგზის მშენებლობას მელილასა და ზელუანს, სეუტასა და თეტუანს შორის და ამ რაიონში არსებულ ქვანახშირის მაღაროებს [37,10].

1910 წელს, ესპანეთის მეფე ჩავიდა მელილასა და ჯაფარის კუნძულებზე და ხელი მოეწერა ანალოგიურ შეთანხმებას. ესპანელები გადიოდნენ რიფიდან და

ელ-ჰოსეიმიდან ინსტრუქტორების დატოვებისა და კომპენსაციის, 65 მილიონი პესეტის მიღების სანაცვლოდ. ამავდროულად, საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს აღმოსავლეთ მაროკოს და ქვეყნის ატლანტის სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი.

თებერვალში საფრანგეთის კონსულმა გადასცა სულთან ‘აბდ ალ-ჰაფიზს შეტყობინება, რომლის მიხედვით 48 საათის განმავლობაში მას უნდა დაემტკიცებინა პარიზში მიღებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა ფრანგების საჯარისო ნაწილების გასვლის სანაცვლოდ მათი ინსტრუქტორების საქმიანობას მაროკოში. ყოველივე ეს ნიშნავდა ფრანგების დარჩენას. ამასთანავე, საფრანგეთის სამხედრო მისიის ხელმძღვანელს ფესში უნდა მიეღო სულთნის არმიის უმაღლესი ინსტრუქტორის ტიტული და ქვეყანა უნდა დაეტოვებინათ თურქ ინსტრუქტორებს. გარდა ამისა, საფრანგეთი მოითხოვდა ახალი ყადიების დანიშვნას ტანჟერში მყოფ მისიასთან შეთანხმებით, ყადიებისა და ფაშებისაგან ფრანგებისათვის ნებისმიერი დახმარების გაწევას. ალ-ხესირასის კონფერენციაზე მიღწეული მოლაპარაკების საფუძველზე, საფრანგეთმა ასევე აიძულა სულთანი საბოლოოდ მიეცა უცხოელებისათვის უძრავი ქონების შეძენის უფლება [39,10].

მოგვიანებით, 1911 წელს რჰარბში უკვე ჩამქრალი ამბოხის ჩახშობის მიზეზით ესპანელები გადასხდნენ ლარაშში და დაიწყეს მზადება მომავალი ექსპანსიისათვის. მათ მალე დაიკავეს ელ-კსარ-ელ-ქებირიც და 1912 წელს არსილა. პორტის დამპყრობმა სილვესტერმა გასცა ბრძანება, რომ ადგილობრივ ტომებს გადასახადები გადაეხადათ არა მახზანისათვის, არამედ მისთვის. 22 მაისს კი ესპანეთის ჯარებმა დაიკავეს რიგი დასახლებული პუნქტები სეუტა-თეტუანის გასწვრივ. ესპანელებმა განაცხადეს, რომ დატოვებდნენ ოკუპირებულ ქალაქებს, მას შემდეგ, რაც ფრანგები გავიდოდნენ ფესიდან [39,11; 22,259].

კრიზისი დამთავრდა 1911 წელს, როდესაც აგადირში შევიდა გერმანიის გემი „პანტერა“. მისი გამოჩენა საფრანგეთისთვის სრული მოულოდნელობა იყო. ამ პროვოკაციას შეიძლებოდა მოჰყოლოდა მსოფლიო კონფლიქტი, მაგრამ გერმანიამ უკან დაიხია. შესაძლოა, იგი ამ დროისთვის არ იყო მზად სერიოზული ნაბიჯის გადასადგმელად. ამის შემდეგ, დაიწყო საფრანგეთ–გერმანიის მოლაპარაკებები, რაც დასრულდა 1911 წლის 4 ნოემბერს და საბოლოოდ დაგვირგვინდა საფრანგეთის გამარჯვებით გერმანიაზე. საფრანგეთმა დაუთმო გერმანიას კონგო და მისცა შემდეგი 30 წლის მანძილზე

მაროკოს ვაჭრობაში მონაწილეობის გარანტია, რის სანაცვლოდ მოგვიანებით ამ სახელმწიფომ აღიარა საფრანგეთის პროტექტორატი „შარიფთა სახელმწიფოზე“ [43,6; 31,573; 39,1].

1912 წლის 30 მარტს, სულთანმა ‘აბდ ალ-ჰაფიზმა ფესში ხელი მოაწერა დადგენილებას ქვეყანაზე პროტექტორატის დამყარების შესახებ. 1912 წლის 27 ნოემბრის საფრანგეთ-ესპანეთის მოლაპარაკების საფუძველზე, მაროკოს ტერიტორიის ჩრდილოეთის და უკიდურესი სამხრეთის ნაწილები ესპანეთის ხელში გადავიდა. საფრანგეთს ერგო ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 80% და მისი მოსახლეობის 90%. ტანჟერი გამოიყო საერთაშორისო ზონად – ინგლისის კონტროლის ქვეშ. „შარიფთა სახელმწიფო“ დაეცა [20,10; 64,126].

საფრანგეთის ტერიტორიაზე ძალაუფლება გადაეცა გენერალ-რეზიდენტ ლიოტეს. სწორედ მისთვის უნდა შეეთანხმებინა სუვერენს თავისი ქმედებები. მინისტრთა საბჭოს მდივანი იყო დიდი ვაზირი, რომელიც ამავდროულად ასრულებდა შინაგან საქმეთა მინისტრის ფუნქციასაც. რეზიდენტი ითავსებდა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტსაც, ხელმძღვანელობდა არმიას, აკომპლექტებდა ადმინისტრაციულ აპარატს, ატარებდა რეფორმებს და სანქციონერებას უკეთებდა სულთნის დირექტივებსა და ბრძანებებს. კანონები (დიალექტური ფორმა „დაჰირ“) შედიოდა ძალაში გენერალური რეზიდენტის მიერ მისი გაცნობისა და გამოცემის მერე. გარკვეულ ადგილებს მართავდნენ ე.წ. სამოქალაქო შემოწმებელნი, რომლებიც სარგებლობდნენ შეუზღუდავი უფლებებით. ფაშები და ყადიები ინიშნებოდნენ მხოლოდ გენერალ-რეზიდენტის განკარგულებით, ქვეყნის მმართველთან შეთანხმების გარეშე. რაც შეეხება ტანჟერს მას „განაგებდა“ სულთნის წარმომადგენელი – მანდუბი (გუბერნატორი), რომელიც არ ფლობდა არანაირ ძალაუფლებას [20,13].

ლიოტემ ქვეყანა გაყო 5 სამხედრო ზონად და მოითხოვა ბატალიონების 40-მდე გაზრდა. სამხრეთ ნაწილში, სადაც შენარჩუნებულ იქნა ფეოდალური ურთიერთობა და ძალაუფლება ეპყრათ მსხვილ ფეოდალებს, ისინი დაემორჩილნენ დამპყრობლებს და შეინარჩუნეს არსებული წყობილება. ტომთა ბელადები ე.წ. კა’იდები გახდნენ ფრანგების ვასალები, ხოლო ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობები, მოსახლეობა უწევდა წინააღმდეგობას. ამ რეგიონებში ფრანგები აგზავნიდნენ სადამსჯელო რაზმებს. ისინი

მიერეკებოდნენ საქონელს, აიძულებდნენ გადასახადების გადახდას, იარაღის ჩაბარებას, აგებდნენ საგუშაგოებს [51,24].

ოკუპაციის პირველსავე დღეებიდან დაიწყო აჯანყება ოკუპანტთა წინააღმდეგ, რომელიც მალე მოედო მთელ ქვეყანას. 1912 წელს ფესში მოხდა სახალხო აჯანყება, რამაც მოიცვა მაროკოს ცენტრალური და დასავლეთი რაიონები [42,11]. მას სათავეში ჩაუდგა ყოფილი ყადი ბანუ სნასენის ტომიდან, ჰაჯ ‘აბდ ალ-კადირი. მაროკოს სულთანი ამ დროს იმყოფებოდა ფესში 500 ფრანგი ჯარისკაცის გარემოცვაში და არ შეეძლო არაფრის გაკეთება. ესპანელები კი მიიწევდნენ წინ. მათ მოახდინეს ჩრდილოეთის ნაწილის, სტრატეგიული ობიექტების ოკუპირება. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ ხალხი გამოვიდა ერთდროულად უცხოელთა და სულთნის წინააღმდეგ. ისინი ბრალს სდებდნენ მას სამშობლოს ღალატში. მოლაპარაკებების შედეგად სულთანმა ‘აბდ ალ-ჰაფიზმა უარი თქვა ტახტზე, თავისი ძმის ‘აბდ ალ-‘აზიზის სასარგებლოდ. ფრანგებმა იგი გაგზავნეს მარსელში [39,11].

პროტექტორატის რეჟიმმა განსაზღვრა ტანჟერის სტატუსი, მაგრამ ის მუდმივად წარმოადგენდა სახელმწიფოთა დავის საგანს. 1921 წლისთვის, ფრანგული კომპანიები ტანჟერში ფლობდნენ უძრავი ქონების 80%-ს და მათ ხელში იყო პორტის საქონლის ბრუნვის 50%, მაშინ როცა ინგლისი ფლობდა 19%-ს, ხოლო ესპანეთი 16%-ს. 1922 წელს, საფრანგეთმა მიიღო მაროკოს სულთნისაგან კონცესია – ტანჟერში სავაჭრო პორტის მშენებლობაზე, რაც შეფასდა ინგლისის და ესპანეთის მიმართ უპატივცემულობად.

ტანჟერთან დაკავშირებით, ესპანეთის და საფრანგეთის დიდმა ძალისხმევამ ვერ გამოიღო ბოლომდე სასურველი შედეგი. გამარჯვება მოიპოვა ინგლისმა. ესპანეთისათვის ტანჟერს ჰქონდა ეკონომიკური მნიშვნელობა, ვინაიდან ის მდებარეობდა მასთან შედარებით ახლოს და აქედან ადვილად შეძლებდა სხვა ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოებთან კავშირების დამყარებას. 1923 წლის კონფერენციაზე მიღებული შეთანხმებების საფუძველზე, პორტს მიენიჭა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ავტონომია, რომელსაც ახორციელებდა საფრანგეთის რეზიდენტი. შეიქმნა საკანონმდებლო კრება, რომლის შემადგენლობაში შევიდა 17 ევროპელი დანიშვნითი კონსული, აშშ-ს ერთი და სულთნის 9 წარმომადგენელი - მანდუბის მეთაურობით, რომლის უფლებები ძალიან შეზღუდული იყო. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთთან შედარებით აღნიშნულ კრებაზე, სხვა ქვეყნებს ჰქონდათ ნაკლები პრივილეგიები [39,13].

გარდა ამისა, დაიწყო ევროპელთა ჩასახლების პროცესი. მაგ: 1921 წლისთვის საფრანგეთის ზონაში ცხოვრობდა 162 ათასი უცხოელი, მათგან 128 ათასი ფრანგი. უცხოელები ითვისებდნენ მიწებს. მათ ეკუთვნოდათ მიწების 20,6% ანუ თვითოეულ პირზე მოდიოდა 273 ჰექტარი. ახალი კანონების საფუძველზე, არამაროკოელების ხელში გადადიოდა ქვეყნის ტყეები და წიაღისეული [51,27].

ფრანგებმა დამატებით შემოიღეს სოფლის მეურნეობის გადასახადი „ტერტიბ“, რომელსაც იღებდნენ მოსავლიდან, საქონლიდან და ხეებიდან. გადასახადი დგინდებოდა ყოველწლიურად მოსავლის მიხედვით. შაიხები და ტომთა ბელადები იღებდნენ შემოსავლების 4-6%-ს და თვითონვე განსაზღვრავდნენ გადასახადის თანხას, რითაც შექმნეს ქვეყნის შიგნით სოციალური საყრდენი. რაც შეეხება ფელაჰებს, ბაზარში თავიანთი პროდუქტის გაყიდვის სანაცვლოდ იხდიდნენ საბაზრო გადასახადს. ამასთანავე, ფრანგების მიერ დაწესდა ირიბი გადასახადიც ანუ აქციზი შაქარზე, სპირტზე და სხვადასხვა პროდუქტზე. სათემო მიწების ხელში ჩაგდების მიზნით, დამპყრობლები ხელს უწყობდნენ მის გაყოფა-დანაწილებას და ანიარაღებდნენ თემებს. მათ მხარეზე გადასულებს კი „მფარველობდნენ“ და ამუშავებდნენ საფრანგეთის დაზვერვაში [51,31].

1930-იან წლებში მაროკოში დაიწყო ანტიკოლონიალური მოძრაობის ახალი ტალღა. ძირძველი მოსახლეობის გამოსვლები უფრო მეტად იღებდა მასიურ, ორგანიზირებულ ხასიათს. 1930 წელს, ბრძოლა მიმდინარეობდა ‘აით-იაკუბის ტერიტორიაზე, მაღალი ატლასის აღმოსავლეთ და ცენტრალურ რაიონში, ანტიატლასში, თაფილალეთსა და დრ‘აში. კოლონიზატორთა წინააღმდეგ არ წყდებოდა გამოსვლები. ბრძოლის მთავარ კერებად იქცნენ მაროკოს ქალაქები. განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში ჩადგნენ ახალგაზრდა პატრიოტები - ალ-ჰაჯ აბდ ას-სალამ ბენუნა, ალიად ალ-ფასი, მუჰამად ჰასან ვაზანი, აჰმად ბელაფრეჯი.

კოლონიზატორები როგორც ყოველთვის ცდილობდნენ ნაციონალური შუღლის გაღვივებას, ამიტომ 1930 წლის 16 მაისს, ბენ იუსუფმა ხელი მოაწერა ეგრეთწოდებულ „ბერბერულ დაჰირს“, რომლის მიხედვით ბერბერები ფაქტობრივად გამოდიოდნენ მისი იურისდიქციიდან და გემთშენებლობა, რომელიც იყო სულთნის მეთაურების ხელში, ამიერიდან გადადიოდა ბერებერული ტომების, ბელადების კონტროლზე. ტომთა მეთაურები ექცეოდნენ საფრანგეთის სამხედრო სადაზვერვო ბიუროს გავლენის ქვეშ. გარდა ამისა, საფრანგეთს შექონდა ახალი კანონი, რომელიც „იცავდა“ ბერბერების

უფლებებს და მათ ენას. ფრანგები, ბერბერების მიმხრობის მიზნით, შეეცადნენ მათში ქრისტიანობის გავრცელებას, რამაც გამოიწვია, როგორც ბერბერების, ასევე არაბების აღშფოთება [64,195].

1933 წელს კი რაბატის არაბულ ნაწილში იფეთქა მღელვარებამ. ამ პერიოდში ქვეყანაში გაჩნდა პოლიტიკური პარტიები. 1934 წელს, საფრანგეთის ზონაში შეიქმნა „მაროკოს ნაციონალური მოქმედების ბლოკი", რომელშიც გაერთიანდნენ ბურჟუაზიისაა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ შეიმუშავეს რეფორმები, რომელიც ითვალისწინებდა სულთნის ხელისუფლების გაზრდას პროტექტორატის ფარგლებში. ამასთანავე, ისინი ითხოვდნენ მაროკოს ადმინისტრაციულ და იურისდიქციულ გაერთიანებას და ხალხის მონაწილეობას ქვეყნის მართვაში. მათი მოთხოვნები ამაო აღმოჩნდა.

1936 წელს, ჩატარდა „მაღრიბის ბლოკის" პარტიის პირველი ეროვნული კონგრესი, რომელმაც წამოაყენა პოლიტიკური თავისუფლების საკითხი, პროგრესული კანონების მიღება და განათლების განვითარება. ბუნებრივია, საფრანგეთის მთავრობამ უარყო ყველა მოთხოვნა, რამაც გამოიწვია ფესში, სალესა და კასაბლანკაში მღელვარებების ახალი ტალღა [49,8].

1937 წელს საფრანგეთმა აკრძალა „მაღრიბის ბლოკი", რის საპასუხოდაც ეროვნული ბურჟუაზიის ლიდერებმა ჩამოაყალიბეს ორი პოლიტიკური პარტია: „ნაციონალური მოძრაობის პარტია", მუჰამად ვაზანის ხელმძღვანელობით, „ნაციონალური პარტია", ალ-ფასის და მუჰამად ლიაზიდის მეთაურობით. ეს პარტიები ძირითდად დაკომპლექტებული იყო ქალაქელებისაგან და მოთხოვნებიც დაახლოებით ერთთნაირი ჰქონდათ. განსხვავება იყო იმაში, რომ ალ-ფასის გარშემო უფრო მეტად შემოიკრიბნენ ისლამური, ხოლო ალ-ვაზანის ირგვლივ, ევროპული განათლების პირები. ორივე პარტია ფლობდა ბეჭდვით ორგანოებს - არაბულ და ფრანგულ ენებზე, რაც ახდენდა მოსახლეობაზე გარკვეულ გავლენას. ამავე წელს, ქვეყანა ისევ მოიცვა ანტიიმპერიალისტურმა გამოსვლებმა, რომლებშიც მონაწილეობდნენ, როგორც სოფლების, ასევე ქალაქების მოსახლეობა. ორი წლის შემდეგ კი ფრანგების ბატონობის წინააღმდეგ გამოვიდა ეროვნული რეფორმების პარტია-'აბდ ალ-ხალიკ ტორესის მეთაურობით.

რაც შეეხება ესპანეთის ზონაში არსებულ ნაციონალურ მოძრაობას, მის სათავეში იდგა ნაციონალური ინტელიგენცია ტრადიციული ისლამური განათლებით და მას ხელმძღვანელობდა იუსტიციის ყოფილი მინისტრი, 'აბდ ას-

სალამ ბენუნა. 1931 წელს, ბენუნას თაოსნობით მადრიდში ესპანელებს გადაეცათ მოთხოვნების წერილი, რომელშიც ითხოვდნენ ცოტაოდენ თავისუფლებას და ქვეყნის ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას. ესპანეთმა თანხმობა განაცხადა მხოლოდ პოლიტიკური, პატარა ბროშურების, ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემაზე („ას-სალᾱმ“, „მაღრიბ ალ-ჯᾱმიდ“, „არ-რᾱფ“) [39,15].

1930-იანი წლებიდან ესპანეთის მთავრობის პოლიტიკა მიმართული იყო დეკრეტების გამოცემისაკენ. თავის დროზე კი გენერალმა ფრანკომ, რომელიც დაინიშნა ესპანეთის ზონის კომისრად (1936) განაცხადა, რომ ის იყო „ისლამის მფარველი“. მეორე მსოფლიო ომის დროს, ესპანეთს კიდევ უფრო გაუფუჭდა ავტორიტეტი ფაშისტურ გერმანიასთან თანმაშრომლობის გამო. ამ დროს, ოთხმა პარტიამ „ისთიკლალმა“, „დამოუკიდებლობის დემოკრატიულმა პარტიამ“, „ნაციონალური რეფორმების“ და „მაროკოს ერთიანობის“ (ესპანეთის ზონიდან) პარტიამ შექმნეს დამოუკიდებლობის ბრძოლის ნაციონალური ფრონტი, რომლის მეშვეობითაც გაეროს სამ სესიაზე გატანილ იქნა მაროკოს საკითხი. 1937 წლის 13 ოქტომბერს ხელი მოეწერა ფრონტის ეგრეთწოდებული პაქტს, რომელიც გადაეცა ბენ იუსუფს. იგი შედგებოდა 8 პუნქტისაგან [47,132; 22,314]:

სტატია I. ყველა ის პარტია, რომლებმაც ხელი მოაწერეს პაქტს, ვალდებულებას იღებდა ებრძოლა ბოლომდე მაროკოს საბოლოო დამოუკიდებლობამდე. არც ერთი პარტია არ თანხმდებოდა საფრანგეთთან კავშირზე. უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკება, რომელიც განსაზღვრავდა მათ შორის ურთიერთობას.

სტატია II. ერთადერთი და მთავარი მიზანი იყო დამოუკიდებლობის მოპოვება.

სტატია III. დამოუკიდებლობის მიღებამდე არ შეიძლებოდა მოლაპარაკებების დაწყება.

სტატია IV. უმნიშვნელო საკითხთან დაკავშირებითაც დაუშვებელი იყო მოლაპარაკებების დაწყება.

სტატია V. ყველა ის მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებდა ბენ იუსუფს, უნდა განხილულიყო როგორც პაქტის საწინააღმდეგო.

სტატია VI. აქტიური თანამშრომლობა მაროკოსა და არაბული ქვეყნებს შორის უნდა გაგრძელებულიყო დამოუკიდებლობის მიღების შემდგომაც.

სტატია VII. პაქტზე ხელმომწერი პარტიები ვალდებული იყვნენ არ დათანხმებოდნენ კომუნისტურ პარტიას ერთიანი ფრონტის შექმნაზე.

სტატია VIII. იმ პარტიებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ტანჟერის პაქტს, უნდა შეექმნათ კომიტეტი შემდგომი კონსულტაციებისთვის, თუმცა ვალდებულების ჩარჩოს ფარგლებში ინარჩუნებდნენ თავისუფლად მოქმედების უფლებას [47,132].

1940 წლის ივნისში, საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ მაროკო „გადავიდა“ ფაშისტური გერმანიის ხელში. ამ პერიოდში გერმანიის სამხედრო გემები თავს აფარებდნენ მაროკოს ტერიტორიალურ წყლებს, ხოლო აეროდრომები წარმოადგენდნენ გერმანელების საჰაერო ბაზებს. მათ მაროკოდან გაქონდათ სურსათი და ნედლეული. ესპანეთმა, რომელმაც ისარგებლა საფრანგეთის „დასუსტებით“ და შექმნილი მდგომარეობით, მიითვისა ტანჟერი და შეუერთა იგი თავის ზონას [49,8].

მეორე მსოფლიო მსოფლიო ომის დროს განსაკუთრებით გააქტიურდა ამერიკის შეერთებული შტატები. თავდაპირველად სულთანი ბენ იუსუფი არ მიდიოდა აშშ-სთან მოლაპარაკებაზე, რადგანაც უპირატესობას ანიჭებდა მაროკო-საფრანგეთის ურთიერთობებს. შეერთებულმა შტატებმა შეინარჩუნა ალჟირში, მაროკოსა და ვიშის მთავრობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებში თავისი საკონსულოები, რითაც უზრუნველყო კონტაქტები.

1940 წელს, აშშ-მ მაღრიბში საკონსულოების ხელმძღვანელობისათვის და მდგომარეობის გასარკვევად ჩრდილოეთ აფრიკაში გაგზავნა სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი. 1941 წელს, ხელი მოეწერა ვეიგან-მერფის შეთანხმებას, რომლითაც შტატებმა უზრუნველყო ჩრდილოეთ აფრიკაში თავისი სასურსათო და სამრეწველო პროდუქციის, მათ შორის საწვავის შეტანაც. აშშ-ს უნდოდა ინგლისის გზიდან ჩამოშორება და შემდგომში უარი განაცხადა შარლ დე გოლის მეთაურობით საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის აღიარებაზე.

1942 წლის 3 ივლისს, ინგლისმა ცნო საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტი. პრეზიდენტმა რუზველტმა წინააღმდეგობა გაუწია აგრეთვე საფრანგეთის ჯარების გადასხმას მაღრიბის ქვეყნებში და ცდილობდა ხელი შეეშალა დე გოლის კონტაქტებისათვის. ამავე წლის ნოემბერში, ინგლის-ამერიკის გაერთიანებული ძალები გადასხდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში, მათ შორის კასაბლანკაშიც და გაწმინდეს მაროკო გერმანია-იტალიის არმიისაგან [39,16].

1943 წელს, კასაბლანკაში გაიმართა ცნობილი „კასაბლანკის კონფერენცია“, რომელზედაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ვინსტონ ჩერჩილმა და ალჟირში საფრანგეთის

განმათავისუფლებელი კომიტეტის ხელმძღვანელმა შარლ დე გოლმა განიხილეს მოკავშირეების სამხედრო გეგმა. გადაწყდა მოკავშირეთა ჯარების გადასხმა სიცილიაზე. ასევე, კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საფრანგეთის ჩრდილოეთში მეორე ფრონტის არგახსნის თაობაზე [22,316].

ამავე წლის 22 იანვარს, სულთანი ბენ იუსუფი კასაბლანკასთან ახლოს ანფაში შეხვდა რუზველტს, რაც იყო 1912 წლის ფესის შეთანხმების დარღვევა. ამ ორი ქვეყნის მეთაურის შეხვედრამ მაროკოელებს გაუჩინათ იმედი იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიბრუნებდნენ ნანატრ დამოუკიდებლობას [35,16]. პრეზიდენტმა ტექნიკური კადრების არარსებობის გამო, შეთავაზა ბენ იუსუფს მაროკოელების შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში გაგზავნა. ამასთანავე, რუზველტმა აღნიშნა, რომ მაროკოს რესურსების ათვისების მიზნით შესაძლებელი იქნებოდა შტატების სათანადო ფირმებთან მოლაპარაკება. ყველაფერმა ამან საფუძველი დაუდო ამერიკის შეერთებული შტატების შეღწევას „შარიფთა სახელმწიფოში“.

1943 წელს, პოზიციების გასამყარებლად, შარლ დე გოლმა განაცხადა, რომ საფრანგეთი მზად იყო გაეკეთებინა ბევრი რამ იმ ქვეყნისათვის, რომელიც მას დაუჭერდა მხარს. 1944 წლის 3 ივნისს კი, შეიქმნა საფრანგეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი კომიტეტი. სულთან ბენ იუსუფს სურდა გამოეყენებინა ამერიკა-საფრანგეთის მეტოქეობა ქვეყნის ინტერესებისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომმა დაარღვია მაროკოს მეტროპოლიასთან კავშირები, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი ნაწარმის გაზრდას და ახალი სამრეწველო დარგების შექმნას. ამასთანავე, შედარებით გაუმჯობესდა ქალაქების მოსახლეობის მდგომარეობა, თუმცა არ შეიცვალა არაფერი რაიონებსა და სოფლებში. გარდა ამისა, 1941-43 წლებში მაროკოში მძინვარებდა გვალვა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის მარცხმა შეარყია მისი ავტორიტეტი, რითაც ისარგებლა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მან გაიმყარა თავისი ეკონომიკური კავშირები მაროკოში და დაიწყო გამოსვლა ანტიკოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ. რუზველტმა ჩერჩილთან ერთად ხელი მოაწერა ატლანტიკურ ქარტიას, რომელშიც ხაზგასმით ეწერა, რომ ნებისმიერ ქვეყანას თვითონ უნდა განესაზღვრა თავისი ბედი [39,16].

„ეროვნული პარტია“ მოთხოვნების განსახორციელებლად გაერთიანდა პარტია „ისთიკლალთან“, აჰმად ბალაფრეჯის მეთაურობით, რომელიც იქცა

ქვეყნის უმსხვილეს პარტიად. 1944 წლის 11 იანვარს, მათ მაროკოს სულთანს, საფრანგეთის ადმინისტრაციას და მოკავშირეებს (ინგლისი, აშშ...) გადაცეს დამოუკიდებლობის მანიფესტი, რომელიც ეყრდნობოდა ატლანტიკურ ქარტიას. ავტორები, დამოუკიდებლობის გარდა, ითხოვდნენ რეფორმების გატარებასაც. ამ ყველაფერს მოჰყვა რეპრესიები. სულთანს მუდმივად უგზავნიდნენ დამოუკიდებლობის მხარდამჭერ პეტიციებს. ბენ იუსუფმა მიიწვია მინისტრები მანიფესტის განხილვისთვის. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა „ისთიკლალთან" მოლაპარაკებების წარმოება. საფრანგეთის ხელისუფლება კი იმდენად აღშფოთდა, რომ გენერალურმა რეზიდენტმა ერიკ იაბონმა განაცხადა, რომ სიტყვა დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო ამოგდებული გულიდან და ამოღებული ლექსიკონიდან. გარდა ამისა, ფრანგებმა დააპატიმრეს მანიფესტის ავტორები. ამან უფრო მეტად გაამძაფრა მოსახლეობის პროტესტი [39,17; 111,90].

ამავე წელს, მარაქეშში შედგა ჩერჩილის, ამერიკის ელჩის პარიზში და ვენსან ჟუენის შეხვედრა, რომელზედაც შემუშავებულ იქნა მაროკოში ამერიკელების ბაზების გამყარების და სულთნის წინააღმდეგ ცივი ომის გატარების გეგმა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთმა გააძლიერა ტერორი. იმპერიალისტები განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ ფესისა და რაბატის მოსახლეობას. ვიშის ხელისუფლება ცდილობდა გაევრცელებინა ანტიებრაული კანონები, რომლებსაც ბენ იუსუფმა ხელი არ მოაწერა. მან განაცხადა, რომ მაროკოში ცხოვრობდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ებრაელთა დიასპორა და მხოლოდ რეზიდენტის სურვილის გამო ისინი არ დატოვებდნენ ქვეყანას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, დიდი გავლენა მოახდინა 1945 წლის 22 მარტს, არაბული ქვეყნების ლიგის შექმნამაც. ამავე წლის ივნისის შუა რიცხვებში სულთანი ბენ იუსუფი ჩავიდა პარიზში დროებით მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, რომელიც ფესის 1912 წლის შეთანხმების სანაცვლოდ დაპირდა ახალი შეთანხმების დადებას.

მოგვიანებით, 1947-48 წლებში, კაიროში შეიქმნა ჩრდილოეთ აფრიკის განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც ახალი სიცოცხლე შემატა მაროკოს პარტიებს. ამ კომიტეტში შევიდნენ ალჟირისა და თუნისის პოლიტიკური პარტიებიც [52,128].

1947 წელს, გენერალურ რეზიდენტთან შეთანხმებით მაროკოს სულთანი ჩავიდა ტანჟერში, სადაც 9 აპრილს სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა თავისი ხალხის თავისუფლების უფლება და გაუგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტს ორი მემორანდუმი, რომელშიც მოითხოვდა „შარიფთა სახელმწიფოს“ სუვერენიტეტის აღიარებას, რაზედაც საფრანგეთმა უარი განაცხადა. სულთანმა 12 აპრილს პრეს-კონფერენციაზე გამოხატა პირადი სიმპათია არაბული ქვეყნების ლიგის მიმართ და განაცხადა, რომ მაროკოელი ხალხი მოიპოვებდა თავის უფლებებს, რაც გახდა ახალი მასობრივი გამოსვლების დაწყების ერთგვარი სიგნალი.

1947 წელს, განვითარებული მოვლენების და ლოიალობის გამო, საფრანგეთმა შეცვალა თავისი გენერალური რეზიდენტი ერიკ იაბონი, სასტიკი ალფონს ჟუენით. იგი იყო ალჟირში მცხოვრები ფრანგი ჟანდარმის შვილი. ჟუენი დე გოლთან ერთად სწავლობდა სენ-სირკის სამხედრო სასწავლებელში, თუმცა კოლონიალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით მათ ჰქონდათ განსხვავებული შეხედულებები. მაროკოს რეზიდენტი თვლიდა, რომ ისლამურ სახელმწიფოებში წარმატება მიიღწეოდა მხოლოდ ძალის გამოყენებით და მტკიცე ხელით.

1947 წლის ივნისში, ფრანგებმა მიიღეს ახალი კანონი, რომლის საფუძველზე რეორგანიზებულ იქნა სულთნის ხელისუფლება. მახზანის ძალაუფლება იფარგლებოდა მხოლოდ სხვადასხვა დაწესებულებაში მაროკოელებზე დაკვირვებით, რომლებიც ემორჩილებოდნენ საფრანგეთის რეზიდენტს [39,17].

საჭიროა აღინიშნოს, რომ პროტექტორატის დამყარების შემდეგ მაროკოს სულთანმა შეინარჩუნა ვეტოს დადების უფლება, რაც იყო უდიდესი პრეროგატივა. ნებისმიერი რეფორმა შედიოდა ძალაში, მას შემდეგ რაც „დაჰირის“ სახით მას სუვერენი მოაწერდა ხელს.

დროთა განმავლობაში, საფრანგეთის ახალმა რეზიდენტმა იერიში მიიტანა მაროკოს სულთანზე. ვინაიდან მარაქეშელი ფაშა ალ-გლავი (ალ-გლაუი) იყო კარგ ურთიერთობებში პროტექტორატის ხელმძღვანელობასთან, მან გამოიყენა იგი სულთნის წინააღმდეგ. ამასთანავე, ალ-გლავი იყო მსხვილი ფეოდალი და მას ექვემდებარებოდა ათასობით ბერბერი. ალფონს ჟუენმა, ისევე როგორც მისმა წინამორბედებმა, სცადა ეთნიკური შუღლის გაღვივება. იგი ესტუმრა მარაქეშელ ფაშას და გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც ბენ იუსუფს აცხადებდა „არაკანონიერად“ და „რელიგიის მტრად“. ალ-გლავიმ მოუწოდა ბერბერული ტომების ბელადებს სულთნის სისხლის აღებისაკენ. ამის გარდა, ახალმა რეზიდენტმა დაიწყო „წესრიგის დამყარება“ ადმინისტრაციულ

აპარატში. მან სცადა ადგილობრივი არჩევითი ანსაბლეების ჩამოყალიბება და მუნიციპალიტეტების რეფორმირება, რაც საშუალებას მიცემდა მაროკოში მცხოვრებ 300 ათასს ფრანგს მონაწილეობა მიეღო ადგილობრივ არჩევნებში. 1947 წლის 20 ივნისს ბენ იუსუფმა კატეგორიული უარი განაცხადა შეთავაზებული რეფორმების ხელის მოწერაზე და საკანონმდებლო ძალაუფლების დიდი ვაზირისათვის გადაცემაზე.

1947 წელს, სულთანმა წერილით მიმართა პრეზიდენტ ვენსან ორიოლს, რომელშიც თხოვდა საფრანგეთ-მაროკოს ურთიერთობების გადახედვას, ხოლო ერთი წლის შემდეგ ბენ იუსუფმა განაცხადა, რომ დადგა მაროკოს დამოუკიდებლობის დრო, რასაც მოჰყვა მასობრივი გაფიცვები და რეპრესიები [39,19].

1948 წელს, „პარტია ისთიკლალმა“ გამარჯვება მოიპოვა საკონსულტაციო პალატაში. ორი წლის შემდეგ კი ჩატარდა ერთობლივი სამთავრობო სხდომა, რომლიდანაც ჟუენმა გააძევა ნაციონალური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, აჰამად ლიაზიდი. მას მიყვნენ პარტიის სხვა წევრებიც. 1950 წელს, სამთავრობო საბჭოს სხდომაზე უარყვეს ფრანგების მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი, რამაც გამოიწვია არა მარტო საფრანგეთის ადმინისტრაციის, არამედ ნატოს შეშფოთებაც. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მაროკოში ფლობდა საზღვაო და საჰაერო ბაზებს.

1950 წელს, სულთანმა ბენ იუსუფმა გაუგზავნა მემორანდუმი საფრანგეთის მთავრობას. დაძაბული მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, საფრანგეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მაროკოს სულთნის საფრანგეთში მიპატიჟება და საზეიმოდ დახვედრა. გადაწყდა, რომ ბენ იუსუფი დარჩებოდა ქვეყანაში სამი კვირით და პირველი დღეები იქნებოდა ოფიციალური. მას გამოუყვეს აპარტამენტები ელისეის სასახლეში. თავდაპირველად, 9 ოქტომბერს მაროკოს სულთანი ჩავიდა ბორდოში, თავის გარემოცვასთან და ვაჟთან ჰასან II-თან ერთად. ევროპაში ვიზიტის დროს, იმყოფებოდა მარაქეშის ფაშაც ალ-გლავი. ბორდოში მაღრიბელი სტუდენტები შეხვდნენ სულთანს ანტიკოლონიალური ლოზუნგებით. 11 ოქტომბერს ბენ იუსუფი ეწვია პარიზს, სადაც სადგურზე დახვდა მას პრეზიდენტი მთელი მთავრობის შემადგენლობით. სტუმრის საპატივცემულოდ გაისროლეს 101 ზალპი. ფრანგებმა მაროკოს სულთანს მოუწყეს არნახული დახვედრა და მიღებები, თუმცა ვერ მოხერხდა მთავარ საკითხზე შეთანხმება. 31 ოქტომბერს იუსუფმა ელისეის სასახლეში მიიღო

მემორანდუმზე პასუხი, რომელიც გულისხმობდა მხოლოდ ცალკეული რეფორმების გატარებას, ცენზურის შესუსტებას პრესაზე და ნაკლებად ჩარევას ფაშებისა და ყადიების დანიშვნისას. ფრანგები ასევე აღიარებდნენ მაროკოში დამყარებულ სასტიკ მმართველობას და თავაზობდნენ სულთანს რიგ საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი კომისიის შექმნას. რაც მთავარია საფრანგეთი არ მიიჩნევდა, რომ დამდგარი იყო ის დრო, როდესაც „შარიფთა სახელმწიფო“ უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი [39,19].

1951 წლის 5 იანვარს, ფრანგმა რეზიდენტმა მოსთხოვა ბენ იუსუფს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა „პარტია ისთიკლალთან“ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის შეწყვეტა. განრისხებულმა სულთანმა „მოხსნა“ რეზიდენტი დაკავებული თანამდებობიდან და აუკრძალა მას სასახლეში გამოჩენა. საპასუხოდ მან 9 იანვარს რაბატში გამოიყვანა ტანკები და მოსთხოვა ქვეყნის მმართველს „ისთიკლალის“ საჯაროდ დაგმობა.

ვაშინგტონიდან დაბრუნებულმა ჟუენმა, პრეზიდენტ ტრუმენთან შეხვედრის შემდეგ ორმაგი ძალით განაახლა ბრძოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. საფრანგეთსა და მაროკოში მობილიზებულ იქნა რადიო, პრესა, კინო, რომლებიც მუდმივად აკრიტიკებდნენ ბენ იუსუფს. იმპერიალისტების მთავარი ამოცანა იყო დაერწმუნებინათ მაროკოელი ხალხი იმაში, რომ სულთანი იყო რეფორმებისა და პროგრესის წინააღმდეგი. ამ ვითარებაში საომრად მზად იყო პოლიცია და ჯარი [52,129]. ისინი აკონტროლებდნენ სუვერენის სასახლეს და იმ რაიონებს, სადაც ცხოვრობდნენ მაროკოელები. მათ აეკრძალათ ქვეყნის დატოვება. ამ დროს, ალ-გლავიმ დაადანაშაულა „ისთიკლალი“ კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობაში, რომელიც უარყოფდა ისლამს და მაროკოულ ტრადიციებს. იგი, შეიძლება ითქვას, გამოვიდა ისლამის დამცველის როლში.

12 თებერვალს, საფრანგეთის რეზიდენტი შეხვდა მაროკოს სულთანს და მან კვლავ წაუყენა თავისი მოთხოვნები. მეორე დღეს ჟუენმა გაუგზავნა სუვერენს იმპერიალისტური დეკლარაციის გეგმა, რომელიც გმობდა „პარტია ისთიკლალს“. ბენ იუსუფის მიერ მიწვეულმა ვაზირებისა და ალიმების საბჭომ ერთხმად უარყო აღნიშნული გეგმა, რაც შეატყობინეს გენერალურ რეზიდენტს.

დაშინების მიზნით, საფრანგეთის რეზიდენტი იმუქრებოდა ბერბერების მხრიდან მოქალაქეების ძარცვითა და დახოცვით. რა თქმა უნდა მას ჰქონდა ფრანგების იმ ნაწილების იმედი, რომლებიც განლაგებული იყვნენ დიდ

ქალაქებში. საფრანგეთის ადმინისტრაციამ მოახდინა ბერბერების შეკრება. მათმა უმეტესობამ არც კი იცოდა რისთვის მიიყვანეს. ტანკებმა ალყა შემოარტყეს ბენ იუსუფის სასახლეს და წაუყენეს მას ულტიმატუმი - იგი ან უნდა გადამდგარიყო, ან დამორჩილებულიყო რეზიდენტს.

1951 წლის 24 თებერვალს, მაროკოს სულთანმა დაშალა კაბინეტი, გააძევა რამდენიმე უმაღლესი მოხელე, გადააყენა კარავიინის უნივერსიტეტის რექტორი და თანხმობა განაცხადა სამინისტროების რეორგანიზაციაზე. საფრანგეთის ხელისუფლება ამით ვერ დაკმაყოფილდა და დაჟინებით მოითხოვა დეკრეტზე ხელის მოწერა, რომელიც გმობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 25 თებერვალს, სულთანი იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე და ამიტომ ხელი მოაწერა დეკრეტს. მხოლოდ ამის შემდეგ ბერბერები დააბრუნეს სახლებში [52,130].

ფრანგები ვერ კმაყოფილდებოდნენ მიღწეული გამარჯვებით. მათ ცალკეულ რაიონებში დანიშნეს ახალი ყადიები (ტილივინი, ალ-კსიბი...), რასაც მოჰყვა დემონსტრაციები მათი მოხსნის მოთხოვნით. ჟუენმა დაიწყო რეპრესიების გატარება პარტიების წინააღმდეგ. თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში შეტაკებები პოლიციასა და მოსახლეობას შორის გადაიზარდა სისხლისღვრაში. ყოველდღიურად იჭერდნენ ათასობით ადამიანს, აიკრძალა ყოველგვარი კრების ჩატარება, ფაქტობრივად შეწყდა გაზეთების გამოშვება. რაბატი მთლიანად იქნა ოკუპირებული, ფესსა და მექნესში კი გამოცხადდა საომარი მდგომარეობა.

გენერალურმა რეზიდენტმა ჩამოაყალიბა ახალი კაბინეტი, რითაც გაზარდა თავისი უფლებამოსილება. მან წაართვა მაროკოს სულთანს ბეჭედი, გამოცა რამდენიმე „დაჰირი“ და დასახა ახალი მთავრობის გეგმა. ბენ იუსუფმა უარი თქვა კვლავ დანიშნული მინისტრების მიღებაზე და განაცხადა, რომ 27 თებერვალს გამოცემული დეკრეტი იყო ყალბი.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ქვეყანაში იმატა ფელაჰების გამოსვლებმაც. მათი ჩაქრობის მიზნით პროტექტორატის ხელმძღვანელობამ ხუთი ფრანგის მკვლელის პოვნის საბაბით, გადააქციეს ხენიფრას და თადლას შორის მდებარე რაიონი სამხედრო ზონად. იქ გაიგზავნა 10 ათასი ჯარისკაცი და საპოლიციო რაზმები. ისინი ჩხრეკდნენ სახლებს, სპობდნენ დასახლებებს, მოსავალს, მინდვრებს, აუპატიურებდნენ ქალებს, ძარცვავდნენ და აპატიმრებდნენ მოსახლეობას. ივნისის თვეში ანალოგიური საპოლიციო ოპერაციები გატარდა შუა ატლასშიც.

სიტუაციის გასამუხტად, 1951 წელს გამოცხადდა სასოფლო-სამეურნეო თვითმმართველობის არჩევითი ორგანოების შექმნა (ჯამა'ა). ჯამა'ა მართვდა კოლექტიურ მიწებს და ადგენდა ოლქის ბიუჯეტს.

1951 წლის 28 აგვისტოს, გენერალი ჟუენი დანიშნეს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მთავარ ინსპექტორად და იგი შეცვალა გენერალმა გიიომ, რომელიც ასევე წარმატებით აგრძელებდა თავისი წინამორბედის კურსს. 1952 წელს აიკრძალა „პარტია ისთიკლალი". საფრანგეთი თანდათანობით აქცევდა ქვეყანას სამხედრო ბანაკად, ხალხი კი აგრძელებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელები ცდილობდნენ გამოეყენებინათ მაროკოში შექმნილი ვითრება თავიანთ სასარგებლოდ. 1952 წლის ზაფხულისათვის ქვეყანაში იყო 300 ათასზე მეტი ამერიკელი სამოქალაქო და სამხედრო პირი. ისინი აეროდრომების ასაშენებლად ითვისებდნენ ფელაჰების მიწებს. მაგალითად ერთ-ერთი ბაზის ასაშენებლად მათ გამოასახლეს 6 ათასი არაბი. გარდა ამისა, ამერიკელები ყიდულობდნენ ფრანგებისგან აქციებს, ასაღებდნენ თავიანთ ჩაწოლილ საქონელს. ამერიკელებსა და ფრანგებს შორის მალევე დაიძაბა ურთიერთობა. ორივე სახელმწიფოს სურდა მაროკოს ბაზრის ხელში მთლიანად ჩაგდება. მაროკოელი ხალხი იმდენად დაიღალა კოლონიზატორების ფოფინით, რომ ხელი მოკიდეს იარაღს. ისინი თავს ესხმოდნენ ამერიკელებსა და ფრანგებს, მათ საწყობებს და მატარებლებს [39,12].

1952 წლის 11 იანვარს, მაროკოს სახელმწიფოს ეროვნულმა ფრონტმა გაუგზავნა სულთანს წერილი, რომელშიც თხოვდნენ პროტექტორატის გაუქმებას. სევერენს არ შეეძლო არაფრის გაკეთება. ამავე თვეში, სამი რაბატელი იმიმი დააჯარიმეს 1000 ფრანკით, ვინაიდან ისინი მეხუთე ლოცვაში ახსენებდნენ „ახალი ლიბიის დაბადებას" და შეთხოვდნენ ალაჰს ამ ქვეყნისათვის მოწყალების და დახმარების გაწევას. ეს ყველაფერი მოწმობდა იმაზე, რომ საფრანგეთის ადმინისტრაციას „სამღვდელოებაში" შეგზავნილი ჰყავდა ჯაშუშები და სასულიერო პირები მხარს უჭერდნენ განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეებს. პარალელურად ამისა, ისევ მიმდინარეობდა მასობრივი დაპატიმრებები.

14 მარტს, ბენ იუსუფმა კვლავ მიმართა საფრანგეთს მოლაპარაკებების ჩატარების, მაროკოს დამოუკიდებლობის და პროფკავშირების თაობაზე [47,136]. სუვერენმა პასუხი მიიღო მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ, 17 სექტემბერს.

წერილში არაფერი ეწერა მოლაპარაკებების დაწყებაზე, შეთავაზებული იყო მხოლოდ უმნიშვნელო რეფორმები:

1. ყველა სოფელში არჩევნების საფუძველზე ჯამაʼას დაფუძნება.
2. ქალაქებში ნახევრად შერეული მუნიციპალური კომისიების შექმნა და რაიონულ ცენტრებში ორი ქვეყნის კომისიის ჩამოყალიბება (ეს ყველაფერი კი მაროკოში მცხოვრებ ფრანგებს საშუალებას მიცემდა არჩეულიყვნენ აღნიშნულ კომისიებში და მაროკოელების მსგავსად ჰქონოდათ სათათბირო ხმა).
3. იუსტიციის ორგანოების რეორგანიზაცია, რაც არაფრის მომცემი იყო და აძლიერებდა მხოლოდ საფრანგეთის კონტროლს მახზანზე.

30 მარტს მაროკოს სხადასხვა ქალაქში, მათ შორის კასაბლანკაში, საფიში, მრირტში და ტანჟერში მოეწყო დემონსტრაციები. ტანჟერის მოსახლეობამ გაგზავნა პეტიცია მანდუბის სახელზე, რომელშიც გამოხატავდნენ პროტესტს ადგილობრივი პოლიციის მიერ მოწყობილ რეპრესიებსა და სისხლისღვრაზე [47,137]. ხალხის შეუპოვარი ბრძოლის წყალობით, სექტემბრის დასაწყისში გაანთავისუფლეს პატრიოტების დიდი ნაწილი, რაც იყო პირველი გამარჯვება პროტექტორატის ხელმძღვანელობაზე. ფრანგებმა ისევ ცადეს ესპანელების რევანშისათვის გამოყენება. თუმცა, ეს არ შედიოდა მათ ინტერესში და საფრანგეთი ვერაფერს გახდა.

1952 წლის 18 ნოემბერს, მაროკოს ტახტის დღესასწაულზე ბენ იუსუფმა გამოაცხადა, რომ მალე დადგებოდა ის დღეც, როდესაც ქვეყანა განთავისუფლდებოდა აგრესორებისაგან [47,139].

დეკემბრის თვეში, პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კასაბლანკაში ფრანგულ გაზეთს შეუგდო ბომბი, რასაც მოჰყვა რეპრესიების ახალი ტალღა. ხალხი კვლავ გამოვიდა ფრანგების წინააღმდეგ. კოლონიზატორებმა დახოცეს 2 ათასი მაროკოელი. ეს იყო ყველაზე დიდი ხოცვა-ჟლეტვა რიფის აჯანყების შემდეგ [47,140]. აჯანყებები მოხდა რაბატში, უჯდაში და სხვა დიდ ქალაქებშიც. ის გავრცელდა ესპანეთის ზონაზეც და ტანჟერშიც. ამის საპასუხოდ დააპატიმრეს 43 ათასი პატრიოტი. ანტიიმპერიალისტურმა გამოსვლებმა გამოხმაურება ჰპოვა სოფლებშიც [47,142].

საჭიროა აღინიშნოს, რომ მაროკოს სულთნის, ბენ იუსუფის დაუმორჩილებლობა ურთულებდა საქმეს კოლონიალურ მთავრობას. სულთანი

ხდებოდა საშიში ფიგურა და ამიტომ გენერალურმა რეზიდენტმა გადაწყვიტა მისი მოკვლა.

1953 წლის 4 აპრილს, ფესში ჩატარდა „მაღრიბის მუსლიმთა ყრილობა“, გენერალ ლაპარის მფარველობით. კარავიინის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა, ალ-კიტანმა, რომელიც იყო სულთნის მოწინააღმდეგე ბრალი დასდო მას „ისლამის პრინციპების“ ღალატში. პროტექტორატის ადმინისტრაციამ ყრილობაზე მიიწვია 1300 მუსლიმი-მაროკოდან, ალჟირიდან, თუნისიდან, ლიბიიდან და მავრითანიიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ 2000 ზავიას. ყრილობა გაგრძელდა სამი დღე, რომელზედაც მიიღეს ანტიმაროკოული რეზოლუცია.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მზადდებოდა შეთქმულება სულთნის წინააღმდეგ, რომელშიც ჩაერთო ჟუენიც. 1953 წლის 21 მაისს, გამოვიდა ფაშებისა და ყადიების პეტიცია, რომელიც რელიგიური პოზიციებიდან გამომდინარე ითხოვდა სუვერენის გადაყენებას [47,143]. საფრანგეთის ადმინისტრაციამ გაგზავნა პეტიცია პარიზში და აღნიშნა, რომ იგი გამოხატავდა მთელი მაროკოელი ხალხის აზრს. ამის საპასუხოდ, 31 მაისს, ნაციონალური პარტიების მეთაურებმა მიმართეს არაბული სახელმწიფოების ლიგის სამდივნოს პოლიტიკური კომიტეტის მოწვევის თხოვნით, რომელიც განიხილავდა შექმნილ ვითარებას. ყველაფერმა ამან კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა. კასაბლანკაში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა.

10 აგვისტოს, ქალაქ მულაი-იდრისში ბენ იუსუფის მოწინააღმდეგემ ალ-გლავიმ და მისმა თანამოაზრეებმა დადეს ფიცი, რომ ბოლოს მოუღებდნენ მის მმართველობას. მართლაც მზადდებოდა გადატრიალება, რომლის ცენტრი იყო მარაქეში. „წითელ ქალაქში“ იდგნენ შეიარაღებული ბებრბერები. 12 აგვისტოს, ბენ იუსუფმა დახმარებისათვის მიმართა საფრანგეთის პრეზიდენტს, ვენსან ორიოლს. რა თქმა უნდა, მან დახმარება ვერ მიიღო.

13 აგვისტოს, გენერალმა გიიომ რაბატში ალყა შემოარტყა სულთნის სასახლეს. გენერალმა მოსთხოვა ბენ იუსუფს, რომ ხელი მოეწერა „რეფორმების პროექტზე“, უარი ეთქვა თავის საკანონმდებლო უფლებებზე და განეცხადებინა გაეროს არაკომპეტენტურობა მაროკოს საკითხთან დაკავშირებით. სულთნის საბოლოო გატეხისათვის გიიომ გადაჭრა სასახლის სატელეფონო კავშირი, რითაც გადააქცია იგი ტყვედ. გარდა ამისა, საფრანგეთმა გაზარდა კონტროლი დიდი ვაზირის საბჭოზე. სულთანი ბენ იუსუფი იძულებული გახდა

დათანხმებოდა წამოყენებულ ყველა მოთხოვნას. პარალელურად, მარაქეშში მიწვეულ იქნა სულთნის საბჭო, ხოლო 14 აგვისტოს რაბატში შეიკრიბნენ მოწინააღმდეგე ფაშები და ყადიები. მათ გადაწყვიტეს იუსუფის დამხობა [47,146].

19 აგვისტოს რაბატში შეიჭრნენ შეიარაღებული ბერბერები, მეორე დღეს კი კვლავ ალყა შემოარტყეს ბენ იუსუფის სასახლეს და ოჯახთან ერთად გადაასახლეს მადაგასკარზე. სულთნად გამოაცხადეს მისივე ნათესავი „ქვეყნის მოღალატე“, „მარიონეტი“ - ბენ ‘არაფა, რომელმაც დაიკავა ტახტი. ამ ყველაფერმა გამოიწვია გაფიცვების, დემონსტრაციების და დაპატიმრებების ახალი ტალღა. მაგალითად უჯდაში დააპატიმრეს 4 ათასზე მეტი დემონსტრანტი [47,147; 22,318].

საფრანგეთის მოქმედებების წინააღმდეგ აღდგა მთელი ქვეყანა. ყოფილი სულთანი ბენ იუსუფი გახდა დამოუკიდებლობის სიმბოლო და იქცა ნაციონალურ გმირად. აღსანიშნავია, რომ ფრანგებმა აკრძალეს ლოცვაში ბენ იუსუფის ხსენება, რის გამოც მორწმუნეები აღარ დადიოდნენ მეჩეთებში, რადგან „წაბილწული“ იქნა ფრანგების მიერ. ისინი მას უწოდებდნენ არა „ბაითუ-ლ-ალაჰს“, არამედ „ბაითუ-ლ-მუნაფიკინს [118,90]. ის მუსლიმები კი, რომლებიც აქამდე პასიურობდნენ დაიწყეს აქტიური ბრძოლა. გოგონებმა დადეს ფიცი, რომ ბენ იუსუფის დაბრუნებამდე არ დაოჯახდებოდნენ, ქალები არ აანთებდნენ სინათლეს, მამაკაცები არ მოწევდნენ. რაც მთავარია, მაროკოელებმა გამოუცხადეს პროტესტი ყველანაირ ფრანგულ ნაწარმს, რამაც საფრანგეთის სახელმწიფოს ფირმებს მოუტანა დიდი ზარალი და თუ ადრე „პარტია ისთიკლალის“ უფრო ზომიერი ფრთა აცხდებდა, რომ ყურანი იყო ყოველგვარი ძალადობის და ძალის წინააღმდეგი, ამ პერიოდში მოუწოდებდა ყველას შეიარაღებული ბრძოლისაკენ [47,149].

ბენ ‘არაფას ორჯერ თავს დაესხნენ. ამის საპასუხოდ, 1953 წლის 26 დეკემბერს გამოიცა დეკრეტი, რომლის საფუძველზე ვინც დადანაშაულებული იქნებოდა სულთანზე თავდასხმაში დაისჯებოდა სიკვდილით [44,79]. ქალაქების ქუჩები სავსე იყო შეიარაღებული პოლიციელებით, ციხეები კი ისე გადაივსო, რომ პატიმრების ნაწილი გადაიყვანეს სიმაგრეებში და სასტიკად აწამებდნენ. დილაობით მათი გვამები გაჰქონდათ ქუჩებში. იმ რაიონებში, სადაც ცხოვრობდა ძირძველი მოსახლეობა, ინიშნებოდა „წესრიგისათვის პასუხისმგებელი პირი“, რომელიც ითვლებოდა ტყვედ. რაიონებში პოლიციის ნებართვის გარეშე აკრძალული იყო სტუმრების მიღება და ქორწილების გამართვა. ხალხს ძალით

მიერეკებოდნენ მეჩეთებში. ყველაფრის მიუხედავად, საფრანგეთი თავს მაროკოში არამყარად გრძნობდა. აღსანიშნავია, რომ ესპანეთმა უარი განაცხადა ახალი სულთნის ცნობაზე.

1954 წლის 21 მარტს, საფრანგეთის გენერალურ რეზიდენტად დაინიშნა დიპლომატი ლაკორტი [49,80]. რეზიდენტის გამოცვლამ თითქმის არაფერი შეცვალა. მაროკოელებს დაპირდნენ ფართო პოლიტიკური რეფორმების გატარებას, რაც საბოლოდ უნდა დამთავრებულიყო თვითმმართველობით. ქვეყანაში გრძელდებოდა ფრანგების შეღწევა და ისევ მძვინვარებდა პოლიციური ტერორი. მოსახლეობა არ წყვეტდა ბრძოლას და მუდმივად ითხოვდა ბენ იუსუფის დაბრუნებას და დამოუკიდებლობის აღიარებას.

მაროკოელების თავდადებამ პიკს მიაღწია 1954 წლის აგვისტოში. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთმა დაინახა, რომ მათი მიზანი ურყევი იყო, კოლონიალური რეჟიმი მაინც აგრძელებდა ძველი მეთოდებით ბრძოლას და სისტემატურად ცვლიდა რეზიდენტებს. აგვისტოში დემონსტრაციები მიმდინარეობდა ფესში, კასაბლანკასა და პტიჟანში, რამაც იმსხვერპლა ათასობით ადამიანის სიცოცხლე [49,81]. ფესში პოლიციამ და ჯარმა ხელში აიღო არაბული კვარტლების ყველა გასავლელ-გამოსასვლელი, პტიჟანში კენიტრიდან და სიდი-სლიმანიდან გაიგზავნა პოლიცია, კენიტრაში პოლიციას ეხმარებოდა ჯარი. მოკლული იქნა 11 და დაიჭრა 30 ადამიანი.

20 აგვისტოს, გადატრიალების წლისთავზე დაიწყო საერთო გაფიცვა [48,82]. ამავე დღეს, „დამოუკიდებლობის პარტიის“ მეთაურები ბალაფრეჯი და ალ-ფასი გამოვიდნენ სიტყვით ჟენევასა და მადრიდში. მათ ხაზი გაუსვეს, რომ მაროკოში მშვიდობის დამყარების მთავარი პირობა იყო მუჰამად ბენ იუსუფის დაბრუნება.

ამ პერიოდში იმპერიალისტებმა ნაციონალური შუღლის გაღვივების და განმათავისუფლებელი ბრძოლის დასუსტების მიზნით დაიწყეს ებრაელების დარბევა. ფრანგებმა გაჭირვებით მოახერხეს გაფიცვების ჩახშობა. აგვისტოს თვეში დააპატიმრეს 30 ათასზე მეტი ადამიანი.

ანტიიმპერიალისტურმა გამოსვლებმა კვლავ იფეთქა ტახტის დღის დღესასწაულზე, 18 ნოემბერს. სამი დღე გაგრძელდა საყოველთაო გაფიცვა [49,83].

1955 წელს, პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციამ ვენაში მიიღო რეზოლუცია მაროკოში არსებული კოლონიალური რეჟიმის გაუქმებაზე,

პროფკავშირის და მშრომელების უფლების გაზრდაზე და მათი მეთაურების ციხიდან განთავისუფლების თაობაზე.

გარდა ამისა, მაროკოს საკითხი შეტანილ იქნა გაეროს მეათე სესიაზე, მაგრამ გადაიდო ტახტზე კანონიერი სულთნის დაბრუნებამდე, ვინაიდან ეს ნიშნავდა საფრანგეთის მხრიდან პოზიციების დათმობას [49,78].

1955 წლის ზაფხულში ანტიიმპერიალისტებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება. შუა ატლასის ბერბერული ტომების ოთხმა ბელადმა უარი განაცხადა ალ-გლავის ბერბერების უმაღლეს მეთაურად აღიარებაზე. 11 აგვისტოს მათ გაუგზავნეს დეპეშა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს, რომელსაც თხოვდნენ ბენ იუსუფის დაბრუნებას. რიფის და შუა ატლასის ბერბერული ტომები გადავიდნენ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლების მხარეზე და აქტიურად ჩაერთნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში [49,85].

14 აგვისტოს, გენერალური რეზიდენტის გრანვალის ინიციატივით, ბენ ‘არაფას გადაეცა მინისტრთა საბჭოს წერილი, რომელიც თავაზობდა ახალი მთავრობის შექმნას, თუმცა მისი პოლიტიკით უკმაყოფილო პირებმა რეზიდენტი აიძულეს გადამდგარიყო. 31 აგვისტოს, მაროკოში საფრანგეთის ახალ რეზიდენტად დაინიშნა ბუაიე დე ლატური. იგი მაროკომდე იყო თუნისის რეზიდენტი. ამ დროს ფრანგებმა გადაწყვიტეს მოლაპარაკებების დაწყება, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებს ეჭვი ეპარებოდათ ახალი დაპირებების რეალობაში, „დამოუკიდებლობის პარტიამ“ კი უკანონოდ ცნო ახალი სულთნის მიერ გამოცემული კანონები.

მთელი აგვისტო არ წყდებოდა დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ხენიფრასა და ვადი ზემის ბერბერულმა ტომებმაც. აჯანყებულთა ჩახშობაში მონაწილეობდა 7 ათასზე მეტი ჯარისკაცი, ტანკებითა და ავიაციით [49,86].

საფრანგეთის დელეგაციას სათავეში ედგა ფორი, მაროკოსი-ვაზირი ალ-გლავი. მოლაპარაკებაში ჩართული იყვნენ „დამოუკიდებლობის დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენლებიც. 23 აგვისტოს დაწყებული მოლაპარაკება დასრულდა 25 აგვისტოს ბენ ‘არაფას დამხობის, ბენ იუსუფის დაბრუნების გადაწყვეტილებითა და სამკაციანი ტახტის საბჭოს მიღების შეთანხმებით [49,87]. ულტრაკოლონიზატორები კი ბოლომდე ცდილობდნენ, რომ მუჰამად ბენ იუსუფს საბოლოოდ უარი ეთქვა ტახტზე. 26 აგვისტოს, ეკს-ლე-ბენში (საფრანგეთი) გაიმართა მოლაპარაკება საფრანგეთსა და მაროკოს შორის.

27 აგვისტოს, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რაც ითვალისწინებდა ტახტის საბჭოს შექმნას და მუჰამად V-ს სამშობლოში დაბრუნებას.

1955 წლის სექტემბერში, „მაროკოს დამოუკიდებლობის“ და „დამოუკიდებლობის დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენლები საფრანგეთის ოფიციალურ პირებთან ერთად ჩავიდნენ მადაგასკარში, ბენ იუსუფთან მოსალაპარაკებლად. ყოფილი სულთანი დათანხმდა მთავრობისა და ტახტის საბჭოს შექმნაზე და აიღო ვალდებულება, რომ არ ჩაერეოდა პოლიტიკურ მღელვარებაში [48,87]. 20 სექტემბერს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბენ ‘არაფას გადაყენებაზე. მას 10 დღე დასჭირდა იმისათვის, რომ დაეტოვებინა რაბატი. შემდეგ ბენ ‘არაფა გადავიდა თუნისში. თუმცა, ფრანგები არ ჩქარობდნენ ტახტის მემკვიდრეობის საბჭოს შექმნას. 1 ოქტომბერს განხორციელდა რიფისა და ატლასის ტომების შეიარაღებული გამოსვლა. ერთიანი ხელმძღვანელობა კოორდინაციას უწევდა მაროკოსა და ალჟირში ჯარების მოქმედებას. 3 ოქტომბერს მიმდინარეობდა შეიარაღებული ბრძოლა შუა ატლასსა და რიფში. შუა ატლასის გარდა, სერიოზული შეტაკებები მოხდა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში და უჯდის რაიონში. ამავე თვეს, მაროკოს საკითხი განიხილეს საფრანგეთის ნაციონალურ კრებაზე. 15 ოქტომბერს საბოლოოდ გადაწყდა ტახტის საბჭოს შექმნა [49,88].

5 ნოემბერს, საფრანგეთის მთავრობა წავიდა კიდევ ერთ დათმობაზე. მან ოფიციალურად აღიარა მუჰამად ბენ იუსუფი სრულუფლებიან სულთნად. მეორე დღეს გამოქვეყნდა საფრანგეთ-მაროკოს ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ეწერა, რომ ბენ იუსუფი აპირებდა მთავრობის შექმნას. ამის შემდეგ სულთანს უნდა დაეწყო მოლაპარაკება საფრანგეთთან, მაროკოსათვის დამოუკიდებლობის სტატუსის მინიჭების შესახებ [49,90].

ბენ იუსუფი თავდაპირველად ჩავიდა პარიზში. პატიების მისაღებად მასთან მივიდა მოღალატე ვაზირი ალ-გლავი. მუჰამად ბენ იუსუფმა გამართა კონსულტაციები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებთან და პოლიტიკოსებთან.

9 ნოემბერს გენერალურ რეზიდენტად დაინიშნა პარიზის პოლიციის პრეფექტი, ანდრე დიბუა, რომელსაც დაევალა საფრანგეთ-მაროკოს, 6 ნოემბრის დეკლარაციის გატარება.

1955 წლის 14 ნოემბერს, ბენ იუსუფი რადიოთი მიესალმა მაროკოელ ხალხს, ხოლო 16 ნოემბერს ჩავიდა რაბატში. მისი დაბრუნება იყო სახალხო ზეიმი. მას

100 ათასზე მეტი ადამიანი დახვდა დედაქალაქის შესასვლელთან. ტრადიციისამებრ, შარიფს მიართვეს რძე და ფინიკი. სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში გამოკიდებული იყო მაროკოს სახელმწიფო დროშები.

ამავე დღეს შეიწყალეს 1713 პატიმარი. გამარჯვების მიუხედავად, ძალაუფლება მაინც ფრანგების ხელში იყო. 19 ნოემბერს კასაბლანკაში აჯანყდნენ პოლიტპატიმრები. ისინი ითხოვდნენ თავისუფლებას. ფრანგებმა მოკლეს 3 პოლიტპატიმარი. საპასუხოდ, 22 ნოემბერს კასაბლანკის მოსახლეობამ გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა. დემონსტრაციები მიმდინარეობდა სხვა ქალაქებშიც, რიფში, შუა ატლსში, ზედა ატლასში გრძელდებოდა აჯანყებები.

1955 წლის 7 დეკემბერს, ფორმირებულ იქნა ახალი მთავრობა. 1956 წლის 29 ოქტომბერს ფედალაში საერთაშორისო კონფერენციაზე ხელი მოეწერა დეკლარაციას-ტანჟერში საერთაშორისო რეჟიმის გაუქმებაზე [49,96].

1956 წლის 15 ნოემბერს დაიწყო საფრანგეთ-მაროკოს მოლაპარაკების ახალი რაუნდი ქვეყნის დამოუკიდებლობის თაობაზე, რაც დასრულდა 2 მარტს. საფრანგეთმა ცნო მაროკოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა [81,476]. ამავე წლის 7 აპრილს ესპანეთმაც აღიარა მისი დამოუკიდებლობა. 12 ნოემბერს კი მაროკო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი.

1957 წელს, ბენ იუსუფ მუჰამად V-მ მიიღო მეფის ტიტული[1] და შეუდგა ქვეყნის ეროვნული აღორძინების კურსს – „ფილალის დინასტია აღდგა“. 44-წლიანი შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, „შარიფთა სახელმწიფომ“ დაიბრუნა დამოუკიდებლობა [121,19; 43,12; 91,31].

კოლონიზაციამ თავისი დაღი დაასვა მაროკოს, მაგრამ დროთა განმავლობაში, ქვეყანამ თანდათანობით შეძლო ძალების მოკრება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება არა მარტო არაბულ სამყაროში, არამედ მთელ საერთაშორისო სარბიელზე. კოლონიალური რეჟიმის მიუხედავად, მან მაინც შინარჩუნა თავისი ისტორიული და კულტურული ტრადიციები. იგი იმ არაბული სახელმწიფოთაგანია, რომელიც წარმატებით ვითარდება და წარმოადგენს მაღრიბის დემოკრატიის, ეკონომიკისა და კულტურის ცენტრს. მაროკოს სამეფოს კულტურული ძეგლების დიდი ნაწილი კი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

---

[1] მაროკო კონსტიტუციური მონარქიაა. მოქმედებს 1972 წლის კონსტიტუცია, 1996 წლის 13 სექტემბერს შეტანილი ცვლილებებით. 2011 წლის 1 ივლისს ჩატარდა რეფერენდუმი ახალი კონსტიტუციის მიღების შესახებ. ქვეყნის დევიზია: **„ალაჰი, სამშობლო, მეფე“**.

„შარიფთა სახელმწიფოს“ პრესტიჟი უფრო მეტად გაიზარდა 1999 წლიდან, რაც რეფორმატორად წოდებული მეფის მუჰამად VI-ს[1] უდავო დამსახურებაა. მონარქის მართვის სტილი დასავლეთში დიდ მოწონებას იმსახურებს. იგი განსაკუთრებით დიდი სიყვარულით სარგებლობს ახალგაზრდებში და მაღალი ფენის საზოგადოებაში. მის მიერ გატარებული მრავალი რეფორმის შედეგად ქვეყანაში იკლო უმუშევრობამ, შემუშავებულ იქნა ეკონომიკური განვითარების პროგრამები, იმედი მიეცათ გაჭირვებულ, სოციალურად დაუცველ ადამიანებს, ციხეებიდან გამოვიდა ათასობით პოლიტპატიმარი. უმაღლესს პოსტებზე დაიწყო ქალების დანიშვნა და გაიზარდა მათი უფლებები. მუჰამად VI-ს ინიციატივით მასმედია ნაწილობრივ გადავიდა კერძო პირების ხელში და შესაძლებელი გახდა ადრე აკრძალული ინფორმაციის გამოქვეყნება. მაროკო არაბულ ქვეყნებს შორის წარმოადგენს იმ იშვიათ გამონაკლისს, სადაც ხალხს თავისუფლად შეუძლია თავისი პოზიციის თამამად გამოხატვა.

1994 წლიდან „შარიფთა სახელმწიფო“ ევროკავშირის ასოცირებული წევრია, მაგრამ სწორედ მეფე მუჰამად VI-ს ძალისხმევის შედეგად გაფართოვდა ურთიერთობები მაროკოსა და ევროკავშირს შორის. ამასთანავე, ქვეყნის მთავარი პარტნიორები საფრანგეთი და აშშ, სერიოზულად განიხილავენ დასავლეთ საჰარაში არა რეფერენდუმის, არამედ სადაო ტერიტორიისთვის თვითმმართველობის მინიჭების საკითხს, მაროკოს შემადგენლობაში. აფრიკისა და აზიის ათამდე სახელმწიფომ უკან წაიღო დასავლეთ საჰარის სახელმწიფოებრიობის ცნობის მოთხოვნა.

გარდა ამისა, მაროკოს სამეფო, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნები, აქტიურად ჩაერთო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოწყებულ ტერორიზმის წინააღმდეგ კამპანიაში თანამშრომლობისათვის მას მიენიჭა ნატო-ს მოკავშირის სტატუსი [157,3-4].

---

[1] 1999 წლის 30 ივლისს, მაროკოს სამეფო ტახტზე ავიდა ფილალის დინასტიის გვირგვინოსანი, მუჰამად VI. იგი დაიბადა 1963 წელს. 1981 წელს დაამთავრა სასახლესთან არსებული საშუალო სასწავლებელი. უმაღლესი განათლება მიიღო რაბატის მუჰამად V-ს სახელობის უნივერსიტეტში, იურისპუდენციის განხრით. 1999 წელს დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი და იქვე დაიცვა დისერტაცია ევროპისა და მაღრიბის ქვეყნების თანამშრომლობის საკითხებზე. ის პირველი არაბი მონარქია, რომლის ტიტულატურაში იურისპუდენციის დოქტორის ევროპულ უნივერსიტეტში მიღებული დიპლომი შედის. იგი ბრწყინვალედ ფლობს ფრანგულ, ესპანურ და ინგლისურ ენებს. მან სტაჟირება გაიარა ევროკავშირისა და გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციებში. გამეფებამდე იყო მაროკოს გენშტაბის ბიუროს კოორდინატორი. 1994 წელს მიენიჭა დივიზიის გენერლის წოდება [157,3; 158,2].

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში „შარიფები და ფილალის დინასტია მაროკოში“, შესწავლილია შარიფთა გამოჩენა და დამკვიდრება „შარიფთა სახელმწიფოში“, ფილალის დინასტიის ისტორია. თემაში მიმოხილულია ის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული პროცესები, რომელთაც ადგილი ქონდათ XVII-XX საუკუნეების მაროკოს ცხოვრებაში.

ნაშრომში ყურადღება ფოკუსირდება პოლიტიკურ და ისტორიულ მოვლენებზე. ასევე მიმოხილულია ბერბერების ისტორია, გადმოცემულია მათი როლი ქვეყნის განვითარების ისტორიაში. ბერბერების ადათ-ჩვეულებანი დღესაც განსხვავდება არაბებისაგან, მაგრამ მათ კარგად შეითვისეს არაბული ენა და კულტურა.

შარიფებს მოუხდათ მძიმე ბრძოლის გადატანა არაბულ-ბერბერულ ტომებთან, ქვეყანაში სტაბილურობის დასამკვიდრებლად და ძალაუფლების განსამტკიცებლად. ფილალიმ, შეიძლება ითქვას, მაროკო გადაარჩინა დაღუპვას. ‘ალავიტმა სულთნებმა ქვეყანა გამოიყვანეს მძიმე მდგომარეობიდან. XVII-XVIII საუკუნეებში მათ არაერთხელ დაამარცხეს და უკუაგდეს აჯანყებული ტომები და უცხო ძალები. აღნიშნული პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს მაროკოს აღორძინების ხანად. ‘ალავიტებმა გარკვეულწილად დაძლიეს ფეოდალური ჩამორჩენილობა.

მულაი ისმაილის ძალისხმევის შედეგად, მოსახლეობა წინა პერიოდთან შედარებით გამოვიდა მძიმე მდგომარეობიდან და რაც უმნიშვნელოვანესია, სულთან ისმაილის მმართველობის ხანაში, შეიქმნა ნამდვილი ჯარი, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში დამყარდა სიმშვიდე და წესრიგი. აღდგა აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობა, ამოღებულ იქნა გადასახადები. ისმაილი ისტორიაში შევიდა, როგორც ამაღორძინებელი სულთანი. ამავე დროს, იგი ცნობილი იყო, როგორც დესპოტი მმართველი. მის მიერ გატარებული პოლიტიკის გარეშე „შარიფთა სახელმწიფო“ აღარ იარსებებდა. სულთანმა ისმაილმა ააღორძინა ვაჭრობა, კარი გაუხსნა უცხოელ ვაჭრებს, რამაც იქონია მაროკოს ეკონომიკაზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა. ისმაილმა დატოვა „ახალი მექნესი“ და უკვდავი სახელი. მისი გარდაცვალების შემდეგ, მაროკოს სიძლიერე თანდათანობით შეირყა.

ხელსაყრელი ადგილმდებარეობის და კარგი ბუნებრივი პირობების გამო, ქვეყანა ყოველთვის იზიდავდა უცხოელ დამპყრობლებს. ამ ყველაფერმა შეასრულა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი როლი. მიუხედავად იმისა, რომ კოლონიზაციამ მაროკოში შეიტანა „ცივილიზაცია“, მან მაინც დაღი დაასვა მას.

XIX საუკუნიდან მაროკოზე გაძლიერდა ევროპის სახელმწიფოების ზეწოლა, რაც საბოლოოდ, კოლონიალური „ციებ-ცხელების“ პერიოდში დასრულდა მისი დამოუკიდებლობის დაკარგვით.

ქვეყნისათვის ბრძოლამ განსაკუთრებულ პიკს მიაღწია XX საუკუნის დასაწყისში. ვინაიდან ამ პერიოდისათვის დღევანდელი მაროკოს სამეფო იყო სუსტი პოლიტიკური, სამხედრო და ფინანსური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა მსოფლიო გადანაწილების ბრძოლაში იგი ვერ აცდა კოლონიზატორთა აგრესიას.

მრავალი წინააღმდეგობებისა და სიძნელეების მიუხედავად, ფილალის დინასტიამ დღემდე შეინარჩუნა ტახტი. მონარქის კეთილშობილური წარმომავლობა დღესაც იწვევს მუსლიმთა პატივისცემას და აღფრთოვანებას.

დღესდღეობით, მაროკოს სამეფო არის მაღრიბის ერთ-ერთ მთავარი პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურის ცენტრი. მაროკო, ჩრდილოეთ აფრიკაში იმ ქვეყანათაგანია, სადაც არაბულ-ბერბერულმა და ანდალუსიურმა კულტურამ მიაღწია თავისი განვითარების მწვერვალს.

ისლამის დამკვიდრების შემდეგ და ფილალის გამგებლობის პერიოდში, არაბული მაღრიბის რელიგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესს როლს ასრულებდნენ ქალაქები, რომლებიც განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდნენ ისლამურ სამყაროში.

ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქი ფესი - „მაღრიბის მექა“ რამდენჯერმე იყო მაროკოს დედაქალაქი. მან გაუძლო მრავალ ქარტეხილს. საუკუნეების წინ დაარსებული ქალაქი, დღესაც ისლამური კულტურის მკვლევართა ინტერესს იმსახურებს.

მეცნიერთა კვლევის საგანს წარმოადგენენ აგრეთვე ქალაქები - მარაქეში, რაბატი და მექნესი. „წითელმა ქალაქმა“, რომელმაც ქვეყანას მისცა თანამედროვე სახელწოდება, დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. როგორც აღინიშნა, დროგამოშვებით იგი იყო სახელმწიფოს დედაქალაქი, სადაც

მოღვაწეობდნენ უდიდესი არაბი და ანდალუსიელი მეცნიერები, ღვთისმეტყველები, კანონმდებლები.

რაც შეეხება რაბატს, ის იყო ალ-მუვაჰიდების დედაქალაქი, ასევე საუკუნეების მანძილზე ასრულებდა პორტის როლს და წარმოადგენდა მეკობრეთა კერას. რაბატი თავისი საინტერესო ისტორიითა და მდიდარი არქიტექტურული ძეგლებით, დღესაც იპყრობს მკვლევართა, თუ მოგზაურთა ყურადღებას. მაროკოს რიგით მე-4 სატახტო ქალაქი მექნესი, ამჟამად ქვეყნის სამხრეთ რეგიონის ეკონომიკური ცენტრია. ოდესღაც სახელგანთქმული დედაქალაქი, დღეს „ჩრდილშია“ მოქცეული.

კასაბლანკა ყოველთვის ასრულებდა უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნის განვითარებაში და ჰასან II-ის მეჩეთი წარმოადგენს მუსლიმურ სამყაროში უნიკალურ ნაგებობას, რის გამოც საჭიროდ მივიჩნიეთ ძალიან მოკლედ მისი ისტორიის გადმოცემა. „თეთრი ქალაქი“ ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

არაბულ-ბერბერულმა ტომებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი მაროკოს ისტორიაში. დაუმორჩილებელი ტომები ხშირად უქმნიდნენ პრობლემებს სულთნებს, ამავდროულად ისინი დროდადრო ეხმარებოდნენ მმართველებს ძალაუფლების მოპოვებასა და წესრიგის დამყარებაში.

ამასთანავე, პროტექტორატის დროს ფრანგებმა ბევრჯერ ცადეს ბერბერულ-არაბული ტომების დაპირისპირება. ამით ისინი ცდილობდნენ ეთნიკური შუღლის აღმოცენებას და მის გაღვივებას. ხალხის ერთმანეთს შორის გადაკიდებით იმედოვნებდნენ, რომ ადვილად დაიმორჩილებდნენ მაროკოს მოსახლეობას, რაც არ გამოუვიდათ.

კოლონიზატორებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა რიფის რესპუბლიკა. რიფელების თავგანწირულმა ბრძოლამ საგრძნობლად შეარყია ესპანეთ-საფრანგეთის კოლონიალური რეჟიმი. მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთხელ ცადეს რიფის ბერბერული ტომების მოსყიდვა და არაბებთან დაპირისპირება, ვერ მიაღწიეს საწადელს. ევროპელების აგრესიამ კიდევ უფრო დააახლოვა ბერბერ-არაბები. მათი თავდადება გახდა თავისუფლების ბრძოლის მაგალითი სხვა კოლონიალური რეჟიმების ქვეშ მყოფი სახელმწიფოებისათვის.

ამავდროულად, თავისუფლების სურვილმა უფრო მეტად შეაკავშირა ხალხი, რომელთა წყალობით „შარიფთა სახელმწიფომ“, 44-წლიანი თავგანწირული

ბრძოლის შედეგად აღიდგინა ნანატრი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დაიკავა ღირსეული ადგილი საერთაშორისო არენაზე.


იდრისიანთა შორფა
ალ–ჰასანი
ალ–ჰასანი
‘აბდ ალ-ლაჰ ალ-ქამილი
იდრის I
იდრის II
და’უდი
ომარი
ალ-კასიმი
‘ისა
‘აბდ ალ-ლაჰი
იაჰია
მუჰამადი
ჰამიდიანების შორფა
იაჰია
მუჰამადი
იაჰია
იბრაჰიმი
იაჰია
იაჰია
ჰამუდი
ალი
მუჰამადი
‘აბდ ალ-ვაჰიდი
‘აბდ არ-რაჰმანი
ტაჰირიანების შორფა
ალი
შაჰიბიანების შორფა
‘აბდ ალ-ლაჰი
‘იმრანიანების შორფა
მუჰამადი
ტალიბიანების და ღალიბიანების შორფა
ჯუთიანები
იაჰია
კატანიანების შორფა
ალი
მაშიში
იუნუსი
მუსა
შაფშავიანების
შორფა
იამლაჰი
ლიჰიანი-
ანების შორფა
‘აბდ ას-
სალამი
ვაზანიელების შორფა
‘აბდ ალ-ლაჰი
რაისუნიანების
შორფა
‘აბდ არ-
რაჰმანი
რაჰმანიანების
შორფა

<u>‘აბდ ალ-ლაჰ ალ-ქამილის შტო</u>
<u>‘აბდ ალ-ლაჰ ქამილი</u>
<u>მუჰამად ან-ნაფს აზ-ზაქიია</u>



ფილალის (‘ალავიტების) დინასტიის სულთნები

მუჰამად ალი აშ-შარიფი (თაფილალეთში) **1631 – 1635/36**

მუჰამად II იბნ მუჰამადი **1635/6 – 1664**

არ-რაშიდი **1664 – 1672**

ისმაილი **1672 – 1727**

აჰმად აზ-ზაჰაბი **1727-1729**

‘აბდ ალ-ლაჰი **1729-1736**

‘აბდ ალ-ლაჰი **1736-1757** (მას ეცილებოდნენ ძალაუფლებას უზურპატორები და ტახტის სხვა პრეტენდენტები. ამ პერიოდში მან სამჯერ დაიკავა ტახტი.)

მუჰამად III იბნ ‘აბდ ალ-ლაჰი **1757 - 1790**

იაზიდი **1790-1792**

ჰიშამი **1792-1793**

სულაიმანი, იბიცე სლიმანი **1793-1822**

‘აბდ არ-რაჰმანი **1822-1859**

მუჰამად IV იბნ ‘აბდ არ-რაჰმანი **1859-1873**

ალ–ჰასან იბნ მუჰამადი **1873-1895**

‘აბდ ალ-‘აზიზი **1895-1908**

‘აბდ ალ-ჰაფიზი **1908-1912**

იუსუფი **1912-1927**

მუჰამად V ბენ იუსუფი **1927-1953**

მუჰამად ბენ ‘არაფა **1953-1955**

მუჰამად V **1955-1962** (მეორეჯერ, 1957 წელს მან მიიღო **მეფის** ტიტული.)

მეფე ჰასან II **1962-1999**

მეფე მუჰამად VI 1999-დან

მაროკოს სამეფოს პოლიტიკური რუკა

მაროკოს სახელმწიფო დროშა და გერბი

რიფის რესპუბლიკის დროშა და გერბი

გამოყენებული წყაროები

1. **აზ-ზაიანნი აჰმად**, ალ-ხაბარ ‘ან ავალ დავლა მინ დუვალ ალ-აშრაფ ‘ალავიინ მინ ავალდინა აშ-შარიფ ‘ალი. ბარის, 1886.
2. **იბნ ხალდუნ,** თა’რიხუ-ლ-‘ალამია. ქითაბუ-ლ-‘იბრ ვა დივანუ-ლ-მუბთადა’ ვა ალ-ხაბარ ფი აიამი-ლ-‘არაბ ვა ალ-‘აჯმ ვა ალ-ბარბარ მინ ‘ასარიჰიმ ზავი ას-სულტან ალ-აქბარ. ალ-მუჯალიდ ას-სადის, ბაირუთ, 1967.
3. **‘Абд ар-Рахман ибн ‘Абд ал-Хакам,** Завоевание Египта, аль-Магриба и аль-Андалуса. Перевод с арабского, М., 1985.
4. **Лев Африканский,** Африка – третья часть света. Перевод с итальянского, Л.,1983.
5. Histoire des Berberes et des dynasties musulmans de l’Afrique septentionale par **Ibn Khaldoun.** Traduite de l’Arabe par **M.L. Baron de Slane**, tome dèuxieme, Paris, 1852.
6. **Houdas V. Octave,** Le Maroc de 1631 ά 1812. Exstrait de l‘ouvrage intitule, Amsterdam, 1969.
7. Mèmoires d’Abd el-Krim, recueillis par Roger-Mathieu, Paris, 1927.

ლიტერატურა

8. **ზარდალაშვილი გრ.,** აფრიკის ქვეყნები. გეოგრაფიული და პოლიტ--ეკონომიური ცნობარი, თბ., 1981.
9. **მენთეშაშვილი ზ.,** ბერბერები და ანტიკური ცივილიზაცია მაღრიბში. – - ორიენტალისტური ძიებანი, კრებული 3-4, თბ., 1995, გვ. 224-241.
10. **მაჭარაშვილი ქ.,** მაროკოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 1907-2000 წლებში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სად. ნაშრომი, თბ., 2006.
11. **სანიკიძე გ.,** რიბატი. – ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999, გვ. 162-163.
12. **სანიკიძე გ.,** სუფრიტები. – ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999, გვ. 178-179.
13. **ქარცივაძე თ.,** სულთან ისმაილის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და

„შავი მონების არმია“ (1672-1727). –ჟურნ. აღმოსავლეთი, №3, თბ., 2002, გვ.16.

14. **ქარცივაძე თ.,** შარიფების მოძრაობა და ქალაქ ფესის დაარსება მაროკოში. – ჟურნ. პერსპექტივა-XXI, IV, თბ., 2002, გვ. 136-137.
15. **ქარცივაძე თ.,** ქალაქი მარაქეში (არაბული მაღრიბის ისტორიიდან). – ჟურნ. აღმოსავლეთი და კავკასია, №2, თბ., 2004, გვ. 127-130.
16. **ქარცივაძე თ.,** რაბატი - არაბული მაღრიბის ცენტრი. –ჟურნ. აღმოსავლეთი და კავკასია, №1, თბ., 2003, გვ. 88-91.
17. **ჯაფარიძე გ.,** ვაჰაბიზმი. – ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999, გვ. 60.
18. **ჯაფარიძე გ.,** შარიფი. – ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999, გვ. 210.
19. **ხიდეშელი ლამზირა**, ბერბერული ელემენტის როლი მაღრიბის ქვეყნების პოლიტიკურ ასპარეზზე X-XIII საუკუნეებში. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993.
20. **Аваков Р.А.,** Марокко, М., 1957.
21. **Акимушкин О.Ф.,** Рибат. – Ислам - Энциклопедический словарь, М., 1991, გვ.198.
22. **Амин Саид,** Восстания арабов в XX веке. Перевод с арабского, М.,1964.
23. **Аргентов В.А.,** Старина и новь Магриба, М., 1985.
24. **Аяш А.,** Марокко. Итог одной колонизации. Перевод с французского, М., 1958.
25. **Аяш Ж.,** Очерки марокканской историй. Перевод с французского, М., 1987.
26. **Баратов Г.Е.,** Марокко, Л., 1926.
27. **Бернар О.,** Северная и Западная Африка. Перевод с французского, М., 1949.
28. **Биро П.Д. и Дреш Ж.,** Средиземноморье, том 1. Перевод с французского, М.,1960.
29. **Босворт К.Э.,** Мусульманские династии. Справочник по хронологии. Перевод с английского, М., 1971.
30. **Веймарн Б., Каптерева Т., Подольский А.,** Искусство арабских народов, М.,1960.
31. **Верин В.П.,** На марокканской земле, М., 1972.
32. **Видясова М.Ф.,** Социальные структуры доколониального Магриба, М., 1987.
33. **Вобликов Д.Б.,** Новейшая история арабских стран, М., 1968.

34. **Вышинский А.Я., Лозовский** С.А., Альхесирасская конференция. – Дипломатический словарь, том 1, М., 1948, გვ. 56-58.
35. **Гаврилов Н.И.,** Марокко, М.,1958.
36. География Марокко/ Ф. Жоли, А. Ляш, Л. Сюэш/, М., 1951.
37. **Головин Ю.М.,** Марокко, М., 1964.
38. **Горнунг М.Б., Уткин Г.Н.**, Марокко, М., 1966.
39. **Гранова М.Ю.,** Эволюция монархии в Марокко**,** XX век. Магистерская диссертация, М., 2002.
40. **Жюльен Ш.А.,** История Северной Африки. Тунис. Алжир. Марокко.Том 2. Перевод с французского, М.,1961.
41. **Иванов Н.А.,** Фес. – Африка - Энциклопедический справочник, том 2, ред. Потехин И.Н**.,** М., 1963, გვ. 277.
42. Новейшая история арабских стран Африки (1917-1987), М.,1990.
43. **Катин В.К.,** Марокко, М., 1963.
44. Королевство Марокко, М., 1991.
45. **Крачковский И.Ю.,** Избранные соченения. Том IV, Москва - Ленинград,1957**.**
46. **Ланда Р.Г.,** Страны Магриба: Общество и традиции, М., 1988.
47. **Лебедев Д.,** Республика Риф, М-Л., 1931.
48. **Луцкая Н.С.,** Марокко, М., 1958.
49. **Луцкая Н.С.,** Марокко вновь обретает независимость, М., 1958.
50. **Луцкая Н.С.,** Позиция России по марокканскому вопросу в конце XIX в. Арабские страны. История и современность, М., 1981. გვ. 187-193.
51. **Луцкая Н.С.,** Республика Риф, М.,1959.
52. **Луцкая Н.С.,** Переворот в Марокко в 1953 году. – Арабские страны. История. Экономика, М.,1970.
53. **Луцкий В.Б.,** Новая история арабских стран, М.,1966.
54. **Лэн – пуль Стэнли.,** Мусульманские династии. Перевод с французского, С.Петербург, 1892.
55. **Мартынов Сергей,** Столица ремесл. Вокруг света, № 9, М.,1990, დასაწყ. გვ.47, დასასრ. გვ.79.
56. **Массэ А.,** Ислам – Очерки истории. Перевод с французского, М.,1961.
57. **Ментешашвили З.А.,** Берберы в общественно – политической жизни Марокко (50 – 70 -е годы XX в.), М., 1985.

58. **Ментешашвили З.А.,** Социальное развитие независимого Марокко, М., 1988.
59. **Меншинг Хорст.,** Между Рифом и Дра. Путешествие по Марокко. Перевод с немецкого, М.,1957.
60. Мусульманский Магриб. Шерифы, тарикаты, марабуты в истории Северной Африки. Н.Н. Дьяков, Санкт-Петербург,2008.
61. **Прозоров С.М.,** Ал-Хасан. – Ислам - Энциклопедический словарь, М., 1991, გვ. 276.
62. **Орлов В. В.** Традиционная социальная организация алауитского Марокко (середина XVIII – начало XIX века). Концепции – структуры – взаимосвязи. М., 1998.
63. **Орлов В. В.**, Крах ваххабитской модели в Магрибе: реформы марокканского султана Мулай Слимана (1792–1822 гг.). – Вестник Московского университета. Сер. 13. Востоковедение, 4, 1993, გვ. 24-32.
64. **Тума Э.,** Национально-освободительное движение и проблема арабского единства, Перевод с арабского, М.,1977.
65. **Фитуни Л.Л.,** Марокко, М., 1985.
66. **Фрунзе М. В.,** Европейские цивилизаторы и Марокко (Избранные сочинения) М., 1940.
67. **Хазанов А.М.,** Португальские конкистадоры в Марокко (XV–XVI вв.). – Вопросы истории, № 1, М., 1976, გვ. 115-127.
68. **Arendonk Van G.,** Sharif. – Brill's First Encyclopaedia of Islam, vol.VII, Leiden. New York. koln, 1993, გვ.324-329.
69. **Barbour Nevill,** Morocco, London, 1965.
70. **Fage J.O.,** A history of Africa, London and New York, 1995.
71. **Iliffe John.,** The history of a continent, Cambridge, 1995.
72. **Jarret H. R.,** Africa, London, 1962.
73. Journal **Geo,** Maroc, #12, Paris,1992.
74. **Levi-Provancal E.,** Morocco. – Brill's First Encyclopaedia of Islam, vol.VI, Leiden-New York-Köln, 1993, გვ. 579-606.
75. **Levi-Provancal E.,** Rabat. – Brill's First Encyclopaedia of Islam, vol.VI, Leiden-New York- Köln, 1993, გვ. 1087-1088.
76. **Meyers Allen R.,** Slave Soliders and State Politics in Early 'Alawi Morocco, 1668-1728. – The International Journal of African historical Studies, vol.16 (1), 1983, გვ. 39-48.

77. Editor **Ogot B.A.,** General History of Africa, V, Unesco-Heinemann- California, 1992.

78. **Shillington Kevin,** History of Africa, London, 1995.

79. **Spencer Wiliam,** Historical Dictionary of Morocco, London, 1980.

80. The Cambridge History of Africa, volume 4, Cambridge University Press, 1993.

81. The Middle East and North Africa, London, 1971.

82. **Allouche L.S.,** Un plan des canalisations des Fès au temps de Mawlay Isma'il d'après un texte inédit, avec une étude succincte sur la corporation des "kwadisiya". – Archives berbères et bulletin de l'Institut des Hautes Etudes Marocaines. Hèsperis, tome XVII, 1934, გვ. 4-63.

83. **Bellaire Michaux,** Le Chérif Moulay Ahmed ben Mohammed ben Abdallah er Risouni el Younesi el Alami el Idrisi el Hasani. – Revue du Monde Musulman. Publieè par la mission scientifique du Maroc, tome cinquième, Paris, 1908. გვ. 503-511.

84. **Berque Jacques,** Ulémas, Fondateurs insurgés du Maghreb XVIIè siècle, Paris, 1981.

85. **Berque Jacques,** Al-Yousî, problèmes de la culture marocaine au XVIIe siècle, Paris,1958.

86. **Berque Jacques**, L'intérieur du Maghreb (XVe-XIXe siècles), Paris, 1961.

87. Bienvenue à Marrakech, Paris, 1994.

88. **Deverdun Gaston,** Marrakech des origines ά 1912, Rabat, 1959.

89. **Lagarde Lucie,** Un matelot de Louis XIV sur les côtes du Maroc. – Hèsperis, tome XLII, 1955, გვ. 263-266.

90. **Larbi Mezzine,** Le Tafilalt. Contribution ά l'Histoire du Maroc aux XVIIe et XVIIIe siècles, Rabat, 1987.

91. **Laurent Michel,** Le Maroc de l'espoir, Paris-Rabat, 1996.

92. **Levi-Provancal E.,** Shorfa. – Encyclopédie de l'Islam, tome III, Paris, 1936, გვ.401-403.

93. **Pianel Georges,** Les préliminaires de la conquête du Soudan par Maulay Ahmad Al-Mansur. – Hèsperis, tome XL, 1953, გვ. 185-197.

94. **Pierre de Genival,** La légende du juif Ibn Mech'al et la fête du sultan des Tolba à Fès. – Hèsperis, tome V, 1925, გვ. 137-218.

95. **Prelin Victor Edmond,** Le XVII° siecle: monarchies centralisées (1610-1715), Paris, 1949.

96. **Terrasse Henri,** Histoire du Maroc, Paris,1950.

97. **Rogerson B.,** Marrakesh, Fez and Rabat. Cadogan Guides (USA), 2010.

98. **Zambaour E.,** Manuel de généalogie et de chronologie pour l'histoire de l'Islam, Hanovre, 1927.

99. **‘აბდ ას-სალამ მუჰამმად ბ. მაჰმუდ**, თა’რიხუ-ლ-მაღრიბ. ალ-ჯუზ’ ას-სანი, თიტვან, 1957.

100. **‘აკად სალაჰ**, ალ-მაღრიბუ-ლ-‘არაბი. ალ-კაჰირა, 1993.

101. **‘აკად სალაჰ**, ალ-მაღრიბუ-ლ-‘არაბი 2. ალ-კაჰირა, 1966.

102. **‘არავი ‘აბდ ალ-ლაჰ**, თა’რიხუ-ლ-მაღრიბ. მუჰავილა ფი ათ-თარქიბ, ბაირუთ, ლუბნან, 1961.

103. ‘ასიფა ფი მარაქაშ ავ ახტა’ას-სიასია ალ-ბარბარია. ალ-კაჰირა, 1350 (ჰ).

104. **‘ატალაჰ ალ-ჯამალ,** ალ-მაღრიბუ-ლ-‘არაბი ალ-ქაბირ. ალ-კაჰირა, 1997.

105. **ბრუქილმან ქარლ**, თა’რიხ აშ-შუ‘უბ ალ-ისლამია. ბაირუთ, 1998.

106. **დუქთურ დაიფ**, თა’რიხუ-ლ-’ადაბ ალ-‘არაბია. ‘ასრ ად-დუვალ ალ-იმარათ. ალ-კაჰირა, 1995.

107. **დარიჰ მუჰამად ალ-ხამის. ად-დარუ-ლ-ბაიდა’, 1986.**

108. **ზიადა ნიკულა**, იფრიკია. ლუნდუნ, 1995.

109. **ზაღლულ ალ-ჰამიდ**, ალ-ფატიმიუნა ვა ბანუ ზაირი ას-სანჰაჯიუნა ილა კიამ ალ-მურაბიტინა. ალ-ჯუზ’ ას-სალის, ალ-ისქანდარია, 1979.

110. ათ-თა‘რიფ ბი-ლ-მაღრიბ. ალ-კაჰირა, 1961.

111. თა’რიხუ-ლ-ჰადართ ალ-მაღრიბია. ად-დარუ-ლ-ბაიდა’, 1962.

112. **იაჰია სუს სულაიმან**, ჯამი‘ა ალ-კარვინ. მულთაკა მადარის ალ-‘იმარა ბი-ლ-მაღრიბ ალ-ისლამი. მაჯალა ქულია ალ-ასარია ალ-კაჰირა. ‘ადად ას-სამინ, ალ-კაჰირა, 1997.

113. **იაჰია ჯალალ,** ალ-მაღრიბუ-ლ-ქაბირ 3. ალ-კაჰირა, 1981.

114. **ლაიფი ბრუფანსალ**, ნუხაბ თა’რიხია ჯამი‘ა ლი-’ახბარ ალ-მაღრიბუ--ლ-აკსა. ბარის, 1948.

115. **ლუ ტურნუ რუჯი,** ფას კაბლა ალ-ჰიმადა. თარჯამა ილა-ლ-‘არაბია, ალ-ჯუზ’ ალ-ავალ. ლუბნან-ბაირუთ, 1986.

116. ალ-მაღრიბ ფი ბიდაᲫა ალ-‘უსᲣრ ალ-ჰადᲐს. ალ-კაჰირა, 1961-62.

117. **მუ’იშ ჰუსაᲐნ**, თა’რᲐხუ-ლ-მაღრიბ ვა ჰადრაᲜთუჰუ 2. ალ-კაჰირა, 1992.

118. **მუნᲐრ ‘აბდ ალ-‘აზᲐზ,** აშ-შურაფაᲜ’ არ-რაკბᲐᲜ ბი-ას-საჰრᲜ’ ალ-მაღრიბᲐა მუნზუ ‘აჰდ ად-დავლა ალ-მარᲐნᲐა ილა ად-დავლა ალ-‘ალავᲐა აშ-შარᲐფᲐა. ად-დარუ-ლ-ბაიდᲜ’, 1992.

119. **არ-რᲐჰანი ამᲐნ**, ალ-მაღრიბუ-ლ-აკსა. რიჰლა ფი მინტაკა ალ-ჰიმᲜᲐა ალ-ისბᲜნᲐა. ალ-კაჰირა, 1961.

120. არ-რიჰლა ალ-მაღრიბუ-ლ-აკსა ვა ნურ ალ-ანდალუს. ლუბნᲜნ--ბაირუთ, 1997.

121. ალ-ფან ფი ად-დიბლᲣმᲜსᲐა ალ-მაღრიბᲐა. ისდᲜრᲜთ ვიზᲜრათუ-ლ-ხᲜრიჯᲐა ალ-მაღრიბია. არ-რიბᲜტ, 2002.

122. **ღურᲜიბა ‘აბდ ალ-ქარᲐმ მაჰმᲣდ**, თა’რᲐხუ-ლ-‘არაბი ალ-ჰადᲐს. ბაირᲣთ, 1984.

123. **ჯᲣლᲐᲜ შᲜრლ ანდრე**, თა’რᲐხ იფრᲐკᲐა აშ-შიმᲜლᲐა. ალ-ჯუზ’ას-სᲜნი, ათ-თარჯამა ილა-ლ-‘არაბᲐა. თᲣნის, 1978.

124. **ჰასან აჰმად მაჰმᲣდ**, ალ-ისლᲜმ ვა ას-საკᲜფა ალ-‘არაბᲐა ფი იფრიკᲐა. ალ-კაჰირა, 1986.

ენციკლოპედიები

125. Африка – Энциклопедический справочник, том 1, ред. **Громыко Ан. Н.,** М., 1986.

126. Африка – Энциклопедический справочник, том 2, ред. **Громыко Ан. Н.,** М.**,**1987.

127. Ислам. Краткий справочник, М., 1983.

128. Fes – **New Encyclopaedia Britannica,** vol.III, Chicago, 1990, გვ.751.

129. Ismail – **New Encyclopaedia Britannica,** vol.VI, Chicago, 1990, გვ. 414.

130. Marrakech – **New Encyclopaedia Britannica,** vol.VII, Chicago, 1990, გვ.870-871.

131. Meknes – **New Encyclopaedia Britannica,** vol.VII, Chicago,1990, გვ.1023.

132. Rabat – **New Encyclopaedia Britannica,** vol.VII, Chicago, 1990, გვ.870.

133. Sharif – **Gibb H.A.R and Kramer J.H.,** Shorter Encyclopaedia of Islam, London, 1961, გვ. 529-532.

134. **ალ-‘ალავᲐა**, მᲣჯაზ დᲜ’ირა ალ-მა‘Ნრიფ ალ-ისლᲜმᲐა. ალ-ჯუზ’ არ-რᲜბი‘ ვა ალ-‘იშრᲣნა. ალ-კაჰირა, 1998, გვ. 7406-7414.

135. მავსუ‘ა თა’რიხუ-ლ-მაღრიბ ალ-‘არაბი. მუჯალიდ 3, ალ-კაჰირა,1994.

136. მავსუ‘ა თა’რიხ შუ‘უბ ალ-ისლამია 4. ბაირუთ, 1999.

137. **ალ-მაღრიბ,** მუჯაზ და’ირა ალ-მა‘არიფ ალ-ისლამია. ალ-ჯუზ’ ას-სალასუნა. ალ-კაჰირა, 1998, გვ. 9486-9520.

138. **მულაი ისმა‘ილ**, მუჯაზ და’ირა ალ-მა‘არიფ ალ-ისლამია. ალ-ჯუზ’ ალ-ჰადი ვა ას-სალასუნა. ალ-კაჰირა, 1998, გვ. 9801-9803.

139. **არ-რიბატ**, მუჯაზ და’ირა ალ-მა‘არიფ ალ-ისლამია. ალ-ჯუზ’ ას-სადის ვა ‘აშარა. ალ-კაჰირა, 1998, გვ. 5079-5088.

140. **ფას**, მუჯაზ და’ირა ალ-მა‘არიფ ალ-ისლამია. ალ-ჯუზ’ ალ-ხამის ვა ალ-‘იშრინა. ალ-კაჰირა, 1998, გვ. 7684-7705.

141. **აშ-შარიფ**, მუჯაზ და’ირა ალ-მა‘არიფ ალ-ისლამია. ალ-ჯუზ’ ალ-‘იშრუნა. ალ-კაჰირა, 1998, გვ. 6230-6252.

142. Filaliler – Ana Britannica Genel Kültür Ansiklopedisi, Cilt8, Istanbul, 1986-1992, გვ. 569.

ინტერნეტის მასალა

143. http://maghreb.ru/morocco/publications/islam.

144. http://morocco.com/history of Morocco.

145. istina.msu.ru/publications/article/615883/ Орлов В.В., Ислам и легитимизация шерифской власти в Марокко (xviii–xx вв.). - Ломоносовские чтения. Апрель 2004 г. Востоковедение. Тезисы докладов. Кн. 2. Гуманитарий Москва, 2004.

146. http://Morocco– all.com/history.

147. http://looklex.com/morocco/index.htm.

148. http://morocco.meagits.ru.

149. http://mincom.gov.ma/french/histoire/morocco.

150. http:encycl.yandex.ru/Марокко.

151. http://www.worlds.ru/africa/morocco/history26.shtml.

152. http://mayakiinfo.ru/ Марракеш.

153. http://worlds.ru/africa/morocco/history/Вокруг света. Дворец Бахия.

154. http://krugosvet.ru/Марокко.

155. http://worlds.ru/africa/morocco/history/Жемчужина Магриба-Мекнес.

156. http://maghreb.ru/morocco/info/meknes/Достопримечательности Мекнеса.

157. http://allabout.ru/Мухаммед VI История, биография.

158. http:///news.bbc.co.uk/hi/russian/Марокко–Король Мохаммед VI.

159. http://worlds.ru/africa/morocco/history/Вокруг света/Рабат.

160. http://worlds.ru/africa/morocco/history/Вокруг света/Касабланка.

161.book.iimes.su/wp-content/uploads/2003/r2003afr_p.pdf./Сергеев М.С., Берберы Северной Африки: Прошлое и Настоящее.М.,2003.

162. https://books.google.ge/books? /Howe M., Morocco: The Islamist Awakening and Other Challenges,Oxford,2005.

.